N23 (522) 10/VI-18/VI-2010 ფასი 1 ლარი

# გზა

**ქართული პროზის საგანძური**

**ტომი №15**

**ნიკო ლორთქიფანიძე**

შეგიძლიათ შეიძინოთ „გზის" ამ ნომერთან ერთად!

წიგნი და „გზა" ერთად 4 ლარი ღირს

შემდეგი ტომი

**გოდერძი ჩოხელი**



**ზაფხულის მოდის ტენდენციები — „ერუდიტი" ავთანდილისგან**

„მეუღლე ლექსებს მიკითხავს"...

**როდის „ავიწყდება" ნინო იოსელიანს ქმარ-შვილი**

**რატომ გახდა გვანცა დარასელიასთვის მოდელობა დამამცირებელი**

**როგორ ცხოვრობს პატარა მომღერალი**



„მატერიალურ პრობლემებს მუსიკით ვუმკლავდებით"

**9-სულიანი ოჯახი კიდევ ერთი პატარის მოლოდინში**



„სახლიც თავზე გვენგრევა"...

**ვაიქართველების სარფიანი „ბიზნესი"**



„და და დეიდები უკვე გაყიდა, ახლა ძმისშვილს ყიდის"...



**რა „ხარკი" გადაუხადა „რუსთავი 2"-მა გიორგი სანაიას**

ISSN 1987 - 5029
9 771987 502009

# ყოფილი პროკურორი ქალბატონის აღსარება


„მსოფლიო დეტექტივების სეიფი“
ყოველ ორშაბათს! ჟურნალ „რეიტინგთან“ ერთად
თითო კრიმინალური საქმე!
ცნობილი ავტორები,
კლასიკა და ბესტსელერები
მსოფლიო დეტექტივების სეიფი
საქმე №1
14-დან 21 ივნისამდე
საქმე №1 ჯეიმს ჰედლი ჩეიზი
დათარსული კაცი
ჯეიმს ჰედლი ჩეიზი
დათარსული კაცი
თუ სუსტი გული გაქვთ
არ ნახოთ ფასი - დაიშოკებით!

# AIRZENA HOLIDAY
# აირზენა ჰოლიდეი




ანტალია • ბელექი • ქემერი • სიდე • ალანია

ტურისტული კომპანია **„აირზენა ჰოლიდეი"**
გთავაზობთ საოცნებო
დასვენებას თურქეთის საუკეთესო სანაპიროებზე!

ფასში გათვალისწინებულია - ავიაბილეთი, სასტუმრო, ტრანსფერი, დაზღვევა.

დაგვიკავშირდით

**აირზენა ჰოლიდეი**
ტურისტული კომპანია

დ. აღმაშენებლის გამზ. № 127 | თბილისი 0164 | საქართველო
ტ +995 32 505 005 | ფ +995 32 915 506
www.airzena-holiday.com | info@airzena-holiday.com


საუკეთესო საჩუქარი დიასახლისებს!
320 თანამედროვე კერძი !
მხოლოდ 5 ინგრედიენტი
რეიჩელ ლეინი
10 ივნისიდან
იკითხეთ წიგნის მაღაზიებში
ფასი: 29 99
წიგნები სახლში მიტანით „ელვა.ჯი" 38 26 73; 38 26 74


სანო-სტუდია და გოგი ხარაბაძე
წარმოგიდგენთ: აუდიო წიგნს
10 CD დისკი - რჩეული ლექსებით
მხოლოდ „ბიბლუსის"
წიგნის მაღაზიათა ქსელში
ფასი 28 ლარი
მოუსმინეთ, გაიხსენეთ
პოეზიის ხიბლი!..
წიგნები მისამართზე მიტანით. ტელ: 38-26-74; 14-09-91 „ელვა.ჯი"

№23 (522)
10 - 16 ივნისი, 2010 წ.
ფასი 1 ლარი

## ქვეყანა



### ქართველების ბინაში ნაპოვნი გოგონა — აფხაზურ ოჯახში

ჩვენი რესპონდენტი იმითაც არის საინტერესო, რომ მიტოვებულ ქართველ გოგონას ზრდის, რომელიც დაკეტილ ბინაში იპოვა. თუ როგორ აღმოჩნდა ქართველი ჩვილი მარტო — ამის შესახებ რამდენიმე ვერსია აქვს; აფხაზმა მამობილმა არ იცის, მათგან რომელია სიმართლე...

8

## სახე



### შოუბიზნესიდან — სკვერების გაშენებამდე

„გადავწყვიტე, ჩემი კიდევ ერთი ბარი ბარსელონაში გამეხსნა და არა — თბილისში. მით უმეტეს, რომ იქაური ბარი გაცილებით მეტ შემოსავალს მომიტანს“.

18

■ მინიატიურები 5
მსოფლიო ჩემპიონი მრავალჭიდში
■ ჭრელი მსოფლიო 6
■ საზრდო 8
„გოდერძი ცრემლია, რომელიც დაეცა სამთავროს მიწას“
■ საოკუპაციო ზონა 9
ქართველების ბინაში ნაპოვნი გოგონა — აფხაზურ ოჯახში და ქართულ-აფხაზური მტერმოყვარეობის ზღვარი
■ პოლიტიკა 12
■ საზოგადოება 14
■ პერსონა 16
■ ამპლუა 18
■ საქმიანი ქალი 20
შოუბიზნესიდან — სკვერების გაშენებამდე, შარდენიდან — ბარსელონამდე...
■ კოლეგა 22
ვის მიიჩნევს ყველაზე კარგ პარტნიორად ვახო სანაია
■ წარმატება 24
„ნიჭიერის“ ერთ-ერთი ნიჭიერი ანუ გოგონა, რომელიც ძალიან „მაგრად“ მღერის
■ ვარსკვლავები 26
■ გვიმრავლოს! 28
9-სულიანი ოჯახის ტკივილნარევი ბედნიერება
■ გასაჭირი 30
ალუჩითა და ლიმონით დაწყებული ბიზნესი
■ მადლი 31
■ ფსკერი 32
საზღვარგარეთ მცხოვრები ვაიქართველების „ბიზნესი“ და უცხოელზე მიყიდული დეიდები
■ კრიმინალი 34
მოზარდების მიერ ჩადენილი მკვლელობა შურისძიების ნიადაგზე

## ცხოვრება

### ალუჩითა და ლიმონით დაწყებული ბიზნესი



ვაკეში, ერთ-ერთ ქუჩაზე ახლობელს ველოდებოდი, როცა ზურგზე ჩანთამოკიდებული ბიჭუნა მომიახლოვდა.

— დეიდა, ალუჩა იყიდეთ, ტკბილი ალუჩა მაქვს, — ჩანთა ბეჭიდან ჩამოიღო და შიგ ჩამახედა, რათა დავრწმუნებულიყავი, რომ მართლაც, კარგ ალუჩას ყიდდა.

28

## გზავნილები

### სიდედრი, რომელიც დროს ასწრებს



„მამაჩემი თბილისში იყო და ყვითელი ავტობუსით მგზავრობდა. ერთ გაჩერებაზე ქალი ჩავიდა და ბავშვი ჩაიყვანა. ამ დროს ერთმა ქალმა იყვირა, ბავშვს ჩუსტი დარჩაო. მამამ ქალს გასძახა და ჩუსტი გადაუგდო. გვერდით მიიხედა და ერთი ქალი სიცილით კვდებოდა. თურმე მისი შვილის იყო ჩუსტი, მამას კი ეგონა, იმ ბავშვს დარჩა და შეცდომით გადაუგდო. მის რეალი“.“

76

■ **გარემო** 36
მტრედები და გედები
■ **ანტიდეპრესანტი** 38
■ **ეს სამყაროა** 38
■ **ისტორიის ლაბირინთები** 40
■ **ტაძარი** 43
ალექსანდრიის ეკლესიამ უამრავი წარმართი მართლმადიდებლად მოაქცია
■ **ავტო** 45
■ **ქართული სპორტის ლეგენდები** 46
ბორის პაიჭაძის „პუჭურა“ რაფო
■ **საკითხავი ქალებისათვის** 48
■ **ჯანმრთელობა** 50
■ **შემოქმედი** 52
„ჩამომხრჩვალი ანგელოზი“ და ხელოვანი, რომელსაც სალვადორ დალისთან მსგავსება აღიზიანებს
■ **პროფესია** 54
პროკურორობიდან ადვოკატობამდე გავლილი გზა
■ **რეკორდსმენი** 56
ქართველი „ადამიანი-ამფიბია“ რეკორდის დამყარებაზე ოცნებობს
■ **თინეიჯერული პონტები** 57
მოწევა — კლავს!
■ **წვეთი პოეზია** 60
■ **ავტოპორტრეტი** 61
ლალი მოროშკინა. მე, პრეზიდენტი და მსოფლიო ჩემპიონი (გაგრძელება)
■ **ფანტასტიკური დეტექტივი** 65
რუსუდან ბერიძე. ინტერვიუ მიცვალებულთან (გაგრძელება)
■ **რომანი** 69
სვეტა კვარაცხელია. ძლიერი სუსტი ქალი (გაგრძელება)
■ **რეალური** 73
ULTRIX (გაგრძელება)
■ **გზაგნილები** 76
სიდედრი, რომელიც დროს ასწრებს
■ **ყველა ერთისათვის** 80
■ **მობილი-ზაცია** 82
■ **მოზაიკა** 86
■ **მოგზაური** 87
მოგზაურთა ხუთეულში შესული და იაპონიით მოხიბლული ანუ როგორ გაყიდა გერმანიაში სანომ სტრადივარიუსის ვიოლინო
■ **მუნდიალი** 89
■ **ერუდიტი** 92
■ **ჯასართობი** 94
■ **ასტროლოგია** 96
■ **სკანვორდი** 97
■ **საფირმო კროსვორდი** 98



საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: **ზურაბ აბაშიძე**
მთ. რედაქტორის მოადგილეები: **ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია**
პასუხისმგებელი რედაქტორი: **მარი ჯაფარიძე**
მენეჯერი: **მათე კბილაძე**

დიზაინი: **ნანა გიგოლაშვილი**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი**

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.


## სამყარო



# მტრედები და გედები

„ფარშავანგები, გედები, ხოხბები და სილამაზით გამორჩეული სხვა ფრინველები თანამედროვე ბაღების, სკვერებისა და პარკების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური დეკორაციაა. გამწვანების დღევანდელი ტენდენციიდან გამომდინარე, შესაძლოა, მალე დეკორატიული ფრინველები ქალაქის სკვერებსა და ბაღებშიც ვიხილოთ“.

36

## ადამიანი



# „ჩამომხრჩვალი ანგელოზი“ და ხელოვანი, რომელსაც სალვადორ დალისთან მსგავსება აღიზიანებს

„მართალია, უკრაინული გვარი გვაქვს, მაგრამ მეც და მამასაც მიგვაჩნია, რომ ქართველები ვართ, ხოლო დანილიუკი ყველას ჩემი ფსევდონიმი ჰგონია“.

52

## ბიბლუსი






მორიგი ცემა-ტყეპის შიშით ვანი-კომ ვახოს ეზოში მომხდარი ამბავი ჯერ წვრილად ჩაუკაკლა, შემდეგ კი სლუკუნ-სლუკუნით იმის მტკიცებაც დაუწყო, — მე პატარა ვარ და მეზობლის კაცი ძალიან დიდი რომ არ იყოს, აუცილებლად მოვერეოდიო...

60

## ტაიმ-აუტი



# „ბავშვობაში მეგონა, რომ რომეო თავად ვიყავი“

„შარშან ოქროსფერ და ყავისფერ საცურაო კოსტიუმებს ანიჭებდნენ უპირატესობას, წელს კი კანისფერია აქტუალური. დაზაგრულ სხეულზე ეს ფერი თითქმის არ „იკითხება“ და ძალიან ეფექტურია...“

86

# მსოფლიოს ჩემპიონი მრავალჭიდში



**შესავლის ნაცვლად** მსოფლიოს ჩემპიონატი იწყება და საკუთარი თავი დავიჭირე იმ აზრზე, რომ მისი დაწყება იმიტომ კი არ მიხარია, რისთვისაც ადრე მინიმუმ ორი წლით ადრე ვიწყებდი თვეების თვლას (ანუ საკუთრივ ფეხბურთის გამო), არამედ უფრო იმიტომ, რომ მედიაში სხვა თემების ადგილს დიდწილად, სწორედ ფეხბურთი დაიკავებს, ხოლო ერთ-ერთ არხზე („გვარს“ არ დავასახელებ და, ჩვენი „კოლმეურნეობის თავმჯდომარე“ როა“) საერთოდ, არაფერი იქნება, ფეხბურთის გარდა! მთელი თვის განმავლობაში!!!

ჰოდა, მეც ვეცდები, დღეს უფრო მეტად, სპორტზე (მათ შორის, ფეხბურთზე) ვილაპარაკო... მოკლედ, თუ რუსეთმა ომი არ დაიწყო ან თუ ახალი ხიდი არ გაიხსნა ფეხით მოსიარულეთათვის, ერთი თვე „ვგულაობთ“!..

მოდი, ჩოგბურთით დავიწყოთ: პარიზში „როლან გაროსის“ ანუ საფრანგეთის ღია პირველობის ფინალური მატჩი გაიმართა და რაფაელ ნადალმა მეხუთედ, თავისი ქვეყნის დედოფლის თვალწინ, მოიგო ეს ტურნირი. ჩოგბურთის ფანებმა იციან, რომ ესპანელი ოსტატი საკმაოდ ემოციური ახალგაზრდა კაცია და გამარჯვებასაც ამის შესაბამისად აღნიშნავს ხოლმე, მაგრამ გასულ კვირას ნამეტანი მოუვიდა — სიხარულის ცრემლმორეული, კარგა ხანს გორავდა თიხნარიან კორტზე. ჟურნალისტებმა გაიკვირვეს, — ბოლო-ბოლო, მე-40 ტიტული მოიგო, დედოფლის დასწრებაც არ არის პირველი და რამ „გააცოფაო“?..



ჰმ, რა შუაშია დედოფალი სოფია?! გაიხედეთ მისგან მარჯვნივ... კიდევ გვერდით... კიდევ... სტოპ! ნახეთ?! დიახ, მიშაა! მაშ, სად უნდა იყოს?! ეგ ხომ არა მარტო წყალბურთელი (ეს ადრევე „გაბაზრდა“), არამედ ცნობილი ჩოგბურთელიც იყო ახალგაზრდობაში, შალიკო ხვინგიაძესთან ერთად!.. გადაირეოდა ნადალი, ასეთი დიდოსტატი უყურებდა, აბა, რა იქნებოდა?!.

კი ცხელა მაგრად, მაგრამ ზამთრის ოლიმპიადაც ვახსენოთ — იმ ჩემის პუტინმა ოლიმპიური კომიტეტის შეფი ჟაკ როგი ჩაიყვანა სოჭში თავის მოსაწონებლად და უსაფრთხოების დასადასტურებლად. კი უთხრა ფრანგმა, მაგრად გიმუშავიათო, მაგრამ ეგ ზრდილობის ამბავი იყო. სინამდვილეში, მიშამ თქვა, — ჟაკ როგი აუცილებლად ჩვენ გვკითხავს, როგორც ყველაზე საქმეში ჩახედულ და კომპეტენტურ მხარეს, ამიტომ ჩვენ კიდევ ერთი (სხვაც ხომ ბლომად გვაქვს) ბერკეტი გაგვიჩნდება რუსეთზე ზემოქმედებისთვისო! იცის, რასაც ამბობს, ახალგაზრდობაში ეგ ხომ (წყალბურთელობისა და ჩოგბურთელობის გარდა) ოლიმპიადების უსაფრთხოების საკითხების ცნობილი სპეციალისტი იყო, შალიკო ხვინგიაძესთან ერთად!

„ინტერფაქსის“ ცნობით, დომინოს საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებით, რომლის სხდომაც, ჩვენ ტყუილად ვშაყირობთ და, ლას-ვეგასში ჩატარდა, 2011 წლის დომინოს მსოფლიოს ჩემპიონატი სოხუმში გაიმართება!!!

ესე იგი, მანდ რა მოხდა: მიშას არ ეცალა, ესპანეთში იყო და ნადალს ეხმარებოდა გამარჯვებაში, მერე ის ჟაკ როგი ურეკავდა, — ამ პუტინმა შემჭამა და რა ვუთხრა სოჭის ამბავზეო?.. მოკლედ, ვერ მოიცალა, რამდენად გაიჭრას?! ჰოდა, იხელთეს დრო სეპარატისტებმა, მაგრამ ჩაუვარდებათ კოვზი ნაცარში: ამას წინათ ბატონი მიშა ალმაშენებლის გამზირზე ხარაჩოებზე რომ აძვრა, ხომ გახსოვთ?.. რატომ ავიდა ისე ცქვიტად, იცით?.. რატომ და, სახანძრო კიბეზე აქვს „დამუღამებული“ ახალგაზრდობისას — ეგ ხომ (წყალბურთელობის, ჩოგბურთელობის, ოლიმპიადების უსაფრთხოების სპეციალისტობის გარდა) მსოფლიოში ცნობილი მეხანძრეც იყო, შალიკო ხვინგიაძესთან ერთად! აბა, მეხანძრეობა და დომინოს თამაში რა კავშირშია ერთმანეთთან, მაგას ნუ ამახსნევინებთ. ანუ რა გამოდის: დარეკავს ლას-ვეგასში, არა — ჩავა (ლას-ვეგასში სხვა „საქმესაც“ ნახავს) და მოაგვარებს: მსოფლიოს ჩემპიონატს თბილისში, მიცკევიჩზე რომ მსოფლიოში საუკეთესო სახანძროა, იქ ჩაატარებენ.

სამაგიეროდ, მოიცალა ხელოვნურ ყინულზე ბათუმში სასრიალოდ. რამდენიმე თვის წინ ზუგდიდში სრიალისას კი „ასრიალდა“ და ფეხიც დაიზიანა, მაგრამ ახლა აშკარად ფორმაშია, ჯეელობა გაიხსენა — ეგ ხომ ახალგაზრდობაში (წყალბურთელობის, ჩოგბურთელობის, ოლიმპიადების უსაფრთხოების სპეციალისტობის, დომინოს მოთამაშეობის, სპორტული მეხანძრეობის გარდა) ცნობილი მოციგურავე და ჰოკეისტი იყო (გახსოვთ, როგორ ასწია ელენე გედევანიშვილი?.. თუ სხვა იყო?.. სულერთია, ხომ ასწია)! რა ჰქვია ქართულად იმას, ჰოკეისტებს რომ უჭირავთ? ყვინჯი... ჰო, ყვინჯი!.. ამ სრიალის შედეგი: ჩვენმა ჰოკეისტთა ნაკრებმა ამას წინათ სომხებთან სამარცხვინოდ რომ წააგო 1:22 (ჩვენც ვწერდით), საერთაშორისო ფედერაციამ ჩვენს კეთილ მეზობელ-მოკეთეებს ის რეზულტატი გაუუქმა და დისკვალიფიკაციაც „მიარტყა“ (ამჯერად არ ვხუმრობ): პრეზიდენტი თუ ასე სრიალებს, გუნდიც მაგარი ეყოლებათ და ტყუილად არ ჩივიან ქართველები ალბათო.

**P.S.** დღეისთვის მთავარი — სპორტი კი ბოლოსთვის მოვიტოვე — მისი უდიდებულესობა ფეხბურთი!!! აბა, ვინ გამოიცნობს, ვინ იჯდება საპატიო სტუმართა ლოჟაში ფინალურ მატჩზე?! ვინ არის (წყალბურთელობის, ჩოგბურთელობის, ოლიმპიადების უსაფრთხოების სპეციალისტობის, დომინოს მოთამაშეობის, სპორტული მეხანძრეობის, ჰოკეისტობის, ფიგურულად მოსრიალეობის გარდა) წარსულში ცნობილი ფეხბურთელი, შალიკო ხვინგიაძესთან ერთად?! ვინ ურტყამს ძააააალიან მაგარ პენალტებს ხელოვნურსაფრიანი მოედნების გახსნისას, 5 წლის მეკარეებს?! ყოჩაღ, გამოცნობისა გერგებათ! და რა იქნება შედეგი? შედეგი იქნება — უზარ! მაზარი! მომავალი მსოფლიოს ჩემპიონი იქნება 5!!!

P.P.S. **ხომ დაგპირდით, მხოლოდ სპორტზე ვილაპარაკებ-მეთქი?**

**მართლა, შალიკო ხვინგიაძე ვინც არ იცის და ამიტომ ვერ მიხვდა ხუმრობას, წაიკითხოს ან ტელესპექტაკლი ნახოს და მერე გაიცინოს.**

***პროვოკატორი***

ავტორს შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ ელფოსტით:
provokatori67@gmail.com

# იაპონური რესტორნის „შავი სია“



ავსტრალიაში მდებარე იაპონურ რესტორანში „შავ სიაში“ ის სტუმრები შეჰყავთ, რომლებიც შეკვეთილ კერძს ბოლომდე არ მიირთმევენ. რესტორანმა ამგვარი კლიენტებისთვის სპეციალური ჯარიმაც კი შემოიღო, ხოლო მას, ვინც კერძს ბოლომდე დაასრულებს, რესტორატორი იუკაკო იჩიკავა 30%-იან ფასდაკლებას ჰპირდება.

მენიუში მითითებულია, რომ სტუმარმა კერძი აუცილებლად, ბოლომდე უნდა შეჭამოს, უარის თქმა კი მხოლოდ ლიმონის ქერქზე, ლეღვის მარინადსა და ვასაბიზე შეიძლება. მენიუში აღნიშნულია ისიც, რომ თეფშზე დალაგებული ბოსტნეული დეკორაციის შემადგენელი ნაწილი არ არის. ■

# ნიკოლა სარკოზის ხრიკები...



„პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის საკუთარი სიმაღლე იმდენად აკომპლექსებს, რომ მაღალი და წარმოსადეგი ხალხის საკუთარ დაცვაში აყვანა აკრძალა“, — იტყობინება „დეილი ტელეგრაფი“. ფრანგული პოლიციის ანონიმური წყაროს ცნობით, ასეთი განკარგულება თავად პრეზიდენტმა გასცა. სარკოზი, რომელიც ნაპოლეონზე დაბალია, საკუთარ ნაკლს მაღალლანჩიანი ფეხსაცმლით ებრძვის. როგორც გაირკვა, ის სპეციალურ ფეხსაცმელს ატარებს, რომელიც 9 სმ-ით მაღალს აჩენს. საფრანგეთის პრეზიდენტი სხვა ხრიკებსაც მიმართავს. მაგალითად, მსოფლიოს ლიდერებთან ჯგუფური სურათის გადაღებისას ის ყოველთვის, თითის წვერებზე დგება. უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად მოქმედი პრეზიდენტებიდან ყველაზე დაბალი დმიტრი მედვედევია — 162 სმ — და მას ხუმრობით „ნანოპრეზიდენტსაც“ ეძახიან. ■

# იორკში გლადიატორების სასაფლაო აღმოაჩინეს



ბრიტანელი არქეოლოგები აცხადებენ, რომ ძველ რომაულ სასაფლაოზე, რომელიც 2004 წელს იორკში აღმოაჩინეს, 80 გლადიატორია დამარხული. თავდაპირველად ვარაუდობდნენ, რომ ეს ჯარისკაცების სასაფლაო იყო, რომლებიც 211 წელს ახალმა იმპერატორმა, კარაკალამ დახოცა. XV საუკუნის ნამოსახლარის ტერიტორიაზე დასაფლავებული ადამიანები რომ მეომრები იყვნენ, ამაზე მათი ძვლების აგებულება მეტყველებს — ყველა მათგანი ახოვანი და ძლიერი მამაკაცი იყო. თანაც, აღმოჩენილ ძვლებზე მრავალი დაზიანება აღინიშნება: ერთ-ერთი ადამიანის ძვლებზე მტაცებელი ცხოველის ნაკბენის კვალი აღმოჩნდა, მეორეს კი თავის ქალა უროთი აქვს გატეხილი... არქეოლოგების თქმით, მოწინააღმდეგის დამარცხების ამგვარ ხერხს სწორედ გლადიატორები მიმართავდნენ. ■

# რადას მეხი დაეცა

უკრაინის პარლამენტის შენობას მეხი ზუსტად იმ დროს დაეცა, როდესაც დეპუტატები მსჯელობდნენ თემაზე — ქვეყანა ნატოში უნდა გაწევრებულიყო თუ არა? თურმე, იმ დღეს კიევში ამინდი რამდენჯერმე შეიცვალა — ჯერ ჩამოცხა, ნაშუადღევს კი კოკისპირულ წვიმას სეტყვა, ჭექა-ქუხილი და ძლიერი ქარი მოჰყვა. როცა უკრაინის დეპუტატებმა ქვეყნისთვის საჭირბოროტო საკითხთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება მიიღეს, რადას თავზე მაშინვე გაიელვა და შენობაში ელექტროენერგია გამოირთო. ■

# რუსმა „ომონელებმა“ სმოლენსკის ავიაკატასტროფაში დაღუპულები გაძარცვეს

დაკავებულია რუსეთის „ომონის“ სამი თანამშრომელი, რომელიც სმოლენსკთან ჩამოვარდნილი „ტუ-154“-ის ერთ-ერთი დაღუპული მგზავრის, ანჟე პჟევოზნიკის საკრედიტო ბარათით სარგებლობდა. როგორც გაირკვა, „ომონელებმა“ ბარათიდან 1.400 ევრო დახარჯეს.

1963 წელს დაბადებული ანჟე პჟევოზნიკი ისტორიკოსი იყო და ერთ-ერთ სახელმწიფო დაწესებულებაში მუშაობდა. 2010 წლის 10 აპრილს ის პრეზიდენტ კაჩინსკის ოფიციალურ დელეგაციასთან ერთად კატინში მიფრინავდა. ■

# სოჭის ოლიმპიადა ისტორიაში ყველაზე ძვირად ღირებული იქნება



კულუარული ინფორმაციის მიხედვით, სოჭის 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადის ხარჯები უკვე 950 მლრდ რუბლს შეადგენს. რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები ამ ფაქტზე საჯაროდ არ საუბრობენ. სოჭის ოლიმპიადის არანორმალურად დიდ ხარჯებს „Íåçàâèñèìàÿ ãàçåòà“ კორუფციით, კონტრაქტორთა დაბალი ეფექტურობითა და ოლიმპიადის ჩასატარებელი ადგილის არასწორად შერჩევით ხსნის. 2014 წლის სოჭის ოლიმპიადის ხარჯები ათჯერ აღემატება იტალიის ტურინში, ამერიკის სოლტ-ლეიკ-სიტიში და კანადის ვანკუვერში ჩატარებული ზამთრის ოლიმპიადების ბიუჯეტებს. ■

გამოყენებულია ინტერნეტპორტალ ambebi.ge-ს მასალები

რუბრიკა მოამზადა ხათუნა ბახტურიძემ

„ქართული პროზის საგანძური"



ტომი №15 - ნიკო ლორთქიფანიძე

3 !

სამი

10 - დან - 17



# „გოდერძი ცრემლია, რომელიც დაეცა სამთავროს მიწას“

**„ქართული პროზის საგანძურის“ სერიით, „გზასთან“ ერთად, უკვე მე-15 ტომი მიიღო მკითხველმა. გასახარია, რომ ჩვენს წიგნებზე მოთხოვნა არათუ შენელდა, პირიქით, მკითხველთა რაოდენობა გაიზარდა. ერთ კვირაში „საგანძურის“ მე-16 ტომად, ყველა თაობის საყვარელი მწერლის, არცთუ დიდი ხნის წინ გარდაცვლილი გოდერძი ჩოხელის მოთხრობებს მიიღებთ და მჯერა, ისე წაიკითხავთ, „კარცერი ლუქსიც“ კი არ დაგჭირდებათ. მანამდე კი მასზე გიამბობთ — უცნაურ შეყვარებულსა და ქმარზე, ისეთივე გამორჩეულზე, როგორიც მისი გმირები იყვნენ...**

**_ირმა ხარშილაძე_**

*ძალიან ცუდად რომ ყოფილა, თავისი მეგობრისთვის, ნინო ზედელაშვილისთვის ნინოზე — თავის მეუღლეზე უთქვამს: „იცი, რა ლამაზი იყო ნინო? — რომ იცინოდა, თვალებიდან სულ „გაზაფხულები“ სცვიოდა. ჩემი ავადმყოფობით ჩავუქრე ეს თვალები“... ხმამაღლა, სიტყვებით სიყვარულს არასდროს უხსნიდა, სულ წერილებით ესიყვარულებოდა თურმე. ერთხელ მოსკოვიდან ყოველ 10 წუთში უგზავნიდა დეპეშას რუსული ტექსტით: მე შენ მიყვარხარო! გაუგიჟებია ქართველი ფოსტალიონები — მთელი დღე წინ და უკან დარბოდნენ. „სიცოცხლეს ალბათ უცრემლოდ რაღაც დააკლდებოდა, მაგრამ მე მაინც მინდა, რომ რაც შეიძლება ნაკლებად ტიროდნენ ადამიანები“, — ეს გოდერძი ჩოხელმა თქვა. იმ დღესაც თითქოს უცრემლოდ ვიხსენებდით, სიცილითაც კი... და მათი თავგადასავლების მოსმენისას, მართლა დავინახე ნინო მელაშვილის თვალებში „გაზაფხულები“...*

— იმხანად, 20-21 წლის ვიყავი და უკვე ტელევიზიაში, „მოამბის“ რედაქციაში ვმუშაობდი. პარალელურად, კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილეც ვიყავი და ღონისძიებების მოწყობა მევალებოდა. ტელევიზიაში გოდერძის შეხვედრა რომ მოვუწყვეთ, მესამე კურსის სტუდენტი იყო, „ადგილის დედა“ და „ბაკურხეველი ხევსურიც“ გადაეღო და მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე გერმანიაში, ქალაქ ობერჰაუზენში „ადგილის დედისთვის“ გრან-პრიც მიღებული ჰქონდა. საღამოს, ვახუშტი კოტეტიშვილი, ლანა ღოღობერიძე, ნიკო კეცხოველი და ქართველი საზოგადოების კიდევ ძალიან ბევრი ცნობილი წარმომადგენელი ესწრებოდა. არაჩვეულებრივი შეხვედრა გამოგვივიდა. გოდერძიც სწორედ ამ საღამოს სამზადისისას გავიცანი. ძალიან უცნაური, ორიგინალური აზროვნების, ნიჭიერი ადამიანი ჩანდა და საინტერესო იყო მასთან ურთიერთობა. მერე, მოგვიანებით ბიჭვინთაში, ახალგაზრდა ჟურნალისტთა შეკრებაზე კვლავ შევხვდით. მისი „ბაკურხეველი ხევსურის“ ჩვენებამ ძალიან შთამბეჭდავად ჩაიარა და ლამის მთელი ღამე ვარჩევდით ფილმს. იმ დღეებში გოდერძისგან განსაკუთრებულად არაფერი მიგრძნია, თუმცა... ჯგუფის ნაწილი თბილისისკენ რომ მოვდიოდით, დამრჩენებთან დამშვიდობებისას გოდერძიმ „შემოქმედთა სახლის“ ბაღში დირექტორი ქალის ნალოლიავები, ულამაზესი და ერთადერთი აყვავებული თეთრი ყვავილი მოწყვიტა და ავტობუსში მომართვა. ამ ამბავმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. მერე და მერე ხშირად ვხვდებოდი გოდერძის ხან ტელევიზიაში (ალბათ, ვითომ შემთხვევით), ხან კინოსტუდიის საერთო საცხოვრებელში, საერთო ახლობლებთან — ლაურა რეხვიაშვილთან, მზია არაბულთან და დარეჯან ხაჩიძესთან — ყველანი იქ ცხოვრობდნენ. ასე გაიბა რაღაც ძაფები, თუმცა გოდერძის სიყვარულზე დიდად არ ვფიქრობდი. მაინც კი მოახერხა ჩემი დაინტერესება — ძალიან ძლიერი, დამოუკიდებელი და დასაყრდენი ადამიანი იყო, რაც იმდროინდელი ახალგაზრდებისგან სრულიად გამოარჩევდა.

**— და შეგიყვარდა?**




— უცნაურად ვურთიერთობდით — წერილებით: მე დარეჯანთან დავტოვებდი წერილს, მერე ის ტოვებდა პასუხს ან პირიქით და ასე შემდეგ. მოკლედ, თანამედროვე გაგებით, ვმესიჯობდით (*იცინის*). ხანდახან მთელ ფურცელს მხოლოდ „ჩემო ნინო, მიყვარხარ“-ით გაავსებდა, ბოლოს კი მიაწერდა: „უჰ, რა მაგარი რომანი დავწერე!“ (*იცინის*). მაგრამ ჩემს გრძნობაში ბოლომდე მაინც არ ვიყავი გარკვეული, ამიტომ საიმედოს ვერაფერს ვეუბნებოდი. ერთხელ კი... ჩემი ძმა, რძალი და მეგობრები 20 დღით მთების დასალაშქრავად წავედით და დიდუბის სადგურში გოდერძიმ გაგვაცილა. წუთით გამიხმო; ნინო, რაღაცის გატანება მინდაო, — მითხრა და კონვერტი გადმომცა, — 150 მანეთამდე ფული იდო და ძალიან ვიუკადრისე. ამიხსნა: ამ დროს ხევსურეთსა და თუშეთში, ყველგან დღესასწაულია, ამით სადმე ცხვარი შეიძინეთ და იქაურ სალოცავს შესწირეთო. რაღას ვეტყოდი და თანხა წავიღე. რასაკვირველია, დანაპირებიც შევასრულეთ და დარჩენილი თანხით კარგადაც მოვილხინეთ.

**— ესე იგი, გოდერძიმ 20 დღის განმავლობაში მისი დავიწყების საშუალება არ მოგცა...**

— აი, ეს გააკეთა გოდერძიმ და შეიძლება, იმ საკლავსაც ჩაუთქვა რაღაც ჩემზე (*იცინის*)... უკან დაბრუნებულს, გოდერძი კარგა ხანს აღარ მინახავს — აგვისტო იყო და ზღვაზე, გაგრაში წავედით. სიზმარში ვუნახავვარ, — თეთრი ცხენით მოდიოდიო, — და პაპანაქება სიცხეში, თვითონ სიცხიანი, სქელი სვიტერით უმისამართოდ წამოსულა აფხაზეთში ჩემს საპოვნელად. ბიჭვინთის პლაჟიდან დაუწყია ძებნა, დილიდან საღამომდე მოუყვებოდა სანაპიროს სქელი სვიტერით და ამდენ შიშველ-ტიტველ ქალში დამეძებდა (*იცინის*). ბოლოს ბიჭვინთის შესასვლელში ჩემი მეგობარი, სცენარისტი თამრიკო ბართაია შეხვდრია

*გაგრძელება იხ. გვ. 12*

**დე ფაქტო აფხაზეთში ტურიზმის სეზონი ოფიციალურად ჯერჯერობით არ დაწყებულა, მაგრამ სოხუმში, გაგრასა და ბიჭვინთაში უკვე გამოჩნდნენ დამსვენებლები. აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტის განცხადებით, ივლისიდან სოხუმსა და მოსკოვს შორის საავიაციო რეისები დაინიშნება, თავდაპირველად — კვირაში ორი. რუსეთის ტრანსპორტის მინისტრის, იგორ ლევიტინის განცხადებით, სოხუმის აეროპორტში უკვე მოგვარდა ის ორი პრობლემა, რომლის გამოც მარტში დაგეგმილი ფრენები ვერ განხორციელდა. რუსეთის მინისტრის თქმით, სოხუმის აეროპორტთან დაკავშირებით სამართლებრივი საკითხები მოგვარდა და ის მზად არის მგზავრების მისაღებად... ე.წ. დამოუკიდებელი აფხაზეთის მოსახლეობა ორად არის გაყოფილი: სახელისუფლებო კლანისთვის რუსული მონოპოლია მისაღებია, ხოლო მეორე ნაწილი გამუდმებით სვამს რამდენიმე კითხვას: სად გადის საზღვარი დამოუკიდებელ აფხაზეთსა და რუსეთს შორის? და — რის საფუძველზე ლაპარაკობს რეგიონის ხელმძღვანელობა აფხაზეთში ტურისტული ბიზნესის განვითარების შესახებ მაშინ, როცა შავი ზღვისპირეთს მთლიანად რუსი სამხედრო და პოლიტიკური მაღალჩინოსნები აკონტროლებენ?..**



# ქართველების ბინაში ნაპოვნი გოგონა — აფხაზურ ოჯახში

## და ქართულ-აფხაზური მტერმოყვარეობის ზღვარი

ლალი პაპასკირი

*ჩვენი აფხაზი რესპონდენტი, რომელიც 1990-იან წლებში აფხაზეთის დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა, სეპარატისტული აფხაზეთის „სახელმწიფო უწყებაში“ მუშაობს, აფხაზური პოლიტიკისა და შავი ბიზნესის მანკიერებებზე საუბრობს...*

*სხვათა შორის, იმ წლებს ვეტერანი მეომრები „ტყუილი სისხლის დროს“ უწოდებენ... ჩვენი რესპონდენტი იმითაც არის საინტერესო, რომ მიტოვებულ ქართველ გოგონას ზრდის, რომელიც დაკეტილ ბინაში იპოვა. თუ როგორ აღმოჩნდა ქართველი ჩვილი მარტო — ამის შესახებ რამდენიმე ვერსია აქვს; აფხაზმა მამობილმა არ იცის, მათგან რომელია სიმართლე... ერთი სიტყვით, ჩვენი სოხუმელი რესპონდენტი გვიამბობს, თუ როგორ მუშაობს რუსეთი საქართველოს შავიზღვისპირა რეგიონის სრული ათვისების მიმართულებით და როგორია ერთი უბრალო აფხაზი კაცის ცხოვრება ჩაკეტილ აფხაზეთში.*

— 2010 წლის დასაწყისში, რუსეთიდან დახმარების სახით, 11 მილიარდი რუბლი 3 ეტაპად უნდა გადმორიცხულიყო. პირველი ეტაპი უკვე განხორციელდა და აფხაზეთის სახელმწიფო ბიუჯეტში(!) 3 მილიარდი რუბლი გადმოირიცხა. ხელმძღვანელობის თქმით, ეს თანხა აფხაზეთში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას მოხმარდებოდა, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, აფხაზი პოლიტიკოსების ჯიბეებში განაწილდა და პრეზიდენტის დაპირება, რომელსაც პირადად მე ვესწრებოდი, დაპირებად დარჩა: ბალაფში 1992-1993 წლის ომის ნაკვალევის მთლიანად წაშლას, ეკონომიკური ბლოკადის მოხსნას, ახალი გზების დაგებას, სოფლის მეურნეობის ფეხზე დაყენებასა და ყველა წვრილმანი თუ მსხვილმანი პრობლემის უახლოეს დროში მოგვარებას გვპირდებოდა. ეს პრობლემები ხალხს ისევ აწუხებს და ახლა ხელმძღვანელობა იმით იმართლებს თავს, რომ ახალგაზრდა სახელმწიფოს ბიუჯეტით, წლების განმავლობაში დაგროვილი პრობლემების მოგვარება ჯერჯერობით შეუძლებელია. პრობლემა ის არის, დამოუკიდებელი აფხაზური მცირე თუ დიდი ბიზნესი აქ ფეხს ვერ იკიდებს, სამაგიეროდ, სოხუმში ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეხვდებით კომპანია „როსნეფტის“ ავტოგასამართ სადგურებს, რომლებიც, როგორც ჩვენი პრეზიდენტი ამბობს, არასტაბილურ გარემოში ბიზნესის დაწყებას რისკავენ.

**— არ ეთანხმებით ბალაფშის მოსაზრებას, რომ აფხაზეთში ბიზნესის განვითარებისთვის არასტაბილური გარემოა?**

— ეს მათი „დამსახურებაა“ — ისინი აფხაზეთში შექმნილი სიტუაციით სარგებლობენ და ხელს ითბობენ. ტურისტულ ზონებს ადგილობრივი ხელმძღვანელობა უკვე ველარ აკონტროლებს — ის რუსებისა და სომხების მიერ არის ათვისებული. ხომ გაგიგონიათ, — მღვრიე წყალში თევზის დაჭერა უფრო ადვილია... აფხაზეთი ბიზნესისთვის მართლაც, სახიფათო ზონაა, მაგრამ ძალიან დიდი მაფია ტრიალებს — ისინი, ვინც უკვე დაიმკვიდრა ადგილი, ჯანსაღი კონკურენციისთვის სახიფათო ვითარებას ხელოვნურად ქმნიან ანუ სხვა ბინზესს განვითარების საშუალებას არ აძლევენ, თორემ აფხაზეთში 3800-ზე მეტი რუსი სამხედროა, თავისი ტექნიკით, სამხედრო ვერტმფრენებითა და აღჭურვილობით და რა გახდა ამ ხელისგულისოდენა რეგიონში წესრიგის დამყარება?! თუ მოინდომებენ, ეს პრობლემა რამდენიმე საათში მოგვარდება. მაგრამ არ უნდათ. დღეს უკვე ყველა ხვდება, რომ სერგეი ბაღაფში, რომელიც ლამის ყოველდღე გვაყვედრის, — რუსი სამხედროები აფხაზ ხალხს ქართული აგრესიისგან იცავენო, — ამით თავს იმართლებს. სინამდვილეში, ისინი მშიერი აფხაზეთის ხარჯზე იკვებებიან. გარდა ამისა, რუსეთი ჩვენთვის კეთილმოსურნე მეზობელი სახელმწიფო კი არა, ოკუპანტი ქვეყანაა, რომელიც უკვე ყოველდღიურად ცდილობს, აფხაზეთის საკურორტო ზონის სრულად ათვისებას. აქ ყველაფერი რუსული ფულით კეთდება, თუმცა „მოსკოვის ხელი“ შორიდან არ ჩანს. რაც დრო გადის, ბაღაფში მით უფრო მეტად ხდება რუსეთის ყმა და ამაში მის მიერ მიღებული ბოლო კანონპროექტი საბოლოოდ გვარწმუნებს, მით უმეტეს, რომ ეს დოკუმენტი მან პარლამენტში დასამტკიცებლად, მოსკოვური ვიზიტის შემდეგ გაიტანა.

**— უძრავი ქონების რუსებისთვის მიყიდვის ნებართვას გულისხმობთ?**

— დიახ, ლაპარაკია იმ კანონპროექტზე, რომლებიც გაზეთ „ჩეგემსკაია პრავდას“ მთავარმა რედაქტორმა, ინალ ხაშიგმა გააპროტესტა და ამ პროტესტს კინაღამ

### — ...აკვანში ჩაკრული თოთო ბავშვი წამიერად გაჩუმდა და შემდეგ ისევ ტირილი მორთო

სიცოცხლე შესწირა... იმ სახელმწიფოს, რომელიც მართლა დამოუკიდებელია, თავისი ბიუჯეტი აქვს და გარედან არავინ მართავს, ასეთი პროექტის მიღება კატასტროფა არ არის, რადგან თავისუფალ ბიზნესსივრცეში ეს დაშვებულია, მაგრამ ჩვენთან, სადაც აფხაზ კაცს საკუთარ სახლში რუსის ნებართვის გარეშე კარადა ვერ გამოულია, მსგავსი გადაწყვეტილების მიღება მონობისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია. ცხადია, ამ უძრავი ქონების შესყიდვის საშუალება აფხაზს არა აქვს და კიდეც რომ ჰქონდეს, ამის უფლებას არ მისცემენ, რადგან ხელისუფლება მიზანმიმართულად ცდილობს, აფხაზეთში რუსული და სომხური ბიზნესი განვითარდეს, ადგილობრივი მოსახლეობა კი მხოლოდ მათი მომსახურე პერსონალი იყოს... ოპოზიციონერი პარლამენტარი და აფხაზეთში ყველაზე მდიდარი ბიზნესმენი — ბესლან ბუთბა სოხუმის ცენტრში გრანდიოზული სუპერმარკეტის აშენებას აპირებდა, რომელსაც ფილიალები აფხაზეთის ყველა ზღვისპირა ქალაქში ექნებოდა. პროექტი უკვე არსებობდა და მშენებლობაც დაწყებული იყო, მაგრამ „მოულოდნელად“ სოხუმში ერთ-ერთი რუსი ბიზნესმენი ჩამოვიდა, რომელმაც ბუთბასგან პროექტი „იყიდა“. ამჟამად სოხუმში ამ მარკეტის 5 ფილიალი ფუნქციონირებს. იმავე ბიზნესმენის მფლობელობაში გადადის ერთ დროს ლამის სოხუმის სავიზიტო ბარათად ქცეული სასტუმრო „აფხაზეთი“, რომელიც 1986 წელს თითქმის მთლიანად დაიწვა და რომლის აღდგენასაც 3,5 მილიონ ევრომდე სჭირდება... ინვესტიციების ჩადების მხრივ ძალიან აქტიურობენ თურქი ბიზნესმენები. მათ ტყვარჩელში ბოლო დროს ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური შენაძენი გააკეთეს — რამდენიმე ჰექტარი მიწის ნაკვეთზე მაღაროს აგებას აპირებენ.

— **ცოტა რამ უბრალო ადამიანების ცხოვრებაზეც გვიამბეთ. ჩემთვის ცნობილია, რომ ვეტერანი მეომრები 1990-იან წლებში გაჩაღებულ ომში მონაწილეობას ნანობენ. ეს იმედგაცრუებით აიხსნება?**

— დიახ, ჩვენ ვერ მივიღეთ ის, რისთვისაც თავს ვწირავდით. სხვათა შორის, ქართულ-აფხაზური ომის დროს, პროცენტული მაჩვენებლით, მეტი აფხაზი დაიღუპა, ვიდრე მეორე მსოფლიო ომის დროს...

— **ქართულ-აფხაზურ ომში თქვენც მონაწილეობდით?**

— იმ დროს, გართულებული ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ომში ვერ წავედი, მაგრამ მოგვიანებით მაინც მომიწია ამ პროცესებში მონაწილეობამ. ჩემი ძმა და ძმისშვილი პირველი დღიდანვე იბრძოდნენ. ძმა სასიკვდილოდ დაიჭრა, ძმისშვილი კი განთიადთან ბრძოლების დროს დაიღუპა. თავს უფლება ვერ მივეცი, ასეთ დროს სახლში მშვიდად ვმჯდარიყავი და მისი ცხედრის საძებრად წავედი... ამ ომის შესახებ ქართულ, აფხაზურ, რუსულ და უცხოურ პრესაში იმდენი რამე დაიწერა, რომ ახალს ვეღარაფერს ვიტყვი, მაგრამ ერთ რამეს გაგანდობთ: მეც დაახლოებით ისე ჩავერთე საომარ პროცესში, როგორც გენიალურ ქართულ ფილმში — „ჯარისკაცის მამა“ — შვილის მოსაძებნად წასული, სერგო ზაქარიაძის პერსონაჟი. ჩემი ძმისშვილის ცხედარი ვერ ვიპოვე. სოხუმის დაცემის დღეს, ერთ-ერთი კორპუსის „პრავერკის“ დროს, დაკეტილი ბინიდან ბავშვის ტირილი შემოგვესმა. კარის შემტვრევა არ დაგჭირვებია: ჩაკეტილი კი არა, უბრალოდ მიხურული იყო. კუთხეში მიდგმულ აკვანში ჩაკრული თოთო ბავშვი წამიერად გაჩუმდა და შემდეგ ისევ ტირილი მორთო. ბინა ცარიელი იყო. როგორც ჩანს, დედამ აკვანი განგებ დადგა კართან, რათა ატირებული ჩვილის ხმა ვინმე ღვთისნიერს გაეგონა...

— **კი, მაგრამ შვილი როგორ დატოვეს?!**

— შემდეგ, კორპუსში მცხოვრებ რუსებსა და სომხებს დაველაპარაკეთ. გვითხრეს, რომ ამ ბინაში მრავალშვილიანი ოჯახი ცხოვრობდა. ოჯახის უფროსი დიდი ხანია, არ გვინახავს, სავარაუდოდ, იბრძოდაო. იმავე ქალმა გაიხსენა, რომ სოხუმის დაცემის დღეს მის კარზე ხანგრძლივი კაკუნი ისმოდა, მაგრამ მოხუცი შეშინებული იყო და არ გაუღია... ალბათ ქალს ყველა შვილის წაყვანის საშუალება არ ჰქონდა. თუმცა მეორე მეზობელმა გვითხრა, რომ იმავე დღეს იმ ბინასთან უკვე იყვნენ მისული ვიღაც მეომრები, რომლებიც აფხაზებს არ ჰგავდნენ და გასროლის ხმაც შემოესმათ. სავარაუდოდ, მათ ჩვილის დედა შემოაკვდათ, გადარჩენილი ბავშვები კი სადღაც დაიფანტნენ.

— **სად წაიყვანეთ პატარა?**

— სახლში წამოვიყვანე. ჩვენს მეზობლად ერთი მარტოხელა ბერძენი ქალი ცხოვრობდა და მას ვთხოვე, ცოტა ხნით დაეტოვებინა. ხვდებით ალბათ — ჩემს ოჯახში ახალგაზრდა ბიჭს ვგლოვობდით და ამ დროს, უპატრონო ქართველი ბავშვის მიყვანა არ შეიძლებოდა.

— **გოგოა თუ ბიჭი?**

— გოგო. ვერა დავარქვით...

— **მერე თუ ნახულობდით პატარას?**

— ვნახულობდი, როგორ არა — რა გული მომითმენდა, არ მენახა?! მართალია, ჩემი მოსისხლე მტრის შვილი იყო, მაგრამ პატარას არაფერი დაუშავებია... მაშინ, „გამარჯვებულ“ აფხაზეთში შიმშილობა იყო. ქართველების მიტოვებული სახლებიდან ზამთრის მარაგი გამოზიდული იყო და დანგრეულ აფხაზეთში ყველას ძალიან უჭირდა. ფსოუს საზღვრამდე მივდიოდი, მისთვის საკვები რომ მეყიდა... ოჯახში არ იცოდნენ, ვისზე ვზრუნავდი ასე. მერე ჩემი ცოლი რაღაცას მიხვდა და, სანამ ეჭვიანობის სცენას მომიწყობდა, ხელი მოვკიდე და ბერძენი თამარას სახლში მივიყვანე: ეს ბავშვი სიკვდილს გადავარჩინე და არ შემიძლია მივატოვო-მეთქი. კიდევ კარგი, თამარა ბებიაჩემის ტოლი ქალია, თორემ უფრო ახალგაზრდა რომ ყოფილიყო, ჩემი ცოლი აუცილებლად იფიქრებდა, მიღალატაო.

— **პატარა ქართველის მშობლების პოვნა ალბათ არ გიცდიათ...**

— ეს მაშინ შეუძლებელიც კი იყო... მე ოჯახი მქონდა, ჩემი პრობლემები არ მაკლდა, გადარჩენილებს მიხედვა სჭირდებოდა, გარდაცვლილებს — პატრონობა... ერთადერთი, რაც შემეძლო, ის იყო, რომ თამარა, პატარა შვილობილთან ერთად, იმავე ბინაში დავასახლე: იქნებ, ბავშვის მშობლები ან ძველი მეზობლები დაუკავშირდნენ ან როგორღაც მისი პოვნა სცადონ-მეთქი.

— **არავინ გამოჩენილა?**

— გაირკვა, რომ გოგონას მამა გაგრაში დაღუპულა, დედა კი, დანარჩენ შვილებთან ერთად, საქართველოში კოდორის ხეობის გავლით მიდიოდა და გზაში გარდაიცვალა.

— **ვერას დღემდე ის ბერძენი ქალბატონი უვლის?**

— ბერძენი ქალბატონი ლამის 100 წელს არის მიღწეული. მასაც და ვერაჩკასაც ჩემი მეუღლე უვლის. გოგონას ბერძნული გვარი აქვს და უკვე 18 წლის არის. ეჭვი აქვს, რომ ბერძენი არ არის, მაგრამ ვფიქრობ, ჯერ ფსიქოლოგიურად მზად არ არის იმისთვის, რომ სიმართლე ვუთხრა... როცა ამის დრო მოვა, აუცილებლად დავუბრუნებ საკუთარ ფესვებს: ვაპირებ, ერთ-ერთი რუსული ტელეარხის გადაცემაში მივიყვანო, რომელსაც „იში სვაი კორნი“ ჰქვია.

— **როგორ ფიქრობთ — თქვენთან განშორება არ გაუჭირდება?**

— ალბათ ძალიან გაუჭირდება... არ ვიცი, მაგრამ ჩვენ ძალიან გაგვიჭირდება უმისოდ.

— **ახლა, ომის დასრულებიდან ამდენი წლის შემდეგ, როცა აფხაზეთმა ე.წ. დამოუკიდებლობა მიიღო, როგორია ერთი უბრალო აფხაზის ცხოვრება?**

— იმ კაცის ცხოვრებას ჰგავს, რომელიც თავს იტყუებს, — ყველაფერი კარგად იქნებაო... ვიცი, რომ ასე ადვილი არ არის, მაგრამ უკან დასახევი გზა მოჭრილი გვაქვს. ომის ვეტერანი ვარ და სამსახურიც მაქვს, მაგრამ სიმართლეს თვალი მაინც უნდა გავუსწოროთ: ჩვენ ვცხოვრობთ იმ ადამიანის კმაყოფაზე, რომელიც როცა მოუნდება, თავში წამოგვარტყამს, ამას კი მონობა ჰქვია... ■

**— რაც დრო გადის, ბაღაფში მით უფრო მეტად ხდება რუსეთის ყმა და ამაში მის მიერ მიღებული ბოლო კანონპროექტი საბოლოოდ გვარწმუნებს...**

# "ავერსმა" პირველი ივნისი საქველმოქმედო აქციით აღნიშნა



პირველი ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა და ამ დღეს ყველა პატარა ბედნიერი უნდა იყოს. მზრუნველობამოკლებული ბავშვები კი ალბათ ყველაზე მეტად ამ დროს გრძნობენ მარტოსულობას.

ბოდბის ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს "ავერსმა" პირველ ივნისს ნამდვილი დღესასწაული მოუწყო. ქვეყნის წამყვანი ფარმაცევტული კომპანიის წარმომადგენლები ინტერნატის ბინადრებს ტკბილეულითა და საჩუქრებით დატვირთულები ესტუმრნენ.

ბოდბის ბავშვთა სახლი ულამაზეს ადგილას დგას, მაგრამ ინტერნატის აღსაზრდელების ცხოვრება ბოდბის პეიზაჟებივით მშვენიერი ნამდვილად არ არის. პირიქით, უამრავი პრობლემა ამძიმებს, განსაკუთრებით კი ელემენტარული სამედიცინო მომსახურების უქონლობას უჩივიან, ამიტომ 1 ივნისს ბავშვთა სახლს საგანგებოდ ეწვივნენ "ავერსის კლინიკის" ექიმები. ნევროლოგმა მაია გაბუნიამ, პედიატრმა მირანდა ხიდაშელმა და ოფთალმოლოგმა ნინო კობახიძემ ინტერნატის 40-მდე აღსაზრდელი გასინჯეს, შემდეგ კი მათ საჭირო მედიკამენტები გადასცეს. ბავშვთა სახლისთვის განკუთვნილ სასაჩუქრე პაკეტში ყველა ძირითადი მოხმარების მედიკამენტი იდო.

"ავერსი-ფარმას" გენერალური დირექტორის მოადგილემ ეკა ბურძენიძემ აღნიშნა, რომ დიდი ხანია, "ავერსისთვის" ქველმოქმედება ტრადიციად იქცა, თუმცა ბოდბის ბავშვთა სახლს კომპანია პირველად ესტუმრა: "გარემო აქ მართლაც შესანიშნავია, მაგრამ ინტერნატის აღსაზრდელების ცხოვრება საკმაოდ მძიმე და პრობლემებით დატვირთულია. ვეცადეთ, პირველი ივნისი მაინც გაგველამაზებინა მათთვის და დაუვიწყარი გაგვეხადა. საჩუქრად ტკბილეული და ფეხსაცმელები ჩავუტანეთ, ჩვენი კლინიკის ექიმებმა გასინჯეს, ყველა საჭირო მედიკამენტით მოვამარაგეთ და ვფიქრობთ, ამით ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები ამოიწურება. ბავშვებისთვის გასართობი პროგრამაც მომზადდა: კლუბმა "დეჟავუმ" ჩვენი დაფინანსებით წარმოდგენა გამართა. პროგრამა პატარებს ძალიან მოეწონათ და მათთან ერთად ჩვენც გვიხარია, რადგან მოვახერხეთ და პირველი ივნისი მათ ნამდვილ დღესასწაულად ვუქციეთ".

წარმოდგენის შემდეგ ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს "ავერსი" გემრიელი სადილით გაუმასპინძლდა.

ინტერნატის დირექტორმა, ქალბატონმა ნათელა კოჭლამაზაშვილმა, ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, რომ ასეთი ბედნიერი და გახარებული ბავშვები არასოდეს უნახავს: "დააკვირდით, თვალები როგორ უბრწყინავთ. ბავშვებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია იმის შეგრძნება, რომ ისინი ახსოვთ, მათზე ზრუნავენ. მადლობას ვუხდი "ავერსს", ასეთი სითბო და სიყვარული რომ გამოიჩინა ჩვენი ბავშვების მიმართ და ასეთი შესანიშნავი დღე გვაჩუქა. დიდი მადლობა ბატონ პაატა კურტანიძეს ამ სიკეთისთვის".

მართლაც, პატარები სიხარულს ვერ მალავდნენ და ერთხმად ამბობდნენ, რომ ეს დღე დიდხანს ტკბილად მოაგონდებათ.











დასაწყისი იხ. გვ. 8



და მას დაუყენებია გზაზე. ასე მომაგნო გაგრაში. ეს იყო კულმინაცია — მისმა თავგანწირვამ გადამაწყვეტინა, გოდერძის ცოლად გავყოლოდი... ცოლად რომ მივყვებოდი, ჩემი ოჯახის წევრებისთვის რატომღაც, იცი, რა მითქვამს?.. — გოდერძის უნდა შევეწირო-მეთქი. დღემდე ვერ ვხვდები, 23 წლის გოგოს ეს რამ მათქმევინა. არადა, ასე არ მოხდა?!.

**— ბოლომდე ასეთივე პოეტური, რომანტიკული და თავგანწირული დარჩა შენდამი?**

— სხვათა შორის, მიუხედავად ყოველდღიური პრობლემებისა და დაბრკოლებებისა, — კი. ისე, ძალიან მძიმე ცხოვრება გაიარა... საქართველოსთან ერთად. და არა მატერიალური სიდუხჭირის გამო. პირველი დეპრესია აფხაზეთის ომის დღეებში ჰქონდა. სულ ვეუბნებოდი: გოდერძი, ასეთი დარდი არ შეიძლება; ღმერთმა დაგიფაროს და ასე მხოლოდ მაშინ დარდობენ, როცა შვილები უკვდებათ-მეთქი. არადა, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე გეტყვი, რომ მართლა შვილმკვდარი მამასავით განიცდიდა თითოეული ადამიანის დაღუპვას. ეგ კი არა, გეგონებოდა, თითქოს თვითონ გოდერძის კლავდნენ...

**ნინო ზედელაშვილი:**

— განსაკუთრებული პასუხისმგებლობის გრძნობა ჰქონდა. ერთხელ სკოლაში მისი წიგნები მთხოვეს და გოდერძის (უკვე ავად იყო) ვუთხარი, — იქნებ, ავტოგრაფებიც წააწერო ამ წიგნებს-მეთქი. — არ შემიძლია, ცუდად ვარ, დამანებე, რა, თავიო, — მთხოვა. — იმდენი შეუძლებელი შეძელი ცხოვრებაში, ავტოგრაფის გაკეთება რაღაა-მეთქი?! — და წავედი. მეორე საღამოს რომ დავბრუნდი, საწოლზე წამომჯდარი დამხვდა და ირგვლივ 20 წიგნი ეწყო. მივხვდი, ყველაზე წაეწერა ავტოგრაფი, მაგრამ რომ გადავშალე, გავოგნდი: თითოეულ წიგნზე, ავტოგრაფთან ერთად, ლექსიც დაეწერა... მისმა დამ მიამბო: სტუდენტობისას სოფელში დედამ ტყეში შეშის მოსატანად გაუშვა. საღამოს დაბრუნდა და დედას უთხრა: შეშა ვერ მოვჭერი და ნარეყი (მდინარის მოტანილი ხეები) მოვამზადეო. — მაგას ხომ მეც გავაკეთებდიო, — უპასუხა დედამ. — ტყეში რომ შევედი, ზოგმა ხემ ისეთი სევდით შემომხედა, ერთმა გამიღიმა, მეორემ „გამარჯობა" მითხრა, მესამე გვერდზე გადაიხარა... როგორ დამერტყა ნაჯახი, როგორ მომეჭრაო?! თან ასახიერებდა თურმე და ეს გოდერძის პოზა კი არ იყო, არამედ მართლაც გრძნობდა ყველაფერს და გულწრფელი იყო...

**— ნინო, არ გესიზმრება ხოლმე გოდერძი?**

**ნინო მელაშვილი:**

— სხვათა შორის, არასდროს დამსიზმრებია. ლუკა კი ხშირად ხედავდა სიზმრად და მამა თითქოს კარნახობდა კიდეც მას, როგორ მოქცეულიყო... არადა, უხილავად სულ ვგრძნობ გოდერძის მფარველობას: თითქოს რაღაცებს გვაკეთებინებს, თითქოს ამოარჩია ადამიანები, რომლებიც სიცოცხლეში არც იცნობდნენ მას, მოიყვანა ჩვენამდე და დაგვამეგობრა. უხილავად იმ ადამიანებზეც მოქმედებს, — თვითონ ამბობენ. ალბათ, შენც ამორჩეული ჰყავხარ: აბა, არ იცოდი და პირველად მაინცდამაინც მისი დაბადების დღეს როგორ მოხვედი (*იღიმის*)?!. მეუფე დანიელი მეუბნებოდა: რასაკვირველია, გოდერძის წასვლას განიცდით, მაგრამ გოდერძი უკვე უძლური იყო, ამქვეყნად აღარც თქვენი დახმარება შეეძლო, აღარც მეგობრების, ახლა იმ ქვეყნიდან უფრო დაგეხმარებათო... საოცარი იყო — უწმინდესმა და უნეტარესმა, ილია მეორემაც, გოდერძის გარდაცვალების შემდეგ რომ შეგვხვდა ოჯახს, ბრძანა: გოდერძი ცრემლია, რომელიც დაეცა სამთავროს მიწას; იგი სიხარულიც არის და მწუხარებაცო. პირადად კი მითხრა: ის ცრემლი (წარმოგიდგენია?! გოდერძი ცრემლს შეადარა!), რომელიც საქართველოს მიწას დაეცა, თქვენი ოჯახისთვისაც და საქართველოსთვისაც მალე ნაყოფს გამოიღებსო... ■



**ხათუნა ბახტურიძე**

**— ბატონო სოსო, როგორ ფიქრობთ, ამერიკა, რომელიც თავად არის მსოფლიოში ახალი წესრიგის დამყარების ინიციატორი, რატომ უნდა ეგუებოდეს მსოფლიოს ლიდერის სტატუსის დაკარგვას?**

— ამ საკითხთან დაკავშირებით ევროპელი პოლიტოლოგების, ჟურნალისტების დასკვნები და ამერიკის „ჩამოწერა" ძალიან ნაადრევია. ამ ქვეყნის სიძლიერე მის აუმოქმედებელ რეზერვებშია. ჯერ არავინ იცის, ვაშინგტონი საჭირო მომენტისთვის რა კოზირს ინახავს. კაცობრიობის ისტორიაში ყოველთვის დომინირებს რომელიმე ერთი სახელმწიფო. ამერიკამ ლიდერის სტატუსი რომ დაკარგოს, ვინ უნდა დაიკავოს მისი ადგილი — ჩინეთმა, ბრაზილიამ ან ინდოეთმა? მართალია, ეს ქვეყნები თანდათანობით ძლიერდებიან, მაგრამ თუ მათ შესაძლებლობებს, სამეცნიერო პოტენციალს ღრმად გავაანალიზებთ, ეროვნულ შემოსავლებს გადავხედავთ, მათ მიერ წარმოებულ ტექნოლოგიურ სიახლეებს, ინოვაციებს გავეცნობით, დავინახავთ, რომ ჩინეთს, ინდოეთსა და ბრაზილიას რამდენიმე ათეული წელი მაინც დასჭირდება, რათა აშშ-ს დაეწიოს. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ არც ვაშინგტონი გაიყინება ერთ ადგილზე, ის განვითარებას არ შეწყვეტს!

**— მაშინ რით უნდა აეხსნათ ის ფაქტი, რომ პოლიტიკურ ასპარეზზე ბარაკ ობამა პოზიციებს იოლად თმობს?**

— ობამას კომპრომისული ნაბიჯები და მის მიერ გაკეთებული ლოიალური განცხადებები შეიძლება, უამრავი მოტივაციით იყოს განპირობებული. ვაშინგტონში გაკეთებული განცხადებები იმის შესახებ, რომ ერთი სახელმწიფოს ბატონობის დრო ისტორიას ჩაჰბარდა და ამიერიდან მსოფლიოს პოლიტიკას ახალი სახელმწიფოები განსაზღვრავენ, მხოლოდ რიტორიკაა. ჩემი აზრით, აშშ ვიღაც-ვიღაცების დასამშვიდებლად იკატუნებს თავს.

**— მაინც, ვის დასამშვიდებლად უნდა იკატუნებდეს ამერიკა თავს?**

— ვაშინგტონი გრძნობს, რომ ევროპას მისი ლიდერობა აღარ სიამოვნებს და ცდილობს, სტრატეგიული მოკავშირეები არ გაანაწყენოს.

**— ეს დაგვიანებული ხომ არ არის? ბრიტანეთმა უკვე ღიად განაცხადა, რომ ამერიკის მიერ თავს მოხვეულ პოლიტიკას უნდა დააღწიოს თავი...**

— ასეთი განცხადება ხშირად კეთდება, მაგრამ ამის აბსოლუტიზება არ უნდა მოვახდინოთ. ევროპა ამერიკის გარეშე განწირულია. ევროპელი მეცნიერების თქმით, სერიოზული საფრთხე ელის ევროპულ კულტურას, ცივილიზაციას და რაც ყველაზე მთავარია, ქრისტიანობას. ამ კონტინენტზე ისლამური სამყარო დღითი დღე ძლიერდება... ალბათ გახსოვთ, რომ სარკოზის შინაგან საქმეთა მინისტრობის პერიოდში არაბებმა პარიზის გარეუბნები გადაწვეს, დღეს კი ევროპის ერთ-ერთ დედაქალაქში აგებული მეჩეთები, თავიანთი მასშტაბურო-

# რა საფრთხეებისა და პერსპექტივების წინაშე აღმოჩნდა საქართველო

## „ევროპა ამერიკის გარეშე განწირულია“

**მსოფლიოში ახალი წესრიგის დამყარებას იწყებენ: ამერიკის პოლიტიკა რადიკალურად იცვლება, რუსეთის ჩახშობისა და იზოლაციის პოლიტიკა დასასრულს უახლოვდება, მსოფლიოს პოლიტიკაში თანდათან იკვეთებიან ახალი მოთამაშეები — ინდოეთი, ჩინეთი, ბრაზილია, ახლო აღმოსავლეთში გავლენას აძლიერებს თურქეთი... ევროპელი პოლიტოლოგების, ექსპერტებისა და ჟურნალისტების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ მსოფლიოს ახალი წესრიგის პირობებში ევროპისა და აშშ-ის უპირობო ბატონობა დასრულდება და გაიზრდება ახალი რეგიონული სახელმწიფოების გავლენა, რომლებსაც დღეს არსებული სტატუს კვო საერთაშორისო არენაზე სერიოზული როლის თამაშის საშუალებას არ აძლევს. თუ რა საფრთხეებისა და პერსპექტივების წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს საქართველო მსოფლიოში ძალებისა და გავლენის ახლებური გადანაწილების შემთხვევაში, ამის გარკვევას ექსპერტთან საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებში, სოსო ცინცაძესთან საუბრისას შევეცადეთ.**

ბითა და სიმდიდრით, პარიზის ღვთისმშობლის ტაძარსა და კელნის ეკლესიას აღარ უდებს ტოლს. ამაზე ევროპელი ლიდერები ხმამაღლა არ ლაპარაკობენ, რადგანაც ეს პოლიტკორექტული არ არის, მაგრამ იტალიელმა ჟურნალისტმა, აწ გარდაცვლილმა ადრიანა ფელიჩიმ ჯერ კიდევ ათი წლის წინ დაწერა წიგნი — ევროპის აღსასრულზე. მას შემდეგ კიდევ უფრო დაკნინდა ევროპული კულტურა და გაძლიერდა ისლამური ფაქტორი. ევროპა თავის პრობლემებს დამოუკიდებლად, ამერიკის დახმარების გარეშე რომ ვერ გადაჭრის, ეს არა მარტო პირველი, არამედ მეორე მსოფლიო ომის დროსაც დამტკიცდა — ფაშიზმის დამარცხება მანამ ვერ მოახერხა, ვიდრე საქმეში ამერიკა არ ჩაერია.

— **მაშინ რით ახსნით ევროპის ერთ-ერთი დიდი სახელმწიფოს — გერმანიის მიერ რუსეთ-ევროკავშირის კომიტეტის შექმნის ფაქტს? რუსეთს ხომ ამ კომიტეტის შექმნით ნატოს ჩანაცვლება სურს?**

— ამ კომიტეტის შექმნა რუსეთის მიმართ უბრალოდ, რევერანსია. რუსეთის სურვილი — შექმნას ნატოს ალტერნატივა, არარეალურია. ევროპელი ლიდერები არც ასეთი გულუბრყვილონი არიან. მათ შესაძლოა, რუსეთის დასამშვიდებლად კიდევ არაერთხელ გააკეთონ მსგავსი განცხადება და აღნიშნონ, რომ ეს ქვეყანა მათი სტრატეგიული მოკავშირეა, მაგრამ „წითელ ხაზს“ გუშინდელი კომკავშირელი — მერკელიც კი არ გადააბიჯებს.

— **ჟენევაში საქართველოს დელეგაციამ ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსი ოკუპანტების მხრიდან ადამიანის უფლების დარღვევის აღკვეთის მოთხოვნა დააყენა. როგორ ფიქრობთ, ევროპა ამჯერად მაინც თუ გაითვალისწინებს ჩვენს ინტერესებს?**

— ჟენევაში გამართული შეხვედრებისგან შედეგს არც ერთი სერიოზული პოლიტიკოსი არ ელის.

— **მაშინ რაღა აზრი აქვს ამ შეხვედრებს?**

— აზრი არა აქვს, მაგრამ შეხვედრა ჩვენ არ უნდა ჩავშალოთ. ევროპელების აზრით, ჯობია, ასი წელი ველაპარაკოთ ერთმანეთს და არ დავეთანხმოთ, ვიდრე გაბუტულები ვიყოთ.

— **თქვენ როგორ გესახებათ ახალი მსოფლიო წესრიგი?**

— ჩემი აზრით, ახალი წესრიგის პირობებში ძველი რეალობა და ძალთა თანაფარდობა რადიკალურად არ შეიცვლება.

— **რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში თუ უნდა ველოდოთ რაიმე ცვლილებას?**

— ცვლილებები ალბათ, იქნება, მაგრამ ჩვენ ამ საკითხის მიმართ მხოლოდ სალონური ინტერესით არ უნდა შემოვიფარგლოთ... მთელი 10 წლის განმავლობაში ყბა მომექცა იმაზე ლაპარაკით, რომ რუსეთი მეცნიერულად უნდა შევისწავლოთ და შევძლოთ იმის გაანალიზება, თუ რა სიტუაციაში როგორ მოიქცევა. 2008 წელს მოსკოვი აგვისტოს ომში რომ ჩაერთვებოდა, ეს ნათელი იყო, მაგრამ მაშინდელმა პრემიერმინისტრმა — გურგენიძემ (ჩემი ყურით მოვისმინე) განაცხადა: რუსეთს ახლა ცხინვალი არ აინტერესებს და ამ კონფლიქტში არ ჩაერთვებაო. ასეთი სულელური დასკვნებით ახალ რეალობაში ღირსეულ ადგილს ნამდვილად ვერ დავიკავებთ.

— **ე.ი. რუსეთის მხრიდან კიდევ ერთ აგრესიას უნდა ველოდოთ? სხვათა შორის, მოსკოვი ცხინვალის სამხედრო ბაზაზე ახალ რადარს და სათვალთვალო ელექტროსადგურს ამონტაჟებს, რითაც მთელი კავკასიის საჰაერო სივრცისა და მობილური კომუნიკაციების გაკონტროლების საშუალება ეძლევა.**

— დღეს ახალი აგრესიის საფრთხე ნათლად არ ჩანს, მაგრამ როდესაც ისეთ გაუწონასწორებელ ქვეყანასთან გვაქვს საქმე, როგორიც რუსეთია, რაიმეს პროგნოზირება შეუძლებელია. ჩვენ უნდა ვეცადოთ, საფრთხეების პრევენცია მოვახდინოთ და მეტი დამცავი მექანიზმები შევქმნათ, ვგულისხმობ როგორც ეროვნული არმიის კიდევ უფრო გაძლიერებას, ისე საერთაშორისო თანამეგობრობასთან კავშირების განმტკიცებას.

გაგრძელება იხ. გვ. 16




**ლაბორატორია „დნმ-დიაგნოსტიკა“**
**პჯრ (PCR) — მეთოდი**

1. გენომური დაქტილოსკოპია (სადავო მამობის დადგენა);
2. მემკვიდრული დაავადებების დიაგნოსტიკა;
3. ონკოლოგიური და გენეტიკური დაავადებებისადმი მიდრეკილების განსაზღვრა;
4. სქესობრივი გზით გადამდები ბაქტერიული და ვირუსული ინფექციების დიაგნოსტიკა:

- ორივე სქესის პაციენტთა გამოკვლევა ქორწინებამდე;
- ორსულობის შეწყვეტისა (თვითნებური აბორტი) და ნაყოფის სიმახინჯეების გამომწვევი მიზეზების დიაგნოსტიკა;
- საშვილოსნოს ყელის პათოლოგიების გამომწვევი ყველა მაღალი ონკოგენური ტიპების პაპილომავირუსის გამოვლენა;
- B, D და C ჰეპატიტების დიაგნოსტიკა;
- C — ჰეპატიტის გენოტიპირება.

**კონსულტაცია უფასოა**

ქ. თბილისი, ა.ყაზბეგის გამზ. 14ბ, ტელ: (995 32) 18-37-84; (899) 55 61 97; (877) 94 94 13; dna_diagnostics@hotmail.com

# ნეპოტიზმი — კორუფციის „მეფე“ თუ ეროვნული სენი?!

## „ერთი პროფესიონალის მომზადებას საშუალოდ, 4 წელიწადს ვანდომებთ“

**რატომ ინიშნებიან საპასუხისმგებლო თანამდებობებზე ხელისუფლებასთან დაახლოებული, ახალგაზრდა და გამოუცდელი ადამიანები? რატომ არის სავსე სამინისტროების (მინისტრის ასაკის მიხედვით...) სამსახურები ლამაზი გოგონებით? რატომ უმტკიცებენ ტელევიზიაში უხარისხო გადაცემებს ისეთ „პროდიუსერს“, რომლის თანაკლასელი, ნათესავი ან მეგობარი — პარლამენტარია? — ეს და მსგავსი კითხვები ლოგიკურად ჩნდება, როდესაც ხელისუფლების წარმომადგენლები თავგამოდებით გვიმტკიცებენ, რომ მათი ერთ-ერთი ყველაზე დიდი მიღწევა — ქვეყანაში კორუფციის აღმოფხვრაა.**



ხათუნა ბახტურიძე

*მმართველი გუნდის წარმომადგენლები იმასაც ხშირად გვახსენებენ, რომ ავტოინსპექტორის „მემკვიდრე“ პატრული დღეს მძღოლებს 2 ლარს აღარ ართმევს... უფრო მეტს გეტყვით: აღარც პირადობის მოწმობის ასაღებად გვიწევს 15 ლარის გადახდა და არც ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან გვიჯდება 5 ლარი; არც იმის დამალვას ან უარყოფას ვაპირებთ, რომ საერთაშორისო კვლევის შედეგების მიხედვით, კორუფციის კლების ტენდენციით, საქართველო მსოფლიოში პირველ სამეულში მოხვდა. სხვათა შორის, სოციოლოგიური ცენტრი იმის გარკვევასაც შეეცადა, თუ რა გახდა საქართველოში კორუფციის შემცირების მიზეზი და ამ კითხვით ჩინოვნიკებს მიმართა. მიზეზად მათ შსს-ს (კუდ-ი, სოდ-ი), პროკურატურის, კონტროლის პალატის, ფინანსური პოლიციისა და მასმედიის საქმიანობა დაასახელეს. როგორც ხედავთ, ამ ხუთეულში ვერ მოხვდა: მაღალი ხელფასი, კომფორტული სამუშაო პირობები (კაბინეტი, სამსახურებრივი ავტომობილი, სხვადასხვა ხარჯი), პასუხისმგებლობა და სინდისი. კითხვას ჩინოვნიკებმა გულწრფელად უპასუხეს და საკუთარი თავი უნებლიეთ გასცეს: გამოდის, მათ განაცხადეს, — მე, ესა და ეს თანამდებობის პირი, ქრთამს იმიტომ არ ვიღებ, რომ კუდ-ის, სოდ-ისა და მსგავსი ორგანოების მეშინია, თორემ... ახლა წარმოიდგინეთ, რას მოიმოქმედებენ ისინი, ვისაც ამ სტრუქტურების არ ეშინია. მათი უმრავლესობა მხოლოდ ქრთამის აღებით როდი შემოიფარგლება — ისინი აქტიურად უწყობენ ხელს ქვეყანაში ნეპოტიზმის დამკვიდრებას და ამით სახელმწიფოს გახრწნას უწყობენ ხელს.*

*„ნეპოტიზმი“ ლათინური სიტყვაა და გულისხმობს მაღალი თანამდებობის პირის მიერ უპირატესად, ნათესავებისა და ახლობლებისათვის თანამდებობების „დარიგებას“, საერთო და სამართლიანი წესრიგის საწინააღმდეგოდ, რაც სახელმწიფო ინტერესებზე მაღლა პირადი ინტერესების დაყენებას ნიშნავს.*

*ინტერნეტში მოძიებული მასალების მიხედვით გავარკვიე, რომ ნეპოტიზმი, რომელიც მთელ მსოფლიოში კორუფციის „მეფედაა“ აღიარებული, ყველაზე მეტად, ლიბერალიზმს „მტრობს“ (მისი მიმდევარი მრავლადაა ხელისუფლებაში), ეჭვქვეშ აყენებს ადამიანის თავისუფლებას, ანგრევს ეკონომიკას, ქმნის არაკონკურენტუნარიან გარემოს ყველა სფეროში და პრაქტიკულად უსპობს უბრალო მოქალაქეს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის შანსს. თუ გადავხედავთ ამა თუ იმ სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებულ ადამიანებს, მივხვდებით, რომ „საბჭოური“ ცნობიერება — „ზემოთ კაცი თუ არ გყავს, ვერაფერს მიაღწევ“ — ისევ მყარად „დგას ფეხზე“. ვაკანსიებზე გამოცხადებული კონკურსები და ტენდერები როგორ ტარდება, მკითხველს კარგად მოეხსენება — არადა, პოსტრევოლუციურ საქართველოში ერთი პერიოდი, კონკურსები და ტენდერები პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა და საქმის მცოდნე და პროფესიონალი, „ზემოთ კაცის“ გარეშეც ხვდებოდა თანამდებობაზე. სამწუხაროდ, ეს ყოველივე ცოტა ხანს გაგრძელდა. საქართველო პატარა ქვეყანაა და ყველამ ყველას შესახებ ყველაფერი იცის, ხალხს ვერაფერს გამოაპარებ.*

*მინდოდა, ჩვენს ქვეყანაში ნეპოტიზმის არსებობის თაობაზე და მისი მომძლავრების მიზეზებზე ხელისუფლების წარმომადგენლებთან მესაუბრა, მაგრამ ამ საკითხზე მსჯელობა, პარლამენტის ვიცე-სპიკერ* ***გიგი წერეთლის*** *გარდა, არავინ ისურვა.*

— **ბატონო გიგი, არის თუ არა დღეს ჩვენი ქვეყნისთვის ნეპოტიზმი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა?**

— მსოფლიოში არ არსებობს ხელისუფლება, რომლისთვისაც ნეპოტიზმი და სხვა სახის კორუფცია მნიშვნელოვან და აქტუალურ პრობლემას არ წარმოადგენდეს. ეს პრობლემა აწუხებს ინგლისს, საფრანგეთს და სხვა ევროპულ ქვეყნებს, რომელთაც ჩვენზე გაცილებით ძლიერი დემოკრატიული ინსტიტუტები აქვთ და საზოგადოებაც უფრო შეგნებული ჰყავთ. რაც შეეხება საქართველოს, — აქ ნეპოტიზმი ნამდვილად არის, მაგრამ მის წინააღმდეგ საბრძოლველად გვაქვს კანონი და შესაბამისი სტრუქტურები, რომლებიც ზედამხედველობას ახორციელებს. ასე რომ, თუ ვინმე კანონს არღვევს, ის შესაბამისადაც ისჯება. იმას კი ვერავინ იტყვის, რომ დღეს საქართველოში დანაშაული დაფარული რჩება. პირიქით, ზოგჯერ არაფრის გამო ატყდება ხოლმე აურზაური. ვერც იმას უარვყოფთ, რომ სამართალდამცველები კანონის აღსრულებას სწრაფად და ეფექტიანად ახორციელებენ. ამას რამდენიმე საერთაშორისო კვლევის შედეგებზე დაყრდნობით გეუბნებით.

— **ე.ი. თქვენ უარყოფთ, რომ სამინისტროებში დღეს ძირითადად, მინისტრის თანაკლასელები, უბნელები და მეგობრები არიან დასაქმებულნი?**

— იცით, რა?.. ერთ უბანში რამდენიმე ათასი ადამიანი ცხოვრობს. ვერც ერთი სამინისტროს ხელმძღვანელს ვერ მოვთხოვთ იმას, რომ თავის უწყებაში მხოლოდ უცნობი ადამიანები დაასაქმოს. მე მგონი, მსოფლიოში არ არსებობს იმის პრეცედენტი, რომ მაღალჩინოსანი მის დაქვემდებარებულ თანამდებობაზე ადამიანს მხოლოდ იმ მიზეზით არ ნიშნავს, რომ ის მისი უბნელი ან კურსელია.

— **თქვენი აზრით, დღეს საპასუხისმგებლო თანამდებობებზე პროფესიონალები მუშაობენ და საქმის მცოდნე ადამიანთა უმრავლესობა დაუსაქმებელი არ არის?**

— როდესაც ქვეყანაში უმუშევრობის

დონე საკმაოდ მაღალია, ზოგიერთი პროფესიონალი სამსახურის გარეშეც იქნება. სხვათა შორის, კარგი სამსახურის საშოვნელად ადამიანს, პროფესიონალიზმის გარდა, სხვა თვისებებიც — კომუნიკაბელურობა და აქტიურობაც სჭირდება. ისიც უნდა აღვნიშნო, რომ საქმის მცოდნე ადამიანმა შეიძლება, მისთვის შესაფერისი სამსახური ვერ იშოვოს, მაგრამ რაღაც საქმის კეთებას მაინც შეძლებს, ყოველ შემთხვევაში, ულუკმაპუროდ არ დარჩება...

*ტარდება თუ არა რაიმე ღონისძიება ნეპოტიზმის საწინააღმდეგოდ და ნამდვილად პოულობენ თუ არა სამუშაოს პროფესიონალები? — ამის გარკვევას საზოგადოებრივი აზრის კვლევისა და მარკეტინგის ინსტიტუტის დირექტორთან,* **გოჩა ცქიტიშვილთან** *საუბრისას შევეცადე.*

— ნეპოტიზმი ჩვეულებრივი სამართლებრივი პრობლემა როდია. კორუფციის ეს სახეობა ამ ქვეყანაში ყოველთვის იყო, არის და იქნება. არ არსებობს მექანიზმი, რომელიც ამ პრაქტიკას შეეწინააღმდეგება, იმიტომ, რომ ვინც ხელისუფლებაში მოდის, ყველა ამ სენით ავადდება. ავთვისებიანი სიმსივნესავით არის და არაფერი შველის. სხვათა შორის, ეს მხოლოდ ხელისუფლების კი არა, ზოგადად, ჩვენი საზოგადოების სენია. ამ მიმართულებით ჩატარებული ყველა კვლევისა და ძიების შედეგად დადასტურებულია, რომ საქართველოს მოქალაქეებს არ უყვართ კორუფციონერები, მაგრამ თვით კორუფციის საწინააღმდეგო არაფერი აქვთ. ჩვენში კორუფცია საყოველთაოდ აღიარებული ღირებულებაა და მისი ნაყოფით სარგებლობა ყველას (განურჩევლად ეთნიკური ჯგუფისა და პოლიტიკური დაჯგუფებისა) სურს. შესაბამისად, ადამიანები იბრძვიან იმათ წინააღმდეგ, ვინც დღეს სარგებლობს კორუფციის შედეგად გაჩენილი „სიკეთით“ და არა თვით ამ სენის ამოსაძირკვავად. ჩვენში კარგ თანამდებობაზე მყოფი ადამიანისთვის ჩვეულებრივი ვალდებულებაა, მოაწყოს ნათესავი სამსახურში. ამიტომ, თუ აქვს შესაბამისი პოზიცია და უნარი, მას აუცილებლად გამოიყენებს თავისი ნათესავის სასიკეთოდ, სხვისი ნათესავი კი სამსახურის გარეშე დარჩება. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დღეს ჩვენს ქვეყანაში ბიზნესი გაცილებით მეტადაა კორუმპირებული, ვიდრე სახელმწიფო სექტორი. სახელმწიფო სექტორში ნეპოტიზმის წინააღმდეგ გარკვეული ბარიერები მაინც არსებობს: ბოლოს და ბოლოს, გვაქვს კანონი, რომელიც ჩინოვნიკს თავის უწყებაში ოჯახის წევრის მაღალ თანამდებობაზე დანიშვნას უკრძალავს.

— **მერე, მაღალჩინოსნები ამ კანონს ემორჩილებიან?**

— ვიცი ბევრი შემთხვევა, როდესაც მაღალჩინოსანს, იმის შიშით, ვინმეს ნეპოტიზმში არ დაედანაშაულებინა, თავისი ოჯახის წევრი დაუჩაგრავს და საქმის კარგად ცოდნის მიუხედავად, შესაბამის თანამდებობაზე არ დაუნიშნავს.

— **სამაგიეროდ, მეგობრის დასაქმების მხრივ არ ექმნება პრობლემა. ამიტომ შეუძლია, თავისი ნათესავის დასაქმება, მეგობარ მინისტრს სთხოვოს...**

— ეს იმიტომ, რომ ჩვენ პრიმიტიული საზოგადოება გვყავს. გეთანხმებით, ჩვენში მიიჩნევენ, რომ მაღალჩინოსანს თავის უწყებაში ნათესავის ან ოჯახის წევრის დასაქმება (თუნდაც კარგი პროფესიონალი იყოს) არ შეუძლია, მაგრამ ფიქრობენ, რომ კლასელი და მეგობარი არაფერ შუაშია და ის არ უნდა დაიჩაგროს. მართალი ხართ, დღეს ამა თუ იმ მინისტრის გუნდში იგულისხმებიან კლასელები, მეგობრები და მეზობლები ანუ „შინაური ხალხი“, რომელიც გარკვეულ კონფიდენციალურ ინფორმაციას არ „გაყიდის“. ქართველების პრობლემა ის კი არ არის, რომ ჩვენს ქვეყანაში ასეთი რამ ხშირად ხდება; ბოლოს და ბოლოს, ასეთი პრაქტიკა ესპანეთსა და იტალიაშიც საკმაოდ მძლავრადაა ფეხმოკიდებული, მაგრამ ამის გამო არც ესპანელი და არც იტალიელი საზოგადოება არ ინგრევა (თუმცა კი ზარალდება). ამ ყველაფრის მიმართ იქ უფრო ცივილიზებული დამოკიდებულებაა და საქმის კარგად მცოდნე ადამიანს იმის გამო არ დაჩაგრავენ, რომ ის ვიღაცის ძმისშვილი ან დისშვილია. მე თუ მკითხავთ, დამნაშავე ის კი არ არის, ვინც ნათესავს სამსახურში მოაწყობს, არამედ ის, ვინც პროფესიონალ, საქმის მცოდნე ნათესავს ამაზე უარს ეტყვის.

— **იმ დაჩაგრულ ადამიანებზე რას იტყვით, რომლებიც პროფესიონალები არიან, მაგრამ სწორედ იმის გამო ვერ იშოვეს შესაფერისი სამსახური, რომ „ზემოთ კაცი“ არ ჰყავდათ?**

— არ უარვყოფ, რომ ხელისუფლება ნეპოტიზმითაა დაავადებული, მაგრამ ვერც იმას ვიტყვი, რომ პროფესიონალები სამსახურს ვერ შოულობენ. უფრო მართლები ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ ადამიანებს ეკარგებათ მოტივაცია — გახდნენ პროფესიონალები, იმიტომ, რომ სწავლაში დახარჯული წლები დასაქმების ხარისხისა და შემოსავლის პირდაპირპროპორციული არ არის. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ეს პრობლემის მხოლოდ ერთი ნაწილია. მთავარი კი ის არის, რომ ჩვენ არ გვყავანან პროფესიონალები და ჩვენ ვართ ერი, რომელსაც წიგნის კითხვა არ უყვარს.

— **საკმაოდ ბევრ ადამიანს ვიცნობ, რომელიც წიგნებსაც კითხულობს, თავისი საქმის მცოდნეცაა, მაგრამ სამსახურს მაინც ვერ პოულობს...**

— კი, ასეთი ადამიანები არსებობენ, მაგრამ ისინი უმცირესობას წარმოადგენენ. ქართველების უმრავლესობამ თავისი საქმე კარგად არ იცის, არ გვყავანან პროფესიონალი ინჟინრები, მშენებლები, სახელმწიფო მოხელეები, პოლიტიკოსები... სანამ ამ რეალობას არ დავინახავთ, მანამდე ყველა ჩვენს უბედურებას მხოლოდ ნეპოტიზმს დავაბრალებთ და პრობლემას ვერასოდეს მოვაგვარებთ. მე კერძო სექტორის წარმომადგენელი ვარ, მოდით და ნახეთ, თუ გვყავს დასაქმებული ვინმე მიკერძოებული მოსაზრებიდან გამომდინარე ან თუ რომელიმე არაპროფესიონალს აქვს მაღალი ხელფასი. იცით, რამდენი დრო გვჭირდება, რომ ერთი კარგი კადრი მოვძებნოთ? წელიწადზე მეტი!.. შემდეგ კიდევ 3 წელი მის კარგ პროფესიონალად ჩამოყალიბებას სჭირდება. ე.ი. ჩემი სამსახური ერთი პროფესიონალის მომზადებას საშუალოდ, 4 წელიწადს ანდომებს. სად არიან ეს პროფესიონალები, მიჩვენეთ და პირობას გაძლევთ — რამდენსაც მომიყვანთ, იმდენს დავასაქმებ და კარგ ხელფასსაც გადავუხდი.

— **ამ პირობას აუცილებლად შეგახსენებთ...**

— კი, ბატონო. მზად ვარ, თუ სამარკეტინგო კომუნიკაციების კარგად მცოდნე ადამიანს მომიყვანთ, მის დასაქმებაზე პასუხისმგებლობა ვიკისრო. ■

gza
9 X 13




2.06
9.06
16.06
23.06

დასაწყისი იხ. გვ. 12

— **ახალი რეალობის გათვალისწინებით, რუსეთის საქართველოში ახალი აგრესიის განხორციელება რამდენად აძლევს ხელს?**

— რუსეთის მთავარი მიზანი პოსტსაბჭოთა სივრცეში ლიდერობის აღდგენაა. გარწმუნებთ, კრემლი კავკასიაში გავლენის შესანარჩუნებლად უკანასკნელი ჯარისკაცის დაღუპვამდე იბრძოლებს. რუსეთის შემაკავებელი ფაქტორი მსოფლიოს საზოგადოების მხრიდან პრინციპული წინააღმდეგობაა, რაც რუსეთს ნამდვილად არ ემუქრება, მაგრამ არსებობს კიდევ ერთი ფაქტორი — მოსკოვს სურს, ახალი მსოფლიო წესრიგის პირობებში ევროპული ოჯახის წევრი გახდეს, რაც აგრესიული ნაბიჯების გადადგმაში უშლის ხელს. ახლა კრემლში იმაზე მსჯელობენ, როგორ მოახერხონ ძველი იმპერიის აღდგენა ისე, რომ მსოფლიოს თვალში ცივილიზებული ხალხის იმიჯიც დაიმკვიდრონ. ამ ფაქტს ჩვენც ძალიან სერიოზულად უნდა მოვეკიდოთ და საკითხი საფუძვლიანად შევისწავლოთ, რათა მერე სწორი დასკვნების გაკეთების საშუალება მოგვეცეს.

— **ბოლო დროს რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობების გაღრმავება ჩვენთვის საფრთხის შემცველი ხომ არაა?**

— მას შემდეგ, რაც თურქეთმა ევროსტრუქტურებში წარმატებას ვერ მიაღწია, ვექტორი შეცვალა და რეგიონული ლიდერის ამბიცია გაუჩნდა. თურქული დიპლომატია ყოველთვის გამოირჩეოდა პრაგმატიზმითა და მარგი ქმედების მაღალი კოეფიციენტით. დღეს კი ეს სახელმწიფო რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებასა და სამოკავშირეო სტატუსის დამყარებას ცდილობს, მაგრამ პარალელურად, სამხრეთ კავკასიაში პოზიციების შესანარჩუნებლად და ცენტრალურ აზიაში გავლენის გასაფართოებლად ყველაფერს აკეთებს. ახლა თურქეთი რუსეთთან დიპლომატიურ-პოლიტიკურ ფლირტს აწარმოებს, მაგრამ როგორც კი ეს ურთიერთობა საკუთარი მიზნის რეალიზაციაში ხელს შეუშლის, პოზიციას მაშინვე შეიცვლის.

— **ამ სიტუაციაში საქართველოს მხრიდან ირანთან ურთიერთობების დათბობა რამდენად მართებულად მიგაჩნიათ?**

— საქართველოს ეს ადრეც უნდა გაეკეთებინა. ეს ჩვენი ეროვნული ინტერესებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო.

— **ისეთ ქვეყნებს, რომლებიც ეკონომიკურად სხვა სახელმწიფოებზე არიან დამოკიდებულნი, დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების საშუალება აქვთ?**

— ირანთან ევროპასაც მშვენიერი ურთიერთობა აქვს და ჩვენ რატომ უნდა შეგვიქმნან პრობლემა? თუ გაეროს უშიშროების საბჭო სანქციებს მიიღებს, ჩვენ — როგორც გაეროს წევრი ქვეყანა, ამას წინააღმდეგობას არ გავუწევთ. ■

*პერსონა*

# ძველი პატარა ქარხნით დაწყებული ბიზნესი

## და მოძრაობა „დინების საწინააღმდეგოდ"...




**ბიზნესმენი და თბილისის მერობის ექსკანდიდატი გოგი თოფაძე ჩვენი საზოგადოებისთვის ცნობილი პიროვნებაა, მისი სამეწარმეო საქმიანობის შესახებაც ბევრს მოეხსენება, თუმცა ბატონი გოგი (თუ წინასაარჩევნო პერიოდს მხედველობაში არ მივიღებთ) ინტერვიუზე იშვიათად თანხმდება, ამიტომ, მასთან შეხვედრა მკითხველისთვის მუდამ საინტერესოა. თუმცა პირად საკითხებზე, გატაცებებსა და იმაზე, თუ თავისუფალ დროს (რომელიც ძალზე ცოტა აქვს) საუბარს ყოველთვის თავს არიდებს და მხოლოდ იმას გვიმხელს, რომ უყვარს ნადირობა და თხილამურებით სრიალი; და კიდევ — ნუმიზმატი ან ფილატელისტი არ არის, აქვს თხილამურები და „მუშა" თოფები, მაგრამ — არა საკოლექციო. შემდეგ დასძენს, — ჩვენი „კოლექცია" — კარგი ხალხის გვერდში დგომა და მასთან ერთად საქმის კეთებააო...**

*თამთა დადეშელი*

— თბილისში, ვერის უბანში დავიბადე და გავიზარდე. სკოლაც და უმაღლესიც (მაშინ — პოლიტექნიკური ინსტიტუტი) აქ დავამთავრე — საკვები პროდუქტების ქიმია და ტექნოლოგია. რეპრესირებული ოჯახიდან ვარ: მამა, მამიდა და ბიძა პოლიტიკური პატიმრები იყვნენ, საკმაოდ ბევრი დრო გაატარეს ციმბირში (მამიდაჩემმა — 18 წელი), ამიტომ, გარკვეული გაჭირვება, რა თქმა უნდა, გვქონდა. ბებია გერმანელი მყავდა და ამანაც გაართულა ყველაფერი: 40-იან წლებში, როცა ჰიტლერი უკვე ახლოს იყო, ყველა ჩემი ახლობელი და ნათესავი გადაასახლეს... სწავლის დამთავრების შემდეგ, კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში დავიწყე მუშაობა. 2 წლის შემდეგ კი, 1964 წელს მოსკოვში, ასპირანტურაში ჩავაბარე და დისერტაციაც იქ დავიცავი. საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, თბილისის საპნის ქარხნის (რომელიც ახლა განადგურებულია) დირექტორად დამნიშნეს, 5-6 წლის შემდეგ — საწარმოო გაერთიანება „თბილლუდის" გენერალურ დირექტორად. მასში პრაქტიკულად, საქართველოს მთელი ლუდის მრეწველობა შედიოდა. 1986 წლამდე სულ იქ ვმუშაობდი, მერე კი, ამ გაერთიანების ეგიდით, ახალი ლუდის ქარხნის მშენებლობა დავიწყეთ ლილოში. 1994 წელს კომპანია „ყაზბეგი" შევქმენი, თბილისში არსებული ერთ-ერთი ლუდის ქარხნის ბაზაზე, რომელიც აბსოლუტურად გაპარტახებული იყო. ჩემს ძველ თანამშრომლებთან ერთად, შევისყიდე, აღვადგინეთ და ამით დაიწყო „ყაზბეგის" „ბიოგრაფია".

— **რა კაპიტალით დაიწყეთ ბიზნესი?**

— სხვათა შორის, ჩემმა თანაგუნდელებმა ძალიან ბევრი გააკეთეს იმისათვის, რომ არავინ მოგვეყვანა სპონსორად. ზოგმა სახლი გაყიდა, ზოგმა — მანქანა, სამკაულები...

— **თქვენ?**

— მე რაღაც კაპიტალი მქონდა და ის ჩავდე. ამ ყველაფრით შევისყიდეთ, დავიწყეთ ქარხნის აღდგენა და როცა ნელ-ნელა განვვითარდით, უკვე მოგებიდან ეყიდულობდით ყველაფერს. მერე გავაფართოვდით, რუსთავის ქარხანა ვიყიდეთ, სხვადასხვა ინიციატივა გამოვიჩინეთ, ნაყინისა და ბროილერების ქარხანა ავამუშავეთ, კიდევ — სასტუმროები, რესტორნები, საბაგირო გზები, სასოფლო-სამეურნეო ფერმები და ა.შ.

— **ლიმონათის წარმოება როდის დაიწყეთ?**

— ლიმონათის ჩამოსხმა თბილისისა და რუსთავის ერთ-ერთ ქარხანაში დავიწყეთ და ეს ბიზნესი საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა. საერთოდ, წარმატებული ბიზნესის ფორმულა ერთადერთია — სწორად უნდა გათვალო ამა თუ იმ საქმის პერსპექტივა, უნდა გამოიყენო ადგილობრივი ნედლეული, შექმნა სწორი მარკეტინგული სისტემა. ჩვენს პირობებში კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სიჯიუტე, რომ ხელისუფლების პრესის ქვეშ არ მოხვდე. შენ რომ რამეს გააკეთებ, მაშინვე მსგავსი პროდუქციის შემოტანას დაიწყებენ და შეეცდებიან, წარმოება ჩაგიკლან, თვითონ კი იმპორტზე მოითბობენ ხელს. ამას უნდა ებრძოლო და გაუძლო.

**— პროდუქციისთვის საჭირო ნედლეული საიდან მოგაქვთ?**

— ლიმონათის წარმოებისას მხოლოდ და მხოლოდ ნატურალურ ქართულ ხილს ვიყენებთ. ლუდს, რასაკვირველია, იმპორტირებული ნედლეულის შემოტანა სჭირდება. ვცდილობთ, წარმოება ქართულ ნედლეულზე იყოს დაფუძნებული. სწორედ ესაა ჩვენი ეკონომიკური სტრატეგია — ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ მაღაზიებში ქართული პროდუქცია ჭარბობდეს. ჩვენ ვქმნით ქვეყნის ბიუჯეტს. შემოდგომაზე ბიზნესი რომ დააყაჩაღეს, არ იფიქრეს იმაზე, რომ ამით წარმოებას მომავალს უკლავდნენ. როგორც კი ვიღაც რაიმე საქმეს შექმნის, რის განვითარებასაც 3-4 წელი სჭირდება, დაიწყებს ფიქრს წარმოების გაფართოებაზე, მაშინვე იწყება ზეწოლა, სვავებივით დააცხრებიან!..

**— თქვენი პროდუქციის ექსპორტს თუ აწარმოებთ და რომელ ქვეყნებში გაგაქვთ?**

— ექსპორტმა საკმაოდ მაღალი ხვედრითი წილი დაიკავა ჩვენს ჰოლდინგში. პროდუქცია 23 ქვეყანაში გაგვაქვს, მათ შორის: აშშ-ში, ირლანდიაში, საბერძნეთში და ა.შ. ექსპორტი წარმოებისთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ ამაზე რატომღაც არ ფიქრობს ჩვენი ხელისუფლება. ერთადერთი საშუალება, ხალხი დავასაქმოთ და უცხოეთში არ გაიქცეს, წარმოებისა და სოფლის მეურნეობის აღორძინებაა.

**— სხვა მეწარმეების დასახმარებლად თუ აკეთებთ რაიმეს?**

— ძალიან მალე, მინიმალური კაპიტალური დაბანდებით, შესაძლოა, 30-მდე საწარმო გაიხსნას, რაც დასაქმების შესაძლებლობაა. ბევრი ქარხანაა, რომლის აღდგენაც რეალურად, შეიძლება. გლეხმა უნდა ჩამოიტანოს აქ თავისი პროდუქცია და არა ვიღაც უცხოელმა, თანაც — ხარისხით უფრო დაბალი.

**— უცხოელი ბიზნესმენების აზრით, საქართველოში ბიზნესის კეთება ძალზე ადვილია, — მთავარია, მტრები არ გყავდეს. რას იტყვით ამის შესახებ? ხელისუფლებას თქვენს მტრად მიიჩნევთ?**

— სწორედ უცხოელი ბიზნესმენებისგან განსხვავებით, ჩვენ დიამეტრულად საწინააღმდეგო პოზიციაზე ვდგავართ. ზოგიერთ მათგანს არაფერი შეუქმნია საქართველოში, არც ერთი ქარხანა, თუმცა თავიანთი იმპორტირებული ბიზნესის წყალობით, დიდი შემოსავლები აქვთ. ასეთ მოსაზრებას ვერ დავეთანხმები. ვინც აქ მოღვაწეობს და მდიდრდება, ვალდებულია, რაიმე ააშენოს და გააკეთოს ამ ქვეყნისათვის. ქვეყანას, რომელიც სწორ ეკონომიკურ სტრატეგიას დაგეგმავს, 8 მილიარდი ვალი არ ექნება.

**— როდის შეიქმნა „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“? ვისი იდეა იყო და რატომ გაგიჩნდათ ამის სურვილი?**

— პოლიტიკური პარტია 1999 წელს შევქმენით. მას შემდეგ, რაც დავინახეთ, რომ უცხოელი მრჩევლები კარგს არაფერს მოგვიტანდნენ, ძალიან აქტიურად დავიწყეთ პოლიტიკური მოღვაწეობა. 1996 წლიდან „გაერთიანებულ მრეწველთა კავშირი“ ვიყავით; ეს არ იყო პოლიტიკური ორგანიზაცია და გაწევრებულიც ბევრნი ვიყავით. იმ პერიოდში ჩვენი ქვეყნის საქმე, განსაკუთრებით ეკონომიკა, უკან-უკან წავიდა, რადგან უცხოელთა რეკომენდაციები ჩვენთვის აბსოლუტურად მიუღებელი იყო. აბსურდული საგასახადო კოდექსის მიღება და დამუშავება რომ დაიწყეს, აშკარად ჩანდა, რა ჰქონდათ მიზნად: საქართველოში არ უნდა ყოფილიყო მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მარტო მომსახურების სფერო უნდა დარჩენილიყო... ამიტომ დავიწყეთ აქტიური გამოსვლა და შევქმენით პარტია, რათა უფრო „ულერადი“ ყოფილიყო ჩვენი ხმა. იმავე წელს მივიღეთ არჩევნებში მონაწილეობა და გადავლახეთ 7-პროცენტიანი ბარიერი, რადგან იმდენად აქტიურები ვიყავით (არა როგორც პოლიტიკური პარტია, არამედ, როგორც მრეწველთა კავშირი), რომ ხალხმა მხარი დაგვიჭირა. პარლამენტში 2003 წელსაც მოვხვდით და ასე მიდის ჩვენი პოლიტიკური საქმიანობა. ახლაც, აქტიურად ვამტკიცებთ, რომ არანაირ სიკეთეს არ მოგვიტანს ის ზრახვები, რომლებიც ჩვენს „მრჩევლებს“ აქვთ. ყველას უნდა, რომ საქართველო თავისი ინტერესების პრიზმიდან დაინახოს.

**— შევარდნაძე რომ გიქნევდათ თითს, — მილიონები დაყაჭეო, — დაგაყაჭვინათ?..**

— ერთი ლარიც ვერ დამაყაჭვინა და არც ახლა ვაპირებ. კარგად ვიცი, საიდან მოდის ამ ფორმის დაბეგვრები. ვერაფრით შეეგუვნენ, რომ შემიძლია, დამოუკიდებელი ბიზნესი მქონდეს და მიბმული არ ვიყო ვინმეზე. არც შევარდნაძისთვის მითხოვია რამე, არც ამ ხელისუფლებისთვის; ქართველმა სპეციალისტებმა ჩვენით შევქმენით ყველაფერი და არავის ვალი არ მაქვს. მე ბიუჯეტში ძალიან ბევრს ვიხდი: „ყაზბეგს“, შექმნის დღიდან, 100 მილიონზე მეტი აქვს გადახდილი.

**— თქვენი ბიზნესი თუ განიცდიდა შეზღუდვებს შევარდნაძის პერიოდში? რაში გამოიხატებოდა ეს და რა მდგომარეობაა ამ თვალსაზრისით ახლა?**

— რა თქმა უნდა, ძალიან ძნელი პერიოდებიც გვქონდა. ბევრს ახლაც არ მოსწონს, რომ „ყაზბეგი“ — ეროვნული ჰოლდინგია, თავისი 18 საწარმოთი, 100%-ით ქართულ პროდუქციას უშვებს, ქართული ინვესტიციით. სულ ვაჭრობაზე, ტურიზმზე მომსახურების სფეროზეა აქცენტი, — სატრანსპორტო კორიდორი ხართ, ეგ არის თქვენი ფუნქცია ამ პლანეტაზეო, — რასაც ჩვენ არ ვეთანხმებით და სერიოზული ჭიდილი გვაქვს ხელისუფლებასთან, რადგან უკვე ჩანს შედეგი, რა დღეშია ქვეყანა. არავის აძლევს ხელს, რომ ქართული პროდუქცია ბატონობდეს ჩვენს ბაზარზე. 1995 წელს ოფისში შემოგვიცვივდნენ, ხელბორკილები დაგვადეს მეც, ჩემს შვილსაც, მოადგილესაც და პირდაპირ გვეუბნებოდნენ, — დაანებეთ ამ საქმეს თავი, ლუდი ჩვენ შემოგვაქვსო. „ასტიკა“ და „ეფესი“ შემოჰქონდათ მაშინ. ახლაც, ბოლო 4-5 წელია, რაც სახელისუფლებო ინტერესები „ჩაერთო“ ლუდის ექსპორტსა თუ წარმოებაში. მაღაზიების მეპატრონეებს ეუბნებიან, „ყაზბეგი“ არ მიიღოთო; დადიან ფინანსური პოლიციიდან, აბსტრაქტულ გადასახადებს გვაწერენ, რასაც არ გადავიხდით. არც საბოლოო დოკუმენტებს მაძლევენ, რომ წავიდე და ევროპაში ვიდავო, წელავენ განხილვას. როცა უნდათ, წარმოება „დააჩოქონ“, ათას მიზეზს მოიგონებენ. კანონები მაგათი მოგონილია და ამ რეჟიმში საწარმოს მუშაობა შეუძლებელია. ვფიქრობ, მიუხედავად ამ ზეწოლისა, ჩვენი კომპანია საკმაოდ დინამიკურად ვითარდება.

**— რატომ გადაწყვიტეთ, მერის არჩევნებში მიგეღოთ მონაწილეობა?**

— ყველაფერი ეს, რაზეც ვისაუბრე, გვაიძულებს, აქტიურად ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ ჩვენს თბილისს რამე ეშველოს. სამწუხაროა, მაგრამ არ მოგვწონს დღევანდელი თბილისი, „კოსმეტიკური“ შეკეთება და აბსტრაქტული პროექტების განხორციელება მაშინ, როცა თბილისში ძალიან ბევრი ავარიული სახლია, არ არის სწორი. როგორ უნდა ეძინოს მერს, როცა ასეთი სიტუაციაა ქალაქში?! მთავარი პრობლემა — დასაქმებაა. სოფლიდან აქ მოდის ხალხი სამსახურის საძებნელად, აქ ვერ პოულობს და ჩნდება სხვადასხვა სოციალური პრობლემა.

**— როგორ გგონიათ — მერის არჩევნებში ნებისმიერ ოპოზიციონერ კანდიდატს რომ გაემარჯვა, ხელისუფლება იმის უფლებას მისცემდა, რომ თავისი შეხედულებისამებრ გაეკეთებინა ყველაფერი? როგორ ფიქრობთ — არ ჩაერეოდნენ მის საქმეებში?**

— რა არის, იცით?.. ქალაქის არჩეული მერი დამოუკიდებელია ამ გუნდისგან. პრინციპული, მეურნე კაცი იმდენს გააკეთებდა და ისე განაწყობდა თბილისელებს საკუთარი თავის მიმართ, რომ ხელისუფლება ვერაფერს გაუბედავდა. მერი, გავლენითა და ფინანსებით, მეორე ფიგურაა სახელმწიფოში, ამიტომ, თავისი ინიციატივითაც ბევრი რამე უნდა გააკეთოს.

**— თქვენ მიერ წინასაარჩევნო რეკლამაში გამოყენებულ სიმღერასთან დაკავშირებული გაუგებრობის თაობაზე რას იტყვით?**

— არსებობს დოკუმენტი, რომლის თანახმადაც ეს სიმღერა 2000 წლის 4 მაისს თბილისის ჰიმნადაა მიღებული, ამიტომ მისი გამოყენების უფლება ყველას აქვს. ამ კომისიას ბატონი ჯანსუღ კახიძე თავმჯდომარეობდა და დოკუმენტს ბევრმა ცნობილმა ადამიანმა — გურამ შარაძემ, ელგუჯა ამაშუკელმა, ვაჟა ლორთქიფანიძემ და სხვებმა — მოაწერა ხელი. ასე რომ, რასაც ვიღაცები გვედავებიან, თუ არ იციან ამ დადგენილების არსებობა, რა უნდათ საპატენტო სააგენტოში, თუ იციან და ფულის გამოძალვა უნდათ (ასეთი შემთხვევაც ბევრია), თაღლითობისა და შეურაცხყოფისთვის პასუხი უნდა აგონ. ■



# სახე

## გადასაღებ მოედანზე დამეგობრებული მსახიობები და უცაბედად გაჩენილი სიყვარული



**ყოფილი მოდელი და ახლა უკვე ტელეჟურნალისტი, გვანცა დარასელია ორ წელია, რაც „რუსთავი 2“-ის ეთერში გამოჩნდა და უკვე დაიმსახურა მაყურებლის სიმპათია. ბოლო პერიოდში მან ორ ქართულ მხატვრულ ფილმშიც მიიღო მონაწილეობა და გულშემატკივრებს დაუმტკიცა, რომ სხვა ყველაფერთან ერთად, არტისტული ნიჭიც აქვს. გარდა ამისა, გვანცას პირად ცხოვრებაშიც სიახლეებია...**

*ნათია ჟივიძე*

**— როცა მოდელი იყავი, ვიცი, რომ ტელეწამყვანობაზე ოცნებობდი. ეს ოცნება მალევე აგიხდა და „რუსთავი 2“-ის დილის პროგრამაში დაიწყე მუშაობა. მაშინდელ ჩვენს ინტერვიუებში არასოდეს გითქვამს, რომ სამსახიობო კარიერითაც იყავი დაინტერესებული, არადა, ერთი წლის განმავლობაში ორ ფილმში გადაგიღეს. როგორ მოხდა ეს ყველაფერი?**

— როცა „მის საქართველოში“ მივიღე მონაწილეობა და საზოგადოებისთვის ცნობილი გავხდი, იმ პერიოდში უკვე ტელერადიო ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ვსწავლობდი. შესაბამისად, ლოგიკურია, ტელეწამყვანობაზე თუ ვოცნებობდი. ძალიან გამიმართლა, როცა „რუსთავი 2“-ში მოვხვდი და უკვე ორი წელია, ამ ტელეკომპანიის თანამშრომელი ვარ. რაც შეეხება კინოს: მსახიობობაზე არასოდეს მიფიქრია. ბავშვობაში ამ პროფესიაზე ჩემი ძმა ოცნებობდა და სულ ვეჩხუბებოდი, რად გინდა მსახიობობა-მეთქი?! მიმაჩნდა, რომ ამის ნიჭი არ მქონდა. ბავშვობაში იმდენად მინდოდა ჟურნალისტობა, რომ სხვა არაფერზე მიოცნებია. რაც ტელევიზიაში ვმუშაობ, მას შემდეგ მივხვდი, რომ მსახიობობასა და ტელეწამყვანობას შორის ბევრი რამ არის საერთო. პირადად მე, პირდაპირ ეთერში მუშაობა ძალიან დამეხმარა, რომ კინოკამერის წინ უფრო გახსნილი და თავისუფალი ვყოფილიყავი. თუმცა, თუ ადამიანი კარგი ტელეწამყვანია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ კარგი მსახიობიც იქნება. უბრალოდ, მე პატარა როლით დავიწყე და გადამღები ჯგუფი ძალიან დამეხმარა. ჩემი პირველი ფილმი იყო „გოგონა სლაიდიდან“, რომელსაც გიგა აგლაძე იღებდა. ტელეფონით დამიკავშირდნენ და ფილმში მონაწილეობა შემომთავაზეს. მანამდე გიგას მუსიკალური კუთხით ვიცნობდი და ვფიქრობდი, რომ ის გემოვნებიანი მუსიკოსია. დავინტერესდი მიღებული წინადადებით და დავთანხმდი. სამწუხაროდ, გადაღებები საკმაოდ გაჭიანურდა, რამაც ფილმის ხარისხზე იმოქმედა.

**— ე.ი. „გოგონა სლაიდიდან“ კარგი ხარისხის ფილმი არ არის?**

— არა და ეს ფაქტი დასამალი სულაც არ არის. გადაღებების დროს ამ პროექტს, ფინანსურიდან დაწყებული, კიდევ უამრავი სხვა პრობლემა შეექმნა. გიგას ძალიან ვგულშემატკივრობ. მგონია, რომ ეს ფილმი რეჟისორისთვის კარგი გამოცდილების მომტანი იქნება და მომავალში უკეთეს ფილმებს გადაიღებს. ჩანაფიქრი მართლაც, ძალიან კარგი იყო და ამდენი პრობლემა რომ არ ყოფილიყო, გაცილებით უკეთესი სურათი გამოვიდოდა.

**— „ოცნების ქალაქში“ როგორ მოხვდი?**

— ჩემმა პროდიუსერმა მითხრა, რომ დათო იმედაშვილი ამ ფილმს იღებდა და სამი გოგონა სჭირდებოდა. მან თქვა, — ერთ-ერთი გოგონა, რატომ არ უნდა იყოს ჩვენი სახეო?!. ასე მივედი კასტინგზე. დათომ პირველივე შეხვედრაზე გამოხატა ჩემდამი სიმპათია და მითხრა, ამ როლში შენ გადაგიღებო. ვფიქრობდი, რომ რენი ჰარლინის გახმაურებული ფილმის პროდიუსინგის შემდეგ, შეუძლებელი იყო, მას რაიმე არ გამოსვლოდა. შემოთავაზებას დაუფიქრებლად დავთანხმდი. ისე ვიყავი ამ პროექტით დაინტერესებული, რომ ეთქვათ, არ აგიყვანთო, ძალიან მეწყინებოდა. გადაღების პროცესშივე მივხვდი, რომ ეს ფილმი ძალზე პოპულარული გახდებოდა, რადგან გადაღება საოცარი სისწრაფით მიმდინარეობდა, ხშირ შემთხვევაში, დღიურ გეგმასაც კი ვაჭარბებდით. ფილმის წარმატების საიდუმლო მის წინასწარ კარგად დაგეგმარებაშია.

**— შენი პერსონაჟის მეგობრებს ანა იმედაშვილი, რუსკა მაყაშვილი და ნანკა კალატოზიშვილი ასახიერებენ. გადაღებების დროს მათთან მართლა დამეგობრდი?**

— რუსკას თეატრალური უნივერსიტეტიდან ვიცნობდი და ყოველთვის კარგი ურთიერთობა გვქონდა, დანარჩენები გადასაღებ მოედანზე გავიცანი და მათთან მალევე დავმეგობრდი. ნანკა ამბობდა კიდეც, — რა მაგარია,

როცა სცენარის მიხედვით ძალიან ახლო მეგობრები გყავს, რომლებსაც ცხოვრებაშიც უმეგობრდები და გადაღების დროს თამაში აღარ გჭირდებაო. ჩვენც სწორედ ასე ვფიქრობდით. იმდენად შევეწყვეთ ერთმანეთს, დუბლიდან დუბლამდეც კი ვერთობოდით. ასე რომ, ამ ფილმმა ბევრი მეგობარი შემძინა, გარდა იმისა, რომ თავისთავად წარმატებული პროექტი აღმოჩნდა. ძალიან გამიხარდება, თუ ამ წარმატებაში ცოტაოდენი წვლილი მეც შევიტანე.

**— გარშემო მყოფები როგორ აფასებენ შენს მსახიობურ მონაცემებს?**

— ჩემი მეგობარი მსახიობები ნახევრად ხუმრობით მეუბნებიან, პროფესიას გვართმევ, როლები ისედაც არ არის, შენ კიდევ ყველგან ეტენებიო (*იცინის*)!.. „ოცნების ქალაქის" პრემიერამდე ინტერნეტფორუმზე ძალიან ცუდი რაღაცები გაჩნდა: წერდნენ — „ეს ფილმი მორიგი ქართული ნაგავი იქნება!.." „კარგი, ვთქვათ, შორენამ გაიხადა, მერე?!." და ა.შ. პრემიერის შემდეგ კი აბსოლუტურად განსხვავებული კომენტარები გაჩნდა. თითქმის ყველა წერდა, — ქართველებსაც შეგვძლებია რაღაცის შექმნა და ხელები აგვიწევიაო. ჩემი მეგობრები კი ჩემი ნამუშევრით ძალიან კმაყოფილები არიან; ფილმიც იმდენად მოეწონათ, რომ პრემიერის შემდეგ ერთ-ერთი მათგანი მეუბნებოდა, — მიყვარს და არც კი ვიცი, ვინ მიყვარსო.

**— ამ ფილმის შემდეგ ძალიან „აქტუალური" გახდი — უამრავ გადაცემაში გიწვევენ...**

— მართალი ხარ. ამას წინათ მკითხეს, მოდელობას თავი რატომ დაანებეო? ამ შეკითხვაზე ასეთი პასუხი მაქვს: მოდელობაში ვერანაირ პერსპექტივას ვერ ვხედავ, არც მატერიალური თვალსაზრისით არის საინტერესო და არც თავის დამკვიდრების მიზნით. მოდელობა არაფერში დამეხმარება. თუ პოდიუმი მომენატრება, ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე, რომელიმე ჩვენებაში მივიღებ მონაწილეობას. როცა ტელევიზიაში ვმუშაობ, სხვა პროექტებში ვარ დაკავებული, პოდიუმზე გამოსვლისთვის 50 ლარს რომ გადამიხდიან, ეს ჩემთვის ცოტა დამამცირებელია. ვიცნობ ადამიანებს, რომლებიც ამ შემოსავლის იმედად ცხოვრობენ. კინო კი, არც მატერიალურად არის წამგებიანი და წინსვლაშიც გარკვეულწილად შემიწყო ხელი. ამიტომ, თუ კიდევ რამე საინტერესო შემოთავაზებას მივიღებ, აუცილებლად დავთანხმდები. ჯერჯერობით მსგავსი შემოთავაზება არ მიმიღია და ცოტას ვისვენებ. ეს ძალიან კარგია, რადგან სამსახური და ფილმის გადაღებები ჩემთვის „მინუს 10 კილოს" ნიშნავს: ისეთ რეჟიმში მიწევს მუშაობა, ძალიან ვხდები და საშინელებას ვემსგავსები.

**— მიუხედავად იმისა, რომ პოდიუმი ჯერჯერობით არ მოგნატრებია, „მას მოდაში" მაინც მონაწილეობდი...**

— მართალი ხარ. რაც ტელეჟურნალისტად ვმუშაობ, „მას მოდა" პირველად გაიმართა და მეც შემომთავაზეს მასში მონაწილეობა, რასაც სიამოვნებით დავთანხმდი. კულისებში აბსოლუტურად ყველა ჟურნალისტი ნერვიულობდა, მე კი მშვიდი სახით ვიჯექი. თუმცა ამ პროექტში აბსოლუტურად სხვა ამპლუაში ვიყავი და მაინც გარკვეული გამოცდილების მომტანი იყო ჩემთვის. თანაც, უამრავი ჩემი კოლეგა გავიცანი. მომავალშიც აუცილებლად მივიღებ მონაწილეობას. ბევრ ჩვენებასა და კონკურსზე გამოვსულვარ, რომელსაც ორგანიზებულობა აკლდა, „მას მოდაში" კი ყველაფერი წინასწარ კარგად იყო დაგეგმილი.

**— ადრე ხშირად ამბობდი, — სამწუხაროდ, შეყვარებული არა ვარ და ძალიან მაინტერესებს, როგორია ეს გრძნობაო. ახლა კი ყველამ უეცრად შეიტყო, რომ შეყვარებული ყოფილხარ. რატომ მალავდი ამ ამბავს?**

— ახლა არაფერს აღარ ვმალავ. ვიდრე ორ ადამიანის ურთიერთობა გაურკვეველია და მათ მომავალი დაუგეგმავი აქვთ, პირად გრძნობებზე საქვეყნოდ საუბარი ძნელია. ახლა კი ხმამაღლა ვამბობ, — მყავს საყვარელი ადამიანი, ვახო მჭედლიძე, რომელიც ძალიან მიყვარს და ძალზე ბედნიერად ვგრძნობთ თავს ერთმანეთის გვერდით.

**— ერთმანეთი სად და როგორ გაიცანით?**

— ვახოს სურდა ჩემი გაცნობა. თავიდან ინკოგნიტოდ თაიგულებს მიგზავნიდა, მერე მესიჯებს მწერდა. რატომ გადავწყვიტე, არ ვიცი, რადგან უცხო ადამიანებს არასოდეს შევხვედრივარ, მაგრამ ვახოს შევხვდი. პირველივე შეხვედრისას ჩვენ შორის რაღაც ნაპერწკალი გაჩნდა. მეორე შეხვედრის შემდეგ კი არც ერთი დღე არ ყოფილა, რომ ერთმანეთი არ გვენახა.

**— როგორც ჩანს, მალე ააწყვეთ ურთიერთობა.**

— ძალიან მალე. ერთმანეთი იანვარში გავიცანით.

**— ერთმანეთის კარიერა როგორ მოგწონთ? როგორც ვიცი, ვახო სპორტსმენია, სპორტსმენების ცხოვრება კი, ისევე, როგორც ჟურნალისტების, საკმაოდ რთულია.**

— ვახოს ჩემი პროფესია ძალიან მოსწონს. არ ვიცი, რატომ, მაგრამ დილის 6 საათზე სამსახურში რომ მივდივარ, მას აუცილებლად ეღვიძება და მირეკავს. მერე ისევ იძინებს... მოკლედ, დილით დღის საუკეთესოდ დაწყებისთვის, ვახო სტიმულს მაძლევს.

**— არ გიყურებს ხოლმე ტელეეთერში?**

— მგონი, არა, მაგრამ რაც ეთერში ხდება, იმის შესახებ ყოველთვის ყველაფერი იცის. 8 საათზე იმედას რაღაცა რომ ვუთხარი და ვიცინეთ, ამის შესახებაც კი მკითხავს ხოლმე... არ ვიცი, საიდან იგებს ამ ამბებს. მოკლედ, ვახოს სახით, ჩემს ცხოვრებაში გაჩნდა ადამიანი, რომელსაც ჩემი მომავალი ნაბიჯების შესახებ უნდა მოვუყვე და ამას სიამოვნებით ვაკეთებ. ვახომ თავიდანვე იცოდა, ვისთან იჭერდა საქმეს და ეს არ გაუპროტესტებია. ისიც კარგად იცის, რომ წარმატებების მისაღწევად კიდევ ბევრი ნაბიჯი უნდა გადავდგა და მას ამასთან დაკავშირებით არანაირი პრობლემა არ აქვს. უბრალოდ, ხშირად რომ ვერ ვიცლი, ეს ამბავი აწუხებს ხოლმე. ისე კი, მგონი, მასაც სიამოვნებს, რომ რაღაც დოზით შემდგარი ადამიანი უდგას გვერდით და ისიც ითხოვს, რომ მის პროფესიაში ხელი შევუწყო.

**— რაგბიში ერკვევი?**

— არა. ერთხელ მასთან ერთად ვიყავი მისი გუნდის თამაშზე. თვითონ არ თამაშობდა. გვერდით დავუჯექი და თუ ის „ჯარიმა"-ს დაიყვირებდა, მეც იმავეს ვყვიროდი. ასე გამოვძვერი სიტუაციიდან. მერე რაღაცებს მიხსნიდა, მაგრამ კარგად ვერ გავიგე... დროთა განმავლობაში ალბათ გავერკვევი.

**— ხელზე ოქროს რგოლი გიკეთია. უკვე დაინიშნეთ?**

— ჯერჯერობით არა. ეს მხოლოდ ჩვენი სიყვარულის სიმბოლოა. დაქორწინებაზე წინასწარ საუბარი არ გვსურს. როცა ამას გადავწყვეტთ, მაინც ყველა გაიგებს.

**— ერთმანეთის ოჯახებს თუ იცნობთ და როგორი დამოკიდებულება გაქვთ?**

— მიუხედავად იმისა, რომ ცოტა ხანია, რაც ერთმანეთს ვიცნობთ, ერთმანეთის მშობლებსაც ვიცნობთ და უკვე ჩვენი მშობლებიც იცნობენ ერთმანეთს. ჩემს მშობლებს ძალიან მოსწონთ ვახო. მათ აზრს ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს და მიხარია, რომ მათ ვახო მოსწონთ. მგონი, მის მშობლებსაც მოვწონვარ; რატომ არ უნდა მოვწონდე (*იცინის*)?! იმედია, ყველაფერი მომავალშიც ასე გაგრძელდება. ■



რატომ გადავწყვიტე, არ ვიცი, რადგან უცხო ადამიანებს არასოდეს შევხვედრივარ

# შოუბიზნესიდან — სკვერების გაშენებამდე, შარდენიდან — ბარსელონამდე...

## „იქ უფრო პასიური ცხოვრება მაქვს, ვიდრე თბილისში“

**რამდენიმე წლის წინ, ის შოუბიზნესის აქტიური წევრი გახლდათ. უამრავ საინტერესო ივენთსა და წვეულებას მართავდა. გარდა ამისა, განსხვავებული ჩაცმის სტილითა და იმიჯითაც გამოირჩეოდა. მერე გათხოვდა. იმის გამო, რომ მეუღლე ესპანეთში საქმიანობდა, საქართველოდან გამგზავრება მოუხდა და ბარსელონაში დასახლდა. ერთი თვის წინ კი ქართული მოდის სამყაროში ისევ გამოჩნდა. „თბილისი ფეშენ ვიკის“ ერთ-ერთ ორგანიზატორსა და მენეჯერს, ნინო იოსელიანს სასაუბროდ შარდენის ქუჩაზე, საკუთარ ბარში ვეწვიეთ.**



თბილისში რომ აღარ ვჩანვარ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ აქტიური ცხოვრებით აღარ ვცხოვრობ

*ნათია ჟივიძე*

**— ნინო, კარგა ხანია, თბილისში არ გვინახავხარ...**

— თბილისში სხვადასხვა პროექტის განსახორციელებლად ჩამოვედი. აქ გვაქვს ფირმა, რომელიც ქალაქის გამწვანების სამსახურთან თანამშრომლობს. ერთობლივად ვქმნით საბავშვო სკვერებს, პარკებსა და სხვადასხვა ურბანულ ზონას. ამ საკითხთან დაკავშირებით, ესპანელ სპეციალისტებსა და დიზაინერებთან რამდენიმე შეხვედრა და მოლაპარაკება მქონდა. მათ გარკვეული რჩევები მომცეს. მერე შევარჩიე ავეჯი და აქ გამოვაგზავნე. ამჟამად მარჯანიშვილის ქუჩის რეკონსტრუქცია მიმდინარეობს. სწორედ იქ გაიხსნა რამდენიმე სკვერი და მათ მოწყობაში ვმონაწილეობდი. საახალწლოდ, პუშკინის სკვერში მანათობელი დათვები, ხოლო პარლამენტის შენობის წინ მანათობელი ირმებიც ჩვენი გაკეთებული იყო. მოკლედ, ამ სფეროს განვითარებაში ჩემი წვლილი შემაქვს. გარდა ამისა, „თბილისი ფეშენ ვიკშიც“ ვმონაწილეობდი და ესეც სამშობლოში ჩემი ჩამოსვლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო.



გამიჩნდა იდეა, მსგავსი ბუტიკი ბარსელონაშიც გავხსნა

**— რა სახით მონაწილეობდი?**

— უამრავი „ავთა ფართი“ იყო დაგეგმილი და ყველას ორგანიზატორი და მენეჯერი გახლდით. ამავე დროს, საფრანგეთიდან ჩამოვიყვანე პრომო-სტილის წარმომადგენლები. ეს არის „ტრენდ ბიურო“, რომელიც მოდის ტენდენციებს 2 წლით ადრე ჭვრეტს და აქვეყნებს. წამყვანი დიზაინერები და მოდის სახლები სწორედ მათი ტრენდებით ხელმძღვანელობენ. მათ საქართველოში სემინარები ჩაატარეს. მოკლედ, თბილისში რომ აღარ ვჩანვარ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ აქტიური ცხოვრებით აღარ ვცხოვრობ, რადგან სხვადასხვა პროექტზე ვმუშაობ, თბილისსა და ესპანეთს შორის.

**— „თბილისი ფეშენ ვიკი“ როგორ მოგეწონა?**

— მიმაჩნია, რომ ქართველმა დიზაინერებმა ძალზე საინტერესო კოლექციები წარმოადგინეს. სწორედ ამიტომ, ორგანიზატორების გადაწყვეტილებით, შარდენის ქუჩაზე „თბილისი ფეშენ ვიკის“ ბუტიკი გაიხსნა. გარდა ამისა, გამიჩნდა იდეა, მსგავსი ბუტიკი ბარსელონაშიც გავხსნა, სადაც ქართველი დიზაინერების შერეულ კოლექციებს შევიტან.

**— ვიდრე საცხოვრებლად ესპანეთში გადახვიდოდი, უამრავ საინტერესო წვეულებას აწყობდი. ბოლო პერიოდში შოუბიზნესი საკმაოდ ჩამკვდარია. ამ საქმიანობის ნოსტალგია არ გაქვს?**

— ბოლო დროს მგონი, ეს სფერო ისევ ილვიძებს. ამის მაგალითი — „ფეშენ ვიკია“. წვეულებების ნოსტალგია, რა თქმა უნდა, მქონდა. სწორედ ამის გამო გადავწყვიტე, ესპანეთში „შარდენ ბარის“ სტილის ბარი გავაკეთო, რომლის გახსნაც შემოდგომისთვის იგეგმება. შესაბამისად, იქ მექნება მსგავსი საღამოების მოწყობისა და საკუთარი თავის რეალიზების საშუალება. ისე, მთელი ზაფხულის მანძილზე თბილისშიც არაერთი საინტერესო ღონისძიება მოეწყობა.

**— ადვილია, სხვა ქვეყნიდან ჩასულმა ადამიანმა ესპანეთში ბიზნესი წამოიწყოს?**

— ადვილი ნამდვილად, არ არის. საბუთი და იქაური რეზიდენცია უნდა გქონდეს, რომ ბიზნესის წამოწყების ნებართვა მოგცენ. საბედნიეროდ, მე და ჩემს მეუღლეს ყველანაირი საბუთი წესრიგში გვაქვს.

**— იქ ბარის გაკეთება ალბათ ძალიან ძვირი ჯდება.**

— მცდარი წარმოდგენა გაქვს. ბევრად იაფი ჯდება, ვიდრე — საქართველოში. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე, ჩემი კიდევ ერთი ბარი ბარსელონაში გამეხსნა და არა — თბილისში. მით უმეტეს, რომ იქაური ბარი გაცილებით მეტ შემოსავალს მომიტანს. თან, იქ ვცხოვრობ და მისი მეთვალყურეობა უფრო გამიადვილდება.

**— ბარის გახსნისთვის ალბათ გრანდიოზულ წვეულებას მოაწყობ.**

— ეს ჯერჯერობით არ მომიფიქრებია. გააჩნია, იმ დროს როგორ ხასიათზე ვიქნები... ახლა ბარის მოწყობაზე ვზრუნავ და მაგ საკითხზე მერე ვიფიქრებ.

**— ძალიან საინტერესოა, როგორია შენი ერთი ჩვეულებრივი დღე ესპანეთში...**

— იქ უფრო პასიური ცხოვრება მაქვს, რადგან იმდენი საქმე არ მაქვს, რამდენიც თბილისში. უფრო მეტ დროს შვილებს ვუთმობ. სამწუხაროდ, აქ ყოფნის დროს, მათთან ბევრ დროს ვერ ვატარებ და ეს საკითხი ძალიან მაწუხებს. სამაგიეროდ, ბარსელონაში სულ მათთან ვარ. ჩემი ბიჭები 4 და 3 წლისანი არიან. დილით ბაღში მიმყავს, მერე სხვადასხვა ცენტრში დავდივარ, ერთგან ვვარჯიშობ, მეორეგან — მასაჟს ვიკეთებ, მოკლედ, თავს ვუვლი. კარგ ამინდში ზღვის სანაპიროსა და აუზსაც ხშირად ვსტუმრობ.

**— როგორია შენი ჩაცმის სტილი?**

— ტანსაცმელს ძირითადად, ბარსელონაში ვყიდულობ. საქართველოში მხოლოდ თამუნა ინგოროყვას მიერ შეკერილი სამოსის მომხმარებელი ვარ. თანამედროვე სტილი მიყვარს. სპორტულ-კლასიკურ სტილში ყველაზე კომფორტულად ვგრძნობ თავს. მაგალითად, მიყვარს კაბა, რომელიც ყოველდღიურად სპორტულ ფეხსაცმელთან ერთად გაცვია, სალამოს კი მაღალქუსლიანებს ჩაიცვამ და წვეულებაზე წახვალ...

**— ისეთი შემთხვევა თუ ყოფილა, რომ ბარსელონიდან თამუნა ინგოროყვასთვის დაგირეკავს და რაიმე სამოსი შეგიკვეთავს?**

— როგორ არა?! ასეთი შემთხვევა უამრავჯერ ყოფილა. მხოლოდ ფერი მითქვამს, ხოლო მის სტილზე თამუნას უზრუნია. მის გემოვნებას აბსოლუტურად ვენდობი, რადგან ბარსელონიდან ჩამოსულს დამხვედრია ისეთი კაბა, როგორიც მინდოდა, თან — ზუსტად ჩემს ტანზე შეკერილი.

**— შენი მეუღლე რას საქმიანობს?**

— გიორგი სამშენებლო ბიზნესშია და საკუთარ პროექტებზე მუშაობს.

**— მისი კომპანიაც თანამშრომლობს საქართველოსთან?**

— ჯერჯერობით არა, მაგრამ გამორიცხული არ არის, მომავალში რაიმე მსგავსი პროექტი განახორციელოს.

**— გიორგი შენს საქმიანობას როგორ უყურებს?**

— ძალიან მოსწონს. ხანდახან კი წუხს იმის გამო, რომ სულ შინიდან გასული ვარ და მას ნაკლებ დროს ვუთმობ, თუმცა ასე მხოლოდ საქართველოში ყოფნის დროს ხდება.

**— ბარსელონაში საკუთარი სახლი გაქვთ?**

— ჩვეულებრივ კორპუსში ვცხოვრობთ, რომელსაც თავისი პორტიე ჰყავს. ის ბინა ჩემი გემოვნებით არის მოწყობილი და სიმართლე რომ გითხრათ, ძალიან მომწონს.

**— ესპანეთში როგორ ერთობით?**

— თბილისში იმდენად აქტიური ცხოვრებით ვცხოვრობ, რომ ბარსელონაში ძირითადად, ვისვენებ. თუმცა ბარ-რესტორნებსაც არცთუ იშვიათად ვსტუმრობთ. სადმე დასასვენებლადაც მივდივართ ხოლმე. გარდა ამისა, ყოველ ზაფხულს უამრავი ჩემი ახლობელი და მეგობარი ჩამოდის ჩვენთან სტუმრად და ჩემს სახლში სულ ჟრიამულია. საბედნიეროდ, იმხელა ბინა გვაქვს, რომ სტუმრები ჩვენთან რჩებიან ხოლმე. ივლისში ჩემი დებიც ჩამოვლენ დასასვენებლად.

**— ესპანელები როგორი ხალხია?**

— მიმაჩნია, რომ ესპანელები ქართველებს ჰგვანან, რადგან ძალიან თბილი, სტუმართმოყვარე და ხელგაშლილები არიან. აქედან გამომდინარე, მათ და ქართველებს შორის უამრავი საერთო თვისებაა. ძალიან მომწონს ესპანელი ხალხი. უამრავი მეგობარიც შევიძინე.

**— ვიცი, რომ ადრე ჯერ ამერიკაში სწავლობდი, მერე — პარიზში. ესპანეთშიც ხომ არ გაიღრმავე ცოდნა რომელიმე სფეროში?**

— როგორ არა?! იქ რომ ჩავედი, ესპანური, ფაქტობრივად, არ ვიცოდი, ამიტომ ენის კურსები გავიარე და სულ ახლახან დავასრულე სწავლა. ახლა ვაპირებ, მოდის კომუნიკაციისა და მარკეტინგის მასტერი გავაკეთო. ეს ერთწლიანი კურსია, რომელიც ძალზე საინტერესოა. იქ სწავლას ალბათ იანვრიდან დავიწყებ. ეს პროფესია თბილისში არც ისწავლება, ამიტომ მგონია, რომ ამ ცოდნას საქართველოშიც გამოვიყენებ. „თბილისი ფეშენ ვიკის“ საორგანიზაციო ჯგუფს უამრავი იდეა გვაქვს, გვინდა, მოდა უფრო განვავითაროთ საქართველოში და ამისთვის ჩემი ცოდნა გამომადგება.

**— სამშობლოს კიდევ როდის ეწვევი?**

— არ ვიცი, ალბათ შემოდგომაზე, როცა კიდევ ერთი „ფეშენ ვიქი“ გაიმართება.

■




# ვის მიიჩნევს ყველაზე კარგ პარტნიორად ვახო სანაია და ტელეწამყვანის საჯაროდ დადებული პირობა

**ის 25 წლისაა და უკვე საკმაოდ საინტერესო, თანაც ტკივილით სავსე ბიოგრაფია აქვს. მართალია, დღეს თავს ბედნიერ ადამიანად მიიჩნევს, მაგრამ ვერსად გაურბის იმ ტრაგიკულ მომენტებს, რომელიც ბავშვობიდან მისი თანამდევი გახდა. პატარა გულრიფშელ ბიჭს ბედმა ჯერ ომის საშინელება გადაუშალა თვალწინ, შემდეგ მშობლიურ კუთხესა და ბავშვობას მოსწყვიტა, ბოლოს კი მის თითქოს აწყობილ და განათებულ სიჭაბუკეს ძმის დაკარგვით გამოწვეული მწარე ტკივილი არგუნა. ტელევიზიით „სენით" შეპყრობილს, ყველაფრის მიუხედავად, რწმენა არ დაუკარგავს, შრომობს დაუღალავად, მიღწეულით არასდროს კმაყოფილდება და იმ შემთხვევაში, თუ მის თავისუფლებას საფრთხე ემუქრება, რადიკალურ ნაბიჯებს დგამს. ვახო სანაიამ 4 ტელეკომპანია გამოიცვალა და, როგორც თავად ამხელს, ამბიციების „თანხლებით", წინსვლაზეა ორიენტირებული. სულ ცოტა ხნის წინ, სკანდალური სპეცრეპორტაჟის შემდეგ, ჟურნალისტი ტელეკომპანია „იმედიდან" წავიდა და მაყურებელს უამრავი კითხვა დაუტოვა. ამჟამად საზოგადოებრივ მაუწყებელზე ამზადებს რეპორტაჟებს და პარალელურად, რადიოგადაცემას — „თავისუფალი მიკროფონი" — უძღვება. საუბარს ბავშვობის მოგონებით იწყებს:**

*ნანა ფიცხელაური*

— საინტერესო ბავშვობა მქონდა, ლამაზი დეტალებით „დახუნძლული". მერე იყო ომი... აფხაზეთიდან ვართ და კარგად მახსოვს, როგორ დაიწყო კონფლიქტი. იმ დროს 7 წლის ვიყავი... ბავშვობის დროინდელი შეგრძნებები ყველაზე ძლიერია... ყველაფერი ჩემ თვალწინ ხდებოდა. 8 წლის ვიყავი, აფხაზეთი რომ დავტოვეთ. გულრიფშიდან ბოლო გემით წამოვედით 1993 წლის 27 სექტემბერს — სოხუმის დაცემის დღეს. იყო ტრაგიკული ფაქტები, მაგრამ მაინც საინტერესო ბავშვობა მქონდა. ალბათ სიცოცხლის ბოლომდე არ დამავიწყდება გემი, რომლითაც მშობლიურ კუთხეს ვტოვებდი. საღამო ჟამი იყო და ვხედავდი დაცემულ სოხუმს ჩამავალი მზის ფონზე. ეს კადრი სამუდამოდ შემორჩა ჩემს მეხსიერებას და ამით დასრულდა ჩემი ბავშვობის ერთი ეტაპი. გამოცვლილი მაქვს დაახლოებით 11 სკოლა: აფხაზეთის შემდეგ, სანამ თბილისში დავმკვიდრდებოდით, დროდადრო სხვადასხვა რეგიონში გვიწევდა ცხოვრება. ამ გარემოებამ ძალზე ბევრი ნაცნობი შემძინა, მსოფლიოში ყველაზე მეტი თანაკლასელი მყავს და ამითაც ბედნიერი ვარ (*იცინის*).

— **როდის გადაწყვიტე, ჟურნალისტი გამხდარიყავი და პროფესიის არჩევაში იქონია თუ არა გავლენა შენი ძმის, გიორგის ფაქტორმა?**

— ბავშვობაში მინდოდა, სპორტული კომენტატორი გამოვსულიყავი. დამეთანხმებით, ის ახლოსაა ჟურნალისტიკასთან. სიმართლე გითხრათ, სხვა პროფესიაზე არც მიფიქრია. ეს ყველაფერი ბუნებრივად მოხდა. 17 წლისამ ჩავაბარე სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე, გიორგის გარდაცვალებიდან მეორე ზაფხულს. ეს ჩვენი ოჯახისთვის უდიდესი ტრაგედია იყო, ფაქტობრივად, მდგომარეობიდან გამოსული არ ვიყავი. რა თქმა უნდა, ამანაც გარკვეული წვლილი შეიტანა ჩემს პროფესიულ არჩევანში. მაგრამ ეს ფაქტორი ჩემს სურვილსაც დაემთხვა. სხვათა შორის, გიორგი 26 ივლისს დაიღუპა და მომდევნო წლის 26 ივლისს მქონდა ბოლო გამოცდა; რაღაც სიმბოლური დამთხვევა იყო...



— **ტელესაქმიანობა კომპანია „მზეში" დაიწყე, თუ არ მეშლება...**

— სტუდენტებს ზაფხულობით სხვადასხვა ტელევიზიაში ანაწილებდნენ და რამდენიმე ათეულ „ბავშვთან" ერთად, „მზეში" მოვხვდი. იქ მოხდა, ასე ვთქვათ, ჩემი ჟურნალისტური ნათლობა. 17 წლიდან დაიწყო ჩემი პრაქტიკა და ახლა უკვე 25 წლის ვარ. ვამაყობ იმით, რომ რამდენიმე თვე უხელფასოდ გავატარე, მაგრამ 24-საათიან რეჟიმში ვმუშაობდი. გარს პროფესიონალები მეხვია და ვცდილობდი, რაც შეიძლება მეტი მესწავლა მათგან. შტატიან კორესპონდენტობაზე ვოცნებობდი... ამასობაში ბევრი მეგობარი შევიძინე და მათი დახმარებითა და ჩემი რამდენიმეთვიანი რუტინული შრომის შემდეგ, შტატშიც ჩამსვეს. მართალია, უზომოდ მიყვარს რადიო, მაგრამ ყოველთვის ტელევიზიისკენ მიწევდა გული. ახლაც, ტელევიზიის პარალელურად, საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე ვამზადებ რადიოგადაცემას „თავისუფალი მიკროფონი". ჩემი ძმა ტელევიზიაში პრესიდან მივიდა. პრესას კიდევ, სხვა ხიბლი და სიღრმე აქვს, ამიტომ გიორგი ყოველთვის ამბობდა, გამიმართლაო. პრესას მეც დიდად ვაფასებ და მიმაჩნია — თუ იქ მუშაობის გამოცდილება გაქვს, შესანიშნავია. თავად, არ მიმუშავია, მაგრამ დიდ ყურადღებას ვაქცევ და სატელევიზიო საქმიანობაშიც ვიყენებ, მაგრამ ტელეჟურნალისტიკა ჩემთვის ყოველთვის მთავარი იყო და იქნება... ჩემთვის მოულოდნელად, ერთხელაც „მზის" ეთერში დავჯექი და საინფორმაციო გამოშვება წავიყვანე. მაშინდელმა ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ასე და მგონი, მას იმედი გავუმართლე. ამას მოჰყვა ორსაათიანი „მზერა", შემდეგ კი — შემოთავაზება „რუსთავი 2"-დან.

— **ამბობენ, ამ ტელევიზიაში შენი მიწვევით, კომპანიის ხელმძღვანელობამ „ხარკი გადაიხადაო": გიორგიმ ხომ მკვლელობის დღეს, თავისი ბინის გასაღები სამსახურში დაკარგა...**

— მე თავიდანვე შემომთავაზეს და შემეძლო, პრაქტიკაზე „რუსთავი 2"-ში მივსულიყავი, მაგრამ მინდოდა, „მზეზე" შევმდგარიყავი წამყვანად და შემოთავაზებაზე უარი ვთქვი. იქ მთავარი საინფორმაციო გამოშვება მიმყავდა, ეთერში ახალი დამჯდარი ვიყავი, მიმაჩნდა, რომ ძალიან კარგ, მაღალრეიტინგულ

ტელეკომპანიაში მოვხვდი და მსურდა, იქ გამეგრძელებინა მუშაობა. ერთი წლის შემდეგ „რუსთავი 2“-მა კვლავ შემომთავაზა თანამშრომლობა, რასაც დავთანხმდი. ვფიქრობდი, რომ რაღაც ეტაპი გავიარე და ახალი უნდა დამეწყო. „კურიერი“ მიმყავდა და ამასთანავე, რეპორტიორიც ვიყავი. შემდეგ, საავტორო გადაცემას — „არჩევანი“ — ვუძღვებოდი. იქ 2 წელი ვიმუშავე.

**— „რუსთავი 2“-დან რატომ წამოხვედი?**

— ცხოვრებაში ყოველთვის დგება მომენტი, როცა რაღაც ეტაპი მთავრდება და ახალს იწყებ, მაგრამ გენერალური ხაზი შენარჩუნებულია. მგონია, რომ ყოველთვის აბსოლუტურად სწორ გადაწყვეტილებას ვიღებდი. ვიყავი რადიო „უცნობში“, მიმყავდა საავტორო გადაცემა „კითხვის ნიშანი“ და მუდამ მქონდა კონტაქტი მსმენელთან — რეკავდნენ, კითხვებს მისვამდნენ, ვმსჯელობდით პოლიტიკურ საკითხებზე... ამის შემდეგ იყო ახალი ეტაპი — ტელეკომპანია „იმედსა“ და რადიო „იმედში“, სადაც პარალელურად ვამზადებდი გადაცემას „საქართველო და მსოფლიო“. ტელეეთერში მთავარი საინფორმაციო გამოშვება მე და მანანა მანჯგალაძეს მიგვყავდა. ეს ჩემს ცხოვრებაში მართლა მნიშვნელოვანი პერიოდი იყო. ძალიან მიყვარს მანანა, რომელიც არა მარტო კარგი მეგობარი, არამედ შესანიშნავი და საინტერესო პარტნიორია, ამიტომ ძალიან სასიამოვნოა ეთერში მასთან წყვილში მუშაობა. იმ პერიოდში ძალიან დატვირთული ვიყავი, თითქმის სულ ეთერში ვიჯექი: იყო „დღის ქრონიკა“ და მიმყავდა ყველაზე მაღალრეიტინგული გადაცემა — „სპეციალური რეპორტაჟი“. ამ გადაცემას ბევრი მაყურებელი ჰყავდა.

**— ამავე დროს იყო საკმაოდ სკანდალურიც... და როგორც გამოიკვეთა, ვახო სანაია სწორედ ამ გადაცემას „შეეწირა“, კერძოდ — რუსეთის პატრიარქზე გაკეთებულ რეპორტაჟს, რომლის შემდეგაც დატოვე კიდეც „იმედი“.**

— ამაზე ბევრი დაიწერა... ფაქტია, რომ მე წამოვედი ტელეკომპანიიდან. ითქვა რაღაცები და არა მაქვს სურვილი, ამ თემას მივუბრუნდე.

**— იქნებ მაინც მიპასუხო — შეესაბამება თუ არა სიმართლეს ის, რომ იმ დაკვეთილი რეპორტაჟის შემდეგ „იმედიდან“ წასვლის გადაწყვეტილება თავადვე არ მიგიღია და ამის სანაცვლოდ, დიდი თანხა შემოგთავაზეს?**

— არასდროს არავის დაკვეთა არ შემისრულებია. მივიღე აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება — ავდექი და წამოვედი საზოგადოებრივ მაუწყებელში. კომპენსაციას რაც შეეხება: ეს მორიგი ჭორია, რომელიც პირველად შევიტყვე. ვერ ვხვდები, ფული რატომ უნდა გადაეხადათ?.. ერთი წამითაც არ ვნანობ ამ ნაბიჯს და არც იმ რეპორტაჟს. ეს იყო გადაცემა რუსეთის პატრიარქზე, რომელმაც დალოცა ის არმია, რომელიც ქართულ სოფლებს ბომბავდა და ჩვენი ბავშვები შეიწირა. რეპორტაჟი რომ საინტერესო გამოვიდა, ეს რეიტინგში აისახა. ის თავიდან ბოლომდე ფაქტებზე იყო აგებული, იქ არც ერთი ვარაუდი არ ყოფილა გამოთქმული. ყველა რესპონდენტი, ერთის გარდა, რუსი იყო. თვითონ რუსები საუბრობდნენ ამ ფაქტზე, არაფერი ყოფილა შეურაცხმყოფელი, პირიქით — ძალზე ავტორიტეტულ გამოცემებსა და რესპონდენტებს ვეყრდნობოდით. ამ გადაცემას ბევრი კრიტიკა მოჰყვა. კრიტიკა ყოველთვის იქნება და ღმერთმა ქნას, რომ გადაცემას შექება ან კრიტიკა მოჰყვებოდეს: ყველა ერთნაირად ხომ არ იფიქრებს?! საშინელებაა, თუ შეთავაზებულ პროდუქტს ყველა აქებს ან აძაგებს... იყო არაჯანსაღი გამოხმაურებებიც, მაგრამ უფრო მეტი — ჯანსაღი. დამოუკიდებელი ადამიანი ვარ და დამოუკიდებლად ვიღებ გადაწყვეტილებებს.

**— ვახო, 4 ტელეკომპანია გამოიცვალე. ამიტომ საინტერესოა, თავად როგორ ფიქრობ — ყველაზე მეტად, სად შედგა ვახო სანაია, როგორც ჟურნალისტი?**

— ყოველთვის დარწმუნებული ვარ იმაში, რასაც ვაკეთებ და რყევები არ მახასიათებს. არასდროს მიფიქრია, — მე რომ ახლა ეთერში ვზივარ ან ამ სიუჟეტს ვაკეთებ, ვარ კი ამის ღირსიმეთქი?.. ასე რომ იყოს, არც გადავდგამდი ამ ნაბიჯს. როდესაც ეთერში ვჯდებოდი, ვფიქრობდი და თავს ვარწმუნებდი, რომ ეს დავიმსახურე და კიდევ უფრო მეტს ვიმსახურებ. თუ ერთი წუთით მაინც გამიჩნდა ეჭვი, რომ მე არ უნდა მიმყავდეს ის გადაცემა, მაშინ არც უნდა გამოვჩნდე იმ ადგილას.

**— როგორი ამბიციური ყოფილხარ!**

— (*იცინის*) ხშირად გამიგონია ჩემ შესახებ, — ვახო ამბიციურიაო. დიახ, ასეცაა. ამბიცია არ არის ცუდი, პირიქით, თუ ადამიანს ამბიცია არა აქვს, ვერაფერს მიაღწევს, შეიძლება, წინ ვერ წავიდეს. ოღონდ, ამბიცია აბსოლუტურად ჯანსაღი უნდა იყოს. ყველა ტელეკომპანიაში, სადაც ვმუშაობდი, სულ იმას ვფიქრობდი, რომ ამას ვიმსახურებდი და სადაც ვიყავი, ყველგან ვფიქრობდი, რომ შემდგარი ტელეჟურნალისტი ვიყავი. ოღონდ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თვითკმაყოფილებაში გადავვარდე და განვითარებაზე არ ვიფიქრო. სულ იმის ცდაში ვარ, გუშინდელზე მეტი გავაკეთო, უკეთ გავაკეთო და არასდროს ვკმაყოფილდები შედეგით. ადამიანმა, მით უმეტეს ტელეჟურნალისტმა საკუთარ თავზე უნდა იმუშაოს, არასდროს უნდა მოდუნდეს. ამას ყოველდღიურად, ცოდნის გაღრმავებით ვცდილობ. ტელევიზია ის სფეროა, სადაც ყოველდღიურად ახალი ტექნოლოგიები და ფორმები იკიდებს ფეხს და არ გაქვს იმის უფლება, ამ პროცესს ჩამორჩე. იმას, რაც დღეს განვითარებულ სამყაროში ხდება, თუ წინ ვერ უსწრებ, ფეხდაფეხ მაინც უნდა მისდიო. ამას ვცდილობ 24 საათის განმავლობაში. იმისათვის, რომ იყო წარმატებული ჟურნალისტი, ბევრი უნდა იკითხო. გიორგი ჩემზე 10 წლით უფროსი იყო, ბევრს კითხულობდა და მეც სულ იმავეს მირჩევდა. ერთადერთი, რაშიც ფულის გადახდა არ მენანება, წიგნია. როგორც პოლიტიკური მიმართულების ჟურნალისტი, ვცდილობ, ამ მხრივ განვვითარდე და პოლიტიკურ თემებზე არსებული მასალები ვიკითხო და ვიკითხო.

**— ბევრი ჟურნალისტი წავიდა პოლიტიკაში და, შემთხვევით, შენც ხომ არ გაგიტაცა ამ სფერომ?**

— ამწუთას მომავალზე ვერ ვისაუბრებ, ვინაიდან მგონია, რომ ვარ იქ, სადაც უნდა ვიყო და ვაკეთო საყვარელი საქმე. საზოგადოებრივ მაუწყებელზე ვაკეთებ „რეპორტაჟს“, რომლის ორი გამოშვება უკვე გავიდა ეთერში. იცი, რა მახასიათებს? რაც უნდა კარგი გამოვიდეს გადაცემა, ვცდილობ, მომდევნო იმაზე უფრო მაგარი იყოს. მაუწყებელზე ჩემი პირველი გადაცემა — „ავღანეთიდან რეპორტაჟი“ — მართლა კარგი გამოვიდა, როგორც სტუდიური გაფორმებით, ასევე შინაარსით. მომდევნო გადაცემები მინდა, უფრო უკეთესი იყოს. 11 ივნისიდან, მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებასთან დაკავშირებით, მართალია, გადაცემები წყდება, მაგრამ ეს ჩემს რეპორტაჟს არ ეხება, ის ჩვეულ რეჟიმში გაგრძელდება.

**— გატყობ, ბედნიერი ხარ, ისეთი ალტაცებით საუბრობ...**

— მართლა, 24 საათი მიწევს შრომა და ეს დიდი ბედნიერებაა. ვუსურვებ ყველა ქართველს, დასაქმებული იყოს. მიმაჩნია, რომ ადამიანი მაშინ არის ბედნიერი, როცა ბევრი საქმე აქვს, ხოლო როცა საყვარელ საქმეს აკეთებ, ორმაგად ბედნიერი ხარ.

**— შენი აზრით, როგორია დღეს**


მე და მარიკა ძალზე ბედნიერები ვართ და ტკბილად ვცხოვრობთ ჩვენს შვილებთან — 3 წლის სალომესთან და 2 წლის ნუცასთან ერთად

**ჟურნალისტიკაში თავისუფლების ხარისხი და პირადად შენ თავისუფლად თუ გრძნობ თავს?**

— თავისუფლება რაღაც, რწმენასავითაა. იყო დრო, როდესაც ქრისტიანობას დევნიდნენ, მაგრამ ასეთ ადამიანს ჰქონდა შინაგანი რწმენა, შინაგანად იყო თავისუფალი. იდეალური სიტუაცია არასდროს იქნება. ყველა პოლიტიკოსი ოცნებობს იმაზე, რომ ჟურნალისტი შეზღუდოს, ასე ხდება ყველა ქვეყანაში. მთავარია, შენ როგორ მოქმედებ. ვფიქრობ, მე ჯერ თავისუფალი ადამიანი ვარ და მერე — თავისუფალი ჟურნალისტი. თავისუფლება ჩემთვის არ არის კოლექტიური ცნება, ის გულისხმობს დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს და როდესაც ჩემს თავისუფლებას რაიმე ემუქრება, ყოველთვის დამოუკიდებლად ვიღებ ადეკვატურ გადაწყვეტილებას.

**— რაიმეს ხომ არ ნანობ?**

— რაზეც ყველაზე მეტად მწყდება გული, ის არის, რომ მგონია, დღე-ღამეში ცოტა დროა.

**— თქვი, 24-საათიან რეჟიმში ემუშაობო. გამოდის, შვილებისთვის დრო აღარ გრჩება... საერთოდ, როგორი მამა ხარ? ადრე მოეკიდე ოჯახს და ბოლომდე თუ გაქვს გაცნობიერებული მამის როლი?**

— მართალია, ოჯახს ადრე მოვეკიდე, მაგრამ სიყვარული მოვიდა ადრე: 20 წლის ვიყავი, როცა მე და მარიკა დავქორწინდით, გვყავს ორი შვილი და ვცხოვრობთ ძალიან ბედნიერად. მარიკა „ჟურნალისტის დღიურში" ამზადებს რეპორტაჟებს.

**— ქალაქში ხმა გავრცელდა — მეუღლეს გაეყარაო...**

— მეც გავიგე ეს ჭორი... ბევრი ტყუილი დაიწერა ჩვენი ოჯახის შესახებ. მართალია, არ მიყვარს პირად ცხოვრებაზე ლაპარაკი, მაგრამ უნდა გითხრა, რომ მე და მარიკა ძალზე ბედნიერები ვართ და ტკბილად ვცხოვრობთ ჩვენს შვილებთან — 3 წლის სალომესთან და 2 წლის ნუცისთან ერთად.



20 წლის ვიყავი, როცა მე და მარიკა დავქორწინდით

**— ვინ ზრუნავს მოუცლელი ტელეჟურნალისტების ბავშვებზე?**

— ძალიან ბევრი ადამიანი (*იცინის*), დედაჩემით დაწყებული — სიდედრით დამთავრებული. მიუხედავად იმისა, რომ ორივეს დატვირთული გრაფიკი გვაქვს, შვილებთან ურთიერთობას მაინც ვახერხებთ.

**— პოპულარობას უკვე მიაღწიე, კიდევ რაზე ოცნებობ?**

— ბევრ რაღაცაზე. შეიძლება, გაცვეთილ ფრაზას გავიმეორებ, მაგრამ ვიტყვი, რომ ძალიან მიყვარს ჩემი ქვეყანა და მის გაერთიანებაზე ვოცნებობ. მე ამის თქმის საფუძველი იმიტომაც მაქვს, რომ იმ კუთხის შვილი ვარ, რომელიც დღეს ჩვენ არ გვეკუთვნის; იმ მიწაზე დგას ჩემი სახლი, რომელშიც ხან ვინ ცხოვრობს, ხან — ვინ, ოღონდ მე — არა... სულითა და გულით მინდა იქ დაბრუნება, სადაც დავიბადე და 8 წელი გავატარე. იმის წარმოდგენაც არ მინდა, რომ ეს ოცნება არ ამიხდება. მჯერა, ასეც იქნება. „გამოუსწორებელი ოპტიმისტი" ვარ, მით უმეტეს, ამ საკითხში. ვოცნებობ ჩემი ოჯახის ბედნიერებასა და იმაზეც, რომ ჩემს საქმეში მეტ წარმატებას მივაღწიო. კარიერა ადამიანისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია და საერთოდ, საქართველო მინდა იყოს წარმატებული ადამიანების ქვეყანა. მაქვს ერთი დიდი ოცნებაც... თუმცა ამას ოცნებას ვერ ვუწოდებ, მიზანი უფროა: ჩემი ძმის მკვლელობის საქმის გახსნას ვგულისხმობ. დრო მოვა, ეს საქმე აუცილებლად გაიხსნება.

**— ახლა რა ან ვინ უშლის ხელს ამ საქმის გახსნას?**

— ბევრი რამ... ამ საქმეში მხოლოდ ჩემი თავის იმედი მაქვს. ეს არის ჩემი და ჩემი ოჯახის ყოველდღიური საფიქრალი, ვინაიდან გიორგის დაღუპვა ჩვენთვის უდიდესი ტრაგედია იყო. შეიძლება, ხურცილავამ სასხლეტს ხელი გამოჰკრა, ან არც გამოჰკრა — შემიძლია ორივე ვარიანტის დაშვება, — მაგრამ, მგონი, ეჭვი არავის ეპარება იმაში, რომ ეს იყო პოლიტიკური მკვლელობა. საქმეს და იმდროინდელ პოლიტიკურ ვითარებას თუ გადახედავთ, მიხვდებით, რომ ეს საქმე თეთრი ძაფით არის ნაკერი, იმდენი გაყალბებაა... გიორგის მკვლელობის უამრავი ვერსია მომისმენია, რაც კიდევ უფრო ამყარებს იმ აზრს, რომ ეს იყო პოლიტიკური მკვლელობა, თუმცა ბევრს ეცადნენ, საზოგადოებას ასე არ ეფიქრა... მაშინ 16 წლის ვიყავი და მომიკლეს ადამიანი, რომელიც ჩემთვის არა მარტო უფროსი ძმა, არამედ დიდი მეგობარი იყო, ჩემთვის ბევრი რჩევის მოცემა და დახმარება შეეძლო. ამ ტრაგედიამ დიდი დაღი დაასვა ჩემს ცხოვრებას და ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ ეს საქმე გაიხსნას. ეს პირობა მიცემული მაქვს ჩემი თავისთვის, ჩემი ოჯახისთვის და მათთვის, ვისაც გიორგი ყოველთვის ახსოვთ და ამ პირობას აუცილებლად შევასრულებ. ■

*მარინა ბაბუნაშვილი*

**ანა თბილი, ღიმილიანი და თვალებციმციმა გოგონაა. ეს ის ანა გახლავთ, პროექტ „ნიჭიერის" პირველივე გამოსვლაზე ყველას რომ დაამახსოვრა თავი — ჯერ ცრემლებით (უფროსი ძმის ავადმყოფობის გამო), მერე კი სელინ დიონის სიმღერის ძალიან კარგი შესრულებით...**

*ანა ხანჩალიანი თავიდან ყველას, სვანი ეგონა... ვინც კი „ნიჭიერს" თვალყურს ადევნებდა, ინტერნეტსაიტებზე ერთმანეთს ეკითხებოდა: გამაგებინეთ, ეს საოცარი ბავშვი სადაურიაო? ზოგი თავგამოდებით ირწმუნებოდა კიდეც — მისი წინაპრები ლენტეხიდან არიანო... არადა, ანას მშობლებიც და ბებია-ბაბუაც — თბილისელი სომხები გახლავან, კარგა ხნის განმავლობაში ავლაბარში, სომხური თეატრის მახლობლად ცხოვრობდნენ. მერე იქ ძველი შენობები დაინგრა და ხანჩალიანები გლდანში გადავიდნენ. დღეს ანა, ძმებთან, მშობლებთან, ბიძა-ბიცოლასთან და ბაბუასთან ერთად, 4-ოთახიან ბინაში ცხოვრობს. ბევრნი არიან, მშობლები არ მუშაობენ, უჭირთ, მაგრამ ყოველდღიურ პრობლემებს ერთად უმკლავდებიან. თავად ანა კი მის გვართან დაკავშირებით ატეხილ აჟიოტაჟზე ძალიან ხალისობს და ამას მიყვება:*

*— ჩემი ერთ-ერთი ახალშეძენილი მეგობრის დედა, მას შემდეგ, რაც „ნიჭიერში" გამოვჩნდი, კარგა ხანს ამტკიცებდა, ანი სვანიაო. თვითონაც სვანია და გულით უნდოდა, მეც „მისიანი" ვყოფილიყავი. ყველას, ვინც კი ეუბნებოდა, ხანჩალიანები სომხები არიანო, ეჩხუბებოდა, — თქვენ რას მასწავლითო?! ბოლოს, ჩვენთან მოვიდა და მკითხა, — გამაგებინე, სადაური ხარო? აშკარად, არ ელოდა ჩემგან ამ პასუხს. ჯერ გაკვირვებული მიყურა, მერე იხტიბარი მაინც არ გაიტეხა და თქვა: არა უშავს, სვანი და სომეხი — ორივე „ს"-ზე იწყება, ჩვენი გვარი კი — „იან"-ზე მთავრდებაო.*

*ისე, მართლაც — რა მნიშვნელობა აქვს, ვინ რა წარმომავლობისაა? რაც მთავარია, „ნიჭიერის" მართლაც, ძალიან ნიჭიერი ანა საქართველოს მოქალაქეა, ქართულად მშვენივრად ლაპარაკობს, უყვარს ყველა და ყველაფერი, რაც ქართულს უკავშირდება და ამ პროექტამდეც საერთაშორისო კონცერტებზე საქართველოს სახელით გამოსულა, გაუმარჯვია და უამაყია...*

*დღეს ანა ძალიან პოპულარულია. სადაც კი გამოჩნდება, თანატოლები*

# „ნიჭიერის“ ერთ-ერთი ნიჭიერი ანუ გოგონა, რომელიც ძალიან „მაგრად“ მღერის

*მაშინვე ავტოგრაფს სთხოვენ, მოზრდილები კი თბილად უღიმიან და დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. იგი რედაქციაში დედასთან ერთად გვესტუმრა. მარინა ხანჩალიანი 4 შვილის დედაა. მისი უფროსი ქალიშვილი, სოფო 26 წლისაა, გათხოვილია და ორი ვაჟი — ნოე და ანდრია ჰყავს. ისიც მღერის. ქმარი, ვალერი თინიკაშვილი მუსიკოსია. ისინი ბენდ „კერეულში“ უკრავენ. მარინას მეორე ვაჟი, არტური 25 წლისაა. სწორედ მის გამო ნერვიულობდა ანა კონკურსის დროს, ცრემლი რომ ვერაფრით შეიკავა... მესამე ვაჟი 15 წლის არმენია, ნაბოლარა კი — 14 წლის ანა. მარინა ამაყობს, რომ ოთხივე შვილს მუსიკალური ნიჭი აქვს: ეს ჩვენგან, მშობლებისგან გენეტიკურად გადაეცათო, — მეუბნება და იხსენებს ადრეულ წლებს, როცა მათი შვილები ლაპარაკზე ადრე სიმღერას იწყებდნენ:*

— როცა გავთხოვდი, რობერტის (ჩემი მეუღლის) დედა ერთი წლის გარდაცვლილი იყო. ქმრის ოჯახში ახალგაზრდა ქალის უდროო წასვლით ყველა დადარდიანებული გახლდათ. ჩემი და რობერტის უმცროსი ძმები კლასელები იყვნენ. ჩვენს გაცნობასა და დაახლოებას ცდილოდნენ. მერე, ჩემი მაზლი ჯარში ყოფნის დროს გარდაიცვალა და მეორე შვილს მისი სახელი დავარქვით... მიჭირდა, დამხმარე არავინ მყავდა, შვილებთან ერთად, კიდევ 3 მამაკაცს ვუვლიდი — ქმარს, მამამთილსა და ობლად დარჩენილ უმცროს მაზლს. ის 7 წლის იყო, როცა მათ ოჯახში შევედი. ძალიან მიყვარს, როგორც დედას, ისეთი ამაგი მაქვს მასზე. გაჭირვებას კი, ფიზიკურსა თუ მატერიალურს, მუსიკით ვუმკლავდებოდი. გავიღვიძებდი თუ არა, მაგნიტოფონს ჩავრთავდი და ბავშვები დაძინებამდე მუსიკას უსმენდნენ... ანა 5 წლის იყო, როცა ჩემი მეგობრის შვილის პედაგოგმა ყურადღება მიაქცია. მეგობრის შვილი მაშინ 12 წლის იყო, ფორტეპიანოზე უკრავდა, კონცერტზე გამოსასვლელად ემზადებოდა. დაკვრა რომ დაამთავრა, წამოდგა და ანაც მაშინვე ფორტეპიანოსთან გაჩნდა. პატარაობიდანვე ძალიან ცოცხალი და მოუსვენარი გახლდათ. სმენით ააწყო კლავიშებზე ის კლასიკური ნაწარმოები, რომელსაც ის გოგონა უკრავდა. პედაგოგი გაოცდა. სმენა გაუსინჯა ანას, მერე მომიბრუნდა და მითხრა, — ახლავე შეგიძლიათ, ბავშვი მუსიკალურ ათწლედში მოიყვანოთო. ანამ ჯერ ფორტეპიანოზე დაკვრა ისწავლა, ახლა კი, მესამე წელია, რაც ვიოლინოს ეუფლება.



**ანა:**

— ფორტეპიანოზე მეტად, ვიოლინოზე დაკვრა მიყვარს. პატარაობიდანვე ვოცნებობდი, ისეთი მევიოლინე გამოვსულიყავი, როგორიც ვანესა მეია. ძალიან გამიხარდა, როცა პედაგოგებმა მითხრეს, — ფორტეპიანოს კურსი წარმატებით დაამთავრე, ახლა კი ვიოლინოზე სწავლას გირჩევთო. როცა მუსიკალურ ათწლედს დავამთავრებ, კონსერვატორიაში, ვოკალის ჯგუფში ვაპირებ სწავლის გაგრძელებას...

**მარინა:**

— ანა მეორე კლასში იყო, როცა სამნაწილიანი საკონცერტო პროგრამა შეასრულა ორკესტრთან ერთად. მიუხედავად იმისა, რომ ფორტეპიანო კარგად იცის, მისი სუსტი წერტილი მაინც, ვიოლინო და სიმღერაა. კიდევ კარგი, ფალიაშვილის სახელობის პირველ ცენტრალურ სამუსიკო სასწავლებელში სწავლა უფასოა, თორემ ანა ამ ათწლედის მიღმა დარჩებოდა. არ მიყვარს წუწუნი. დღეს ისედაც ბევრს უჭირს და თავისი პრობლემაც უხვად აქვს, ჩემით რატომღა დავამძიმო?! ჩვენ სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების სიაში მოვხვდით და სახელმწიფოსგან დახმარებას ვიღებთ. უფროსი ქალიშვილი ცალკე ცხოვრობს, თავისი ოჯახი ჰყავს მისახედი. ახლა ანას იმედი გვაქვს. ყველა არა, მაგრამ ზოგიერთი კონცერტის შემდეგ რაღაც თანხას აძლევენ. ამას წინათ, „ვა-ბანკში“ დუეტამ მიიწვია ანა და მარიამ კახელიშვილი ერთად. 3 ათასი ლარი მოიგეს და შუაზე იყოფენ. ჩვენთვის ესეც ძალიან დიდი შეღავათია, ცოტას ამოვისუნთქავთ. „ვა-ბანკის“ ჩაწერის დროს, „ნიჭიერის“ სხვა მონაწილეებიც გულშემატკივრობდნენ ანას, და-ძმებიც და, რაღა თქმა უნდა, ჩვენ, მშობლებიც. როცა დუეტამ ჩემს ქმარს მოჰკრა თვალი, გაოცება ვერ დაფარა: ასე შვილი მამას დაემსგავსოს, პირველად ვხედავო. მერე, იგივე უთხრა ანასაც. ანამ კი, არც აცია, არც აცხელა და, — აბა, მეზობელს ხომ არ დავემსგავსებოდიო! — უპასუხა. ამაზე მთელმა დარბაზმა ბევრი იცინა. მართლაც, არა მარტო გარეგნობით, არამედ ხასიათითაც ძალიან ჰგავს ანა მამას. მასავით ემოციური და მგრძნობიარეა (თუმცა ამაში არც მე ჩამოვრჩები მეუღლეს), სწრაფი და ლოგიკური აზროვნების გასაოცარი უნარი აქვს. რთულ სიტუაციაში არასოდეს იბნევა. ერთხელ ანამ სიმღერის კონკურსში გაიმარჯვა და, როგორც გამარჯვებული, რამდენიმე დღით ერევანში გაგზავნეს. მაშინ 9 თუ 10 წლის იყო. მე და ჩემი უფროსი ვაჟიც ვახლდით. ერევნელების ცნობილ „კასკადზე“ ყოფნისას, ანა დაგვეკარგა. გაგიჟებული დავრბოდი აქეთ-იქით და ჩემს გოგონას ვეძებდი. ანამ კი მიიხედ-მოიხედა, დედა და ძმა რომ ველარ დაინახა, მივიდა პოლიციელების მანქანასთან და უთხრა, — დამეხმარეთ ჩემების მოძებნაში, დავიკარგეო. იმათ მეგაფონი მისცეს და ცოტა ხანში, მთელ პარკში ისმოდა ანას ხმა: დედიკო, არ შეგეშინდეს, მე გასასვლელთან გელოდებიო... ძალიან მგრძნობიარე რომ არის, ეგ

უკვე გამოჩნდა შესარჩევი ტურის დროს. მოგვიანებით, როცა მის პირველ გამოსვლას ვუყურე, იმდენი ვიტირე, დასამშვიდებლად, წამალი დავლიე. თურმე რამდენი უნერვიულია, მე კი ამ დროს მის გვერდით არ ვიყავი. საქმე ის გახლავთ, რომ ჩემს ვაჟს, არტურს რამდენიმე წლის წინ, სისხლში ცვლილებები აღმოაჩნდა. ვუმკურნალეთ და მისი მდგომარეობა გაუმჯობესდა. „ნიჭიერში“ ანას გასვლამდე 3 დღით ადრე არტური კვლავ ცუდად შეიქნა — ჰქონდა მაღალი სიცხე, დასუსტდა და მადა საერთოდ დაკარგა. მაგრამ ამჯერად, ანემია კი არა, ჩუტყვავილა აღმოაჩნდა და სანამ დაადგენდნენ, რა სჭირდა, ერთი სიკვდილი გავათავეთ. ამასობაში ანას მოუწია ამ მნიშვნელოვან პროექტში მონაწილეობამ და სცენაზე გასვლამდე მირეკავდა, — როდის მოხვალო?!. დავპირდი, — როგორც კი ექიმს დაველაპარაკები, მაშინვე შენთან წამოვალ-მეთქი, — მაგრამ დამაგვიანდა და როცა ოპერაში მივედი, ანას უკვე ნამღერი ჰქონდა.

**ანა:**

— შესარჩევ ტურში სულ სხვა სიმღერა უნდა მემღერა, მაგრამ სელინ დიონის რეპერტუარიდან ერთ-ერთი ამოვარჩიე და პროექტის ხელმძღვანელებს ვთხოვე, ნება დაერთოთ, რომ ეს მემღერა. გამიხარდა, როცა დამთანხმდნენ. მეორე ტურზე, ბიორკის სიმღერა შევასრულე. ყველა ამბობდა, რთული სიმღერააო, მე კი მომწონდა. კლასიკიდანაც, რომელ კომპოზიტორსაც რთული ვარიაციები აქვს, ის მხიბლავს. ძალიან მიყვარს: ბახი, ბეთჰოვენი, შუმანი და მოცარტი. მეკითხებიან, — რას გრძნობდი ფინალური კონცერტის ბოლო წუთებში, როცა გამარჯვებული უნდა გამოეცხადებინათო? გული გამალებით მიცემდა, მთელი დარბაზი გასუსული იყო, მეგონა, ჩემი გულის ბაგაბუგი ყველას ესმოდა... ჯერ ვაშაძე გამოაცხადეს, მერე — მარიამი და როცა მესამე — გოლეთიანი დაასახელეს, ყველა მონაწილემ მე შემომხედა რატომღაც. გამეღიმა და ტაში დავუკარი. ჩემი ემოცია კულისებში ველარ დავფარე — იქ ცრემლები მომადგა თვალებზე. მაშინვე მოცვივდნენ კამერებით, რა გატირებსო? — მეკითხებოდნენ ჟურნალისტები. უცებ რომ ვერაფერი მოვიფიქრე, ეს ვთქვი, — სიხარულის ცრემლებია-მეთქი. ამ ნათქვამზე მოგვიანებით გამეცინა, მაგრამ გეფიცებით, მართლა არ მწყენია იმ სამის დასახელება... 19 მაისს 14 წლის გავხდი. ჩემმა დამ და სიძემ შეღავათიან ფასად დაიქირავეს დარბაზი „ტიფლის-ვერანდაში“, სადაც მათი ბენდი უკრავს, და დიდი დაბადების დღე გადამიხადეს. „ნიჭიერის“ ყველა მონაწილე, ხელმძღვანელი და ჟიურის წევრები დავპატიჟეთ. ვანიკო და თიკა ამ დღეს ბათუმში იყვნენ (ახალი პროექტი იწყება და ჩაწერა ჰქონდათ), მაია ასათიანსაც არ ეცალა, „პროფილის“ გამო; ნიკა მემანიშვილი და გეგა ფალავანდიშვილი მესტუმრნენ. ვინც თბილისში იყო, თითქმის ყველა მოვიდა. ბაბი და მარი ძალიან კარგი გოგოები არიან, მარი კახელიშვილთანაც ვმეგობრობ... დედაჩემმა და ბაბიმ იმდენი იცეკვეს, მეორე დღეს ფეხზე ველარ დგებოდნენ. ძალიან კარგი დრო გავატარეთ, ლამაზი დღე იყო და არასოდეს დამავიწყდება. ახლა?.. ახლა სკოლის გამოცდებისთვის ვემზადები. მეათე კლასში გადავდივარ. ჩემი სკოლის (132-ე საჯარო სომხური სკოლა) დირექტორი, ქალბატონი სოფია ძალიან კარგი ადამიანია, ყველა მოსწავლე უყვარს, მაგრამ მე განსაკუთრებულად მეპყრობა. ასე მეუბნება, — შენ ჩვენი სკოლის სიამაყე ხარ, მაგრამ წარმატებამ არ გაგათამამოს და სწავლას არ მოუკლოო. ისე კი, ყველანაირად ხელს მიწყობს. ცოტა ხანში, 14 ივნისს ბათუმში მივდივართ, კონცერტზე უნდა გამოვიდეთ: მე, მარიამ კახელიშვილი, „ნექსთ ლეველი“ და გულნაზი დეიდა. ბედნიერი ვარ, როცა სცენაზე ვდგავარ და ვმღერი. საოცარი გრძნობაა, ქუჩაში რომ მიდიხარ და შენთვის უცნობი ადამიანი მოგაჩერდება, მერე კი ზურგს უკან (თუ არ გაგეცნო და გამოგელაპარაკა) გაიგონებ: ეს ისაა, „ნიჭიერში“ რომ მაგრად იმღერაო... ალბათ ჯერ ბევრი მიკლია იქამდე, რომ „მაგრად“ ვიმღერო, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებ, პროფესიონალი მომღერალი რომ დავდგე. ■



# დევიდ კერადაინის ქვრივი კინოკომპანიას სასამართლოში უჩივის



2009 წლის 4 ივნისს ბანგკოკში გარდაცვლილი დევიდ კერადაინის ქვრივმა მეუღლის უკანასკნელი ფილმის გადამღები ფრანგული კინოკომპანიის MS2-ის წინააღმდეგ ლოს-ანჯელესის სასამართლოში სარჩელი შეიტანა. სწორედ ეს კომპანია იღებდა სურათს — Stretch, რომლის გამოც კერადაინი ბანგკოკში ჩავიდა. სარჩელში ნათქვამია, რომ კინოკომპანიამ მსახიობთან კონტრაქტის გაფორმების დროს მისთვის მაქსიმალური კომფორტის შექმნისა და ბანგკოკში ყოფნის პერიოდში მუდმივად თანმხლები პირით უზრუნველყოფის პირობა დადო, მაგრამ დანაპირები არ შეასრულა: 3 ივნისს საღამოს კერადაინი მარტო იყო, მეორე დილით კი სასტუმროს ნომერში გარდაცვლილი იპოვეს... დევიდის ქვრივი ირწმუნება, რომ მისი 72 წლის მეუღლის გარდაცვალება კინოკომპანიის კანონსაწინააღმდეგო ქმედების შედეგია და სასამართლოსგან ამის დადასტურებას მოითხოვს. გამოძიებამ დაადგინა, რომ მსახიობის სიკვდილი სექსუალური ექსპერიმენტების დროს მომხდარი უბედური შემთხვევით გამოწვეული ასფიქსიის შედეგი იყო. ჟურნალისტებმა კომპანიის წარმომადგენლებთან დაკავშირება და სარჩელის გამო მათი კომენტარის მიღება ჯერჯერობით ვერ მოახერხეს.

დევიდ კერადაინმა კინოში მოღვაწეობა 1970-იან წლებში დაიწყო და საბრძოლო ხელოვნებაზე შექმნილ სურათებში 100-ზე მეტი როლი ითამაშა. მსახიობის პოპულარობის ახალი ტალღა 2000-იანი წლების დასაწყისს დაემთხვა, როდესაც რეჟისორ კვენტინ ტარანტინოს დილოგიაში — „მოკალი ბილი“ ითამაშა. ■

## ალექსანდრე მინდაძე – ჩერნობილიდან არშემდგარი გაქცევის შესახებ



უკრაინაში ალექსანდრე მინდაძის ახალი ფილმის — „შაბათის“ — გადაღებები დაიწყო, რომელიც ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიას ასახავს. „სურათში კატასტროფას როდი ვიკვლევ. ჩემი მიზანი — ამ სიტუაციაში მოხვედრილი ადამიანის, მისი სულიერი მდგომარეობის კვლევაა. ფილმი მაყურებელს მომნუსხველი ცხოვრებისეული სიტუაციების შესახებ მოუთხრობს, რომელიც საბედისწერო განსაცდელის მძიმე წუთებში ვლინდება“. თავად მინდაძის მიერ დაწერილი სცენარი ქალაქ პრიპიატის მკვიდრ ვალერი კაბიშის რეალურ ამბავს ეფუძნება, რომელიც 1986 წლის 25 აპრილის ღამეს, ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურთან ახლოს მდებარე ქალაქიდან გაქცევას უშედეგოდ ცდილობს. 50-ათასიან მოსახლეობის უმრავლესობა კატასტროფის შემდეგ, პრიპიატიდა ევაკუირებული იყო და 1986 წლის 27 აპრილიდან დღემდე, ქალაქი დაცარიელებულია... სურათის ბიუჯეტი 3,2 მლნ დოლარს აღწევს. ■

## ABBA–ს ორეულებმა სახელი უნდა შეიცვალონ

ABBA-ს სიმღერების შესრულებაში გაწაფულ ტრიბიუტ-ჯგუფებს, რომლებიც თავიანთ შემოქმედებაში ABBA-ს იმიჯს გამოიყენებენ, ჯგუფის დასახელებაში ლეგენდარული შვედური პოპკვარტეტის სახელის გამოყენება ეკრძალებათ. შვედური ხმის ჩამწერი კომპანიის — Universal Music — ადვოკატებმა ეს შეტყობინება 15-მდე ადგილობრივ ტრიბიუტ-ანსამბლს გაუგზავნეს, ისეთებს, როგორიცაა: Abba Queens, Abba Mania და Swede Dreamz Abba Tribute.

ABBA-ს ჩანაწერთა გამომცემელმა ლეიბლმა ეს მოთხოვნა ჯგუფის დამაარსებელთა ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა დარღვევით დაასაბუთა. გარდა ამისა, გამომცემლები აცხადებენ, რომ ჯგუფის თაყვანისმცემლები უამრავ საჩივარს გზავნიან ტრიბიუტ-ჯგუფების მისამართით, რომელთაც მსმენელი „შეცდომაში შეჰყავთ“. ტრიბიუტ-ჯგუფების წევრებმა უკვე განაცხადეს, რომ ამგვარი აკრძალვა ფაქტობრივად, მათ კარიერას წერტილს დაუსვამს და მათ ყველაფრის თავიდან დაწყება მოუწევთ. ამასთანავე, პრესა აღნიშნავს, რომ ტრიბიუტ-ჯგუფებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ABBA-ს პოპულარიზაციის საქმეში, რადგან მათი მუსიკალური კარიერა 30 წლის წინ დასრულდა. მხოლოდ დიდ ბრიტანეთში ABBA-ს 40-ზე მეტი ორეული არსებობს.



ჩვეული პრაქტიკის მიხედვით, მრავალი ჯგუფი დასახელების ლიცენზიას იღებს და მისი სახელის გამოყენებისთვის, ტრიბიუტ-ჯგუფებისგან ფინანსურ ანაზღაურებას მოითხოვს, მაგრამ ABBA-ს წარმომადგენელი აცხადებს, რომ ჯგუფის წევრებს ამგვარი პრაქტიკისთვის ჯერჯერობით არ მიუმართავთ და ამას არც მომავალში აპირებენ. ■

## მაიკლ ჯექსონის სამშობლოში მუზეუმი აშენდება

მაიკლ ჯექსონის მშობლიურ ქალაქ გერიში (ინდიანის შტატი) განსვენებული „პოპ-მუსიკის მეფის“ ხსოვნის უკვდავსაყოფად, მუზეუმი აშენდება. ამის შესახებ განცხადება მომღერლის მამამ, ჯო ჯექსონმა და გერის ხელისუფლებამ გააკეთეს. მშენებლობა, რომელზეც 300 მილიონი დოლარი უნდა დაიხარჯოს, 2011 წელს დაიწყება. შენობაში, მუზეუმის გარდა, საკონცერტო დარბაზი, რესტორანი, სასტუმრო და კაზინო განთავსდება. ადგილობრივი ხელისუფლება იმედოვნებს, რომ მშენებლობის თანხას კერძო ინვესტორები და მაიკლ ჯექსონის თაყვანისმცემლები გაიღებენ.

გერის მერს, რუდი კლეის მიაჩნია, რომ ჯექსონისადმი მიძღვნილი კომპლექსი ქალაქის ბიუჯეტს ყოველწლიურად 100-დან 150 მლნ დოლარამდე შემატებს და წელიწადში 750000 სტუმარს მიიზიდავს.

მაიკლ ჯექსონის მუზეუმის მშენებლობაზე პირველად ჯერ კიდევ 2003 წელს ალაპარაკდნენ, როდესაც მომღერალი მშობლიურ ქალაქში უკანასკნელად იყო ჩასული. მუსიკოსის გარდაცვალების შემდეგ კი გეგმის განხილვა კვლავ განახლდა. ■

## Eagles–ის ვოკალისტმა კალიფორნიელი პოლიტიკოსი სასამართლოში დაამარცხა

ამერიკული როკჯგუფის — Eagles — ვოკალისტმა და დრამერმა, დონ ხენლიმ კალიფორნიის შტატის საკანონმდებლო ორგანოს წევრ ჩარლზ დევორის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა და საქმეც მოუგო. მუსიკოსი პოლიტიკოსს იმაში ადანაშაულებს, რომ მან წინასაარჩევნო კამპანიის დროს, 1984 წელს გამოცემულ დონ ხენლის სოლო ალბომში — Building the Perfect Beast შესული ორი სიმღერა უკანონოდ გამოიყენა. რესპუბლიკელმა პოლიტიკოსმა, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების სენ-



ატში იყრიდა კენჭს, კომპოზიციის ტექსტი თავად შეცვალა, ვიდეორგოლები გადაიღო და YouTube-ზე განათავსა. სიმღერას — The Boys of Summer („ზაფხულის ბიჭები“) — Hope of November („ნოემბრის იმედი“) უწოდა და ამერიკის პრეზიდენტი ბარაკ ობამა მასხარად აიგდო, ხოლო ტრეკი — All She Wants to Do Is Dance („მას მხოლოდ ცეკვა სურს“) All She Wants to Do Is Tax-ად („მას მხოლოდ გადასახადების აკრება სურს“) გადააკეთა და წინასაარჩევნო მარათონისას კონკურენტ ბარბარა ბოქსერის წინააღმდეგ გამოიყენა.

დონ ხენლიმ პოლიტიკოსის საქციელის შესახებ მხოლოდ მას შემდეგ შეიტყო, როდესაც სიმღერები ქსელში გაჰიტდა და საავტორო უფლების დარღვევის გამო სასამართლოში სარჩელი შეიტანა. ჩარლზ დევორმა დანაშაული არ აღიარა და განაცხადა, რომ მისი ტრეკები მხოლოდ პაროდია იყო და სხვა არაფერი, მაგრამ სასამართლომ Eagles-ის ლიდერის სარჩელი დააკმაყოფილა. ჯერჯერობით უცნობია, თუ როგორი კომპენსაციის გადახდა მოუწევს პლაგიატორ პოლიტიკოსს... ■

*რუბრიკა მოამზადა*
*ნატო მანჯავიძემ*

# 9-სულიანი ოჯახის ტკივილნარევი ბედნიერება

## „შვილების მომავალზე ვნერვიულობ...“

**სოფელ შილდაში მცხოვრებ ნათია და თეიმურაზ ლეკიაშვილების ოჯახში შესვლისთანავე, მოღიმარი მასპინძელი ეზოში გამოგეგებებათ და რომც არ იცოდეს, ვინ ხართ, მაშინვე სახლში შეგიპატიჟებთ. ამ სახლში 6 მცირეწლოვანი ბავშვი იზრდება და მათ სულ მალე, მეშვიდე პატარაც შეემატება. ნათია 34 წლის მრავალშვილიანი დედაა, რომელიც მატერიალურ პრობლემებს მედგრად ებრძვის და ცდილობს, 9-სულიან ოჯახს არაფერი მოაკლოს, თუმცა ეს ხშირად არ გამოსდის და ამას ძალიან განიცდის.**

*ელენე ბასილიძე*

— ჩემი მომავალი მეუღლე მეზობლის ოჯახში გავიცანი, 2 წლის შემდეგ კი შევვუღლდით, მაშინ მე 14 წლის ვიყავი, ის — 24-ის (*იღიმის*). დღეს 6 შვილი გვყავს და მეშვიდეს ველოდებით (*იღიმის*)... ვცდილობთ, გავუძლოთ ამ ცხოვრებას.

**— ოდესმე თუ წარმოიდგენდით, რომ მრავალშვილიანი დედა გახდებოდით?**

— მეც და ჩემს მეუღლესაც მხოლოდ თითო დედმამიშვილი გვყავს. სამწუხაროდ, ისე მოხდა, რომ მე და ჩემი ძმა ცალ-ცალკე გავიზარდეთ. ჰოდა, ყოველთვის მინდოდა, ჩემს შვილებს ბევრი დედმამიშვილი ჰყოლოდათ. პირველი შვილი 16 წლის ასაკში შემეძინა, დღეს კი მზია 18 წლისაა, ნინო — 17-ის, გიორგი — 15-ის, სპარტაკი — 10-ის, ლალი — 4-ის, მარიამი კი მალე 2 წლის გახდება. მეშვიდე პატარას აგვისტოს ბოლოს ველოდებით — ჯერ მისი სქესი არ ვიცით. ყოველი ახალი სიცოცხლის დაბადება ახალი დღეა ადამიანის ცხოვრებაში და ჩემთვისაც ასეა. წლების მატებასთან ერთად, მეტ პასუხისმგებლობას, სიყვარულსა და ბედნიერებას ვგრძნობ. ბევრი შვილის ყოლა დიდი ბედნიერებაა, მაგრამ ამავდროულად, მეტი სადარდებელი აქვს მშობელს — მატერიალურად ძალიან გვიჭირს და შვილების მომავალზე ამიტომაც ვნერვიულობ. ბავშვები საოჯახო საქმეში მეხმარებიან, მძიმე საქმეს არ მაკარებენ და ცდილობენ, ძალიან არ დამტვირთონ, მე კი გული მტკივა, რადგან ვიცი, მათ ბევრი რამ აკლიათ. შარშან და წელს, 3 მარტს ყვარლის გამგებელმა 100-100 ლარით დაგვასაჩუქრა, ახალ წელს კი პატარებს ტკბილეული მოუტანეს...

**— თქვენს ოჯახს სოციალურად დაუცველის სტატუსი თუ მიენიჭა?**

— საბედნიეროდ, სოციალურად დაუცველთა სიაში მოვხვდით. როცა სოციალური მუშაკი ჩვენი ქონების შესამოწმებლად მოვიდა, გვკითხა: — მაცივარი, საცხობი ღუმელი ან ტელევიზორი ხომ არ გაქვთო? ტელევიზორის გარდა, არაფერი გვქონდა და ისიც, „ავერსის“ დირექტორის, პაატა კურტანიძის ნაჩუქარი ფულით ვიყიდეთ. კიდევ კარგი, აგენტმა გაითვალისწინა, თუ რა სახსრებით გვქონდა ეს ნივთი შეძენილი... მერწმუნეთ, ხშირად ისე გაგვჭირვებია, რომ სასოწარკვეთილებაში ჩავვარდნილვარ,



ყოველი ახალი სიცოცხლის დაბადება ახალი დღეა ადამიანის ცხოვრებაში

ჩემი უსუსურობა თავადვე მაწუხებს. მხოლოდ სოციალური დახმარებითა და დედამთილის პენსიით გაგვაქვს თავი. ჩვენი 9-სულიანი ოჯახის ყოველთვიური შემოსავალი დაახლოებით, 300 ლარია. ადრე დედამთილი დღიურ მუშადაც მუშაობდა და ოჯახს ეხმარებოდა, მაგრამ მეზობლის ძაღლმა უკბინა, მენჯ-ბარძაყის ძვალი დაუზიანდა და ოპერაცია დასჭირდა, ოპერაციის შემდეგ კი ფიზიკური მუშაობა აღარ შეუძლია. ძალიან ნერვიულობს, რომ სამუშაოდ ველარ გადის.

— **როგორც ვხვდები, სოფლის მეურნეობას არ მისდევთ...**

— ერთი პატარა ბაღჩა და პატარა ნაკვეთი გვაქვს, სადაც ცოტ-ცოტა კარტოფილსა და სიმინდს ვთესავთ. მიწას ჩემი მეუღლე ამუშავებს და ვცდილობთ, რაღაც მაინც მოვიყვანოთ. დიდი ნაკვეთი რომც გვქონდეს, მიწის დამუშავებას იმდენი ხარჯი სჭირდება, რომ დიდი სურვილის მიუხედავად, მას მაინც ვერ დავამუშავებდით; არც პირუტყვი გვყავს, მათ შენახვასაც ფული უნდა! მოკლედ, თვიდან თვემდე ძლივს გაგვაქვს თავი. პირველ რიგში, ვცდილობთ, პური არ მოგვაკლდეს, რათა პატარებმა არ იშიმშილონ. ბავშვები უკვე დიდები არიან — 4 მათგანი სკოლაში დადის, ერთი კი ბაღში. საბედნიეროდ, ბაღის გადასახადი მოგვიხსნეს.

— **წელან მითხარით, რომ თქვენი გოგონა ბოლო ზარზე ვერ მიდის...**

— ახალ ტანსაცმელს თუ ვერ ვუყიდი, ერთი თეთრი პერანგი ხომ მაინც სჭირდება, რათა თანაკლასელებმა სამახსოვრო წარწერები გაუკეთონ? მერე ბავშვები ბათუმში მიდიან, რამდენიმე დღით და მზია თავადაც ხვდება, რომ კლასელებთან ერთად წასვლას ვერ მოახერხებს. თუმცა ხომ იცით, ადამიანი იმედით ცხოვრობს... გოგონები ძალიან კარგად სწავლობენ, მოწესრიგებული მოსწავლეები არიან. ვცდილობთ, მათ რვეული და კალამი მაინც არ მოაკლდეთ, წიგნებს კი ხან ვთხოულობთ, ხანაც — გაჭირვებით ვიძენთ. მზიას პედაგოგობა, დაწყებითი კლასების მასწავლებლობა უნდოდა, მაგრამ უკვე შეეგუა იმას, რომ სწავლის გაგრძელებასაც ვერ შეძლებს, ამის საშუალება არ გვაქვს. მართალია, ამ ამბავს ძალიან განიცდის, მაგრამ ცდილობს, არაფერი შეიმჩნიოს. ეჰ, დედის გულს რა გამოეპარება?! დღეს დიპლომიან ხალხს უჭირს ცხოვრება და უსწავლელმა როგორღა უნდა გაიტანოს თავი?.. პატარა ვაჟი, სპარტაკი ჭიდაობითაა გატაცებული და დიდი სურვილი აქვს, ღირსეული ფალავანი გახდეს. აქამდე ჭიდაობაზე დადიოდა, მაგრამ ბოლო დროს მასწავლებელმა ფული მოსთხოვა და მას შემდეგ აღარ უვლია. სურვილი აქვს, სპორტის ამ სახეობაში წარმატებას მიაღწიოს და „გაჭირვებიდან ამოგვიყვანოს“ (*იღიმის*)...


ქუჩაში რომ გავდივართ, ყველა მე და ჩემ დას მოგვშტერებია

— **ბავშვები ხშირად კამათობენ?**

— ერთადერთი, რაც მამშვიდებს და ყველაზე მეტად მახარებს ისაა, რომ ბავშვებს ერთმანეთი ძალიან უყვართ, ერთმანეთის გარეშე ლუკმას არ ჩაიდებენ პირში და არც არაფერს ითხოვენ... ყველაზე მეტად, საწოლები გვიჭირდა. სპარტაკის საწოლს „სეტკა“ გაუწყდა და მამამ მავთულებით დაუმაგრა. ჰოდა, ახლა ხშირად მეუბნება, — ასეთ საწოლზე წოლისაგან წელში მოვიხრები და აბა, როგორი სპორტსმენი უნდა გამოვიდეო (*იღიმის*)?! ხშირად, გოგონებს შინ სტუმრის მოპატიჟება სურთ, მაგრამ როგორც ხედავთ, სახლიც თავზე გვენგრევა. მიუხედავად ამისა, ბავშვების მეგობრები ხშირად მოდიან და მეუბნებიან: — ნათია დეიდა, ვისაც დახატული სახლ-კარი აქვს, გვიბღვერს, თქვენ კი, სტუმრად მოსულებს ისე თბილად გვხვდებით, რომ აქ მოსვლა გვიხარიაო (*იღიმის*)... მე და ჩემი მეუღლე ვცდილობთ, ყველაფერი მოვიკლოთ, რათა პატარები არ დაიჩაგრონ, მაგრამ რაც არა გაქვს, რაღა უნდა მოიკლო?! ამას წინათ მზიამ მითხრა: — ქუჩაში რომ გავდივართ, ყველა მე და ჩემ დას მოგვშტერებია და ნეტავ, გვეცვას მაინც რამეო. — რას ამბობ, შვილო, არც ფული გქონდეს და არც სილამაზემეთქი? — ვუთხარი (*იცინის*)...


ბავშვებს ერთმანეთი ძალიან უყვართ, ერთმანეთის გარეშე ლუკმას არ ჩაიდებენ პირში

**ქალბატონი მზია,** *ნათიას დედამთილი:*

— როცა ნაკვეთიდან დაღლილი ვბრუნდები და კარში ამდენი პატარა მეგებება — „ბებო, ბებოს“ ძახილით, ამაზე დიდი ბედნიერება რა უნდა იყოს?! რაც მთავარია, ყველას თავ-თავისი სათქმელი აქვს და რომელს მოვუსმინო, აღარ ვიცი ხოლმე (*იცინის*). ღმერთს მადლობას ვწირავ, რომ ჩემი შვილიშვილები ჯანმრთელები არიან. ბევრს კი ვწვალობთ, მაგრამ ბევრსაც ვხარობთ. ღამით ყველა შვილიშვილს ჩემთან უნდა დაწოლა (იცინის). ამას წინათ გიორგი მეუბნება, — აბა, რანაირი ბებია ხარ, წელიწადი და შვიდი თვეა, ჩემთან აღარ წოლილხარო (*იცინის*). სულ მებუზღუნება: მარტო გოგოების ბებო ხარ, ჩემთან აღარ წვებიო. ბავშვებს ვეუბნები, — დიდები ხართ და ბებოსთან აღარ უნდა დაწვეთ-მეთქი, მაგრამ მაინც მეხვეწებიან, — 5 წუთით მაინც ჩაგიწვებითო... ოპერაცია რომ გავიკეთე, საავადმყოფოში საკმაოდ დიდხანს ვიწექი და 14-15 წლის შვილიშვილები მედგნენ თავზე, ესენი მივლიდნენ. მდიდარი არასოდეს ვყოფილვარ და ვერც ვერასოდეს გავმდიდრდები. აი, ჩემი სიმდიდრეები ესენი არიან (*შვილიშვილებისკენ იშვერს ხელს*). ■

# ალუჩითა და ლიმონით დაწყებული ბიზნესი

## „ბევრს მათხოვარი ვგონივარ და თავიდან უხეშად მიშორებს“

*მარი ჯაფარიძე*

*ვაკეში, ერთ-ერთ ქუჩაზე ახლობელს ველოდებოდი, როცა ზურგზე ჩანთამოკიდებული ბიჭუნა მომიახლოვდა.*

— დეიდა, ალუჩა იყიდეთ, ტკბილი ალუჩა მაქვს, — *ჩანთა ბეჭიდან ჩამოიღო და შიგ ჩამახედა, რათა დავრწმუნებულიყავი, რომ მართლაც, კარგ ალუჩას ყიდდა.*

— **რა გქვია?**

— ლუკა კაპანაძე.

— **რამდენი წლის ხარ?**

— 15-ის.

— **სადაური ხარ?**

— ოზურგეთის რაიონიდან ვარ, სოფელ შრომაში ვცხოვრობ. რატომ მეკითხებით?

*ბიჭუნას სუფთად ეცვა, თმაც „კოხტად“ ჰქონდა გადავარცხნილი და მზემოკიდებულ სახეზე გაოცება ეხატა. რაღაცნაირად, დაღლილიც ჩანდა.*

— **ლუკა, შენზე მიამბე რამე და რასაც მომიყვები, ჟურნალში დავბეჭდავ.**

— ჟურნალისტი ხართ?

— **ჰო.**

— თქვენ მარტო კარგ და ლამაზ ბიჭებზე წერთ?

— **ხანდახან „ცუდ“ ბიჭებზეც ვწერ ხოლმე,** — *გულახდილად ვუპასუხე.*

— ჩემზე იმიტომ გინდათ, დაწეროთ, რომ კარგი ბიჭი ვარ?

— **მე მგონია, რომ ასეა და თუ დამელაპარაკები, ალბათ დამარწმუნებ, რომ მართლა კარგი ბიჭი ხარ.**

— კი, დეიდა, ყველაფერს მოგიყვები.

— **სოფელში ვინ გყავს?**

— დედა, მამა და 20 წლის ძმა, რომელიც ქალაქში არ წამოვიდა და სოფლის სამუშაოებითაა დაკავებული — უფროსებს თოხნაში ეხმარება.

— **დიდი ხანია, თბილისში ხარ?**

— უკვე 2 წელია. IX კლასიდან გამოვედი და დედაქალაქში ჩამოვედი, რათა ცოტაოდენი ფული ვიშოვო. აქ მამის ძმასთან — ბიძაჩემთან ერთად, ქირით ვცხოვრობ. ის 40 წლისაა და ასე, უცოლოდ დამირჩა. დილით ორივე ადრე ვდგებით და ალუჩას ვყიდულობთ, შემდეგ მე ასე, ქუჩა-ქუჩა ვყიდი, ის კი საბითუმო ბაზარზე ვაჭრობს. შინ გვიან ვბრუნდებით — ვიდრე მეტრო მუშაობს, არსად მეჩქარება, გლდანში ვცხოვრობ და შინ ბოლო რეისს მივყვები ხოლმე.

— **ზამთარში რას ყიდი?**

— ზამთარში — ლიმონს. როდესაც ალუჩის სეზონი მთავრდება, შემდეგ სოფელში მივდივარ, ცოტა ხანს იქ ვრჩები და ურეკში მივემგზავრები. იქ პლაჟზე დავდივარ, ხაჭაპურსა და ლობიანს ვყიდი. როცა დასვენების სეზონი მთავრდება, ისევ თბილისში ვბრუნდები და ლიმონის გაყიდვას ვიწყებ. მოკლედ, უსაქმოდ არ ვჩერდები — რომ გავჩერდე, ბიზნესი ჩამივარდება და რაც ვიშოვე, ისიც შემომეხარჯება.



— **დღეში რამდენს გამოიმუშავებ?**

— სულ მცირე, 20 ლარს, ხანდახან კი უფრო მეტსაც. ყოფილა შემთხვევა, როცა დღის განმავლობაში 30 ლარიც კი ვიშოვე. ფულს ვაგროვებ. მინდა, სოფელში სახლი გავარემონტო, მანქანა ვიყიდო და შემდეგ ცოლი მოვიყვანო, რათა ტკბილი ოჯახი შევქმნა და კარგი შვილები გავზარდო. 1.000 ლარამდე უკვე მოვაგროვე, მეტის დაზოგვა ვერ შევძელი, რადგან სოფელში ოჯახსაც ვეხმარები.

— **მთელი დღის განმავლობაში ქუჩა-ქუჩა სიარულით არ იღლები?**

— როგორ არ ვიღლები, მაგრამ აბა, რა ვქნა? მინდა, ფული პატიოსანი შრომით ვიშოვო და არა — ქურდობით, ყაჩაღობით. როცა სრულწლოვანი გავხდები, ჯარშიც წავალ, სავალდებულო სამსახურს მოვიხდი და შემდეგ „კომანდოშიც“ სიამოვნებით ვიმუშავებ, მაგრამ ეგაა, რომ იქ „ჩადგმული“, ახოვანი ბიჭები სჭირდებათ, მე კი ასე გამხდარი და პატარა ვარ... ჯერ მანამდე დიდი დროა და იქნებ, გავიზარდო კიდეც. მთელ ვაკეს ვიცნობ და იმედი მაქვს, ვინმე დამეხმარება. მხოლოდ „ძვირიან“ უბნებში ვვაჭრობ, რადგან აქ ხალხს ფული აქვს და ჩემს პროდუქციას ყიდულობს, სხვაგან კი ღარიბი ხალხი ცხოვრობს და ვის რად უნდა ჩემი ლიმონი და ალუჩა? ხშირად ყოფილა ისეთი შემთხვევაც, როცა ვიღაც ფულს მჩუქნის, მაგრამ არაფერს ყიდულობს. ბევრს უთქვამს, — მიხარია, ასეთი კარგი ბიჭი რომ ხარ, ძალიან მეამაყები და აჰა, ეს ფული, მეგობრულად გამომართვი, არ „გაგიტყდესო“. ხშირად, 10 ან 20-ლარიანს მჩუქნიან ხოლმე. იცით, გული რაზე მწყდება? — როდესაც ადამიანს მივუახლოვდები, რათა ალუჩა ან ლიმონი შევთავაზო, ბევრს მათხოვარი ვგონივარ და თავიდან უხეშად მიშორებს. რადგან ქუჩაში ვვაჭრობ, ეგ იმას არ ნიშნავს, რომ ვმათხოვრობ — მე ვმუშაობ და ამით თავს ვირჩენ, ეს კი ყველას არ ესმის.

— **შეყვარებულიც გყავს, ალბათ.**

— არა, რა დროს შეყვარებულია? ცოლს ჯერ ვერ მოვიყვან, რადგან პირობები არა მაქვს. ისე, რომც მოვინდომო, ვინ გამომყვება?

— **შენთვის რას ყიდულობ ხოლმე დღის ბოლოს?**

— დღეში 20 ლარი აუცილებლად უნდა გადავდო და თავს მხოლოდ იმის დახარჯვის უფლებას ვაძლევ, რაც დამრჩება: ხანდახან მხოლოდ ნაყინის ფული მრჩება, ხან — „პეჩენიას“ ან ხაჭაპურს ვყიდულობ. იმ შემთხვევაში, თუ მხოლოდ 20 ლარს ვიშოვი, არაფერსაც არ ვყიდულობ.

— **როგორ ფიქრობ, რამდენ ხანში მიაღწევ სასურველ მიზანს?**

— ჩემი აზრით, 5 წელიწადში მოვაგროვებ იმდენ ფულს, რამდენიც ჩემი მიზნის განხორციელებას სჭირდება. სხვათა შორის, ქუჩაში ხშირად მხვდებიან ცნობილი ადამიანები, მაგრამ ჩემგან არაფერს ყიდულობენ. ამას წინათ მიშა ანდღულაძე შემხვდა. მას ლიმონი შევთავაზე, მაგრამ თავიდან მომიშორა — რა მეტყობა ახლა მე, ლიმონი რომ მჭირდებაო? მყუდროსაც ხშირად ვხვდები, ის ძალიან კარგი ადამიანია. მომწონს გიგი უგულავა, ჯიგარი კაცია. მას ამას წინათ, ბაღში შევხვდი და მაშინ მომეწონა. ალუჩა ვერ შევთავაზე, არადა, როგორ მინდოდა, ჩემგან რამე რომ ეყიდა!.. „შუა ქალაქის“ სანდროსა და დათოსაც ვხვდები ხანდახან.

— **როგორც ვატყობ, ტელევიზორის საყურებლადაც გრჩება დრო.**

— ადამიანმა ყველაფერი უნდა მოასწროს. აგერ, დღეს ინტერვიუს მოცემაც მოვასწარი. იცით, რატომ დაგთანხმდით ინტერვიუზე?

— **რატომ?**

— იქნებ ვინმემ წაიკითხოს და სამსახური შემომთავაზოს. მაგალითად, მშენებლობაზე ან „კალონკაზე“. მანქანის შეკეთებასაც სიამოვნებით ვისწავლი. ისეთი სამსახური მინდა, 600 ლარი რომ მექნება ხელფასი და ქუჩა-ქუჩა აღარ ვიწანწალებ. შეიძლება, ვინმე გამომეხმაუროს, არა?

— **მოდი, წინასწარ ნურაფერს ვიტყვით. ვნახოთ, რა შედეგს მოგვცემს ჩვენი საუბრის გამოქვეყნება.**

— ახლა წავალ, დეიდა, ალუჩის გაყიდვა უნდა მოვასწრო.

— **ნახვამდის, ლუკა, წარმატებებსა და ოცნებების ასრულებას გისურვებ!**

■

# „შეიყვარე მოყვასი შენი“ — ობლობით დაკომპლექსებული მოზარდები და საჩუქრები პატარებს

**„თუ ღონისძიებას „პირველი კაცი“ ესწრება, სხვისი გაჭირვება ხალხს მაშინ „სტკივაო“, — გულდაწყვეტით აღნიშნავს არასამთავრობო ორგანიზაციის — „შეიყვარე მოყვასი შენი“ ხელმძღვანელი, თენგიზ შველიძე. საბედნიეროდ, ისეთი ადამიანებიც არსებობენ, რომლებმაც პატარებს ერთი ლამაზი დღე უანგაროდ აჩუქეს. საქველმოქმედო ორგანიზაცია პირველი აქციით სოციალურად დაუცველ, ობოლ ბავშვებს დაეხმარა, მომავალში კი მრავალშვილიან დედებზე, პენსიონერებზე, ომის ვეტერანებზე, საზოგადო მოღვაწეებსა და მათ ოჯახებზეც იზრუნებს.**



გვსურს, ფონდი შევქმნათ და ყველას უშურველად დავეხმაროთ

ეთო ყორღანაშვილი

**თენგიზ შველიძე,** *ორგანიზაციის — „შეიყვარე მოყვასი შენი“ — ხელმძღვანელი:*

— თანამოაზრეები — მე, რუსუდან ხიდეშელი, ვიტალი მამასახლისი, თინა აბაიაძე, ნინო დავალიშვილი, მაია სართანია და ეთერ ბაგაური სრულიად შემთხვევით შევიკრიბეთ (ჩვენ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თავმჯდომარეები გახლავართ) და საქველმოქმედო ორგანიზაცია — „შეიყვარე მოყვასი შენი“ შევქმენით. ადამიანებს ყველაზე მეტად, სიყვარული და თანადგომა გვჭირდება. პირველი აქციით ბავშვებს დავეხმარეთ, მათ ერთი ლამაზი დღე ვაჩუქეთ და ვუჩვენეთ, რომ ამქვეყანად სიკეთეც არსებობს: რესტორანში გავუმასპინძლდით და წიგნები, წამლები, საკვები პროდუქტები, ტკბილეული გადავეცით. სხვათა შორის, ეს ერთჯერადი აქცია არ იყო — გვინდა, ჩვენი საქმე დიდხანს ვაკეთოთ.

**— სოციალურად დაუცველი ბავშვები როგორ მოიძიეთ?**

— ზოგიერთი მათგანი პირადი კონტაქტებით ვიპოვეთ, რაც შეეხებათ სხვებს, სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებებიდან სიები მოვიძიეთ, მერე ოჯახები კარდაკარ დავიარეთ და ვნახეთ — ვის როგორ უჭირდა, ვის როგორ უნდა დავეხმაროთ...

**— ბავშვების გარდა, კიდევ ვის ეხმარებით?**

— ინვალიდებს, სოციალურად დაუცველებს, პენსიონერებს, საზოგადო მოღვაწეებს, რომლებსაც სამწუხაროდ, დღეს მატერიალურად ძალიან უჭირთ. იმედია, სხვადასხვა ორგანიზაცია მხარში ამოგვიდგება. გვსურს, ფონდი შევქმნათ და ყველას უშურველად დავეხმაროთ. შეიძლება, მომავალში მოხუცებისთვის ერთგვარი კლუბიც შევქმნათ, რათა საკუთარ თავში არ ჩაიკეტონ. ადამიანის დახმარება საოცარი საქმიანობაა — ამ დროს სიტყვით გამოხატული მისი მადლობა არ გინდა, ყველაფერს თვალებში წაიკითხავ...

**— საქველმოქმედო ორგანიზაციაში წინათ თუ გიმუშავიათ?**

— მე — არა. სამაგიეროდ, ქალბატონ რუსუდან ხიდეშელს არასამთავრობო ორგანიზაციაში მუშაობის რამდენიმეწლიანი გამოცდილება აქვს...

**რუსუდან ხიდეშელი:**

— როცა ობოლ ბავშვებს დღესასწაულს უწყობ, მათ არ უნდა აგრძნობინო, რომ უდედმამოები არიან. ერთხელ პატარები დასასვენებლად გუდაურში წავიყვანეთ. ტელევიზიის წარმომადგენლებიც თან გვახლდნენ. თავდაპირველად, ბავშვები კამერას თავს არიდებდნენ, მაგრამ შემდეგ ჟურნალისტებთან კონტაქტში შევიდნენ, მიეჩვივნენ და კომპლექსიც მოეხსნათ... როცა აქციაზე მოვიპატიჟეთ, ზოგმა თქვა: ვერ მოვალო. მათ თითქოს, ამ დროს თავმოყვარეობა ელახებათ — ბარიერის გადალახვა ასაკით ცოტა უფროს ბავშვებს უჭირთ. საქმე განსაკუთრებულად რთულადაა იმ შემთხვევაში, თუკი ბავშვს ის უბედურება, რასაც მშობლების დაღუპვა ჰქვია, მოზარდობის ასაკში დაატყდა თავს.

**— ობოლ ბავშვებზე ვინ ზრუნავს?**

— მინდა, ეს აუცილებლად აღვნიშნოთ: მეურვეების ზედამხედველობის ქვეშ მყოფი ბავშვები, რომლებიც ოჯახებში ცხოვრობენ, გარდაცვლილი მშობლების პენსიის გარდა, არავითარ დახმარებას არ იღებენ — უყურადღებოდ არიან. ამ ეტაპზე, ჩვენი ძირითადი მიზანი მათი დახმარებაა. ასეთ ოჯახებში რომ მივდივართ, პატარები გვეუბნებიან: — უი, რა კარგია, რომ გაგახსენდითო. ამას წინათ, ტაბახმელაში გახლდით. ერთ სახლში 5 ობოლი დაგვიხვდა. ისინი გარს შემომეხვივნენ, ზოგმა კი იასამანი დამიკრიფა. მეკითხებოდნენ, — რას მაჩუქებ, რას მომიტანო? გაირკვა, რომ ბავშვებს დედა გარდაეცვალათ, მამამ კი აზერბაიჯანელი ქალი შეირთო ცოლად, მაგრამ კაცი მალევე გარდაიცვალა და 5 ობოლი დარჩა.

**— ამჟამად, პატარებს ვინ უვლის?**

— დედინაცვალი. ბავშვები მასზე გიჟდებიან — ძალიან უყვართ. სამწუხაროდ, მატერიალურად ძალიან უჭირთ.

**— თქვენი ორგანიზაცია რამდენ ბავშვზე ზრუნავს?**

— ორმოცდაათამდე ბავშვი გვყავს.

**— ობოლ ბავშვებზე ზრუნვასთან დაკავშირებით, ასაკობრივი**



ბავშვებს დავეხმარეთ, მათ ერთი ლამაზი დღე ვაჩუქეთ და ვუჩვენეთ, რომ ამქვეყანად სიკეთეც არსებობს

**ზღვარი თუ არსებობს?**

— სასკოლო ასაკის ბავშვებს ვეხმარებით. უფროსკლასელებს ორგანიზაციასთან ურთიერთობა უჭირთ, თითქოს — ეთაკილებათ. ალბათ, ეს ქართული მენტალიტეტის ბრალია.

— **დასაქმებას თუ ითვალისწინებთ?**

— ამასთან დაკავშირებით, საქმე ცოტა რთულადაა: „შეიყვარე მოყვასი შენი“ არასამთავრობო ორგანიზაციაა — ბიზნესს არ ვაწარმოებთ... ზოგმა ბავშვმა სასწავლო კურსი დაასრულა და ამბობს, — სამსახური არ მაქვსო. ჰოდა, გარკვეულ ორგანიზაციებს მათ დახმარებას ვთხოვთ.

**ბატონი თენგიზი:**

— ფაქტობრივად, ამ ბავშვების მეურვეები ვხდებით.

— **მრავალშვილიანი ოჯახებიც გყავთ?**

— კი, მაგალითად — შვიდშვილიანი ოჯახი გვყავს, რომლის დიასახლისმა მითხრა, — აქციაზე 2 პატარა წამოვა, დანარჩენები — არაო. ყველაზე უმცროსი 4-5 წლისაა, უფროსი — 16-ის... ერთი ისეთი ბავშვის მისამართიც მოგვცეს, რომელიც ისე ცხოვრობს, რომ პირიქით, მისი დახმარება ჩვენ უფრო გვჭირდება (*იცინის*). ჰოდა, მას დავემშვიდობეთ და წამოვედით.

— **მისი მისამართი ვინ მოგცათ?**

— სკოლაში გვითხრეს, — ბავშვი უდედმამოაო. ბევრ ობოლს მატერიალურად ძალიან უჭირს. ერთმა გვითხრა, — ფეხსაცმელი არა მაქვსო და ვუყიდეთ... ჯერ პირველ ნაბიჯებს ვდგამთ. მომავალში ომის ვეტერანებს, უმუშევრებს, საზოგადო მოღვაწეებსაც დავეხმარებით. გვინდა, იმ ადამიანებს დავუკავშირდეთ, ვისაც გაჭირვებული ხალხის გამო გული ისევე ეტკინებათ, როგორც ჩვენ გვტკივა.

— **საზოგადო მოღვაწეებს არ ეთაკილებათ იმის აფიშირება, რომ მათ საქველმოქმედო ფონდი ეხმარება?**

— ეს ჩვენს მიდგომაზეა დამოკიდებული. ვისაც ვეხმარებით, იმ ადამიანებს რეკლამის გაკეთებას არ ვთხოვთ. ჩვენ გარდა, ხალხის გაჭირვება სხვებსაც უნდა აწუხებდეთ. გვსურს, ადამიანებს ჩავუნერგოთ: „გიყვარდეს მოყვასი შენი!“ თუ გიყვარს, ზრუნავ კიდეც; დალხინებული ცხოვრება ბევრს არა გვაქვს, მაგრამ გაჭირვებამ უნდა გაგვაერთიანოს. შეიძლება, ადამიანს მატერიალურად ვერ დაეხმარო, იმწუთას ამის საშუალება არ გქონდეს, მაგრამ რომ დაელაპარაკები და იმედს მისცემ, ესეც კარგია — ცხოვრება იმედია. ჩვენ ერთმანეთის სიყვარული უნდა ვისწავლოთ... ■



# საზღვარგარეთ მცხოვრები ვაიქართველების „ბიზნესი“ და უცხოელზე მიყიდული დეიდები

## ანუ რა ღირს თურქეთში ქართველი ქალი?

**საზღვარგარეთ ცხოვრებისა და მუშაობის მსურველ ადამიანებზე არაერთხელ დაწერილა, ისიც კარგად იცის საზოგადოებამ, რომ უამრავი ადამიანი აღმოჩნდა ტრეფიკინგის მსხვერპლი, მაგრამ თუ ქართველები საკუთარ თანამემამულეს უცხო ქვეყანაში უცხოელზე გაყიდდნენ და ეს საქმიანობა მათი შემოსავლის წყაროდ გადაიქცეოდა — არ მჯეროდა და ალბათ ვერც თქვენ წარმოიდგენდით. ჩემი რესპონდენტი, რომელიც რამდენიმე თვის განმავლობაში თურქეთში ცხოვრობდა, სრულიად გამაოგნებელ ამბავს მიყვება...**

ელენე ბასილიძე

**ქეთი,** *33 წლის:*

— დიდი ხნის განმავლობაში საქართველოში ისეთ სამსახურს ვეძებდი, სადაც ნორმალურ გასამრჯელოს მივიღებდი, მაგრამ ალბათ ბევრი დამეთანხმება, რომ აქ სამუშაოს შოვნა არც ისე იოლია... როდესაც დასაქმების ყველანაირი იმედი ამომეწურა, სახლში ჩავიკეტე. სწორედ იმ პერიოდში ჩამოვიდა თურქეთიდან დეიდაჩემი და როცა ჩემი პრობლემის შესახებ შეიტყო, თურქეთში წასვლა შემომთავაზა. მითხრა, რომ იქ მუშაობას დამაწყებინებდა ქაღალდის ქარხანაში, სადაც წლების განმავლობაში თავად მუშაობდა. მისმა წინადადებამ მომხიბლა. დეიდა საბუთების მოწესრიგებაში დამეხმარა და თურქეთში გავემგზავრე.

— **დეიდა დიდი ხანია, რაც თურქეთში ცხოვრობს?**

— 2006 წლიდან და, ასე თუ ისე, ერკვევა იქაურ საქმეებში (*იღიმის*). იქ ბებიაჩემმა წაიყვანა, რომელიც, სხვათა შორის, 1997 წელს საკუთარმა დისშვილმა ჩაიყვანა უცხო ქვეყანაში და უთხრა, რომ მოხუცი კაცის მომვლელად დააწყებინებდა მუშაობას. როცა ბებია ჩავიდა, დისშვილმა 1.000 დოლარად გაყიდა თურქ კაცზე... ბებიაჩემის ორივე და დღეს თურქეთშია გათხოვილი. ბებოს დისშვილმა ჯერ საკუთარი და გაყიდა, მას კი დეიდებიც მიაყოლა. ბევრი გაყიდული ქალი საქართველოში დაბრუნებაზე ოცნებასაც ვეღარ ბედავს და ბედს ეგუება.

— **ბებოსაც ასე დაემართა?**

— ბებიას გაუმართლა: იმ კაცმა, რომელსაც მიჰყიდეს, ცოლად შეირთო და გარდაცვალების შემდეგ, საკმაოდ სოლიდური ქონება დაუტოვა. თავიდან კი ძალიან განიცადა ბებომ, მაგრამ წასასვლელი აღარსად ჰქონდა და ბედს შეეგუა. მერე, როცა იმ კაცთან ხელი მოაწერა, უკვე აღარც განიცდიდა უცხო ქვეყანაში ცხოვრებას (*იღიმის*). ბებოს კი გაუმართლა, მაგრამ გაყიდული ქალების უმრავლესობა ან ბორდელში ხვდება, ან ოჯახში, სადაც მოახლეცაა და ოჯახის უფროსის ხასაც.

— **ბებია იმ კაცის ერთადერთი ცოლი იყო?**

— არა, მას ცოლი და 5 შვილი ჰყავდა. ბებიაჩემი პირველი ცოლის გარდაცვალების შემდეგ შეირთო. ბებოს თავის გერებთან მშვენიერი ურთიერთობა აქვს. დღესაც თურქეთში ცხოვრობს, სახლში ზის და პენსია — 800 ლირაც (დაახლოებით 800 ლარი) აქვს. არაფერი უჭირს, მშვენივრად ცხოვრობს...

— **ქეთი, თურქეთში ქართველებს დღესაც ყიდიან?**

— კი, იქ ჩასულ ქართველებს საკმაოდ დიდი ბიზნესი აქვთ. ინტერნეტით ეცნობიან ქართველ ქალებს, რომლებიც უმუშევრები არიან და მათ თურქეთში სამსახურს სთავაზობენ — ოჯახებში დასაქმებასა და მაღალანაზღაურებად სამსახურს ჰპირდებიან. მოტყუებული ქალი თურქეთში ჩადის, შემდეგ ის მიჰყავთ ოჯახში და პასპორტს ართმევენ. ცაში გამოკიდებულ ქალს აღარც ხელფასს აძლევენ და არც არანაირი უფლება არა აქვს უცხო ქვეყანაში. ოჯახი, რომელიც ამ ქალს ყიდულობს, საშუალოდ, 1.000 დოლარს იხდის და შეუძლია, მთელი ცხოვრების განმავლობაში მოახლედ ჰყავდეს. ქალსაც, იქ დარჩენის გარდა, სხვა გზა აღარ დარჩენია: პასპორტი არა აქვს, რომ საზღვარი გადმოლახოს, თუმცა პასპორტი რომც ჰქონდეს, უფულოდ

სად წავა?! ჩვენ სადაც ვცხოვრობდით, იმ ქალაქიდან ასობით კილომეტრის რადიუსში დასახლებული პუნქტი არ შეგხვდებათ, მძღოლი კი ცხადია, უფასოდ არსად წაგიყვანს — მაშინვე ჟანდარმს გამოუძახებს და ციხეში გიკრავენ თავს ან დეპორტი არ აგცდება, ამას კი ყველაზე მეტად უფრთხიან ქართველები: არ უნდათ საქართველოში ხელცარიელი ჩამოსვლა, მით უმეტეს მაშინ, თუ ისეთ ოჯახში არიან მოხვედრილი, რომლის უფროსებიც შვილებთან გასაგზავნ 1-2 თეთრს აძლევენ. იმ შემთხვევაში, თუ რაიმე ხერხით საკუთარ პასპორტს ისევ ხელში ჩაიგდებენ და საზღვრის გადმოლახვას შეეცდებიან, თურქული სახელმწიფო სამუდამოდ „ადეპორტებს“ მათ ქვეყნიდან, ქართველები კი კანონდამრღვევს საზღვარზე 2.500 ლარს ახდევინებენ.

**— თუ ადამიანს ეს თანხა არა აქვს?**

— ამ შემთხვევაში, ისევ თურქეთში ბრუნდებიან და ციხეში ხვდებიან. უამრავ ადამიანს უწევს ციხეში ჯდომა, რადგან საზღვარზე გადასახდელი 2.500 ლარი არ გააჩნია. არ მინდა, ვინმეს შეურაცხყოფა მივაყენო და იმასაც აღვნიშნავ, რომ დღემდე ძალიან ბევრი ისეთი ადამიანია თურქეთში, ვინც პატიოსნად მუშაობს და აღებული გასამრჯელოთი საქართველოში მყოფ ოჯახის წევრებს ეხმარება, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც ოჯახის წევრებს ატყუებენ, — ოჯახში ვმუშაობთო და თავს მეძაობით ირჩენენ, მათ შორის, გათხოვილი ქალებიც არიან... როდესაც თურქეთში მივდიოდი, ჩემთან ერთად 2 გოგონა მგზავრობდა და არც მალავდნენ, თუ რა სამუშაოს ეწეოდნენ უცხო ქვეყანაში. მათ გზაშივე ურეკავდნენ თურქი კლიენტები და ეკითხებოდნენ, — როდის ჩამოხვალთო? ტერმინალში „მამაშა“ დახვდათ და თავისთან „წალალა“... იქ ყოფნისას, უამრავი საშინელი ამბავი გავიგე. ერთი გოგონა, რომელიც ბორდელს მიჰყიდეს, ერთ-ერთ კლიენტს შეუყვარდა და იმ კაცმა გამოაპარა. გოგონა, თავის გადამრჩენელთან ერთად, საცხოვრებლად საქართველოში ჩამოვიდა, რადგან თურქეთში ამ ბიჭს მოსაკლავად დასდევდნენ: წყვილი საკმაოდ ძლიერ კლანს დაუპირისპირდა...

**— ბებიაშენიც ხომ არაა ამ „ბიზნესში“ ჩაბმული?**

— არ ვიცი, ჩემთვის არ უთქვამს. გამორიცხული ნამდვილად არ არის, რომ მასაც გაეყიდა ქალები. მისი დისშვილი დროს უქმად არ კარგავს: ვიდრე მე საქართველოში გამოვემგზავრებოდი, რუსთაველი ქალი ჩაიყვანეს მოტყუებით, რომელიც ვინმე ჰუსეინისთვის უნდა მიეყიდათ. ახლახან საკუთარი ძმისშვილი ჩაიყვანა, რომელმაც მამიდამისისთვის სამწუხაროდ, ფეხი მოიტეხა და ჯერ კიდევ კოჭლობს. ასე რომ, მისი გაყიდვა ვერ მოახერხა — ინვალიდს არავინ ყიდულობს. ჰოდა, ახლა მეორე ძმისშვილის წაყვანას გეგმავდა, რომელიც უკვე გაყიდული ჰყავს და ფულიც აღებული აქვს.

**— საკუთარ საქმიანობას შენც არ გიმალავდნენ?**

— ისინი ამ თემაზე ჩემი თანდასწრებით ლაპარაკობდნენ; იცოდნენ, რომ ვერაფერს გავაწყობდი და ვერც საქართველოდან მოტყუებით ჩამოსულ ქალებს გავაფრთხილებდი... სხვათა შორის, ბებოს დისშვილმა მეც შემომთავაზა, — ჩამოიყვანე ქალები და ჩვენი „ბიზნესის“ წილში გაგიყვანთო... ლამის გადავირიე, ისეთი „კონცერტი“ მოვუწყვე, თავი კარგად დავამახსოვრე.



**— თავად როგორ გადაურჩი გაყიდვას?**

— გამიმართლა. ბებიას საქართველოში დაბრუნება და აქ ცხოვრება სურს. მე რომ გავეყიდე, აქ ფეხს ველარ ჩამოადგამდა — დედაჩემისთვის რა პასუხი უნდა გაეცა?! ამიტომაც მიფრთხილდებოდა. მის დისშვილს კი ჩემი გაყიდვის სურვილი ნამდვილად ჰქონდა. კლიენტებიც გამომიჩნდნენ, სახლში მოგვადგნენ და ბებოს ჩემს გაყიდვაზე დაელაპარაკნენ.

**— და შენ ეს იცოდი?**

— (*იღიმის*) კი, ჩემი თანდასწრებით ელაპარაკებოდნენ, არც კი მოერიდნენ. აქ ქართველები ფულის გამო ერთმანეთს ყიდით და ალბათ შენც გასაყიდად ჩამოგიყვანესო, — მითხრეს. ზიზღით გვიყურებენ და ვერც შეედავები: რასაც იქ ქართველი ქართველს უკეთებს, თურქი ამას საკუთარი ხალხის წარმომადგენელს არ აკადრებს. ჰოდა, ამის გამო, ქართველებს „ფულის ღორებს“ გვეძახდნენ.

**— რა შემთხვევაში შეიძლება, გაყიდვას გადაურჩე?**

— ქალაქ ანკარაში, ავტობუსების ტერმინალში არის დასაქმების ბიურო, სადაც ქართველები მუშაობენ და ალბათ ისინი უფრო სანდოები არიან, მაგრამ მათ პატიოსნებაზეც ვერ დავდებ თავს.

**— დასაქმების ბიურო დასაქმების მსურველ ადამიანს კონტრაქტს თუ უფორმებს?**

— არანაირი კონტრაქტი არ ფორმდება. რაიმე ფურცელზე რომც მოგაწერინონ ხელი, ის ნოტარიალურად არ მოწმდება და იურიდიული ძალა არა აქვს. მეც დეიდაჩემის პროტექციით მოვეწყვე ქარხანაში, სადაც არანაირ ხელშეკრულებაზე არ მომიწერია ხელი. საკმაოდ დიდი საწარმო იყო, რომელიც ბლოკნოტებს, ყურანის სურებს (თავებს), მათ ჩასადებ ჩანთებსა და ამა თუ იმ ქალაქის რუკებს აწარმოებდა. მე ბლოკნოტებში კალმების ჩადება მევალებოდა და ამაში 450 ლირას ვიღებდი, თურქებს კი იმავე სამუშაოსთვის 700 ლირაზე მეტს უხდიდნენ. მოკლედ, რადგან ქართველები ვიყავით და მუშაობის უფლება არ გვქონდა, ექსპლუატაციას გვიწევდნენ. იქ ყოფნისას გავარკვიე, რომ მთელი დასავლეთ საქართველო თურქეთშია გახიზნული. როცა აქეთ მოვდიოდი, ერთი ბებო მეჯდა გვერდით, რომელმაც მითხრა: 72 წლის ვარ და უკვე 7 წელია, რაც ბოდრუმში ვცხოვრობო... იქ ყოფილა გათხოვილი. თავიდან შვილები ძალიან გამინაწყენდნენ, მაგრამ მათ ჩემი თურქი მეუღლე ისე ეხმარება, რომ ბედს შეეგუენო. ქალს ხახვი და კარტოფილიც კი თურქეთიდან მოჰქონდა.

**— ქეთი, რატომ არავინ უჩივის იმ ადამიანებს, რომლებიც ქართველებს საქონელივით ყიდიან?**

— ისინი თურქეთის მოქალაქეები არიან და საქართველოში რომც უჩივლო, მათ წინააღმდეგ ვერაფერს გააწყობ. თან, გამართლება აქვთ — ძალით არავინ მიჰყავთ, საქართველოში არც ჩამოდიან — ინტერნეტის მეშვეობით „ქაჩავენ საქონელს“ თავისთან. ■

# მოზარდების მიერ ჩადენილი მკვლელობა შურისძიების ნიადაგზე

**გასულ კვირას, თბილისში, ლოტკინზე ახალგაზრდა მამაკაცი მანქანაში ჩაცხრილული იპოვეს. შემთხვევის ადგილზე ძალოვნები და კრიმინალისტები მივიდნენ, ცხედარი პროზექტურაში გადაასვენეს და ექსპერტიზა ჩაუტარეს. წინასწარი მონაცემებით, მოკლულს ორი ტყვია აქვს მოხვედრილი, მათ შორის ერთი, საკონტროლო გასროლა — თავში. მოკლული, გაერთიანება „ალიანსი-საქართველოსთვის“ აქტივისტი, 34 წლის ზაზა კაკაბაძე აღმოჩნდა. აღნიშნულ ფაქტზე გამოძიება თბილისის შს მთავარ სამმართველოში დაიწყო, 30 მაისს კი ძალოვნებმა დანაშაული გახსნილად გამოაცხადეს და დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები: 17 წლის ტარიელ ალხაზიშვილი, 16 წლის მარიამ მანუკიანი და 20 წლის გიორგი კიკნაძე დააკავეს. მათთან ერთად კიდევ ორი პირი — 28 წლის ედუარდ ეგიზაროვი და 34 წლის მამუკა მამუჩარაშვილი — დააკავეს, რომლებსაც დანაშაულის დაფარვაში ედებათ ბრალი.**

*თეა ხურცილავა*



გამოძიების მტკიცებით, მკვლელობა შურისძიების ნიადაგზე მოხდა. არასრულწლოვანმა ტარიელ ალხაზიშვილმა შეყვარებულისგან შეიტყო, რომ ის ვინმე ზაზამ გააუპატიურა. ამის შემდეგ ტარიელმა ზაზას ვინაობის დადგენა და მისი პოვნა განიზრახა. მალე გაიგო, რომ მისი ნაცნობი, არასრულწლოვანი მარიამ მანუკიანი ზაზას იცნობდა, რომლის აღნაგობა და მონაცემები შეყვარებულის მონათხრობს ემთხვეოდა. მარიამის დახმარებით, ზაზასთან კონტაქტზე გასვლა გადაწყვიტა. ბრალდებული ტარიელ ალხაზიშვილი დანაშაულს აღიარებს და ადასტურებს, რომ მკვლელობა უშუალოდ მან ჩაიდინა. ძალოვნებმა მისი აღიარებითი ჩვენება გაავრცელეს:

*„მკვლელობამდე ორი დღით ადრე ჩემმა შეყვარებულმა, რომელიც 15 წლისაა, მითხრა, რომ ის ვინმე ზაზამ გააუპატიურა. გადავწყვიტე, შური მეძია. ამ ხნის განმავლობაში მარიამ მანუკიანი გავიცანი, რომელსაც ზაზა კაკაბაძესთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა. მარის ყველაფერი მოვუყევი და თავისი ტელეფონის კარტა გამოვართვი, რომ ამ გზით მასზე გავსულიყავი. მარის ნომრიდან, მისი სახელით, ზაზას ვემესიჯებოდი და 28 მაისს შეხვედრა დავუნიშნე. როგორც დაგეგმილი იყო, ნაძალადევის რაიონში მას მარი უნდა შეხვედროდა, ამოეყვანა ხუდადოვზე, დანიშნულ ადგილას. მარიმ ამოიყვანა, მე მანქანასთან მივედი, მძღოლის უკან კარი გამოვაღე და ზაზას ერთხელ თავში ვესროლე. ამ დროს მარი გაიქცა. მანქანას შემოვუარე, მანქანის წინა კარი გამოვაღე, სადაც ის იჯდა და საკონტროლო გასროლაც მოვახდინე...“*

არც ბრალდებულ მარი მანუკიანს უარუყვია დანაშაულში მონაწილეობა, თუმცა ირწმუნება, რომ დაგეგმილ მკვლელობაზე არაფერი იცოდა:

*„ტარასამ მითხრა, რომ იგივე აღნაგობის ადამიანმა, რომელსაც მე ვხვდებოდი, მისი არასრულწლოვანი შეყვარებული გააუპატიურა. ამის შემდეგ მთხოვა, ზაზა მისთვის გამეცნო და ჩემი მეშვეობით ზაზას გამოყვანა სცადა. ხუდადოვის ტყეში შეხვედრა მთხოვა. შევხვდით ხუდადოვის ტყეში. მანქანაში ჩავჯექი და ზაზას ველაპარაკებოდი. რამდენიმე წუთში ტარასაც გამოჩნდა. ჩაჯდა მანქანაში. როგორც ვიცოდი, მე უნდა გადავსულიყავი და ისინი უნდა დალაპარაკებოდნენ ერთმანეთს. რომ გადავედი, კარის მოხურვის დროს ერთი გასროლა გავიგე. მანქანას მოვშორდი და გიორგის შევხვდი, ამ დროს უკვე მეორე გასროლაც გაისმა“.*

მარიამის მიერ დასახელებული გიორგი დანაშაულის კიდევ ერთი მონაწილე, გიორგი კიკნაძეა, რომელიც წარსულში ნასამართლევი გახლდათ და დანაშაულის ჩადენის დროს პირობითი სასჯელი ჰქონდა შეფარდებული. გიორგი კიკნაძეც ადასტურებს, რომ 15 წლის გოგოს გაუპატიურების შესახებ ტარიელისგან შეიტყო:

*„მითხრა, რომ ზაზა კაკაბაძემ გააუპატიურა. ჩვენ გვინდოდა, მასზე შური გვეძია. დავუმესიჯეთ კაკაბაძეს, ვცდილობდით, ლოტკინზე ამოგვეყვანა. რომ ამოვიდა, მარი მანქანაში ჩაუჯდა, ჩვენ ზევით ველოდებოდით. ტარიელამ უკანა კარი გააღო და თავში ესროლა, მერე მანქანას მოუარა, ამ დროს მარიც გადმოსული იყო უკვე მანქანიდან და საკონტროლო ტყვიაც ესროლა“.*

როგორც გამოძიებით ირკვევა, ამის შემდეგ დანაშაულში მონაწილე პირები შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. გიორგი კიკნაძემ დახმარებისთვის ნაცნობ ედუარდ ეგიზაროვს დაურეკა და უთხრა, რომ კაცი ჰყავდათ მოკლული. სწორედ ამიტომ, ედუარდ ეგიზაროვს დანაშაულის დაფარვაში ედება ბრალი. მკვლელობის ღამე კიკნაძემ და მანუკიანმა ალხაზიშვილის სახლში, ვარკეთილში გაათენეს. გამოძიების მტკიცებით, ტარიელმა სისხლიანი ტანსაცმელი გარეცხა და კვალის წაშლას შეეცადა. ამის შემდეგ, მეორე დღეს კიკვიძის ბაღში მამუკა მამუჩარაშვილს შეხვდნენ. მარიამი მამუკას ქუჩიდან იცნობდა და სთხოვა, ღამის გასათევი ადგილის მოძებნაში დახმარებოდა. გამოძიების მტკიცებით, მამუკამ შეიტყო, რომ არასრულწლოვნებს პოლიცია ეძებდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მათი დახმარება გადაწყვიტა და ისინი ზესტაფონის ქუჩაზე, თავის საცხოვრებელ კორპუსში მიიყვანა. მამუჩარაშვილი მარტოხელა მამაა — სამი შვილის მამა მოხუც დედასთან ერთად, საერთო საცხოვრებელში ცხოვრობს. მამუკამ მარიამი და მისი მეგობრები — კიკნაძე და ალხაზიშვილი მის კორპუსში მცხოვრები მარტოხელა მამაკაცის, გიგაურის სახლში მიიყვანა და მეზობელს სთხოვა, მათთვის ღამის გათევის საშუალება მიეცა. ისიც დათანხმდა, რადგან მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ არაფერი იცოდა. სწორედ იმ ბინაში მიაგნეს ძალოვნებმა დამნაშავეებს და დააკავეს. ბრალდებულთა საცხოვრებელი ბინები გაიჩხრიკა: ტარიელ ალხაზიშვილის ბინიდან მკვლელობის იარაღი ამოიღეს. ნაპოვნია მოკლულის კუთვნილი მობილურიც. როგორ აღმოჩნდა არასრულწლოვნის ხელში იარაღი, ჯერჯერობით უცნობია.

გამოძიება მკვლელობის მოტივად შურისძიებას ასახელებს. ძალოვნების განცხადებით, ზაზა კაკაბაძე ნარკოტიკული საშუალებების განმეორებით მოხმარებისთვის იყო ნასამართლევი. მოკლული ცოლ-შვილიანია და მისი ოჯახისთვის მკვლელობის მოტივი მიუღებელია. მისი მეუღლე, თამარ სირაძე ამ ვერსიას კატეგორიულად არ ეთანხმება

და ამბობს, რომ მომხდართან დაკავშირებით საკუთარი ვერსიები აქვს. დაზარალებული აცხადებს, რომ დეტალებზე იურისტებთან კონსულტაციის შემდეგ ისაუბრებს. ისიც ცნობილია, რომ მკვლელობამდე ზაზა კაკაბაძე მეუღლესთან ერთად, ახლობლის სახლში იყო სტუმრად, შემდეგ მეუღლეს დასცილდა და უთხრა, რომ სახლში ნახევარ საათში დაბრუნდებოდა. სავარაუდოდ, ამის შემდეგ იგი მარიამ მანუკიანს შეხვდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე გიორგი არევაძემ 2 ივნისს იმსჯელა დაკავებულთათვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდებაზე. განსასჯელები პროცესზე თბილისის პოლიციის სამმართველოს თანამშრომლებმა მოიყვანეს. უჩვეულო იყო ბადრაგის როლში მყოფი ძალოვნების ქმედება — სხდომის დაწყების მოლოდინში მყოფი ძალოვნები ხუმრობის ხასიათზე იყვნენ და საერთოდ დაავიწყდათ, რომ დარბაზში მკვლელობის საქმე იხილებოდა, ადამიანების ბედი წყდებოდა. განსაკუთრებით ერთი-ერთი ძალოვანი აქტიურობდა და რეპლიკებს ისროდა. უხმოდ, თავჩაქინდრული იჯდა მკვლელობაში ბრალდებული ტარიელ ალხაზიშვილი. ეს სურათი პროცესზე მოსამართლის შემოსვლამ შეცვალა. არევაძემ მხარეების პოზიცია მოისმინა. პროკურატურამ დაკავებულთათვის ორთვიანი წინასწარი პატიმრობის შეფარდება მოითხოვა. ერთადერთი, ვისაც შეღავათი გაუწია, არასრულწლოვანი მარიამ მანუკიანია. პროკურატურამ იგი პატიმრობიდან გაათავისუფლა და სასამართლოს 15.000 ლარის გირაოს შეფარდების მოთხოვნით მიმართა. თავიანთი პოზიციები ჩამოაყალიბეს ბრალდებულთა ადვოკატებმა. მანუკიანის ადვოკატები პროკურატურის მოთხოვნას კატეგორიულად არ დაეთანხმნენ და აცხადებდნენ, რომ არასრულწლოვან მანუკიანის ოჯახს 15.000 ლარის გადახდა არ შეეძლო. მარიამს მამა გარდაცვლილი ჰყავს. *„არასრულწლოვანი დედის კმაყოფაზეა და ოჯახი ამ თანხის გადახდას ვერ შეძლებს. არც ქონება გააჩნიათ, რომ ქონებით მოხდეს ამ თანხის უზრუნველყოფა. უკიდურესად გაჭირვებულები არიან. მანუკიანმა გამოძიებას მისცა ჩვენება, თანამშრომლობს და არაფერი დაუმალავს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მანუკიანი თვენახევრის ორსულია. ვითხოვთ, 2.000-ლარიან გირაოს,“* — აღნიშნა მანუკიანის ადვოკატმა ემზარ საბანაძემ. თავად ბრალდებულმა არასრულწლოვანმაც დაადასტურა, რომ ოჯახს მატერიალურად ძალიან უჭირს და ისინი ნაქირავებ ბინაში ცხოვრობენ: *„ბაბუა გარდაცვლილია და მისი სახლი მე და ჩემს 28 წლის ძმას 150 ლარად გვაქვს გაქირავებული. ამ თანხას ვიყოფთ. სხვა შემოსავალი არ გაგვაჩნია“.* ამ პოზიციის მიუხედავად, მოსამართლემ მარიამს გირაოს, 15.000 ლარის გადახდა დააკისრა — თუ 10 დღის ვადაში მისი ოჯახი ამ თანხის გადახდას ვერ შეძლებს, მას პატიმრობაში დააბრუნებენ.

მკვლელობაში ბრალდებული ალხაზიშვილის ადვოკატმაც მისი დასაცავის გათავისუფლება 2.000 ლარის გადახდის სანაცვლოდ ითხოვა. როგორც გავარკვიეთ, ტარიელ ალხაზიშვილს მძიმე ბავშვობა ჰქონდა. მას მშობლები არ ჰყავს და ბავშვთა სახლში იზრდებოდა. ერთადერთი და ჰყავს, რომელიც გათხოვილია. დეტალების ირგვლივ დამ ჩვენთან საუბარი არ ისურვა. ჯერჯერობით უცნობია, დაჰკითხა თუ არა გამოძიებამ ის გოგონა, რომლის გამოც დანაშაული მოხდა. როგორც ამბობენ, ოჯახმა გოგონა ქალაქიდან გაიყვანა. მისი ჩვენება და ექსპერტიზა ალბათ, ბევრ რამეს მოჰფენს ნათელს...

ეგიზაროვის და მამუჩარაშვილის ადვოკატებიც არასაპატიმრო ღონისძიების შეფარდებას ითხოვდნენ. მამუჩარაშვილის ადვოკატმა განაცხადა, რომ ოჯახს არანაირი შემოსავალი არა აქვს, ისინი სოციალურად დაუცველები არიან. „მყავს მცირეწლოვანი შვილები, რომლებიც ჩემთან იზრდებიან და ავადმყოფი, 71 წლის დედა. ოჯახის ერთადერთი მარჩენალი ვარ, კერძო სამუშაოებს ვასრულებ. დაავადებული ვარ C ჰეპატიტით, მაქვს ციროზი, გასტრიტი. გთხოვთ, გაითვალისწინოთ ჩემი მდგომარეობა, ჩემი დაკავებით ჩემი ოჯახი დაზარალდება,“ — განაცხადა მამუჩარაშვილმა. მაგრამ პროკურატურა ამას არ დაეთანხმა. როგორც გაირკვა, კიკნაძეს იარაღი მამუჩარაშვილმა აართვა და მეზობლის სახლში შეინახა. ეგიზაროვის და კიკნაძის ადვოკატებმაც 2.000-2.000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ მოითხოვეს დასაცავების გათავისუფლება. სხდომაზე ბრალდებული ეგიზაროვი ცუდად გახდა და ექიმი გამოიძახეს. სასამართლომ მკვლელობაში ბრალდებულ ალხაზიშვილს, თანამონაწილეობაში ბრალდებულ კიკნაძეს და დანაშაულის დაფარვაში ბრალდებულებს 2-თვიანი პატიმრობა შეუფარდა. გამოძიება გრძელდება. ■

11 ივნისიდან




სიმართლე „კალაშნიკოვის ავტომატზე“

მისი ბიოგრაფების მონაცემებით 1948 წელს კალაშნიკოვი გაიგზავნა იჟევსკის სამხედრო ქარხანაში მოდელის ასათვისებლად და ავტომატების პარტიის საჯაროსოდ დასამზადებლად.

ლოგიკის მიხედვით შმაისერისა და კალაშნიკოვის გზები 1946 წლის ოქტომბერში უნდა გადაკვეთილიყო, მაგრამ ასე არ მოხდა. სად იყო ამ დროს რუსი მეიარაღე ჩვენთვის უცნობია, ამის შესახებ მისი ბიოგრაფები დუმან. იჟევსკის ქარხანაში კი, როგორც ზემოთ ვთქვით, 1946 წელს დამზადდა AK-ს რამდენიმე ეგზემპლარი, საბოლოო ვარიანტი გამოვიდა 1947 წელს, სერიული წარმოება კი დაიწყო 1948 წელს.

...სრულად იხილეთ ჟურნალში

- ოპერაცია JUBILEE
- ვინ და როდის დაგეგმა როკის გვირაბის მშენებლობა
- მოსკოვი ცხინვალიდან თურქეთსა და ირანს დაზვერავს?
- რუსეთის ექსპანსიის გეოპოლიტიკური საფუძვლები

ყველაზე კაცური ჟურნალი
არა მარტო მამაკაცებისთვის



# სამყარო



# მტრედები და გედები

## „ედემის ბაღი“ საკუთარ ეზოში

**ფარშავანგები, გედები, ხოხბები და სილამაზით გამორჩეული სხვა ფრინველები თანამედროვე ბაღების, სკვერებისა და პარკების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური დეკორაციაა. გამწვანების დღევანდელი ტენდენციიდან გამომდინარე, შესაძლოა, მალე დეკორატიული ფრინველები ქალაქის სკვერებსა და ბაღებშიც ვიხილოთ. მანამდე კი, საკუთარი კოლექციის გასამდიდრებლად, უცხოეთიდან შემოყვანილი იშვიათი ფრინველების შეძენის უნიკალური შანსით კერძო პირები ინტერესდებიან. „ქართველი კაცი სახლის მოსაწყობად არაფერს იშურებს. წარმოიდგინეთ, რა ლამაზი იქნება ისეთი დეტალის შეტანა, როგორიცაა ფარშავანგი — ბაღში, გედი — აუზში და ხოხბის ვოლიერები“, — ამბობს ალბერტ მანელოვი, რომელიც დეკორატიული ფრინველების ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ კოლექციას ფლობს. მის ეზოში მოწყობილ ვოლიერებში ისეთ ფრინველებსაც ნახავთ, რომლებიც არც თბილისის და არც სხვა ქალაქების ზოოპარკში არ არის. ბატონ ალბერტს მისი კოლექციის დასათვალიერებლად ვეწვიეთ.**

*ნათია ჟივიძე*

— ყველაფერი მტრედებით დაიწყო. ჩემმა ძმამ სოფლიდან ორი უბრალო მტრედი ჩამოიყვანა. მერე უკეთესი მტრედები შევიძინეთ. მოგვიანებით, ჩვენს კოლექციას ქათმები,



ციცარი და იხვიც შევმატეთ. მერე რუსეთიდან ფარშავანგებიც ჩამოვიყვანეთ. მათ შორის, თეთრი ფარშავანგებიცაა და კიდევ უფრო იშვიათი — შავფრთიანი ფარშავანგებიც. ამ უკანასკნელს საქართველოში და მთლიანად კავკასიაში მხოლოდ ორ კერძო კოლექციაში ნახავთ. ფარშავანგებს მოჰყვა ხოხბები, გედები, მანდარინები (ფრინველს ჰქვია ასე), პეგანები, ოგარები, კაზარები... მოკლედ, უნიკალური კოლექცია შეიქმნა. ფარშავანგები ძალზე მგრძნობიარე ფრინველები არიან და ნებისმიერ ხმაურზე მაშინვე რეაგირებენ — ყვირიან და სიგნალიზაციის ფუნქციას ასრულებენ. მათი ამ თვისებების გამოყენების პრაქტიკაც კი არსებობს. მაგალითად, ცნობილი ფაქტია, რომ ამერიკულ ბირთვულ ბაზებს ბატებიც იცავენ. ბატიც ასეთივე ფრთხილია, ხმაც ასეთივე მაღალი აქვს და ნებისმიერ ხმაურზე რეაგირებს. ფარშავანგი ადამიანს არ უფრთხის და საფრთხეს არც თავად წარმოადგენს. ვთქვათ, ბავშვს რომ მივარდეს და ჩაუნისკარტოს, ასეთი რამ გამორიცხულია. უბრალოდ, ინდაურივით გაიფხორება ხოლმე. თუმცა რამდენადაც კეთილგანწყობილია ადამიანის მიმართ, იმდენად აგრესიულია მღრღნელებისადმი, რითიც დამატებითი სარგებელი მოაქვს — ერჩის ვირთხებსა და ქვეწარმავლებს. ეს უკანასკნელები ფარშავანგს თვითონვე უფრთხიან და მის საბინადროს ახლოს არ ეკარებიან.

**— სხვა ფრინველების თვისებებზეც გვესაუბრეთ. მაგალითად, როგორია ხოხობი?**

— რაც შეეხება ხოხობს, მისი წარმომავლობა, რასაკვირველია, კოლხური ხოხბიდან იწყება. ის ხოხბების მამამთავრად მიიჩნევა და მთელი ხოხბების გვარის საერთო სახელწოდებაც („ფაზან“ — „ფაზისი“) აქედან მოდის. აქედანვეა გამოყვანილი ხოხბის ხელოვნური ჯიშების უმეტესობაც. დეკორატიული, სამრეწველო და სანადირო ხოხბების მისაღებად სელექციონერები ძირითადად კოლხურს იყენებენ. კოლხური ხოხბის ველური სახეობა ხელოვნურ პირობებში იშვიათად გვხვდება — ტყვეობას ვერ უძლებს. მისი მოშინაურება რთულია, გამრავლება კი — შეუძლებელი. არის შემთხვევები, როცა ველური გარემოდან ხდება კვერცხის აღება ან წიწილის თუ დაჭრილი ფრინველის აყვანა, რაც ყოველთვის წარუმატებლად მთავრდება. ამიტომ სელექციის შედეგად, მისი მოშინაურებული სახეობაც გამოიყვ-

ანეს, რომელიც საქართველოში საფრანგეთიდან შემოვიდა. მყავს სიამის ხოხობიც, რომელიც საქართველოში არასოდეს ყოფილა და ახლაც ერთადერთი წყვილია. რაც შეეხება ჩინეთის ბინადარ, სამეფო ხოხობს, ის დღეს იშვიათ სახეობად აღარ მიიჩნევა — თბილისის ზოოპარკშიც ცხოვრობს და რამდენიმე კერძო კოლექციაშიც გვხვდება. თავზე აქვს გამოკვეთილი თეთრი „გვირგვინი“, საიდანაც მისი სახელწოდება მოდის. თუმცა, მისი განსაკუთრებულობა გრძელი კუდია, ყველაზე გრძელი — ხოხბებში. ვერცხლის ხოხობი სულაც აღარაა იშვიათი, მაგრამ მართლაც იშვიათი ბუნება აქვს, რაც ხოხბების ყველა სხვა წარმომადგენლისგან განასხვავებს. ჩინეთის თეთრ-ლურჯი ბინადარი დინჯია, ადვილად ეჩვევა ადამიანს, შინაურდება და ერთადერთია ხოხბებს შორის, რომლის გაშვება ბაღშიც შეიძლება. ამისთვის საჭიროა ფრთის გაკრეჭა. ჩვენში საკმაოდ პოპულარულია და ბევრს ჰყავს ოქროს ხოხობი. ძალიან ლამაზია და მალე მრავლდება. მისგანაა გამოყვანილი ბაჟაღლოს ხოხობი, რომლის ფერებიც მოწითალოს ნაცვლად, ხასხასა ყვითელია. მათი მონათესავეა ალმასისებრიც, რომლის ფერებიც თითქოს ნაკლებად გამორჩეულია, მაგრამ წყობა და შეხამება საოცარ ეფექტს ქმნის. ბაჟაღლოს, ოქროს და ალმასისებრ მამალ ხოხობს 2 ან 3 დედალი სჭირდება, რადგან აგრესიულია და ერთი დედლის ყოლისას არსებობს საფრთხე, რომ მოკლას კიდეც.

**— საუბარში აღნიშნეთ, რომ კოლექციაში მანდარინიც გყავთ. მკითხველს ეს ალბათ ციტრუსი ეგონება. სინამდვილეში რა არის მანდარინი?**


მანდარინი

— მანდარინი მსოფლიოში ყველაზე ლამაზ იხვად მიიჩნევა და იხვების დედოფლადაა აღიარებული. მათ, კაროლინებთან ერთად, ევროპის ელიტურ პარკებში აშენებენ. ბუნებრივად ბინადრობს ბაიკალზე და სახალინზე. არც შემაწუხებელი ხმა აქვს, სასიამოვნოდ წრიპინებს. ეს სახეობა რომ იყოლიოთ, ცხადია, მცირე ზომის წყლის აუზი დაგჭირდებათ. აუზში კი მის გარდა შეგიძლიათ, გედებიც გაუშვათ. რაც შეეხება გედებს, შავი გედი ავსტრალიის ბინადარია და საქართველოში მხოლოდ 2 წყვილი ბინადრობს. მათ სამების ტაძრის ეზოში და მანელოვის კერძო კოლექციაში წააწყდებით.

**— საქართველოში ქათმის ყოლა არავის უკვირს, მაგრამ თქვენ განსაკუთრებული ქათმები გყავთ...**

— სილამაზე და განსაკუთრებულობა სრულიად ჩვეულებრივ არსებებშიც შეიძლება აღმოაჩინოთ. თუმცა, ქათამი მხოლოდ შინაურ ფრინველს როდი ნიშნავს?! სუმატრა ველური ქათმის სახეობაა. არის შავი ფერის, რომელიც მკვეთრ მწვანეში გადადის. ზრდასრულ ქათამს არაბუნებრივად გრძელი კუდი აქვს — 30 სანტიმეტრს მიწაზეც კი მიათრევს. თუ თავისი კუდის სიგრძით ფარშავანგის ასოციაციას ტოვებს, ფიზიკური და ვიზუალური მონაცემებით, მოჩხუბარი ქათმების სახეობებს ჰგავს. ქათმების ორთაბრძოლის თბილისელი მოყვარულების გამოცდილებით კი, მოჩხუბარი ქათმების სხვა ჯიშებს გამარჯვების შანსსაც არ უტოვებს. რაც მთავარია, ჩხუბისთავი მხოლოდ ქათმებთანაა და ადამიანის მიმართ აგრესიულობას არ იჩენს. ძალიან სასარგებლო და იშვიათია დიეტური ქათამი, რომელიც ვიზუალურად ჩვეულებრივისგან არ განსხვავდება. განსხვავებულია მისი კვერცხი — ფერითაც და თვისებებითაც. ეს ერთადერთი, უქოლესტერინო ქათმის კვერცხია, რომელიც შემადგენლობით მწყრის კვერცხის იდენტურია და შესაბამისი სამკურნალო თვისებებითაც გამოირჩევა. სელექციონერებმა სპეციალურად გამოიყვანეს განსხვავებული ფერის — ჭაობისფერი, ცისფერი და წითელი კვერცხების მდებელი ქათამი, რომ ჩვეულებრივი ქათმის კვერცხისგან მათი გარჩევა შეიძლებოდეს.


ალმასის ხოხობი

**— რითი და როგორ კვებავთ თქვენს ფრინველებს?**

— ზრდასრული ფარშავანგის თუ ხოხბის კვება რთული არ არის. ისინი ძირითადად, მარცვლეულით (ხორბალი, სიმინდი, ქერი, სასურველია — კომბინირებულად), ბალახითა და ხილ-ბოსტნეულის ნარჩენებით იკვებებიან. რაც შეეხება წიწილას, ნაზია და გასაზრდელადაც — რთული. მოგეხსენებათ, ველური ფრინველი ბუნებაში ძალიან სწრაფად იზრდება. მტაცებელმა რომ არ დაიჭიროს, სწრაფად უყალიბდება ბუმბული, ფრთები და ამ ინტენსიური ზრდის პროცესში თუ რამე დააკლდა, კვდება. ბუნებაში ან კალიას დაიჭერს, ან — ობობას; უამრავი ბალახია... სახლის პირობებში კი ასეთი „დელიკატესები“ ვერ ექნება. ამიტომ, ეს დანაკლისი ხორცით, ხაჭოთი ან სპეციალური ვიტამინებით უნდა ანაზღაურდეს... ■


შავფრთიანი ფარშავანგი

# გზაში საკითხავი კოლაჟი

ქემდეგნელი თემურ ივანიძე

1. ფანფარა სპილენძის სასიგნალო საყვირია.

2. მისტერ პიტკინს გიორგი ვიცინი ახმოვანებს.

3. „ოღრო-ჩოღრო“ და „ნაცვლია“ რაჭული ცეკვებია.

4. ზუთხი დღეგრძელი თევზია. იგი 80 წლამდე ცოცხლობს.

5. საინფორმაციო სააგენტო „ფრანს-პრესი“ 1944 წელს დაარსდა.

6. შალვა ნუცუბიძე საქართველოს პირველი რესპუბლიკის პარლამენტის წევრი იყო.



7. XV საუკუნეში თერმომეტრში ვერცხლისწყლის ნაცვლად კონიაკს ასხამდნენ.

8. „ნე დუმაი ი ნე მარგაი, ეტა ზანიმაეტ სლიშკომ მნოგო ვრემენი“, — ამბობენ რუსები.

9. 1995 წელს, პირველად ისტორიაში, იაპონელებმა ბრინჯზე მეტი ხორცი გამოიყენეს საკვებად.

10. რედიარდ კიპლინგს მხოლოდ მაშინ შეეძლო ნაწარმოებზე მუშაობა, როცა მის კალამში შავი ფერის მელანი იყო ჩასხმული.

11. ათენში ყველა მოქალაქე თანასწორი უფლებებით სარგებლობდა, გარდა ქალებისა, უცხოელებისა და მონებისა — ამგვარი გახლდათ სახელგანთქმული ბერძნული დემოკრატია.

12. ჰურიები მუსლიმანთა სამოთხეში მცხოვრები, მარად ნორჩი, ულამაზესი ქალები არიან. სწორედ ისინი ელიან სამოთხეში იმ შაჰიდებს, რომლებიც ტერორისტული აქტის დროს თავს იფეთქებენ.

13. თეთრ სახლში, ე.წ. ფაიფურის ოთახში, დღესაც გამოფენილია ნენსი რეიგანის მიერ სახელმწიფო ხარჯით შეძენილი სასადილო სერვიზი, რომლის თითოეული ნაჭერში, პირველმა ლედიმ 952 დოლარი გადაიხადა.

14. ინგლისურ ტექსტებში ყველაზე ხშირად ასო E გვხდება. მწერალ ერნესტ ვინსენტ რაიტის რომანში „გედსბი“, რომელიც დაახლოებით 50 ათასი სიტყვისგან შედგება, არ არის არც ერთი ასო „E“.

15. ფშავში შემორჩენილია რიტუალი, რომლის დროსაც ფშაველები წყალს „ხნავენ“. საგაზაფხულო სამუშაოების დაწყების წინ გუთნისდედას ხარები მდინარეში შეჰყავს და საკულტო სიმღერების თანხლებით ფსკერის ხვნას იწყებს. გუთნის სახნისი მამრის სიმბოლოდ მოიაზრება, წყალი — მდედრის. ამ ფორმით ფშავლები კარგ მოსავალს, ხვავსა და ბარაქას იბედებენ.



# რობოტები, რომლებმაც ადამიანები შეცვალეს

### კოსმონავტი

2010 წელს, რობონავტ II კოსმოსში გაფრინდება და კოსმონავტ-ადამიანზე დაკისრებულ ვალდებულებებს მასზე უკეთ შეასრულებს. რობოტს 9 კგ-ზე მეტი მასის აწევა შეუძლია და რაც ყველაზე საინტერესოა, სკაფანდრი არ სჭირდება.

### დიასახლისი

კორეელებმა დიასახლისი რობოტი შექმნეს, რომელიც ქალის ყველა საქმეს — დალაგებას, რეცხვას, სადილის გაცხელებასა და პატრონისთვის მიტანას საუკეთესოდ ასრულებს და რაც მთავარია, ქალივით არ ბუზღუნებს.

### მოჭადრაკე

შარშან მოჭადრაკე რობოტი შექმნეს, მაგრამ წელს მისი გაუმჯობესება გადაწყვიტეს. მან ლაპარაკი და რეცხვა უნდა „ისწავლოს“. რობოტს შეუძლია, სამ მოწინააღმდეგეს ერთდროულად ეთამაშოს.

### რობოტი-ჩემოდანი

მოგზაურებს ჩემოდნის თრევა აღარ დასჭირდებათ, რადგან 2-საათიანი დატენის შემდეგ ჩემოდანი უკან თავად გამოგყვებათ.

### რობოტი-ჩვილი

თუ ბავშვის გაჩენა არ შეგიძლიათ, რობოტი ჩვილი მის მაგივრობას გაგიწევთ. იგი ემოციებს გამოხატავს და ტირილიც კი შეუძლია.

### მეძუძა

180-კგ-იანი რობოტი-მეძუძა იაპონიის საავადმყოფოში მუშაობს. გარდა იმისა, რომ მეძუძის მოვალეობას ასრულებს, ძახილზე რეაგირებს და სახეების გარჩევაც შეუძლია. ამერიკელებმა შექმნეს რობოტი-სავარძელი, რომელიც უნარშეზღუდული ადამიანებისთვისაა განკუთვნილი.





### პაციენტი

რობოტ-სტომატოლოგს რობოტი-პაციენტი გამოუჩნდა. მას ჰანაკო ჰქვია. სანამ სტომატოლოგი კბილს უპლომბავს, რობოტი ემოციებს გამოხატავს, თვალებს ხუჭავს და დორბლი ჩამოსდის. შეუძლია, რამდენიმე სტანდარტული ფრაზის, მათ შორის: „მტკივა“-ს თქმა.

### ზღვის სანიტარი

ეკოლოგებისა და ოკეანოლოგებისთვის მცურავი რობოტი შეიქმნა. მას წყლის მდგომარეობის — დაბინძურებისა და წნევის გარკვევა ევალება.

### ფოტომოდელი

მექანიკურ გოგონას პოდიუმზე გრაციოზულად გადაადგილება და რამდენიმე ილეთის შესრულება შეუძლია. ამასთან, ემოციებსაც გამოხატავს. ფოტომოდელი 43 კგ-ს იწონის და სიმაღლით 158 სმ-ია.

### მასწავლებელი

იაპონიის რამდენიმე სკოლაში წარმატებით „ასწავლის“ მასწავლებელი-რობოტი. იგი რამდენიმე ენას ფლობს, დავალების მიცემა, მოსწავლის გამოკითხვა და ემოციის გამოხატვა შეუძლია.

### მყნოსველი

რობოტ უბიკოს დამწვრის სუნისა და ბოლის გამოცნობა და „სახანძროს“ გამოძახებაც შეუძლია. იგი ერთმანეთისგან ასხვავებს სალ და ვადაგასულ პროდუქტებსა და მის ქიმიურ შემადგენლობას.

### დამხმარე სამზარეულოში

2006 წელს რობოტი-მზარეული შექმნეს და ჩინური კერძების კეთება „ასწავლეს". შეუძლია მოხარშვა, შეწვა, გამოცხობა. ცოტა ხნის წინ მას დამხმარეც გამოუჩნდა და უკვე კლიენტებსაც ემსახურება.

### მომვლელი

ადამიანისსახიან, ემოციურ რობოტს ხანდაზმულებს, ავადმყოფებსა და ჩვილებს მიუჩენენ.

### პატარა

ადამიანის მსგავსი, ყველაზე პატარა რობოტი სიმაღლით 15 სმ-ია. მას ცეკვა და აღმოსავლური ორთაბრძოლის — თაი-ძის ილეთების შესრულება შეუძლია.

### თევზი

რობოტი-თევზი წყლის ბინადრებს დააკვირდება და მათ ქცევებს შეისწავლის.

### ტარაკანი

ფრანგმა და შვეიცარიელმა გამომგონებლებმა რობოტი შექმნეს,



რომელსაც ტარაკნის შესახედაობა აქვს და საშიში მწერების განადგურება ევალება. გამომგონებლებს გადაწყვეტილი აქვთ, ცოტა ხანში რობოტის ახალი მოდელი შექმნან, რომელიც მეცხვარის ფუნქციას შეასრულებს.

### დამხმარე

გამომგონებლებმა უნარშეზღუდულთათვის რობოტი დაამზადეს, რომელიც სახლის საქმესა და პატრონის მითითებებს ასრულებს. გარდა ამისა, რობოტში ჩამონტაჟებულია ინტერნეტი, რომლის საშუალებითაც ადამიანს ახლობლებთან კონტაქტი შეუძლია.

### მუსიკოსი

თანამედროვე რობოტებს სხვადასხვა მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრა შეუძლიათ. ცოტა ხნის წინ ოთხხეგლიანი ჰარბინა შექმნეს, რომელიც ორღანზე „უკრავს".

### მხატვარი

სალვადორ დაბოტი შვეიცარიელი რობოტი-მხატვარია. ულვაში აქვს და ბერეტს ატარებს. მექანიზმში ჩამონტაჟებული აპარატის საშუალებით მენატურეს ფოტოს უღებს, შემდეგ ამუშავებს და ნახატიც მზადაა. „ხატვის" დროს რობოტს ლაპარაკიც შეუძლია.

### ლუდის მოყვარული

2004 წელს ავსტრალიელმა გამომგონებელმა რობოტი-ალკოჰოლიკი შექმნა. იგი ბარში „ზის" და ნებისმიერ გამვლელს სასმლის ფულს სთხოვს. თანხის შეგროვების შემდეგ ბარმენს მიმართავს: „ერთი კათხა ლუდი". დალევის შემდეგ კათხას იატაკზე ანარცხებს და ყველაფერი თავიდან იწყება. ■

## შხამიანი გველი ღვინის ბოთლში

გველის ღვინო პირველად ვიეტნამში დაამზადეს, მაგრამ დღეს მისი დაგემოვნება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მრავალ ქვეყანაშია შესაძლებელი.

თავდაპირველად, მხოლოდ გაბედულები სვამდნენ. შემდეგ ბოთლში არსებული არსებების გასინჯვაც დაიწყეს. სასმლისთვის მეტი ყურადღების მისაქცევად, დამამზადებლებმა ხმა გაავრცელეს, რომ უჩვეულო სასმელი ათასგვარ დაავადებას, მათ შორის იმპოტენციას კურნავდა და დღეს მასზე ისეთი დიდი მოთხოვნაა, რომ ვიეტნამში კობრები და სხვა შხამიანი გველები გაწყვეტის პირასაა.



არსებობს გველის ღვინის ორი სახეობა: შერეული, რომელშიც ცოცხალ გველთან ერთად ბრინჯის ღვინოში კუ, ჩიტი ან მწერებია მოთავსებული და გველების ნაწილებსა და სისხლში არეული ღვინო ან სპირტი. ■

ანტიდეპრესანტი

## გზაში საკითხავი კოლაჟი

ჭკმქვენილი თემურ ივანიძე

16. ხაირემ მაქსიმის მიერ, პირველ მსოფლიო ომამდე შექმნილ ტყვიამფრქვევზე მითები დადიოდა, — ამ იარაღით ხის მოჭრაა შესაძლებელიო. ამ მითის გასაქარწყლებლად სამხედრო ინსტრუქტორებმა სატელევიზიო არხ „ნეიშენალ ჯეოგრაფიკის" ოპერატორების თანდასწრებით, ექსპერიმენტი ჩაატარეს. საშუალო სისქის, ოდნავ გადახრილი ნაძვი ამოარჩიეს და ტყვიამფრქვევიდან ცეცხლი გახსნეს. ხის წაქცევას 470 ტყვია დასჭირდა.

17. კელტებს ისე ღრმად სწამდათ იმქვეყნიური ცხოვრების, რომ ფულსაც კი გასცემდნენ სესხად იმ პირობით, რომ მევალე ვალს საიქიოში გაუსტუმრებდა.

18. ლორდ ბაირონს ოთხი შინაური ბატი ჰყავდა, რომელიც ყველგან თან დაჰყვებოდა. ეს ფრინველები პოეტთან ერთად საზოგადოებრივ კრებებსაც კი ესწრებოდნენ.



19. შეერთებული შტატების პირველმა ლედიმ, პრეზიდენტ ადამსის მეუღლემ, ლედი აბიგაილ ადამსმა, თეთრი სახლის აღმოსავლეთ დარბაზში 3200 კვადრატული მეტრის ფართობზე სარეცხის თოკები დაჭიმა, რომელზეც თეთრეულს აშრობდა.

20. „ჩემს პოლიტიკურ ოპონენტებს ტემზის ზედაპირზე მოსიარულე რომ ვენახე, იტყოდნენ, ცურვა არ იცის და წყალზე იმიტომ დადისო", — ამბობდა მარგარეტ ტეტჩერი.

21. 1941 წლის აპრილში, ფაშისტების მიერ ჩატარებული სამხედრო მანევრების შესახებ ჩერჩილმა სტალინს წერილობით აცნობა და გააფრთხილა: ეჭვი აღარ არის, ჰიტლერი საბჭოთა კავშირზე თავდასხმას გეგმავსო. სტალინს კარგად ესმოდა ომის გარდუვალობა, ოღონდ ვერ წარმოედგინა, ჰიტლერი ასე მალე თუ გაბედავდა საომარი მოქმედებების დაწყებას. „ონ ჟე ნე იდიოტ?!.." — გაიძახოდა საბჭოთა ბელადი. ამიტომ, როცა ჩერჩილის წერილი წაიკითხა, ინგლისის პრემიერმინისტრს მუხანათობაში დასდო ბრალი: ინგლისს სურს, ერთმანეთს წაგვკიდოს. ჩერჩილი საბჭოთა კავშირს გერმანიით აშინებს და გერმანიას კი — საბჭოთა კავშირითო.

22. ჰოლანდიაში მზესუმზირა ჩვეულებრივი მცენარეა, რომლისგანაც ზეთს ხდიან, საჭმლის მოსამზადებლად. არაჩვეულებრივად იგი ვინსენტ ვან გოგის ფუნჯმა აქცია და ყველა იმ მცენარეს შორის გამოარჩია, რომელიც ოდესმე ვინმეს დაუხატავს.

# 1915–1916 წლების ქართველთა მუჰაჯირობა

მიხეილ ლაბაძე

I მსოფლიო ომის დროს, ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში — ნიგალის ხეობაში, რომელიც იმ დროს ბათუმის ოლქის ართვინის ოკრუგში შედიოდა, რუსულმა არმიამ ადგილობრივი, მაჰმადიანი ქართველები მამაპაპისეული საცხოვრისიდან იძულებით აყარა და ოსმალეთის გზას გაუყენა. ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ ფაქტის შესახებ აქამდე თითქმის არაფერი დაწერილა. 1915-1916 წლებში ნიგალის ხეობიდან ქართველთა გასახლების თაობაზე ყველა დოკუმენტი საბჭოთა კავშირში მკაცრად გასაიდუმლოებული იყო; გასული საუკუნის 90-იან წლებში კი ცნობილი გახდა, რომ ნიგალის ხეობიდან ქართველ მაჰმადიანთა გასახლება კავკასიაში რუსული არმიის სარდლის, მეფისნაცვალ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვის ბრძანებით განხორციელდა.

ალსანიშნავია, რომ მსოფლიო ომის დასაწყისში, გერმანიაში ჩამოყალიბებულმა „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა“, რომელსაც სოციალ-ფედერალისტი ლეო კერესელიძე მეთაურობდა, ოსმალეთში — სტამბოლსა და ლაზისტანის სანჯაყში რამდენიმე ფილიალი დააარსა და აქედან რუსეთის იმპერიის ქუთაისისა და თბილისის გუბერნიებში აქტიური ანტირუსული პროპაგანდის წარმოება დაიწყო. „დამოუკიდებლობის კომიტეტი“ საქართველოდან რუსების განდევნასა და მონარქიის აღდგენას გეგმავდა. ამ საქმეში მის მესვეურებს



გენერალი ვლადიმირ ლიახოვი

მთავარ მოკავშირედ გერმანია ესახებოდა. როცა მსოფლიო ომში ოსმალეთიც ჩაება, „დამოუკიდებლობის კომიტეტის“ თაოსნობით, ოსმალური არმიის შემადგენლობაში „ქართული ლეგიონი“ შეიქმნა, რომლის ბაზაზეც დამოუკიდებელი საქართველოს შეიარაღებული ძალები უნდა ჩამოყალიბებულიყო.

რუსული საიდუმლო სამსახურების მესვეურებმა 1914 წლის ოქტომბრისთვის, კავკასიის მეფისნაცვალს რამდენჯერმე მიაწოდეს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ აგენტურა ძირითადად ბათუმის ოლქში იყო თავმოყრილი, რადგან ამ მხარის მოსახლეობას ოსმალეთთან მჭიდრო კავშირი ჰქონდა. ოსმალეთის ტერიტორიიდან თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში დიდი რაოდენობით იარაღი სწორედ ბათუმ-ართვინის გავლით ხვდებოდა; ამ საქმეს „დამოუკიდებლობის კომიტეტთან“ დაკავშირებული ვაჭრები და კონტრაბანდისტები კურირებდნენ.

ბათუმის ოლქის ჟანდარმერიის ხელთ არსებული ცნობებითაც, „დამოუკიდებლობის კომიტეტს“ ყაჩაღთა დაჯგუფებებიც ექვემდებარებოდნენ, განსაკუთრებით კი მურღულის მაზრაში, სადაც სტრატეგიული მნიშვნელობის სპილენძის საბადოები არსებობდა, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობა — ქართველი მაჰმადიანები, რუსული ხელისუფლებისადმი უაღრესად მტრულად იყვნენ განწყობილი და ამის გამო კრიმინოგენური ვითარება აქ მეტად მძიმე იყო: „მურღულის მაზრის სოფელ ისქებში არსებული სპილენძის სადნობი ქარხანა, რომელსაც ინგლისელები ამუშავებენ, სტრატეგიულად მეტად მნიშვნელოვანი ობიექტია, თუმცა მაზრაში არსებული ვითარების გამო, ხელისუფლება ინვესტორებს ვერ აკონტროლებს ისე, როგორც საჭიროა... ყოველივე ამან, შესაძლოა, ოსმალეთის მხრიდან საომარი მოქმედებების დაწყების შემთხვევაში, დიდი პრობლემა შეგვიქმნას,“ — წერდა მეფისნაცვლისადმი გაგზავნილ საიდუმლო ანგარიშში ბათუმის ოლქის ჟანდარმერიის უფროსი.

კავკასიის ფრონტზე საომარი მოქმედებების დაწყების (1914 წ. 2 ნოემბერი) შემდეგ, ოსმალეთის ტერიტორიაზე შეჭრილი რუსული არმია მალევე იძულებული გახდა, უკან დაეხია და თავდაცვითი პოზიციები დაეკავებინა. ალსანიშნავია, რომ ეს წარუმატებლობა ინფანტერიის გენერალმა, ნიკოლაი ისტომინმა, რომელიც შეტევას მეთაურობდა, სწორედ „ქართულ ლეგიონს“ და ადგილობრივ ქართველ მაჰმადიანებს გადააბრალა. გენ-



მეფისნაცვალი ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი

ერლის თქმით, ამ უკანასკნელებმა რუსულ არმიას ზურგიდან მაშინ შეუტიეს, როცა ოსმალეთის არმიის შემადგენლობაში მყოფი ქართული ლეგიონი ბრძოლაში ჩაერთო და რუსებს უკან დაახევინა. ალსანიშნავია, რომ ისტომინის ეს ცნობა სინამდვილეს მხოლოდ სანახევროდ შეესაბამებოდა — „ქართული ლეგიონი“ ჯერ საომარ მოქმედებებში ჩართული არ იყო. ქართველი მაჰმადიანების გაღიზიანება კი რუსი ჯარისკაცების თვითნებობით გახლდათ გამოწვეული: ნიკოლაი ისტომინს უმაღლეს სარდლობასთან კრინტიც არ დაუძრავს იმაზე, რომ ოსმალეთზე შეტევის წინ, მისმა ჯარისკაცებმა, ბათუმის ოლქის სასაზღვრო ზოლში — მდ. ჩხალის ხეობაში მდებარე ქართული სოფლები დაარბიეს.

მოგვიანებით, როცა ოსმალებმა მორიგი შეტევის შედეგად მურღულის მაზრა აიღეს და ართვინს დაემუქრნენ, რუსული არმიის მარცხი კვლავ ქართველებს დაჰბრალდათ. მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვს რუსმა გენერლებმა მრავალი საიდუმლო ანგარიში აახლეს, სადაც ქართველთა „ღალატს“ დაწვრილებით აღწერდნენ. 1914 წლის 5 ნოემბერს ოსმალები ართვინსაც დაეუფლნენ და ბათუმისკენ წინსვლა განაგრძეს. რუსულ არმიაში პანიკა ატყდა — ჯარისკაცები სარდლებისადმი დამორჩილებაზე უარს აცხადებდნენ და უწესრიგოდ იხევდნენ უკან. „კავკასიაში ჩვენი ჯარების წარუმატებლობა ამბოხებული ქართველი მაჰმადიანების ბრალია, ვინაიდან ისინი, ოსმალო ემისრების წაქეზებით, რუსულ არმიას გადაადგილებაში ხელს უშლიან...“ — სწერდა მეფისნაცვალი ვორონცოვ-დაშკოვი იმპერატორ ნიკოლოზ II-ს.

რუსულ არმიაში გამეფებული პანიკის გამო, ოსმალებმა კავკასიის ფრონტზე მალე მნიშვნელოვნად წაიწიეს წინ — თითქმის მთელი ბათუმის ოლქი, ბათუმითურთ, ასევე ყარსის ოლქის დიდი

ნაწილი, 1915 წლის იანვრისათვის მათ ხელში აღმოჩნდა. კავკასიის ფრონტის რუსი სარდალი, გენერალი ალექსანდრ მიშლაევსკი ოსმალთა მოწოლის გამო იძულებული გახდა, მტერი სარიყამიშამდე მოეშვა. მან ხელმძღვანელობა შტაბის უფროსს, გენერალ ნიკოლაი იუდენიჩს გადააბარა, თვითონ კი თბილისში ჩამოვიდა და ვორონცოვ-დაშკოვს საიდუმლო მოხსენება წარუდგინა, სადაც მაშველ ძალას ითხოვდა. იუდენიჩმა, რომელიც მიშლაევსკის ფარულად მტრობდა, ამასობაში, ქართული პოლიციის მეოხებით, ოსმალთა მოგერიება შეძლო; მანვე ვორონცოვ-დაშკოვს აცნობა, რომ მიშლაევსკის მიერ წარმოდგენილ საიდუმლო მოხსენებაში აღწერილი ვითარება სინამდვილეს სულაც არ შეესაბამებოდა: „ყარს-ერზერუმ-სარიყამიშის მიმართულებით მტრის წინააღმდეგობა უკვე თითქმის დაძლეულია. აქედან გამომდინარე, გენერალი მიშლაევსკი ცრუობს, როდესაც აცხადებს, რომ ფრონტის მთელ პერიმეტრზე მდგომარეობა საგანგაშოა... მაქვს პატივი განვაცხადო, რომ კარგი იქნება, თუ დამატებით რაზმებს შავიზღვისპირეთის, კერძოდ — ართვინ-ბათუმის მიმართულებით გადავისვრიდით...“ — სწერდა იუდენიჩი მეფისნაცვალს.

აღსანიშნავია, რომ ოსმალური ოკუპაციის პერიოდში, ბათუმის ოლქში მცხოვრებ ქართველ მაჰმადიანთა უმეტესობა საოკუპაციო ხელისუფლებასთან არ თანამშრომლობდა — მართალი რომ ითქვას, მათგან ამას არც ოსმალები ითხოვდნენ და ისედაც, ოკუპაცია მხოლოდ ორიოდე თვე გრძელდებოდა, მაგრამ რუსული ხელისუფლება ამ ხალხს მაინც მტრის ხელშეწყობაში ადანაშაულებდა. გენერალმა ლიახოვმა „წესრიგის დამყარება“ ნიგალის ანუ ლივანას ხეობის სოფლებიდან დაიწყო. მისმა ჯარისკაცებმა აქ ნამდვილი სასაკლაო მოაწყვეს და ასეულობით მშვიდობიანი მოსახლე იმსხვერპლეს. როგორც წესი, ისინი სოფლელებს „არასაიმედო ელემენტების“ გაცემას სთხოვდნენ და უარის მიღების შემთხვევაში, სასტიკად სჯიდნენ, სახლ-კარს ურბევდნენ ან ფიზიკურად ანადგურებდნენ. მეფისნაცვალი ვორონცოვ-დაშკოვი ამაზე ყურს არ იბერტყავდა და ყველა ინფორმაციას მკაცრად ასაიდუმლოებდა. ამავდროულად, მისი მრჩევლები ბათუმის ოლქიდან ქართველ მუსლიმანთა აყრის ახალ გეგმას ამუშავებდნენ. მეფისნაცვალი, რომელიც ყველა ნაბიჯს უშუალოდ იმპერატორს უთანხმებდა, ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ბათუმის ოლქიდან „არასაიმედო მოსახლეობის“ განდევნა ომში რუსეთის იმპერიის გამარჯვებას დიდად უზრუნველყოფდა; მისი ჩანაფიქრით, ქართველ მაჰმადიანთაგან დაცლილ ტერიტორიებზე სწორედ ის კაზაკები უნდა დაესახლებინათ, რომლებიც იმჟამად იქ „წესრიგს ამყარებდნენ“.

კაზაკთა თვითნებობას ნიგალის ხეობის მოსახლეობამ ამბოხებით უპასუხა, მაგრამ რუსებმა გამოსვლები სისხლში ჩაახშეს, თანაც სოფლებში ჩაყენებული ჯარისკაცების რაოდენობა ორჯერ გაზარდეს. ამბოხების მოთავეთა უმრავლესობა გაანადგურეს ან დაიჭირეს და ციმბირში გადაასახლეს. ინგლისელი ისტორიკოსის, დევიდ ლენგის ცნობით, ლიახოვის ჯარებმა მთელი ამ ოპერაციის განმავლობაში ნიგალის ხეობის 100 ათასამდე მოსახლე იმსხვერპლეს, რის შედეგადაც, მარადიდიდან ართვინამდე ტერიტორია საერთოდ გაუკაცრიელდა. უკიდურესად შევიწროებულმა ქართველმა მაჰმადიანებმა, რომლებსაც წინააღმდეგობის გაწევა აღარ შეეძლოთ, ოსმალეთში მუჰაჯირად წასვლა გადაწყვიტა — 1915 წლის ზაფხულში მუჰაჯირების პირველმა ნაკადმა ფრონტის ხაზი გადალახა და ლაზისტანის სანჯაყის ტერიტორიაზე გადავიდა. აღსანიშნავია, რომ აქ მამაკაცთა დიდი ნაწილი „ქართულ ლეგიონში“ ჩაეწერა, მათი ოჯახები კი ართაშენში, ათინასა და რიზეში დაბინავდნენ. ქართველ მაჰმადიანთა ოსმალეთში იძულებით გადასვლა წლის ბოლომდე გაგრძელდა. ნიგალის ხეობაში, სადაც ომამდე 200 ათასზე მეტი კაცი ცხოვრობდა, 7 ათასი მოსახლეღა დარჩა. მოსახლეობისგან საერთოდ დაიცალა ჭოროხის მარცხენა შენაკადების — ბელევანისწყლის, ჩხალისა და მურღულისწყლის ხეობები. მუჰაჯირთა ნაკადები მიაწყდა ტრაპიზონს, გირესუნსა და სხვა შავიზღვისპირა, ოსმალურ ქალაქებს.

1915 წლის ბოლოს, დარდანელის სრუტეში ოსმალურ-გერმანულმა ჯარებმა სასტიკი დამარცხება აგემეს ბრიტანელებს. ამის შემდეგ ოსმალებმა მთელი ძალები კავკასიის ფრონტზე გადაისროლეს და რუსების წინააღმდეგ გენერალური კონტრშეტევისთვის მზადებას შეუდგნენ.



ნიგალის ხეობიდან გადმოხვეწილ ქართველ მუჰაჯირთა ოჯახი. ილუსტრაცია ერთ-ერთი ოსმალური გაზეთიდან, 1915 წ.

ოსმალთა შემოტევის საფრთხის გამო, მეფისნაცვალმა ვორონცოვ-დაშკოვმა გენერალი ვლადიმირ ლიახოვი ნიგალის ხეობიდან გაიწვია, ხოლო ნიკოლაი იუდენიჩმა კი გადაწყვიტა, რომ ოსმალებისთვის დაესწრო და შეტევაზე თავად გადასულიყო. მისი გაანგარიშებით, რუსულ არმიას შეტევა ორი მიმართულებით უნდა განეხორციელებინა: ჩრდილოეთით — რიზე-ტრაპიზონის, სამხრეთით კი ერზერუმისაკენ.

ამდენად, საომარმა მოქმედებებმა სულ მალე იმ ტერიტორიებზე გადაინაცვლა, სადაც თავს ნიგალელი მუჰაჯირები აფარებდნენ. ამიტომ არა მარტო მათ, არამედ ლაზებსაც აყრამ მოუწიათ — ოსმალებმა რუსთა შემოტევას ველარ გაუძლეს და უკან დახევა იწყეს; მათმა სარდლობამ ადგილობრივ მშვიდობიან მოსახლეობას შესთავაზა, თავი ჩრდილო-დასავლეთ ოსმალეთისთვის შეეფარებინა, რადგან რუსები არავის დაინდობდნენ. „ჩვენ შეტევის შეჩერებას ველარ ვახერხებთ. ამიტომ უკან უნდა დავიხიოთ... გირჩევთ, თქვენც თან გამოგვყვეთ, ასე თავს გადაირჩენთ და გიაური რუსების ხელში არ ჩავარდებით,“ — ეუბნებოდნენ ჯარისკაცები ლაზისტანის სანჯაყის მშვიდობიან მცხოვრებლებს.

ნიგალის ხეობიდან გადმოსული მუჰაჯირები, რომელთაც რუსების ავკარგიანობა მშვენივრად მოეხსენებოდათ, ხელახლა აიყარნენ; მათ მიჰყვნენ მასპინძლებიც — ლაზები. მუჰაჯირები ზღვითა და ხმელეთით დასავლეთისაკენ მიემართებოდნენ. თავიდან მათ იმედი ჰქონდათ, რომ ოსმალური არმია ძალების მოკრებას შეძლებდა და რუსებს მალე შეაჩერებდა. თუმცა, მოვლენები სხვაგვარად განვითარდა — 1916 წლის 5 თებერვლიდან 15 მაისამდე, რუსულ-



ნიგალის ხეობის მკვიდრი ქართველი მაჰმადიანები

„ქართული ლეგიონის“ წევრი მუჰაჯირები და ქართული წარმოშობის ოსმალო გენერალი მურად ფაშა მაღალაძე



მა არმიამ თითქმის მთელი ლაზისტანის სანჯაყი დაიკავა. ამდენად, ქართველ მუჰაჯირებს იმედები გაუცრუვდათ და მათმა უმეტესობამ გზა სტამბოლისაკენ განაგრძო. იქიდან გამომდინარე, რომ ამ დროს ოსმალეთის არმიაც მასობრივად უკან იხევდა, ბუნებრივია, ქართველი მაჰმადიანებისათვის არავის სცხელოდა. მათ თავიანთი თავისთვის თვითონვე უნდა მიეხედათ. ვინც გემებზე ასვლა ვერ მოახერხა (ოსმალურმა ჯარმა უკან დასახევად ყველა ხომალდის მობილიზაცია მოახდინა), სტამბოლისკენ ფეხით გაემართა. ყოველივე ამან კი მუჰაჯირთა შორის დიდი მსხვერპლი გამოიწვია. მათი დიდი ნაწილი ქალები და ბავშვები იყვნენ და დიდ მანძილზე ფეხით სიარული, ცხადია, არ შეეძლოთ. ტრაპიზონიდან სინოპამდე, გზაში 7 ათასამდე ქართველი მუჰაჯირი დაიღუპა. საინტერესოა, რომ ტრაპიზონის მიმართულებით შეტევას გენერალი ლიახოვი ხელმძღვანელობდა. იგი იუდენიჩმა კავკასიის მე-5 კორპუსის მეთაურად დანიშნა; მისი სახელი განაწამებ ხალხში უკვე პანიკას იწვევდა.

ნიგალის ხეობაში ვლადიმირ ლიახოვის მხეცობისა და ქართველ მაჰმადიანთა აყრის დეტალები იმდროინდელი ქართველი საზოგადოებრიობისათვის ცნობილი 1916 წელს, ტრაპიზონის აღების შემდგომ გახდა. გაზეთებმა ამაზე დიდი ხმაური ატეხეს და ბოლოს, მეფისნაცვალი ვორონცოვ-დაშკოვი იძულებული გახდა, საჯაროდ განმარტება გაეკეთებინა. მან პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ ბათუმის ოლქიდან ადგილობრივი ქართველი მაჰმადიანები უკან დახევისას, ტყვედ ოსმალებმა წაასხეს, ვლადიმირ ლიახოვი კი ართვინის ოკრუგში ოსმალური აგენტურის გამოსავლენად იქნა მივლენილი. სხვათა შორის, მეფისნაცვლის ამგვარი განმარტების მიზეზი იყო ისიც, რომ 1915 წელს ოსმალეთში მომხდარ სომეხთა გენოციდს მთელ მსოფლიოში დიდი გამოხმაურება მოჰყვა და აქედან გამომდინარე, რუსებს შეეშინდათ, რომ საპასუხოდ ოსმალებს მათთვის ბათუმის ოლქიდან ქართველ მაჰმადიანთა მასობრივი განდევნა არ შეეხსენებინათ. მით უმეტეს, რომ ეს ხალხი თავს ისევ ოსმალეთს აფარებდა, ხოლო ქართველი საზოგადოებრიობა კი, ბუნებრივია, მათ ბედზე წუხდა.

ამრიგად, ცარისტული ხელისუფლება იძულებული გახდა, დაეთმო. ლაზისტანის სამხედრო გუბერნატორად, ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, პოლკოვნიკი დავით კლდიაშვილი დაინიშნა. ამავდროულად, თბილისისა და ქუთაისის საზოგადოებრიობამ ოკუპირებულ ლაზეთში დიდძალი ჰუმანიტარული დახმარება გაგზავნა. გუბერნატორის ბრძანებით, ოკუპირებული ტერიტორიებიდან გადახვეწილ მოსახლეობას, ქვეშევრდომობისა და წარმოშობის მიუხედავად, უკან დაბრუნების ნება მიეცა; ტრაპიზონში, ხოფაში, არქაბში, ვიწესა და ათინა-ართაშენში კომენდანტის საათი გაუქმდა და ადგილობრივ მოსახლეობასაც რუსეთში გადასვლის შეზღუდვა მოეხსნა.

ამავდროულად, ლაზისტანის სანჯაყში სტრატეგიული ობიექტების აღსადგენად, თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებიდან ჩამოსულ მუშახელთან ერთად, ადგილობრივებიც დაასაქმეს — რუსების გათვლით, ეს ყველაფერი ოსმალეთის შიდა რეგიონებში გადახვეწილ მუჰაჯირებს უკან დაბრუნების სტიმულს მისცემდა, ხოლო სტამბოლს კი რუსეთისადმი ბრალის წაყენების საბაბი აღარ ექნებოდა.

„საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ გათვლების მიუხედავად, რუსულმა არმიამ 1916 წლის ზაფხულში ტრაპიზონზე ოსმალთა კონტრშეტევა მოიგერია და ფრონტის ხაზი ქალაქიდან კარგა მოშორებით — მდ. ხარშუტამდე გადასწია. ამიტომ, მუჰაჯირთა ერთმა ნაწილმა უკან დაბრუნებისგან თავი შეიკავა; დაბრუნდნენ მხოლოდ ლაზისტანის სანჯაყის და ბათუმის ოლქის გონიოს მაზრის მცხოვრებნი, რომლებსაც გუბერნატორ დავით კლდიაშვილის დახმარების დიდი იმედი ჰქონდათ. დანარჩენებმა კი ძირითადად, ქალაქ უნიესა და მის მახლობელ სოფლებში მოიყარეს თავი. ესენი იყვნენ ნიგალელები, რომლებსაც რუსთა მხეცობა კარგად ახსოვდათ და ამის გამო, კვლავაც მათ ხელში ჩავარდნა არ სურდათ. აღსანიშნავია, რომ უნიეში მყოფი ყველა ბრძოლისუნარიანი მამაკაცი „ქართული ლეგიონის“ წევრი იყო. მისი სარდლობის მიერ შედგენილ „ქართველი მუსულმანი ჯარისკაცებისა და მათი ოჯახების სიაში“ აღრიცხულია ასამდე ჯარისკაცი, „ჯარისკაცების ოჯახთა გასავლის წიგნში“ კი 50-მდე ოჯახი, რომელთაც გერმანიიდან „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ ხელმძღვანელობა დახმარებას უწევდა. მიუხედავად ყველაფრისა, ცხადია, მუჰაჯირებს სამშობლო მაინც ენატრებოდათ და ამიტომ, თავიანთ დაარსებულ ახალ სოფლებს ძველ საცხოვრისთა სახელებს არქმევდნენ; ასე გაჩნდა უნიეს მახლობლად სოფლები: მარადიდი, კირნათი, მირვეთი, კაპარჭეთი, მურღული და სხვა. იქ დღესაც ქართველი მუჰაჯირების შთამომავლები ცხოვრობენ, ოღონდ სოფლებს ოფიციალურად თურქული სახელები აქვთ.

უცხოეთში მრავალჭირგადანახად ნიგალელ მუჰაჯირთა ერთმა ნაწილმა, ბოლოს, სამშობლოში დაბრუნება 1917 წლის დეკემბერში შეძლო, როდესაც რუსულმა არმიამ კავკასია დატოვა. 3 ათასამდე მუჰაჯირი ნიგალის ხეობისაკენ უნიედან ურმებით დაიძრა და გაცივებული კერა კვლავაც ააღორძინა. გადმოცემით, იმ წელს საკმაოდ მკაცრი ზამთარი ყოფილა, მაგრამ სამშობლოსაკენ მომავალ ქართველებს მისი შიში არც კი ჰქონიათ — მათ იძულებით მიტოვებული მშობლიური მიწა ელოდათ. ■



რუსი ჯარისკაცები ქ. ართვინის მისადგომებთან, 1914 წ.

# ალექსანდრიის ეკლესიამ უამრავი წარმართი მართლმადიდებლად მოაქცია

**მართლმადიდებელ, ადგილობრივ ეკლესიათა იერარქიულ წყობაში — დიპტიქში, მეორე ადგილზე ალექსანდრიის საპატრიარქო საყდრის მქონე ეკლესია იხსენიება. ამჯერად სწორედ ალექსანდრიის ეკლესიის შესახებ ვისაუბრებთ.**

შორენა მერკვილაძე

**არქიმანდრიტი მაკარი** *(აბესაძე):*

— ალექსანდრიის ეკლესია დიპტიქში მეორე ადგილზე, კონსტანტინოპოლის ეკლესიის შემდეგ იხსენიება. XI საუკუნემდე, ვიდრე რომის ეკლესია მართლმადიდებელ ეკლესიას ჩამოსცილდებოდა, ალექსანდრიის ეკლესიას იერარქიულ წყობაში მესამე ადგილი ეჭირა. XI საუკუნიდან კი მეორე ადგილი დაიკავა.

თავად ალექსანდრია, როგორც ვიცით, ალექსანდრე მაკედონელის მიერაა დაარსებული. მან 70-ამდე ქალაქი დააარსა და პირველი ალექსანდრია გახლდათ, რომელიც ნილოსის შესართავთან მდებარეობს. ალექსანდრია თავიდანვე ელინური ქალაქი იყო და ელინური სწავლება ძალიან მაღალ დონეზე იდგა. ალექსანდრია შემდგომში ალექსანდრე მაკედონელის აფრიკული სამფლობელოების დედაქალაქი გახდა. როდესაც ძველი წელთაღრიცხვის დასასრულს, რომის იმპერიამ ალექსანდრია საბოლოოდ დაიპყრო, ამის შემდეგ ის რომის იმპერიის აფრიკული პროვინციების დედაქალაქად გადაიქცა. ალექსანდრიაში ანტიკური სწავლება მაღალ დონეზე იდგა. ცნობილია, რომ მეფე პტოლემეოს II-მ ალექსანდრიაში უდიდესი ბიბლიოთეკა შექმნა. ბიბლიის ძველი აღთქმის წიგნების თარგმნა ძველებრაულიდან — ბერძნულად, სწორედ მის სახელს უკავშირდება. ამ საქმეში სვიმონ ღვთისმიმრქმელი სამოცდაათ სწავლულ ებრაელთან ერთად მონაწილეობდა. ალექსანდრია ცივილიზაციის უდიდესი ცენტრი იყო.

როდესაც მაცხოვარი მოვიდა ამქვეყნად, ჰეროდემ მისი მოკვლა განიზრახა და ამის გამო 14 ათასი ყრმა ამოწყვიტა. უფალმა წმინდა ოჯახი ისრაელს განარიდა — ყრმა მაცხოვარი ყოვლადწმინდა ღვთისმშობელთან და მართალ იოსებთან ერთად ეგვიპტეში იქნა გაყვანილი. მაცხოვარი ეგვიპტეში ოთხი წლის მანძილზე იმყოფებოდა — ე.ი. მიწიერი თვალსაზრისით, ეგვიპტემ თავად ჩვილობის დროს მიიღო მაცხოვარი. ამ ხნის მანძილზე, წმინდა ოჯახი ეგვიპტის სხვა მხარეებთან ერთად, აუცილებლად იქნებოდა ალექსანდრიაშიც. არსებობს გადმოცემა, რომლის თანახმად, სადაც მაცხოვარი გაივლიდა, კერპები ემხობოდნენ.

მაცხოვრის ჯვარცმის, მკვდრეთით აღდგომისა და მოციქულებზე სულიწმიდის გარდამოსვლის შემდეგ, იმ უამრავ ადამიანთან ერთად, რომელმაც სულიწმიდის მადლით გაბრძმობილი მოციქულების პირველი ქადაგება იერუსალიმში მოისმინა, ალექსანდრიელებიც იყვნენ, რადგან ალექსანდრიაში უამრავი იუდეველი ცხოვრობდა და იმ დროს სხვა ებრაელთა მსგავსად, ისინიც იერუსალიმში იყვნენ ჩასულები, პასექის დღესასწაულზე დასასწრებად. როდესაც კენჭისყრის შემდეგ მოციქულები ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში ქადაგებდნენ და ეკლესიები დააარსეს, ერთ-ერთი პირველთაგანი ალექსანდრიის ეკლესია იყო. ეგვიპტეში წმინდა მარკოზ მახარებელი ქადაგებდა და ალექსანდრიის ეკლესიას სწორედ მან ჩაუყარა საფუძველი. მისი პირველმღვდელმთავარიც მარკოზ მახარებელი იყო და მანვე დააარსა კატეხიზაციის სკოლები, რომლებიც თავიდან ქრისტიანობაზე მოქცეული წარმართების განსასწავლად მოიაზრებოდა. ეს სკოლები შემდგომში უდიდეს საღვთისმეტყველო სკოლებად გადაიქცა და ამ სასწავლებლებიდან უდიდესი მამები გამოვიდნენ.


ალექსანდრიის ტაძარი

ალექსანდრიის ეკლესიას თავიდანვე თითქმის მთელი ეგვიპტის მღვდელმთავრები ემორჩილებოდნენ. დასავლეთ ეგვიპტეში, რომელიც ძველი კართაგენის ტერიტორიებს მოიცავდა, ქრისტიანობის გავრცელება რომიდან მოხდა და კართაგენის ეკლესია ლათინურენოვან ეკლესიად ჩამოყალიბდა. ეგვიპტის ჩრდილო-აღმოსავლეთი მხარე ისტორიულად ყოველთვის ალექსანდრიის ეკლესიის დაქვემდებარებაში გახლდათ.

III საუკუნის ბოლოდან და მეოთხე საუკუნეში, ეგვიპტეში ბერმონაზვნური ცხოვრების უდიდესი დაღმავლობა მოხდა. სწორედ ამ პერიოდში, ბერმონაზვნურმა ცხოვრებამ ეგვიპტეში ჩამოყალიბებული სახე მიიღო, რაც ანტონი დიდის სახელს უკავშირდება.

ანტონი დიდი 251 წელს, ეგვიპტეში, ქრისტიანულ ოჯახში დაიბადა. იმ პერიოდში მოღვაწე ყველა მეუდაბნოე მამა მოიარა, თითოეულ მათგანთან იცხოვრა და შემდეგ განმარტოებით დამკვიდრდა ებაიდის უდაბნოში და გახდა რა მკაცრი მოღვაწე, მასთან შეკრება ბერმონაზვნობის მსურველმა ადამიანებმა დაიწყეს. მის გარშემო საძმო შეიკრიბა. მონასტერი ჩამოყალიბდა. იგი სამონასტრო ცხოვრების ფუძემდებლადაა მიჩნეული... ეგვიპტე ბერმონაზვნური ცხოვრების აკვნად იქცა. იმ პერიოდში ეგვიპტის უდაბნოებში უამრავი ბერმონაზონი მოღვაწეობდა.

ყველა ქრისტიანი ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ ალექსანდრიელი ქრისტიანები პირველივე საუკუნიდან ძალზე მკაცრი მოღვაწეობით გამოირჩეოდნენ, განსაკუთრებით — მარხვების პერიოდში. მარხვების დროს მზის ჩასვლამდე საზრდელს საერთოდ არ იხმევდნენ, და ფაქტობრივად, ბერმონაზვნურ ღვაწლს ტვირთულობდნენ. ეს იყო სწორედ იმ ქადაგებისა და ღვაწლის გავლენით, რომელიც მარკოზ მახარებელმა იტვირთა და საფუძველი ჩაუყარა.

VI საუკუნეში, როდესაც მონოფიზიტური ერესი წარმოიშვა, ალექსან-

დრიის ეკლესიაში ძალიან დიდი განხეთქილება მოხდა, რადგან თავად ალექსანდრიის იმდროინდელი პატრიარქი, დიოსკორე, მონოფიზიტური, მწვალებლური სწავლების ერთ-ერთი ფუძემდებელი გახლდათ. ამიტომ ამ ერესს ალექსანდრიაში მრავალი მიმდევარი გამოუჩნდა. ალექსანდრიის ეკლესიას მწვალებლური ფრთა ჩამოშორდა, რომელიც კოპტური მონოფიზიტური ეკლესიის სახით ჩამოყალიბდა. კოპტური მონოფიზიტური ეკლესია დღემდე არსებობს.

VII საუკუნეში არაბების მიერ ეგვიპტის დაპყრობა მოხდა და მონოფიზიტების დიდმა ნაწილმა მაშინვე მუსლიმანობა მიიღო, რადგან მათი გული ჭეშმარიტების მიმართ გაცივებული იყო. მონოფიზიტობის მიმდევრები, თავის დროზე, თითქოსდა ჭეშმარიტების გამო მოსცილდნენ მართლმადიდებლურ სარწმუნოებას და მისი მტკიცედ დაცვა და შენარჩუნებაც ვერ მოახერხეს.

ამ ყველაფრის შემდეგ ალექსანდრიის ეკლესიის მრევლი რიცხობრივად საგრძნობლად შემცირდა, მაგრამ ეკლესია სარწმუნოებრივად განმტკიცდა.

ამჟამად ალექსანდრიის საპატრიარქო მთელ აფრიკის ტერიტორიას მოიცავს და მისი იურისდიქცია მთელ აფრიკაში ვრცელდება. ალექსანდრიის საპატრიარქოს თავისი სამრევლოები აქვს ამერიკის კონტინენტზეც; ასევე — ევროპაში, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში. ალექსანდრიის ეკლესიის შემადგენლობაში სინას მთის ავტონომიური ეკლესიაც შედის, რომელსაც თავისი მღვდელმთავარი, ეპისკოპოსი ჰყავს და თავის შიდა საკითხებს დამოუკიდებლად წყვეტს, მაგრამ სინას მთის ავტონომიური ეკლესიის მღვდელმთავრის დამტკიცება ალექსანდრიის წმინდა სინოდის მიერ ხდება.

ალექსანდრიის ეკლესია დაარსებიდანვე მოციქულებრივი მოღვაწეობით გამოირჩეოდა. ყოველწლიურად უამრავი ადამიანი ექცევა ქრისტიანულ რჯულზე. თუკი, დავუშვათ, ათი წლის წინ აფრიკაში ოთხი მილიონი ქრისტიანი იყო, დღეისათვის მათმა რიცხვმა ექვს მილიონს გადააჭარბა. იზრდება სამრევლოების რიცხვიც. ალექსანდრიის ეკლესიას აფრიკის კონტინენტის თითქმის ყველა სახელმწიფოში აქვს სამრევლოები და ეპარქიები, რომელთა რიცხვიც წარმართობიდან ქრისტიანობაზე მოქცეულ, ადგილობრივ მცხოვრებთა ხარჯზე იზრდება. მართლმადიდებლობაზე ადგილობრივი არაბი მუსლიმანებიც ექცევიან, მაგრამ ალექსანდრიის საპატრიარქოს მრევლის უდიდეს ნაწილს ადგილობრივი აბორიგენი მოსახლეობა შეადგენს.



**— ცხადია, მუსლიმანთაგან დაპყრობისა და მათი ბატონობის პერიოდში ალექსანდრიის ეკლესია დევნა-შევიწროებასაც განიცდიდა. რა მდგომარეობაა დღეისათვის ამ მხრივ?**

— არაბთა დაპყრობის შემდეგ ეგვიპტეში ქრისტიანობა მართლაც განიცდიდა დევნას. შევიწროებული იყო მუსლიმანთაგან, მაგრამ ალექსანდრიის ეკლესიას მოღვაწეობა არასოდეს შეუწყვეტია. ქრისტიანული ცხოვრება მუსლიმანურ გარემოცვაში სრულყოფილად თავისუფალი დღესაც არ არის, მაგრამ ამჟამად ალექსანდრიის ეკლესიის მოღვაწეობა გაცილებით ყოვლისმომცველია, — აღარ განიცდის ზეწოლას და დევნას, როგორც საუკუნეების წინ, არაბთაგან დაპყრობის ან ოსმალთა ბატონობის შემდგომ პერიოდში. თანამედროვე ეგვიპტე, მუსლიმანურ სახელმწიფოებს შორის, სხვადასხვა რელიგიის მიმართ თავისი ტოლერანტობითაა გამორჩეული.

XIX საუკუნის დასაწყისიდან, რაც არქეოლოგებმა ძველი ცივილიზაციის შესწავლა დაიწყეს, ეგვიპტეში უამრავი ტურისტი და მოგზაური ჩადის. ამასთანავე, ამ ქვეყანაში, სხვა მუსლიმანურ ქვეყნებთან შედარებით, ყველაზე მეტი არამუსლიმანი ცხოვრობს. მართლმადიდებლების გარდა ცხოვრობენ კოპტები, კათოლიკეები...

**— რატომ დაიკავა ალექსანდრიის ეკლესიამ იერარქიულ წყობაში — დიპტიქში მეორე ადგილი?**

— რომის იმპერიას სამი დედაქალაქი ჰქონდა: რომი — თავად რომის იმპერიის დედაქალაქი; რომის იმპერიის აფრიკული ნაწილის დედაქალაქი ალექსანდრია; აზიური ნაწილისა — ანტიოქია. ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ალექსანდრია ქრისტიანობის უდიდეს ცენტრად იქცა და თავისთავად, ისტორიულად ჩამოყალიბდა, რომ რომის ეკლესიის შემდეგ დიპტიქში ალექსანდრიის ეკლესიას იხსენიებდნენ. მეოთხე საუკუნიდან, როდესაც იმპერატორმა კონსტანტინემ დედაქალაქი კონსტანტინოპოლში გადაიტანა, იმპერიის დედაქალაქი კონსტანტინოპოლი გახდა და მეორე მსოფლიო საეკლესიო კრების გადაწყვეტილებით, დიპტიქში მეორე ადგილი კონსტანტინოპოლის ეკლესიამ დაიკავა, ალექსანდრიის ეკლესიამ კი მესამე ადგილზე გადაინაცვლა. XI საუკუნიდან, როდესაც რომის ეკლესიამ მართლმადიდებლობა დატოვა, იერარქიულ წყობაში პირველი ადგილი კონსტანტინოპოლის ეკლესიამ დაიკავა, ალექსანდრიის ეკლესია კი დიპტიქში კვლავ მეორე ადგილზე გადავიდა. ■

# ოჰაიოელი საგზაო ინსპექტორები სიჩქარის გადაჭარბებას თვალით დაადგენენ

ოჰაიოს შტატის უმაღლესმა სასამართლომ გამოიტანა დადგენილება, რომლის თანახმადაც პოლიციელებს ავტომობილისთვის დასაშვები სიჩქარის გადაჭარბების დასადგენად ელექტრომოწყობილობები აღარ დასჭირდებათ. მოსამართლეთა აზრით, საგზაო ინსპექტორებს შესაბამისი მომზადება აქვთ იმისათვის, რათა საკუთარი თვალით გამოავლინონ კანონით დადგენილი სიჩქარის რეჟიმის დამრღვევები. ასეთ გადაწყვეტილებამდე სასამართლო მას შემდეგ მივიდა, რაც 27 წლის მარკ ჯენის საქმე განიხილა. გამოძიებამ დაადგინა, რომ იგი ოჰაიოს შტატის ერთ-ერთ გზაზე სიჩქარის გადაჭარბებით მოძრაობდა, რაც პოლიციელმა შენიშნა. მან მანქანის ნომერი ჩაინიშნა და მძღოლისთვის საჯარიმო ქვითრის გამოწერა გადაწყვიტა. მძღოლი კი არ დაეთანხმა (რასაც მისი ადვოკატიც იზიარებდა). აღნიშნული საქმის განხილვისას აუცილებელი იყო ჯენის მიერ სიჩქარის დასაშვები ზღვრის გადაჭარბების დამადასტურებელი, ვიზუალური მასალა. მიუხედავად ამისა, პირველი ინსტანციის სასამართლომ და მეცხრე სააპელაციო საოლქო სასამართლომ მძღოლი დამნაშავედ ცნეს. ასეთ გადაწყვეტილებას არ დაეთანხმა მერვე სააპელაციო სასამართლო, რომელმაც მარკ ჯენის გამამტყუნებელი, ვიზუალური მასალა მოითხოვა. საქმის მასალების შესწავლის შემდეგ, ოჰაიოს შტატის უმაღლესმა სასამართლომ პოლიციელის მხარე დაიჭირა და გადაწყვიტა, რომ სამართალდამცველს ხელსაწყოების გარეშე სიჩქარის დაშვებული ნორმის გადაჭარბების დაფიქსირებისთვის საჭირო გამოცდილება ჰქონდა. ■



# Volkswagen-ის განახლებული კროსოვერი



ორიოდე დღის წინ, ერთ-ერთმა საავტომობილო ინტერნეტგვერდმა განახლებული კროსოვერის, Volkswagen Tiguan-ისადმი მიძღვნილი სარეკლამო ბუკლეტი გაავრცელა. სავარაუდოდ, ფართო პუბლიკას ეს მანქანა მიმდინარე წლის სექტემბერში, პარიზის მოტორშოუზე წარედგინება. რესტაილირებულ კროსოვერს ახალი ბამპერი, რადიატორის განსხვავებული ცხაური და შუქდიოდური სექციის მქონე ფარები აქვს, რომლებიც ჰეჩბეკ Golf VI-ის ანალოგიური ელემენტების სტილშია შესრულებული. ასევე მოსალოდნელია, რომ ავტომობილს ბორბლების დისკების ახალი ხაზი და მსუბუქად მოდერნიზებული ინტერიერი ექნება (სარეკლამო ბროშურაში შეცვლილი დიზაინის მქონე კონდიციონერის ბლოკის სურათის ნახვაცაა შესაძლებელი). წინასწარი მონაცემებით, განახლებული Volkswagen Tiguan-ის ძრავათა გამა არ შეიცვლება. ევროპულ ბაზარზე ავტომობილი 1,4 და 2.0-ლიტრიანი ბენზინის მოტორებით გაიყიდება. შესაბამისად — 150 და 200 ცხ. ძალის სიმძლავრით. აგრეთვე 110, 140 და 170 ცხ. ძალის სიმძლავრის მქონე, 2-ლიტრიანი დიზელის აგრეგატებით. სიჩქარის გადაცემათა კოლოფებს შორის კი DSG-ის ექვსსაფეხურიანი მექანიკური წინასელექტიური ტრანსმისიაა. ■

# ზეკომპაქტური ჰიბრიდული აგრეგატი „ფიატისგან“

კომპანია „ფიატი“ საწყისი ეტაპის ახალი, ზეკომპაქტური ჰიბრიდული აგრეგატის შექმნას შეუდგა, რომლის მიერ ნახშირორჟანგის გამონაბოლქვი, კილომეტრზე 80 გრამს არ გადააჭარბებს. ახალი ჰიბრიდი 900 კუბური სმ-ის მოცულობის მქონე, 2-ცილინდრიან, ბენზინის ძრავას და სიჩქარის გადაცემათა წინა სელექტიურ კოლოფს უნდა მოიცავდეს. ჩამონტაჟებული ელექტრომოტორის წყალობით, ტრანსმისია ავტომობილს გადაადგილების შესაძლებლობას იმ შემთხვევაშიც მისცემს, როდესაც ძირითადი აგრეგატი გამორთულია და მანქანა მხოლოდ ელექტროაძვრას იყენებს. აგრეგატის დეტალური მახასიათებლები ამ ეტაპზე უცნობია. თუმცა, გავრცელდა ინფორმაცია, რომ გამოყენებულ შიგაწვის ძრავას, კომპანია Fiat სამ ვარიანტად გამოუშვებს: 65, 85 და 105 ცხ. ძალის სიმძლავრეებით. ადრე იუწყებოდნენ, რომ იმ 1.2-ლიტრიან ატმოსფერულ მოტორთან შედარებით, რომელიც დღეს Fiat Panda-სა და Fiat 500-ზე გამოიყენება, ეს აგრეგატი 25%-ით კომპაქტური და 15%-ით უფრო ეკონომიურია. 1.4-ლიტრიან ძრავასთან შედარებით, მისი ეკონომიურობა 30%-ს აღწევს. სავარაუდოდ, ახალი ჰიბრიდული აგრეგატი ჰეჩბეკ Fiat 500-სთვის, Panda-ს მომავალი თაობის მოდელებისთვის და ახალი Punto-სთვის იქნება გათვალისწინებული. ■




# BMW-ს ახალი კომპაქტური კუპე

კომპანია BMW-მ ბაზარზე კომპაქტური კუპეს, — BMW 1-Series, — გაყვანა გადაწყვიტა. ამის შესახებ გერმანული Auto News-ისთვის მიცემულ ინტერვიუში BMW GmbH-ის ქვეგანყოფილების მმართველმა დირექტორმა, კაი სეგლერმა განაცხადა. მისი თქმით, სიახლე BMW 135i-ის ბაზაზე იქმნება და შეზღუდული ტირაჟით გამოვა. თუმცა, გაყიდვაში 2011 წლის პირველი კვარტალიდანვე იქნება. ამ ეტაპზე უცნობია, რა დაერქმევა უშუალოდ ამ მოდელს. სეგლერის მოსაზრებით, სახელწოდება M1 BMW-ს ფანებს შორის მყარად ასოცირდება სუპერავტოსთან, რომელიც გასული საუკუნის 70-იანი წლებ-



ის მიწურულს გამოდიოდა. ამიტომ, ახალი სპორტავტოსთვის სხვა დასახელების მოფიქრება იქნება საჭირო. სეგლერმა ისიც დასძინა, რომ 2011 წლისთვის ბაზარზე ახალი თაობის BMW M5 b გამოჩნდება, რომელიც 580-600 ცხ. ძალის სიმძლავრის, 8-ცილინდრიანი, 2-ტურბინიანი ძრავათი დაკომპლექტდება. ■

# „ჰიუნდაის“ კომპაქტ-კუპე

„ჰიუნდაის“ ახალი მოდელის, კომპაქტური კუპეს, — i40c-ის, — მსოფლიო პრემიერა მიმდინარე წლის შემოდგომაზე, პარიზის მოტორშოუზე შედგება. ეს უკანასკნელი ავტომობილ Tiburon-ს (ევროპაში Coupe-ს სახელითაა ცნობილი) შეცვლის. i40c-ის სერიული წარმოება კი მხოლოდ 2011 წელს დაიწყება. ადრე გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სიახლე Accent-ის, მოდელის პლატფორმაზე აიგება და მისი საბაზო მოდიფიკაცია 4-ცილინდრიანი, 1,6-ლიტრიანი, Theta-ს ოჯახის წარმომადგენელი ბენზინის ძრავათი აღიჭურვება, რომელიც 140 ცხ. ძალას განავითარებს. მოგვიანებით Hyundai-ს კუპე ამავე აგრეგატის 200 ცხ. ძალის სიმძლავრის ტურბინირებული ვერსიით დაკომპლექტდება. ოპციის სახით მანქანისთვის გათვალისწინებულია სიჩქარის გადაცემათა რობოტიზებული კოლოფი. გასულ წელს „ჰიუნდაის“ ამერიკული განყოფილების ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ კუპე i40c ბაზარზე ეკონომიური და სპორტული მანქანების სეგმენტს დაიკავებს. სავარაუდოდ, ამერიკულ ბაზარზე ავტომობილის ფასი დაახლოებით 20 ათასი აშშ დოლარი იქნება. ■

# ბორის პაიჭაძის „პუჭურა“ რაფო

**საქართველოს სპორტსმენებმა ოლიმპიურ თამაშებში პირველად 1952 წელს, ჰელსინკიში იასპარეზეს და საკმაოდ წარმატებითაც. სამი ათლეტი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა: დავით ციმაკურიძე, მზია ჯუღელი და რაფაელ ჩიმიშკიანი. მას შემდეგ ლამის ექვსი ათეული წელი გავიდა. თუმცა, დღემდე ბატონი რაფაელი ერთადერთი სომეხი კაცია, ვინც ოლიმპიური ჩემპიონობა საქართველოსთვის მოიპოვა. მართალია, მის შესახებ პრაქტიკულად ყველაფერი ვიცით, მაგრამ რაფო საინტერესო მოსაუბრეა და მეც კიდევ ერთხელ ვთხოვე ინტერვიუ. გაუკვირდა; მგონი, ცოტა გამიბრაზდა კიდეც და უარის ნიშნად, ხელიც ამიქნია.**

*გოგი ფრანგიშვილი*



— კარგი, რა, გოგი-ჯან, არ მოგბეზრდა? ყველაფერი უკვე ნათქვამი და დაწერილია, არც ჩემი ბიოგრაფია შეცვლილა და ახალსაც ვერაფერს მოგიყვები.

— **თქვენი ჩემპიონობის და რეკორდების ამბებს წიგნებში და ენციკლოპედიებშიც წავიკითხავ. მე სხვა რამე მაინტერესებს. მაგალითად, ვინ იყვნენ თქვენი წინაპრები, საქართველოში როგორ მოხვდით, ჰელსინკიში გამარჯვებისთვის „პრემიალნი“ რამდენი გამოგიწერეს და ა.შ.**

— ჩემი გვარი ძალიან იშვიათია, ბიზანტიიდან მოდის. იყო ასეთი მეფე — ჩიმიკი. გადმოცემის თანახმად, ჩიმიკიდან საბერძნეთში წარმოიშვა გვარი — ჩიმიში, ჩვენამდე კი ჩიმიშკინმა მოაღწია. ბაბუა — მაკარ ჩიმიშკიანი სომხური ეკლესიის გაზეთის რედაქტორი იყო, რომელიც თბილისში გამოდიოდა. მეც გრიგორიანული წესით მომნათლეს. თუმცა, კომუნისტების დროს ეკლესიაში არ დავდიოდი — პარტიის წევრი ვიყავი. მოკლედ, მამის მხრიდან დიდგვაროვნების შთამომავალი ვარ, ხოლო დედა — ნინო ბერიძე — ქართველი ქალი გახლდათ. ჩემს ოჯახში ორივე ერს პატივს სცემდნენ, კერძებიც ხან ქართული მზადდებოდა, ხანაც — სომხური. საბჭოთა კავშირის ჩემპიონი რომ გავხდი, ერთმა მაღალჩინოსანმა დამიბარა და გვარის გადაკეთება მირჩია — დედის გვარზე გადადიო. ვუთხარი, დღეს რომ მამაჩემს და ჩემს ერს ვუღალატო, ხვალ თქვენ, ქართველებს გიღალატებთ-მეთქი. ჰოდა, ჩიმიშკიანად დავრჩი და არც ვნანობ. საქართველოში ხალხს ყოველთვის ვუყვარდი, დღესაც პატივს მცემენ. რაც შეეხება ოლიმპიური თამაშების მოგებისთვის მიღებულ პრემიას, არც საკავშირო და არც საქართველოს მთავრობას კაპიკიც არ მოუცია. მაშინ ახლანდელივით მეცენატები არ არსებობდნენ, რომ ვინმეს ჯიბეზე ხელი გაეკრა. შეიძლება, ვილაცას კი ჰქონდა ფული, მაგრამ სტალინის დროს ამას ვინ გაბედავდა?! უცხოეთში ყოფნისას ზოგჯერ გულშემატკივრები სუვენირებს გვჩუქნიდნენ და იმისიც გვეშინოდა. ნებართვა ხელმძღვანელობისთვის უნდა გვეთხოვა. სამაგიეროდ, ჰელსინკიდან რომ ვბრუნდებოდით, სამტრედიაში ხალხმა ნაღდი ქართული დახვედრა მოგვიწყო. ჩვენთან ერთად ვახტანგ ბალავაძე იყო. სამტრედიელია და იმერლებმა სუფრა რკინიგზის მთელ ბაქანზე გააწყვეს. მატარებელი მთელი საათით გააჩერეს, თუმცა ჩვენ დავიმალეთ. ვიცოდით, ღვინოში დაგვახრჩობდნენ.

— **ბატონო რაფო, ბევრისგან გამიგონია, რომ ქართველ სპორტსმენებს ნაკრების ხელმძღვანელები ხშირად ჩაგრავდნენ. თქვენ დროს როგორ იყო?**

— ჩვენი დაჩაგვრა არც ისე ადვილია, მაგრამ მოსკოველი ჩინოვნიკები უპირატესობას მართლაც ყოველთვის რუსებს ანიჭებდნენ. იმავე 1952 წელს, ვახტანგ ბალავაძე და გივი კარტოზია საბჭოთა კავშირის ჩემპიონები გახდნენ, მაგრამ ოლიმპიადაზე ორივე სათადარიგოდ წაიყვანეს — არ აჭიდავეს. ჩემი ჰელსინკიში გამოსვლის საკითხიც საეჭვო იყო. ვიბორგში, ბოლო შეკრებაზე, ღამით სასტუმროს ნომრის კარი ღია დამიტოვეს, გავცივდი და ფილტვების ანთება დამემართა. კიდევ კარგი, შეჯიბრებების დაწყებამდე რამდენიმე დღე რჩებოდა. დელეგაციის ექიმი თბილისელი კაცი იყო, მან მიმკურნალა და ფორმაში ჩადგომაც მოვასწარი. ჰელსინკიში მატარებლით რომ მივდიოდით, ავადმყოფი სპორტსმენები ბოლო, სანიტარული ვაგონით ვმგზავრობდით. არსენ მეკოკიშვილიც ჩვენთან ერთად იყო. მამშვიდებდა, არ ინერვიულო, ოლიმპიური ჩემპიონები გავხდებით და იქიდან პირველი ვაგონით წამოგვიყვანენო. ასეც მოხდა. თუმცა, მწვრთნელები ოქროს მედალს სვერდლოვსკელ ნიკოლაი საქსონოვს უგეგმავდნენ. ბოლო მოძრაობაში, აკვრაში გამარჯვებისთვის 135 კგ. მჭირდებოდა. პირველ ცდაზე ვერ ავიღე და გამწარებულმა ქართულად მაგრად შევიგინე. მეორე ცდაზე ისე ადვილად ავწიე შტანგა, თვითონ გამიკვირდა. მსოფლიოს რეკორდით გავიმარჯვე. უკვე გვიან იყო და ქართველი ბიჭებიდან დარბაზში აღარავინ დარჩა — ბოლო ავტობუსს გაჰყვნენ. წასვლის წინ გივი კარტოზიამ თავისი ძლიერი მკლავი ჩემსას მიადო და მითხრა, ჩემი ძალა შენო. „ოტანიემეში“ რომ ვბრუნდებოდი, სადაც სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ათლეტები ცხოვრობდნენ, მძღოლს ვთხოვე, სიგნალი მიეცი-მეთქი. თავიდან იუარა, სპორტსმენებს სძინავთო. კაცო, ოლიმპიური ჩემპიონი გიბრძანებ-მეთქი. ვხედავ, ბალავაძე და კარტოზია მორბიან. გივი მიყვირის: — ავტობუსიდან არ ჩამოხვიდე! ავტობუსიდან არ ჩამოხვიდეო! — მხრებზე შემისვა და ლამის მთელი ბანაკი ასე შემომატარა. ის სიხარული დღემდე მახსოვს...

— **როგორც ვიცი, ძალოსნობაში ვარჯიშს რომ იწყებდით, იმ პერიოდში თბილისელი ბიჭების კერპები თბილისის „დინამო“ და მისი ვარსკვლავები: ბორის პაიჭაძე, გაიოზ ჯეჯელავა და მიხეილ ბერძენიშვილი იყვნენ.**

— ბორის პაიჭაძე მართლა ჩემი კერპი იყო, მერე მეგობრები გავხდით, „პუჭურას“ მეძახდა. თამაშის დღეს ტრანსპორტში ვერ ახვიდოდი, ბავშვები ტროლეიბუსებს უკან ვეკიდებოდით. სტადიონის ბილეთს ვინ მოგვცემდა?! თუ მოვახერხებდით, გისოსებზე ვძვრებოდით. ერთხელ ცხენოსან მილიციელს ცხენის ქვეშ გავუძვერი და სტადიონზე შევედი. კარგი თამაში იყო. ჩვენებმა მოიგეს. უბანში რომ დავბრუნდი, ბიჭებთან ვტრაბახობდი, „დინამოს“ თამაში ვნახე-მეთქი. ყველაზე დაბალი ვიყავი, მაგრამ ჯანიც მქონდა. ერთი მეზობელი გვყავდა, კინომსახიობი — ვანო ტურაშვილი. შტანგით ის ვარჯიშობდა დილაობით, თუმცა ბავშვებს გვიშლიდა — თქვენთვის არ შეიძლებაო, გვეუბნე-

ბოდა. ერთხელ ძია ვანო სახლში არ იყო, მივეპარე შტანგას და ავწიე. მძიმე იყო. სწორედ ამ დროს მოვიდა. რომ დამინახა, თვალები გაუფართოვდა, ეს რა ღონიერი ყოფილაო. მაშინ სპორტი და ჯანიანი ახალგაზრდები მოდაში იყო. თბილისში ახოვანი ბიჭები რომ გაივლიდნენ, მეც მინდოდა, ისეთი ვყოფილიყავი და ომის შემდეგ სერიოზულად დავიწყე ძალოსნობაში ვარჯიში. რა თქმა უნდა, რთული პერიოდი იყო, ხეირიანი საჭმელიც არ გვქონდა. მე და ჩემს ძმას დედა რომ დაგვიძახებდა, ბიჭებო, ამოდით, ლობიო მოგიხარშეთო, სინამდვილეში თუჯის ქვაბით სიმინდს დაგვახვედრებდა, ქვაბში ფერის მისაცემად სულ რამდენიმე ლობიოს ლებანი ეყარა.

— **ოფიციალურად 11 მსოფლიოს რეკორდის მფლობელი ხართ, თუმცა, კიდევ ერთი და ბევრად უფრო მნიშვნელოვანი რეკორდი გეკუთვნით — ოთხი ქალიშვილის მამა ხართ...**

— ეს მართლაც ჩემი საუკეთესო მიღწევაა. ისე, მეხუთე ქალიშვილიც მყავდა, მაგრამ... 1954 წელს, ვენის მსოფლიოს ჩემპიონატისათვის ვემზადებოდი. თბილისში რომ ვრეკავდი, ცოლი მეუბნებოდა, ყველანი კარგად ვართო. ავსტრიაში მშვიდად გავემგზავრე, ჩემპიონი გავხდი და სამი მსოფლიოს რეკორდიც დავამყარე. ტყუპისთვის საჩუქრები ვიყიდე. აქ რომ ჩამოვედი, მერელა მითხრეს, ერთი გოგო გარდაცვლილიაო... გავლოთდი, ქვეყანაზე აღარაფერი მინდოდა, ყოველდღე ვსვამდი. ისევ მეუღლე და მეგობრები ამომიდგნენ მხარში.

— **უკაცრავად, ბატონო რაფო, არ მინდოდა, ტკივილი გამეხსენებინა... მოდი, თემა შევცვალოთ. ეკლესიაში მონათლული კაცი, თანაც მეფეების გვარ-ტომის შთამომავალი, კომუნისტური პარტიის წევრი რატომ გახდით?**

— მსოფლიოს მომდევნო ჩემპიონატი 1955 წელს, მიუნხენში ტარდებოდა. მაშინაც შეკრებაზე ვიყავი. დამიძახეს და მითხრეს, თუ გინდა, გერმანიაში გაგიშვათ, სასწრაფოდ პარტიაში უნდა შეხვიდეო. რა უნდა მექნა?! ბორის პაიჭაძესთან მივედი. ჩემი მდგომარეობა ავუხსენი. სტალინის რაიონის რაიკომის მდივანთან მიმყვა, აბა, ბორისს უარს ვინ ეტყოდა?! მეორე დღესვე კანდიდატად მიმიღეს. მიუნხენში მსოფლიოს ჩემპიონის მეორე ოქროს მედალი მოვიპოვე, ატაცში მსოფლიოს რეკორდიც დავამყარე — 110 კგ. და ჩემს პირად კონკურენტს, ივან უდოდოვსაც მთელი 5 კგ-ით მოვუგე. ეს უდოდოვი ერთი აშარი ვინმე იყო. ავსტრიაში ერთ-ერთ შეჯიბრებაზე ვიღაც ქალი სცემა. მაშინვე მოსკოვში გადმოაფრინეს. ვითომ დასაჯეს, სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება ჩამოართვეს, მაგრამ ორიოდე თვეში ყველა ტიტული აღუდგინეს. არ მინდა, ისე გამომივიდეს, რომ ვინმეს ვაგინებდე, მაგრამ უსამართლობა არ მიყვარს, რაც იყო, იმას გიყვები. გერმანიაში მე და გივი კარტოზია ჩემპიონები რომ გავხდით, პრემია — ათას-ათასი მანეთი გამოგვიწერეს. გივიმ მითხრა: „მსოფლიოს ჩემპიონებისთვის ეს თანხა დამამცირებელია და მოდი, ნუ ავიღებთ“. არც მივსულვართ. 1957 წელს მსოფლიოს ჩემპიონატი ირანში ჩატარდა. ჩემ მაგივრად გუნდში ევგენი მინაევი დააყენეს. რადიოში კი გამოაცხადეს, რაფაელ ჩიმიშკიანი ავად არისო. იმ დროს მე საღ-სალამათი ვიყავი. ერთ კვირაში, შახმა რეზა ფეხლევიმ თეირანშივე „რეკორდების საღამო“ მოაწყო და მსოფლიოს ორი რეკორდი დავამყარე.



— **კიდევ ერთი-ორი კითხვა მაქვს. შეიძლება, ცოტა უხერხულიც იყოს, მაგრამ მაინც უნდა გკითხოთ: „დინამო“-„არარატის“ მატჩის დროს ვის გულშემატკივრობდით?**

— როგორ ფიქრობ?

— **ჩვენებსო, მეტყვით.**

— ჰო, მაგრამ ვინ ჩვენებს? მე თბილისში დავიბადე და გავიზარდე, თან მთელი ცხოვრება სპორტსაზოგადოება „დინამოს“ წევრი ვარ. არც ის დაგავიწყდეს, რომ ჩვენს ფეხბურთელებში ბევრი მეგობარი მყავდა. ამდენად, სპორტშიც და ცხოვრებაშიც რასაც მივაღწიე, ყველაფერი თბილისთან და „დინამოსთანაა“ დაკავშირებული. ამბობენ, მსოფლიოში ყველაზე ლამაზი ქალაქი პარიზიაო. მართალია, საფრანგეთის დედაქალაქი მართლაც დიდებულია, მაგრამ ჩემთვის თბილისზე უკეთესი ქალაქი არ არსებობს. ბევრჯერ შემომთავაზეს მოსკოვში, ერევანსა თუ კიევში გადასვლა. არ დავთანხმდი, იცი, რატომ? ამა თუ იმ ქალაქის სილამაზეს შენობები, ქუჩები ან შადრევნები კი არ ქმნის, ხალხია მთავარი! თბილისს სწორედ თბილისელები ალამაზებენ!



— **ოთხმოც წელს გადაცილებული კაცი ხართ, ამ ქვეყანაზე ბევრი რამ გინახავთ, გაჭირვებაც გამოგიცდიათ და სიხარულიც განგიცდიათ. ცხოვრებაში ყველაზე მეტად რა დაგამახსოვრდათ?**

— სპორტში — ოლიმპიური ჩემპიონობა, ცხოვრებაში კი ქალიშვილების შეძენა. ბედნიერება — ბავშვებშია. ეკლესიაში რომ შევდივარ, სანთელს ვანთებ და ღმერთს ვთხოვ, ჩემი შვილები და შვილიშვილები იყვნენ ჯანმრთელები. მინდა, ყველა კარგად იყოს, მშვიდობა იყოს ქვეყანაზე. ამდენ გაჭირვებულ ხალხს რომ ვუყურებ, გული მტკივა. იმ დღეს ფანჯრიდან დავინახე, ერთმა ახალგაზრდა კაცმა ნაგვის ურნიდან პური ამოიღო და ჭამა დაიწყო. მაშინვე ქუჩაში გავედი, მაგრამ ველარ მივუსწარი, მისთვის ფულის მიცემა მინდოდა. ადამიანებმა ეკლესიურად უნდა ვიცხოვროთ, ერთმანეთს უნდა დავეხმაროთ, სიკეთე, სიყვარული ვთესოთ. საქართველოში მშიერი კაცი არ უნდა იყოს!

■

# ენაწყლიანი თუ სიტყვაძუნწი...

**გთავაზობთ ფსიქოლოგების რჩევებს, რომლებიც მამაკაცის მოკლე დროში ამოცნობაში დაგეხმარებათ. ადამიანის ყველა ქმედება (განსაკუთრებით ის, რომელსაც გაუცნობიერებლად სჩადის) მის ხასიათსა და თვისებებზე მეტყველებს.**



## რას უკვეთს რესტორანში

თუ მამაკაცი ხორციან ან კარტოფილიან კერძებს უკვეთს, სავარაუდოა, რომ იგი სანდო და მყარი ურთიერთობების მომხრეა, მაგრამ ცოტა სითამამე აკლია. თუკი თქვენი რჩეული ეგზოტიკურ კერძებს ანიჭებს უპირატესობას, ე.ი. მას ურთიერთობებში სპონტანურობა და რუტინა არ ხიბლავს.

## მოწესრიგებული თუ ფეთხუმი

როდესაც მამაკაცი თავის ჭუჭყიან წინდებს თეთრეულის კალათაში აწყობს, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. ხოლო თუკი ის წინდებს ფერის მიხედვით აცალკევებს და ისე ალაგებს, ფრიად ორიგინალური გემოვნების პიროვნებასთან გქონიათ საქმე — ასეთი მამაკაცი თქვენგანაც დიდ აკურატულობას მოითხოვს. თუკი ის ცდილობს, თავის ჭუჭყიან ტანსაცმელს შესაბამისი ადგილი მიუჩინოს, დამოუკიდებელი ცხოვრების მოყვარული ადამიანი გყავთ გვერდით. ხოლო თუკი სააბაზანოში, მისი გამოსვლის შემდეგ გამუდმებული ქაოსია, იგი ან ძალზე ზარმაცია, ან სერიოზული ურთიერთობისთვის ჯერჯერობით მზად არ არის.

## ცაცია

მამაკაცთა 80% მემარჯვენეა. თუ თქვენი მეგობარი ცაციაა, გვერდით შემოქმედი პიროვნება გყოლიათ.

## თმა

სიახლე არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ მამაკაცები ისევე ზრუნავენ საკუთარ თმაზე, როგორც ქალები — სხეულზე. რაც უფრო მეტი თმა აქვს თავზე, მით მეტია მისი თავდაჯერებულობის ხარისხი. თუმცა შესაძლებელია, ნაკლებად მგრძნობიარე ხასიათი ჰქონდეს. ხშირი და ლამაზი თმის პატრონმა მამაკაცმა საკუთარი თავის ფასი კარგად უწყის; იცის, რა უნდა ცხოვრებაში და როგორ მიაღწიოს ამას. ნახევრად და სრულიად მელოტ მამაკაცს თავდაჯერებულობის პრობლემა აქვს, თუმცა ქალებთან ურთიერთობაში უფრო თბილი და ფაქიზია.

## შვილი

თუ თქვენი რჩეული ოჯახში პირველი შვილია, მას პასუხისმგებლობის გრძნობა კარგად განვითარებული ექნება და ერთობ მზრუნველიც იქნება; ხოლო თუ უმცროსია, უფრო ჭირვეული და „ბუნტისთავი" აღმოჩნდება. რაც შეეხება შუათანას, ის ყოველთვის დიდ ყურადღებას მოითხოვს გარშემო მყოფთაგან, მათ შორის — საყვარელი ქალისგანაც.

## საზოგადოება

როდესაც საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას იმყოფებით და თქვენი საყვარელი მამაკაცი განუწყვეტლივ თქვენ გარშემო ტრიალებს, ამით მას ან გარშემო მყოფთა წინაშე თქვენი ურთიერთობის დემონსტრირება სურს, ან თქვენი ბოლომდე დაპყრობის სურვილი აქვს. ხოლო თუკი მამაკაცი ცდილობს, საზოგადოებაში თავშეკავებული იყოს და არავის აგრძნობინოს, რომ ერთმანეთი გიყვართ, ის დარწმუნებული არ არის ან თქვენს, ან საკუთარ გრძნობებში.

## თვალები

მამაკაცი, რომელიც მოსაუბრეს თვალებში არ უყურებს, ბოლომდე გულწრფელი არ არის. თუმცა, არც თვალის თვალში გასწორებაა მისი გულწრფელობის უტყუარი დასტური — უბრალოდ, ამით თანამოსაუბრეზე გავლენის მოხდენა სურს. ვნებიანი გამოხედვის ამოცნობა კი ყველა ქალს შეუძლია.

## საუბარი

თუკი მამაკაცი ენაწყლიანია, ე.ი. ენერგიული ადამიანი გყოლიათ გვერდით, რომელიც ყველაფერს იღონებს თქვენს ხასიათზე მოსაყვანად. ხოლო თუ თქვენი რჩეული, ნელა, ზანტად ლაპარაკობს, ჩათვალეთ, რომ მისი ცხოვრებისეული დევიზია „ასჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერი". მართალია, ასეთი მამაკაცისგან სიურპრიზებს არ უნდა ელოდეთ, მაგრამ ყოველთვის დარწმუნებული იყავით: ის გეუბნებათ სწორედ იმას, რასაც ფიქრობს.

## თევზი საწებლით

**ულუფა 4 ადამიანისთვის**



**მასალად საჭიროა:**

600 გ თევზის ფილე;
100 გ პომიდვრის მწნილი;
2 ს/კ ზეითუნის ზეთი;
ხმელი სუნელები;
მარილი, წიწაკა.

**მომზადების წესი:**

წითელი პომიდვრის მწნილი რამდენიმე წუთით მდუღარე წყალში ჩააწყვეთ, მერე ამოიღეთ და ცოტათი შეაშრეთ. დაჭერით თევზის ფილე. გააკეთეთ საწებელი ზეითუნის ზეთის, ხმელი სუნელების, წიწაკისა და მარილისგან. ჩააწყვეთ შიგ თევზი და პომიდორი. გააჩერეთ ნახევარი საათი. შემდეგ თევზის ფილე და პომიდორი მონაცვლეობით წამოაცვით ჩხირებზე და შეწვით ჰაერღუმელში (ან ტოსტერში) 5-6 წუთის განმავლობაში. მზა კერძი გაალამაზეთ მწვანე სალათის ფოთლებით.

# მასაჟები ყელისათვის



*კოსმეტიკური თვალსაზრისით, ყელი ადამიანის სხეულის ყველაზე რთულად მოსავლელი ადგილია. ყელზე კანი ძალზე მალე ბერდება. კოსმეტოლოგები ამბობენ, რომ მაშინ, როდესაც სახეზე პირველი ნაოჭი ჩნდება, ყელს უკვე ცხადად ემჩნევა „წრიული რგოლები“.*

იმისათვის, რომ ყელის არეში კანი არ მოიმჩვაროს, საჭიროა მისი ყოველდღიური დაზელა გვირილის, ცაცხვის ყვავილის, პიტნის, არყის კვირტების ან სალბის ნახარშით. ამ ნახარშში დასველებული ბამბის ტამპონით უნდა გაიწმინდოთ ყელი, ზევიდან ქვევით მოძრაობით, ნიკაპის ქვეშ კი პირიქით — ქვემოდან ზევით.

ბალახების ნახარშის ნაცვლად, შესაძლებელია, აგრეთვე კიტრის ლოსიონის გამოყენებაც. ქორფა კიტრი გახეხეთ სახეხზე. მიღებულ ფაფისებურ მასას დაუმატეთ 20-30 გრამი არაყი და გადაწურეთ. ლოსიონი მაცივარში შეინახეთ. მისი გამოყენება ყოველდღიურად შეგიძლიათ. ლოსიონით გაწმენდის შემდეგ აუცილებელია მკვებავი კრემის წასმა, რომლის მომზადების წესი ასეთია: 1 კვერცხის გული, 1 ჩ/კ თაფლი, 2 ჩ/კ მცენარეული ზეთი, 1 ჩ/კ გვირილის ყვავილის ნაყენი, 15 მლ ქაფურის სპირტი, 15 მლ ლანოლინი ან ვაზელინი უნდა აურიოთ ერთგვაროვანი მასის მიღებამდე.



ხანგამოშვებით, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ კანი ყელის არეში დამჭკნარია, სასარგებლოა კონტრასტული კომპრესების დადება. ცხელი კომპრესი 1-2 წუთით უნდა გაიჩეროთ ყელზე, ცივი — 5 წუთით. ცხელი კომპრესის გაკეთება უმჯობესია პიტნის ფოთლების ნაყენით ან სალბის ნახარშით. სასარგებლოა აგრეთვე ცხიმოვანი კომპრესები. ყელზე, 20 წუთის განმავლობაში დაიდეთ 40-50 გრადუსამდე გაცხელებული მცენარეული ზეთით გაჟღენთილი ბამბა ან დოლბანდი. სასურველია, კომპრესს ზემოდან პოლიეთილენი დააფინოთ და მარლით შეიხვიოთ.

კვირაში ერთხელ შეიძლება ე.წ. „კლეოპატრას აბაზანის“ მიღებაც: 1 ლ რძე გააცხელეთ, მაგრამ არ აადუღოთ. მეორე ჯამში წყლის ორთქლზე გააცხელეთ 1 ჩ/ჭ თაფლი. თაფლი რძეში კარგად გახსენით და დაუმატეთ 2 ს/კ ნუშის ზეთი. მიღებული ნარევი ჩაასხით წყლით სავსე აბაზანაში. ამგვარი აბაზანის რეგულარული მიღების შემდეგ კანი საოცრად ნაზი, ელასტიკური და გლუვი ხდება. ■

## ვისკის გამაგრილებელი კოქტეილი



**მასალად საჭიროა:**

1 კუბურა ყინული, 1,5 ჩ/ჭ ვისკი, 1 წილი ლიმონის წვენი, 1 წილი შაქრის სიროფი, სპირალურად დაჭრილი ლიმონის კანი.

ათქვიფეთ ლიმონის წვენი და ვისკი ყინულთან ერთად. ჩაასხით ფართო ჭიქაში. გააფორმეთ ჩხირზე წამოცმული ლიმონის კანით. ■



# საზაფხულო ნიღბები

• მწიფე ბანანი დასრისეთ. წაისვით მთელ სახეზე, ყელზე. გაიჩერეთ 20-25 წუთი და გრილი წყლით ჩამოიბანეთ.

• ხაჭო, იოგურტი, არაჟანი, მაწონი — სურვილისამებრ აირჩიეთ რომელიმე მათგანი, წაისვით სახესა და ყელზე, გაიჩერეთ 20 წუთი და ჩამოიბანეთ.

• აიღეთ ყურძენი, კივი და პომიდორი, გახეხეთ, შეურიეთ ერთმანეთს და ნიღაბი სახეზე დაიდეთ.

• თეთრი პურის ნატეხი დაასველეთ რძეში და სახეზე წაისვით.

• თბილი კარტოფილის პიურე რძესთან ერთად, არაჩვეულებრივად ეფექტიანი ნიღაბია.

• 1 ს/კ შვრიას დაასხით ადუღებული წყალი. ფაფა დაიდეთ სახესა და ყელზე. ■

## ინდოელი ქალების ნატურალური კოსმეტიკა



√ ცხიმიანი კანის მოსავლელად ლიმონი იდეალური საშუალებაა. აიღეთ 1 სადილის კოვზი ლიმონის წვენი და ამდენივე ხაჭო. ერთმანეთში კარგად აურიეთ და სახეზე დაიდეთ. გაიჩერეთ 20 წუთი. ნიღაბი თბილი წყლით ჩამოიბანეთ.

√ სახეს შესანიშნავად წმენდს და ჭიმავს კვერცხის ცილა. წაისვით სახეზე და 15 წუთი გაიჩერეთ. მოიცილეთ ლიმონის წვენგარეული თბილი წყლით.

√ მშრალი კანისთვის შესანიშნავი გამწმენდი საშუალებაა ვარდის ფურცლების, გვირილისა და ოხრახუშის ნაყენი.

*რუბრიკა მოამზადა*
*ეკა გუნთაიშვილმა*

რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი

# ზაფხულის პრობლემები. რჩევები მათთვის, ვისაც ოფლიანობა აწუხებს

**ზაფხულის დადგომასთან ერთად ადამიანების გარკვეულ ნაწილს ჭარბი ოფლიანობის პრობლემა ეწყება, რომელიც დისკომფორტს უქმნის და ხშირად ნევროზის განვითარების მიზეზიც ხდება. ჭარბი ოფლიანობის (ჰიპერჰიდროზი) დროს ადგილი აქვს საოფლე ჯირკვლების გამომყოფი ფუნქციის პათოლოგიურ გაძლიერებას. ამის ჭეშმარიტი მიზეზი უცნობია, განვითარების მექანიზმი კი კარგად არის შესწავლილი. ოფლის გამოყოფას სიმპათიკური ნერვული სისტემა არეგულირებს და ეს პროცესი თერმომარეგულირებელ როლს ასრულებს. მაგალითად, თუ მოიმატა გარემოს ტემპერატურამ, ოფლი გამოიყოფა, შემდეგ ორთქლდება და აგრილებს სხეულს. ეს მექანიზმი ორგანიზმში ზუსტად არის გათვლილი და არავითარი ზედმეტი მოქმედება არ ხდება. ჰიპერჰიდროზის დროს კი ეს საათივით აწყობილი სისტემა, შეიძლება ითქვას, მწყობრიდან გამოდის. ნერვული ცენტრებიდან იმპულსები აღმოცენდება ისეთ გაღიზიანებაზე, რომელსაც ტემპერატურასთან საერთოდ არ აქვს კავშირი. მაგალითად, შიშის ან მღელვარების დროს. თუ ზემოთქმულს გავაანალიზებთ, დავინახავთ, რომ ჰიპერჰიდროზი ფიზიოლოგიურიც შეიძლება იყოს და პათოლოგიურიც. ფიზიოლოგიური ჰიპერჰიდროზი ორგანიზმის დამცველობითი რეაქციაა და მიმართულია სითბოს გამოყოფისკენ, მაგალითად ფიზიკური დატვირთვის, გარემოს ტემპერატურის მატების დროს, ზოგჯერ — ყნოსვისა და გემოვნების ანალიზატორების გაღიზიანებისას, მაგალითად, ცხარე საკვების (წიწაკის, მდოგვის) მიღების შემთხვევაში. შიშის, მღელვარების, სირცხვილის დროსაც იჩენს ხოლმე თავს. პათოლოგიური ჰიპერჰიდროზი კი განპირობებულია ნეიროენდოკრინული დარღვევებით.**

## ლოკალური და გენერალიზებული ჭარბი ოფლიანობა

გენერალიზებულ ჰიპერჰიდროზს ანუ მთელი სხეულის მომატებულ ოფლიანობას უამრავი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს. მათ შორის: თირეოტოქსიკოზი, შაქრიანი დიაბეტი, ჰიპოგლიკემია, კლიმაქსური პერიოდი, ფეოქრომოციტომა, ნერვული სისტემის სიმსივნე, კარცინოიდული სინდრომი, აკრომეგალია, ინფექციური დაავადება (სეპტიცემია, ტუბერკულოზი, მალარია და სხვა), სიმსივნური დაავადება (ლიმფოგრანულომატოზი, ლიმფომა, სიმსივნის მეტასტაზები), ნევროლოგიური დაავადება (პარკინსონიზმი, ნეიროსიფილისი, დიენცეფალური სინდრომი, მუკოვისციდოზი). ბრალი მიუძღვის ასევე ფსიქოგენურ ფაქტორებს, წამლებს (ასპირინს, ინსულინს, ღებინების საწინააღმდეგო საშუალებებს, მორფინისა და პრომედოლის ჯგუფის ანალგეტიკებს და სხვა), მოწამვლას (ფოსფორორგანული ნივთიერებებით, სოკოთი). ეგრეთ წოდებული „ღამის ოფლის“ სიმპტომი ახასიათებს ტუბერკულოზს, რევმატიზმს, ქრონიკულ ტონზილიტს.



გენერალიზებული ჰიპერჰიდროზი ადგილობრივზე სერიოზული პრობლემაა. ამ დროს ადამიანმა უნდა მიმართოს ექიმს, გაიკეთოს სისხლის საერთო ანალიზი და სისხლის ანალიზი შაქარზე, გამოიკვლიოს ფარისებრი ჯირკვალი, ფილტვები და სხვა.

ლოკალური ჰიპერჰიდროზი რამდენიმე სახისაა: ხელისგულების ჰიპერჰიდროზი საკმაოდ გავრცელებული ფორმაა. მკურნალობის თვალსაზრისით კარგ შედეგს იძლევა ხელებზე კონტრასტული აბაზანების გაკეთება. ასევე ეფექტურია ყოველდღე ხელისგულებზე მუხის ქერქის აბაზანების გაკეთება: 2 ს/კ. დანაწევრებულ მუხის ქერქს დაასხით 1 ლიტრი ცივი წყალი, დადგით მდუღარე წყლის აბაზანაზე და ადუღეთ 20 წუთი. შემდეგ დაუმატეთ 1 ს/კ. გულყვითელა და გააჩერეთ 10 წუთი, შემდეგ კი გაფილტრეთ. დილა-საღამოს ხელისგულებზე გაიკეთეთ ამ ნაყენის აბაზანები და გამშრალების გარეშე შეიშრეთ. კარგია გვირილის ნაყენის აბაზანების გაკეთებაც.

## იღლიების ჰიპერჰიდროზი

იღლიების ოფლიანობის დროს მკურნალობა გულისხმობს კანის ხშირ დაბანას საპნით, ისეთი ანტიბაქტერიული პრეპარატების გამოყენებას, რომლებიც ოფლის დაშლას უშლიან ხელს (ალუმინის პრეპარატები, ანტიბაქტერიული საპონი და სხვა); აგრეთვე ისეთი დეზოდორანტებისა და ადსორბენტების მოხმარებას, რომლებიც აქრობენ ოფლის დაშლის შედეგად წარმოქმნილ მყრალ სუნს და ხელს უშლიან ოფლის წარმოქმნას. ანტიპერსპირანტების გამოყენებისას გაითვალისწინეთ, რომ ხშირი გამოყენება არ არის რეკომენდებული, რადგან შესაძლოა, საოფლე სადინარების დახშობა და ჯირკვლების ტკივილი გამოიწვიოს.

გარდა ზემოთ თქმულისა, ადამიანი უნდა ერიდოს სტრესულ სიტუაციებს და სვას მცენარეული დამამშვიდებელი საშუალებები (ვალერიანი, ბარამბო, ალორა, ნევროსტიმი); არ მოსწიოს სიგარეტი, რადგან ნიკოტინი აძლიერებს ოფლის დენას; ერიდოს ალკოჰოლურ სასმელებს; საოფლე ჯირკვლების ფუნქციის გასაუმჯობესებლად

კარგია სალბის და მუხის ქერქის აბაზანები; (b) ჯგუფის ვიტამინების კომპლექსი და კალციუმის პრეპარატი. ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს ბუნებრივი ქსოვილისგან (მაგალითად, ბამბა, აბრეშუმი) დამზადებული ტანისამოსის ტარება.

## ტერფების ჰიპერჰიდროზი

ამ პრობლემის არსებობის დროს ადამიანმა ფეხები ყოველდღე უნდა დაიბანოს თბილი წყლითა და საპნით და უნდა გამოიცვალოს ფეხსაცმელი და წინდები. ფეხსაცმელი უნდა იყოს ნაჭრის, ან ნატურალური ტყავის. წინდები უნდა იყოს ბამბის. მეტად მნიშვნელოვანია პერიოდულად ფეხსაცმლის გარეცხვა და ფეხის დეზოდორანტების გამოყენება. დიდი მნიშვნელობა აქვს ფეხსაცმელში სპეციალური დეზოდორის ჩასხმას და ნესტის შემწოვი საფენების ჩადებას. ტერფების ჰიპერჰიდროზის დროს ეფექტურია ბორი, სალიცილი, ძმარმჟავა, ფორმალინი, ტალკი, ალუმინის ქლორიდი, შაბი.

ტერფებთან ერთად ხელების ძლიერი ოფლიანობისას წყალში ამატებენ ნიშადურის სპირტს თანაფარდობით 1:1 და იკეთებენ აბაზანებს.

საზარდულის მიდამოს ჰიპერჰიდროზი იშვიათია, მაგრამ ძლიერ დისკომფორტს იწვევს.

ამ დროს ხშირად უნდა დაიბანოთ (საპნით), შემდეგ კარგად გაიმშრალოთ პირსახოცით და ჩაიცვით თავისუფალი ბამბის საცვლები. კარგ შედეგს იძლევა მუხის ქერქის ნახარშის აბაზანა და ტალკი. თუ არ გაქვთ ხშირ-ხშირად შხაპის მიღების საშუალება, მაშინ ერთ ჭიქა წყალში გახსენით 1 ჩაის კოვზი წყალბადის ზეჟანგი (3%). ბამბის ტამპონი დაასველეთ მასში და გაიწმინდეთ პრობლემური არე. გარდა ამისა, თუ ჭარბი წონა გაწუხებთ, შეეცადეთ დაარეგულიროთ თქვენი კვება და დაიკლოთ წონაში.

ჭარბი ოფლიანობის მკურნალობის მეთოდებია ფიზიოთერაპია და ბოტოქსის ინიექციებით მკურნალობა. ამ დროს ადგილობრივი ანესთეზიით კანქვეშ შეჰყავთ ბოტულოტოქსინი. ოფლი პროცედურიდან ორ დღეში ქრება. ეფექტი 6-12 თვე ძლებს. გვერდითი მოქმედება არ ახლავს. ეს ადგილობრივი ჰიპერჰიდროზის მკურნალობის ძალზე ეფექტური მეთოდია.

ასევე კარგ შედეგს იძლევა იონტოფორეზი — ელექტროდენი, წყალი და იონები. პაციენტი კიდურებს ნახევარი საათით ყოფს წყალში, რომელშიც სუსტი დენი გადის. კურსი ათდღიანი და საკმაოდ შედეგიანია.

არსებობს ჰიპერჰიდროზის მკურნალობის ქირურგიული მეთოდიც. თუმცა, უნდა ითქვას, რომ თავდაპირველად მიმართავენ მკურნალობის კონსერვატიულ მეთოდს და მხოლოდ მისი არაეფექტიანობის შემთხვევაში დგება საკითხი ქირურგიული ჩარევის შესახებ.

■

P.S. პატივცემულო მკითხველებო, მოგვწერეთ, თუ რომელი დაავადების შესახებ გსურთ ინფორმაციის მიღება. რასაკვირველია, ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან სრული განკურნების მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ იმის გაგებას, თუ რა შეიძლება იყოს თქვენი ჩივილების მიზეზი და ვის უნდა მიმართოთ, ნამდვილად შეძლებთ. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე: nino.char@yahoo.com.





# „ჩამომხრჩვალი ანგელოზი“ და ხელოვანი, რომელსაც სალვადორ დალისთან მსგავსება აღიზიანებს

**ყოველთვის ხატავდა და ხატავს, მაგრამ მხატვრის პროფესიაზე არასოდეს უფიქრია: რეჟისურა ახლაც აინტერესებს, ფოტოებსაც იღებს — „არტ-ფოტოს“ და „ექსპერიმენტალურ ფოტოგრაფიაში“ პროექტების განხორციელებას აპირებს... ამ ეტაპზე ფერწერითაა დაკავებული. ახალგაზრდა მხატვარს — ლალი დანილიუკს მანამდე ვესაუბრე, ვიდრე მესამე პერსონალურ გამოფენას მოაწყობდა და 2 წლის მანძილზე შექმნილ ნამუშევრებს დამთვალიერებელთა „სამსჯავროზე“ წარადგენდა.**

ეთო ყორღანაშვილი

— რაც თავი მახსოვს, სულ ვხატავ. როცა საბავშვო ბაღის პედაგოგმა დედაჩემი „სერიოზულ საკითხზე სალაპარაკოდ“ დაიბარა, დედა ცოტათი შეშინდა, რადგან „მავნე“ ბავშვი ვიყავი და ეგონა, მასწავლებელი ჩემი სიცელქის გამო იბარებდა, მაგრამ პედაგოგმა უთხრა: ამ ბავშვს მიხედეთ, არაჩვეულებრივად ხატავს, საკუთარი „ხედვა“ აქვსო. შემდეგ დედა ყოველთვის მეკითხებოდა: ლალიკო, არ გინდა, ხატვას „გაჰყვეო“? უარს ვამბობდი, რადგან მხატვრობა არ მხიბლავდა.

— **საინტერესოა, არაჩვეულებრივად ხატავდით და მხატვრობა არ გინდოდათ?**

— სხვა პროფესიაზე ვოცნებობდი. დედა და ბებია ექიმები იყვნენ, მამა — სამხედრო მეზღვაური. არასოდეს მიფიქრია, რომ ხელოვანი ვყოფილიყავი. სამხატვრო სკოლაში დედის დამსახურებით მოვხვდი, სადაც გაბრაზებული სახით ვიჯექი, გამოცდაზე გასვლაც არ მინდოდა. თუმცა, როცა მაღალი ქულა მივიღე, ინტერესი გამიჩნდა... სამხატვრო სკოლის დამთავრების შემდეგ კინორეჟისორობაზე ვფიქრობდი — თეატრალურ უნივერსიტეტში ჩაბარება მსურდა, მაგრამ ბათუმის სამხატვრო სასწავლებელში ჩავაბარე (დედა ავადმყოფობდა და ბათუმში ყოფნა მიწევდა). პარალელურად, ხელოვნების ინსტიტუტში, ფერწერის ფაკულტეტზე ვსწავლობდი. დიპლომში მიწერია, რომ მხატვარ-ოსტატი ვარ — ყველაფერს მოვიცავ (*იცინის*). რეჟისურისადმი ინტერესი ახლაც მაქვს და ამ სფეროში საქმიანობას ვაპირებ, მაგრამ ჯერჯერობით, ფერწერით ვარ დაკავებული და ვემზადები გამოფენისთვის, რომელიც მოსკოვში, ნიუ-იორკში, გერმანიაში უნდა მოვაწყო...



რეჟისურისადმი ინტერესი ახლაც მაქვს



— **დაახლოებით, რამდენი ნამუშევარი გაქვთ?**

— არის ნამუშევრები, რომლებიც ყოველთვის მახსოვს, რადგან „ჩემია“ და არასოდეს მავიწყდება, მაგრამ ზოგი შეიძლება, არც მახსოვდეს.

— **ალბათ, შეკვეთილ ნამუშევრებს გულისხმობთ.**

— ჰო და სიმართლე გითხრათ, ასეთი სურათების უმეტესობა არ მახსოვს (*იცინის*).

— **რაც მთავარია, თქვენს სურათებს ყოველთვის ცნობთ, არა?**

— რა თქმა უნდა! შეუძლებელია, „შვილი“ ვერ იცნო (*იღიმის*). დღეს ვერ ვიტყვი, რომ მხატვარი ვარ. მე გახლავართ ადამიანი, რომელსაც თავისი „ხედვა“ აქვს და მუდმივ ძიებაშია... ყოველთვის ვიცი, კონკრეტულად რა მინდა, მაგრამ ექსპერიმენტებს მაინც ვატარებ. ჩემს შემოქმედებაში ფუტურისტული, აბსტრაქტული ფორმებია, ცოტათი სიურრეალიზმსა და მოდერნიზმსაც ვეხები... „ჩონჩხზე“ „ხორცის შესხმა“ ხდება, რათა საბოლოოდ, ის ფორმა მივიღო, რაც მინდა და მჭირდება. მოკლედ, ექსპერიმენტების ფონზე, ჩემივე ხელოვნების ძიებაში ვარ.

— **მაგრამ მიუხედავად ამისა, ალბათ, თქვენი „ხელწერა“ გაქვთ.**

— ყოველ შემთხვევაში, მეგობრებს უთქვამთ, — როცა ნამუშევარს შეხედავ, მიხვდები, რომ დანილიუკისააო.





ფერით, ფორმით ინდივიდუალურობას ვინარჩუნებ.

— **თქვენი გვარი — დანილიუკი სადაურია?**

— უკრაინული გვარია. მამა უკრაინელია, დედა ქართველი მყავდა. იმ წლებში, როცა უკრაინაში შიმშილობა იყო, ბაბუა ოჯახთან ერთად, საქართველოში დასახლდა. მამაჩემი ბათუმში დაიბადა და გაიზარდა, ახლაც ბათუმში ცხოვრობს. მართალია, უკრაინული გვარი გვაქვს, მაგრამ მეც და მამასაც მიგვაჩნია, რომ ქართველები ვართ, ხოლო დანილიუკი ყველას ჩემი ფსევდონიმი ჰგონია.

— **დანილიუკი მარკეტინგული თვალსაზრისით ამართლებს?**

— პრინციპში, ადამიანმა ერთხელ თუ დაიმახსოვრა, მერე სულ ახსოვს. სახელით თითქმის არ მომმართავენ, უმეტესობა დანილიუკს მეძახის. მე გართულება არა მაქვს, უფრო მეტიც — მირჩევნია, ლალის ნაცვლად, დანილიუკით მომმართონ.

— **მოდი, ისევ თქვენს ნამუშევრებზე ვისაუბროთ. როგორც აღნიშნეთ, ზოგი მათგანი არ გახსოვთ, ზოგი კი „თქვენია“ და არასოდეს გავიწყდებათ. იქნებ რომელიმე „თქვენი“ ნამუშევარი დაგვისახელოთ...**

— ხელოვნება ტყუილს არასოდეს გაპატიებს. როცა ავანტიურისტობ, რაღაცას იტყუები, მაინც ყველაფერი ჩანს და ამიტომაც ვცდილობ, მასთან „სუფთა დიალოგი“ მქონდეს. მუზა თუ გაგიბრაზდა და წავიდა, მისი მობრუნება ძალიან რთულია. ის ცოცხალი არსებაა, დამიჯერეთ... მაქვს ნამუშევარი, რომელიც ძალიან მიყვარს — „ჩამომხრჩვალი ანგელოზი“. ის 9 წლის წინ შევქმენი. ნახატს რელიგიური დატვირთვა არა აქვს: ჩემი ემოცია, საკუთარ თავთან შინაგანი პროტესტი გამოვხატე — „შინაგანი ანგელოზი“ გავანადგურე, რადგან პირად ცხოვრებაში რთული პერიოდი მქონდა. „ჩამომხრჩვალი ანგელოზი“ ძალიან „სუფთა“ გამოვიდა — ის ჩემი ერთ-ერთი ცნობილი ნამუშევარია. ნახატს ვერ ველევი, კომერციულმა მხარემაც ვერ დამაინტერესა.

— **სამუშაოდ როგორი გარემო გჭირდებათ?**

— ჩემი მეგობარი მხატვრებისგან ხშირად გამიგონია, — როცა გარშემო ბევრი ხალხი და ხმაურია, მუშაობა არ შემიძლიაო. პირადად მე, როცა ვმუშაობ, ვერანაირი ხმაური ვერ შემიშლის ხელს.

— **პერსონალური გამოფენა წინათაც მოგიწყვიათ?**

— კი, ახლა მესამედ ვმართავ. „ფერი“ — ასე ერქვა ჩემს პირველ გამოფენას, რომელიც ნამდვილად არ იყო წარუმატებელი; ყოველ შემთხვევაში, დღესდღეობით, მაშინ გამოფენილი არც ერთი სურათი არა მაქვს... ხშირად, ნამუშევარი მფლობელს თავად ირჩევს.

— **ეს როგორ?**

— მაგალითად, ყოფილა შემთხვევა, როცა ვიღაცას კონკრეტული ნამუშევარი მოსწონებია, მაგრამ ბოლო მომენტში სხვა სურათი უყიდია. ნამუშევარი კონკრეტულ ადამიანთან ყოფნას ენერგეტიკულად ითხოვს. მართალია, სურათებს მეტყველება არ შეუძლიათ, მაგრამ მათაც საკუთარი ცხოვრება აქვთ, „სუნთქავენ“ (*იღიმის*)...

— **გამოფენაზე რა სახის ნამუშევრებს წარადგენთ?**

— ბოლო 2 წელია, არსად „გამოვფენილვარ“ და ამიტომაც, ეს გამოფენა 2 წლის მანძილზე შექმნილი ნამუშევრების „შეკვრა“ იქნება. წლევანდელი 7 სურათი ცოტათი მოდერნისტული და რეალისტური ჟანრისაა — ფუტურისტული ფორმებისგან ოდნავ განსხვავებული. ალბათ, ვნერვიულობ... მხატვრობა ისეთი რამაა, რომ შეუძლებელია, ყველასთვის მისაღები იყოს. მინდა, ჯანსაღი კრიტიკა მესმოდეს.

— **ხშირად გაკრიტიკებენ?**

— სალვადორ დალის მამსგავსებენ, მაგრამ მას საერთოდ არ ვგავარ — ნეტავ, მართლა სალვადორ დალის მსგავსად ვხატავდე. დალის ასოციაციას ჩემი ერთი ნამუშევარი — „ზაფხულის ქარხანა“ იწვევს, მაგრამ მხოლოდ ერთი სურათით ხელოვნის მთელი შემოქმედების შეფასება არ შეიძლება... ■







# პროკურორობიდან ადვოკატობამდე გავლილი გზა

**როდის იწყებს ადამიანი იმაზე ფიქრს, თუ რა არის სიმართლე ან ღირსება? ალბათ მაშინ, როცა რთულ სიტუაციაში ჩავარდნილი, ბედის სასწორზე შემოდებს ხოლმე იმ ორ მნიშვნელოვან რაღაცას, რაც მხოლოდ მან უნდა გადაწყვიტოს: სიმართლეს დაუჭიროს მხარი და რაღაც მოიკლოს თუ ღირსება გვერდზე გადადოს და პატარა სააქაო სიხარულის ან მატერიალური სარგებლისთვის ტყუილიც იკადროს.... ტყუილით ცხოვრება ცოდვით სავსე ტვირთია, რომლის სიმძიმესაც თავიდან ვერავინ გრძნობს, მაგრამ თუ ეს ტვირთი დროზე არ მოიშორე, წლების შემდეგ მხოლოდ სინანულით ვერაფერს უშველი...**



## „იმ პერიოდში ერთადერთი პროკურორი ქალი გახლდით“

მარინა ბაბუნაშვილი

*ნებისმიერი პროფესიის თანმხლები უნდა იყოს სიმართლეცა და ღირსების გრძნობაც, მაგრამ ყველაზე მეტად, ეს გრძნობა სჭირდება იურისტს ანუ ადამიანს, რომელიც სამართალს „ჭრის“ და „კერავს“... ამ წერილის „მთავარი გმირი“ ადვოკატი ქალია, რომელმაც საკუთარი საქმიანობა გამომძიებლობით დაიწყო, მერე, მრავალი წლის განმავლობაში პროკურორიც გახლდათ, ბოლოს კი ყველაფერს ადვოკატობა არჩია.*

*დარეჯან სილაგაძე ლენტეხში დაიბადა და გაიზარდა. მამამისი — ნოდარი ცნობილი იურისტი იყო, ყველა იცნობდა და პატივს სცემდა. ოთხი დედმამიშვილიდან ყველაზე მოუსვენარი დარეჯანი გახლდათ. გარეგნულად ნაზ და სიფრიფანა გოგონას თოჯინები არასოდეს ხიბლავდა, ხმლითა და თოფით უფრო ერთობოდა. მშობლები ცელქობას მხოლოდ იმიტომ პატიობდნენ, რომ ტყუილი არ უყვარდა — თუ რამეს დააშავებდა, ამას აღიარებდა კიდეც. ერთხელ, ერთ-ერთმა ძმამ ქილაში ჩაყრილი ხურდა ფულიდან 20-კაპიკიანი ჩუმად აიღო. ეს „დანაკლისი“ ყურადღებიან დედას არ გამორჩენია და შვილებს ჰკითხა, — ვინ აიღო 20 კაპიკიო? ელგუჯამ, იმ იმედით, დაჯის (ასე ეძახდნენ პატარაობაში) არ დასჯიანო, ფულის მოპარვა დას გადააბრალა. გოგონამ ძმა არ „გაყიდა“, მაგრამ ამ ბრალდებამ მასზე მძიმედ იმოქმედა... მაშინ გახმაურებული იყო ერთ სოფელში მომხდარი ტრაგედია: თურმე, პატარა ბავშვები დამალობანას თამაშობდნენ და ორი მათგანი მაცივარში შეძვრა, საიდანაც უკვე გაყინულები გამოიყვანეს — სამწუხაროდ, მათი გადარჩენა ვერ მოხერხდა. ეს ამბავი დაჯისაც ყურმოკრული ჰქონდა და ოჯახში მომხდარი ფაქტის გამო, პროტესტის ნიშნად, თავის მოკვლა გადაწყვიტა. კიდევ კარგი, ონავარი გოგონა დროზე მოისაკლისეს და მასზე ძებნა გამოაცხადეს, თორემ ეს ამბავიც სავალალო შედეგით დასრულდებოდა. ასე რომ, შეიძლება ითქვას, შეუვალობა და სიმართლისთვის თავდადება დარეჯანს მთელი სიცოცხლის მანძილზე თან სდევს...*

*სკოლის დამთავრების შემდეგ გადაწყვიტა, მამის კვალს გაჰყოლოდა და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე ჩააბარა. სიხარულისგან მეცხრე ცაზე დაფრინავდა — ოცნების ნახევარი ხომ თითქმის ასრულებული ჰქონდა. კარგად სწავლობდა, ყველა აქებდა და დიდ მომავალსაც უწინასწარმეტყველებდნენ. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ცაგერში დაიწყო მუშაობა. ვინც უკვე ნაზიარები იყო იურისტის საქმეს, ყველა ეუბნებოდა, — გაგიჭირდება მუშაობა, შენს რთულ პროფესიას ვარდისფერი სათვალით უყურებო, მაგრამ გოგონა ყურს არავის უგდებდა, სირთულეები არ აშინებდა. თავიდან გამომძიებლად დაიწყო მუშაობა და სწორედ მაშინ მიხვდა, რომ ნაცნობები სიმართლეს ეუბნებოდნენ... ამ პერიოდში ცუდად გახდა — თვალებში უბნელდებოდა და გონებას კარგავდა. ექიმებს დიაგნოზის დასმა გაუჭირდათ, ბოლოს კი დაასკვნეს: გადაღლის ბრალიაო და დასვენება „გამოუწერეს“. მაგრამ რა დროს დასვენება იყო?! — იგი ხომ ახლა იწყებდა მისთვის ძალიან საინტერესო პროფესიული ნაბიჯების გადადგმას...*

**დარეჯან სილაგაძე:**

— ქუთაისის ციხეში ერთი ძველი ბოქსიორი იჯდა და მე მის საქმეს ვიძიებდი. გული მწყდებოდა, რომ ერთ დროს პერსპექტიული სპორტსმენი კრიმინალად იქცა და მინდოდა, რაიმე ხელჩასაჭიდი მეპოვა, რათა გამოძიება მის სასარგებლოდ წარმემართა. იმ დღეს მეორედ მომიხდა ციხეში შესვლა. ვსხედვართ ერთ პატარა ოთახში და ვაწარმოებ დაკითხვას (ვინ იცის, მერამდენეს). უცებ ვიგრძენი, რომ ძალა გამომეცალა, თვალები დამებინდა და სადაცაა, გული წამივიდოდა. გავიფიქრე, — ახლა გონება რომ დავკარგო, ვინ იცის, რას მოიმოქმედებს ყოფილი ბოქსიორი-მეთქი. ფიზიკური შეურაცხყოფის არ მეშინოდა, მისგან რიდსა და პატივისცემას ყოველთვის ვგრძნობდი — ყველასთან ურჩი და თავხედი, ჩემთან, ამ ერთი ციდა გოგოსთან მდუმარე და მშვიდი ხდებოდა; ერთადერთი, რისიც შემეშინდა, ის იყო, რომ თავისი საქმე არ დაეხია, რადგან ვიცოდი, ამას არავინ მაპატიებდა და შეიძლება, ამის გამო საყვარელ საქმეს გამოვთხოვებოდი კიდეც, რასაც ნამდვილად ვერ გადავიტანდი. მხოლოდ იმის თქმა მოვასწარი, — ახლა შენს ვაჟკაცობაზეა დამოკიდებული, რას მოიმოქმედებ — ან დამღუპავ, ან გადამარჩენ-მეთქი. ეს ვთქვი და გავითიშე. მოგვიანებით, დერეფანში მდგარი მეთვალყურეები მიყვებოდნენ: თურმე, პატიმარმა ბოქსიორმა (ასე ეძახდნენ მას) ყვირილი ატეხა და კარი რომ გაუღიათ, გიჟივით გავარდნილა დერეფნის ბოლოსკენ, სადაც ონკანი იყო. დაცვა ისე დაბნეულა, მისი შეკავება ვერ მოუხერხებია. საბოლოოდ, ბოქსიორმა წყალი მაპკურა სახეზე. ცოტა რომ მოვსულიერდი, დავინახე, ამხელა ვაჟკაცი გაფითრებული დამჩერებოდა და ტიროდა... მერე, დიდხანს, ძალიან დიდხანს მწერდა წერილებს...

**— ძალიან ახალგაზრდა იყავით, როცა გამომძიებლად დაიწყეთ მუშაობა. ალბათ, ბევრი პატიმარი გეტრფოდათ...**

— ხომ გახსოვთ, კრიმინალი ლიმონა („თეთრი ბაირაღებიდან“) რას ამბობს: პატიმრისთვის, აქ შემოსული ქალი — ყველა მზეთუნახავიაო. ურიგო გოგო არ ვიყავი, მაგრამ ალბათ, ისინი მეც მზეთუნახავად მიმიჩნევდნენ. მათგან ყოველთვის ვგრძნობდი უზომო პატივისცემასა და სიყვარულს, რიდსა და მოწიწებას, მაგრამ ჩემთვის მიუღებელი იყო პატიმართან სხვა ურთიერთობის გაბმა, თუმცა ბევრი ადამიანურად შემცოდებია და დავხმარებივარ კიდეც.

**— როგორც ვიცი, პროკურატურაში 26 წელი იმუშავეთ...**

— დიახ. გამომძიებლობის მერე, 7 წელი რაიონის პროკურორი ვიყავი. იმ პერიოდში მთელ საქართველოში ერთადერთი პროკურორი ქალი გახლდით. 90-იან წლებში სიტუაცია ძალიან აირია. თბილისში, გენერალურ პროკურატურაში გამართულ სხდომაზე სიტყვით გამოვედი და ვამხილე ბევრი ჩინოსანი, რომელიც კრიმინალებს არაფრით ჩამოუვარდებოდა. ჩემმა გამოსვლამ ბევრი გააკვირვა და ჩუმად მეუბნებოდნენ კიდეც, — აუტკივარ თავს რატომ იტკივებო? რა მექნა, სხვანაირად არ შემეძლო. მოგვიანებით, როცა დიდი გამოცდილების მქონე, თავისი საქმის უბადლოდ მცოდნე კაცმა — ვახტანგ რაზმაძემ წიგნი გამოსცა, ერთ მოგონებაში მეც გამიხსენა. ჩემთვის მისი შეფასება ძალიან ღირებულია. მან თქვა: მაშინ ასეთი პირდაპირობა დიდი რისკი გახლდათ; დარეჯან სილაგაძის გამბედაობა ბევრ კაცს შეშურდებოდაო... შემდეგ თბილისში გადმოვინაცვლე, ჩუღურეთში პროკურორის მოადგილედ ვმუშაობდი, მერე ისანი-სამგორის რაიონში ვიყავი, ამავე თანამდებობაზე. სულ საქმეში გახლდით ჩაბმული და ერთხელაც, როცა ჩემს წარსულს გადავავლე თვალი, მივხვდი, თვალსა და ხელს შუა შემომადნა წლები.

**— პროკურორობა დიდ პასუხისმგებლობას მოითხოვს. თქვენი ბრალდების გამო არასოდეს გინანიათ?**

— როგორ არ მინანია! არ არსებობს ადამიანი, რომელსაც შეცდომა არასდროს დაუშვია. მეც დამიშვია შეცდომა და ამის გამო ძალიან დიდხანს ვწუხდი: კანონით, ის უბედური კაცი დამნაშავე იყო. იგი ერთ-ერთი სოფლის პურის საცხობის უფროსი გახლდათ და შემოწმებისას დანაკლისი აღმოუჩინეს. საქმე სასამართლომდე მივიდა. მოვითხოვე, მისთვის 4-წლიანი პატიმრობა შეეფარდებინათ. როცა ბრალდებული საბოლოო სიტყვის სათქმელად ადგა, მას შარვალში ქამრის ნაცვლად გაყრილი თოკი დავუნახე. იმ პერიოდში ასე ვინ იცვამდა? ეტყობა, მართლა ძალიან უჭირდა. მოგვიანებით, როცა მითხრეს, რომ ეს კაცი 9 შვილის მამა იყო, ლამის გული გამისკდა და ჩემი მოთხოვნა ძალიან ვინანე, მაგრამ უკვე აღარაფრის შეცვლა აღარ შეიძლებოდა. მოგვიანებით, სულ სხვისი ხელით ვეხმარებოდი იმ ოჯახს... ამ შემთხვევის მერე ძალიან ვფრთხილობდი ხოლმე.

**— და ერთი „უკიდურესობიდან“ მეორეში აღმოჩნდით — დღეს ადვოკატი ხართ...**

— ამაზე ბევრს ეღიმება, მაგრამ ვერ წარმოიდგენთ, რამხელა ბედნიერებას ვგრძნობ, როცა ადამიანის გასათავისუფლებლად ვიბრძვი. რა მნიშვნელობა აქვს, კანონს და სიმართლეს რომელი მხრიდან დაიცავ? მთავარია, კანონი არ დაირღვეს და სიმართლეც დადგინდეს...

**— მაგრამ ზოგჯერ ხომ კანონიც ტყუის ადამიანის წინაშე?! კაცისმკვლელისა და ნარკოტიკის გამსაღებლის დაცვა არ გიჭირთ?**

— გეთანხმებით, ეგ ძალიან რთულია და ამიტომაც, თავს უფლებას ვაძლევ, ხელი არ მოვკიდო საქმეს, რომელიც არ მომწონს და მეჩოთირება. ხშირად უკითხავთ, — დამნაშავე ქალის მიმართ უფრო ლმობიერი ხარო? — არამც და არამც! სწორედ ქალს ვერ ვაპატიებ ბევრ რამეს... ადამიანი, რომელიც ნარკოტიკს ავრცელებს, მძულს. რაც შეეხება კანონებს, ბევრი რამ მართლაც, დასახვეწია. მაგალითად, არ მომწონს, რომ მოწმის პირველი ჩვენების შეცვლა კანონით ისჯება, ეს დიდი შეცდომაა — არავინ იცის, პირველად რა წნეხის ქვეშ მისცა მან ჩვენება. ჰოდა, თუკი მერე გონს მოეგო, შიში დასძლია და სიმართლის თქმა გადაწყვიტა, ამისათვის უნდა დაისაჯოს?..

**— ამბობენ, დღეს ადვოკატის საქმიანობა უბრალო ფორმალობაა; მან რაც უნდა გააკეთოს, სასურველ შედეგს მაინც ვერ იღებსო...**

— ეს სიმართლესთან ახლოსაა, მაგრამ თუ ადვოკატი ძლიერია, კანონები კარგად იცის და ფსიქოლოგის ნიჭითაც დაჯილდოებულია, მიზანს აუცილებლად მიაღწევს. მან სასამართლო პროცესზე ისეთი რამ უნდა თქვას, რომ პროკურორი და მოსამართლე დააფიქროს. მისი გამოსვლა არგუმენტირებულიც უნდა იყოს და ემოციურიც.

**— როცა პროკურორი იყავით, ადვოკატის ემოციურ გამოსვლას თქვენზე თუ უმოქმედია? მის სიტყვებზე თუ დაფიქრებულხართ?**

— რა თქმა უნდა და ამიტომაც ვამბობ, რომ ადვოკატზე ბევრი თუ არა, რაღაც მაინც არის დამოკიდებული, ეს „რაღაც“ კი მერწმუნეთ, ყოველ პატიმარს ჰაერივით სჭირდება. ისეთი რამ არ ჩამიდენია, რასაც ღმერთი არ მაპატიებს. ბებიაჩემი მეტყოდა ხოლმე: ადამიანი თუ მოგენდო, მერე იმის ღალატი დიდი ცოდვააო. ეს დამოძღვრა სულ მახსოვს.

**— ახლა ბევრი საქმე გაქვთ აღებული?**

— ძალიან ბევრი, მაგრამ ერთი ყველასგან გამორჩეულია. ჯერ არ მინდა, განსასჯელის ვინაობა დავასახელო, მაგრამ მას ბრალს სდებენ იმაში, რაც არ ჩაუდენია; ის არ ყოფილა იმ ადგილას, სადაც ძარცვა მოხდა, არადა, გამოძიება საპირისპიროს ამტკიცებს. არიან მოწმეები, რომლებიც ადასტურებენ, რომ იგი ამ დროს ტოტალიზატორში იყო, თუმცა ამის დაჯერება არავის აძლევს ხელს.



ზოგჯერ კი ბუზღუნებს, მაგრამ ისიც იცის, რომ ამ საქმის გარეშე მოვკვდები

**— როგორც ვიცი, ოჯახი გვიან შექმენით. მეუღლე როგორ ეგუება ცოლის საქმიანობას?**

— სხვა რა გზა აქვს? ზოგჯერ კი ბუზღუნებს, მაგრამ ისიც იცის, რომ ამ საქმის გარეშე მოვკვდები.

**— თქვენი მეუღლე რა პროფესიისაა?**

— ჩემი მეუღლე, ვახტანგ წიკლაური ეკონომისტია. 18 წელია, ერთად ვართ. მართალია, ერთმანეთს ბევრ რამეში არ ვეთანხმებით და ვკამათობთ ხოლმე, მაგრამ ბოლოს, მაინც დათმობაზე მივდივარ, რადგან ძალიან მიყვარს.

**— მაინც, რაზე კამათობთ ხოლმე?**

## ადამიანი

— კაცს ყოველთვის მოსწონს, როცა მისი ცოლი საზოგადოებაში დაფასებულია, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, მაინც ურჩევნია, სახლში ჰყავდეს და სამზარეულოში იფუსფუსოს. როცა მოუცლელობის გამო მსაყვედურობს, ვეხუმრები: თუ ხაჭაპურის მცხობელი გინდოდა, რესტორნებში კი გიყვარს სიარული და იქ მოგეძებნა ვინმე მზარეულიმეთქი. ისე, ხანდახან არც მე ვაკლებ და ვეჭვიანობ. ერთხელ ჩემი დედამთილისთვის უთქვამს, — ქუჩაში რომ მივდივარ, ხანდახან აქეთ-იქით ვიყურები, დაჯიმ „კუდი“ ხომ არ დამადევნაო (*იცინის*). ისე, სადღაც მეცოდება კიდეც, რადგან სულ გარეთ ვარ, ჩემს პატიმრებთან და მათი ცხოვრებით ვცხოვრობ, მას კი ჩემი ყურადღება აკლია... აი, ესაა ჩვენი კამათის მიზეზი. თუმცა, აწი ველარც მე შევიცვლები და ველარც — ის. რაც მთავარია, ვიცი, რომ მას ოჯახი პირველ ადგილზე ჰყავს დაყენებული და სხვა ქალით არასდროს „ჩამანაცვლებს“... ჩემთვის მიუღებელია ტყუილი და ღალატი, ცრუადამიანთან ურთიერთობა არ შემიძლია. მე საერთოდ, ადამიანი მიყვარს და ვცდილობ, თითოეულ არსებაში მხოლოდ კარგი რამ აღმოვაჩინო. ეს თვისება მამაჩემისგან გამომყვა და მას შემდეგ, რაც ადვოკატი გავხდი, მეტად ვავლენ. იცით, ამ ბოლო დროს გული ძალიან მეტკინა. რატომ? — ორმოცდაათს გადაცილებულ ადამიანებს რომ გვითხრეს, — თქვენი დრო წავიდაო! რას ჰქვია, ჩვენი დრო წავიდა? ვიდრე ადამიანი ცოცხალია, მისი დრო ყოველთვისაა, მით უფრო, თუკი მას აქვს ძალა და ენერგია იმისათვის, რომ საქმე აკეთოს, ხალხსაც გამოადგეს, ქვეყანასაც და საკუთარ თავსაც. აბა, ახალგაზრდამ, რომელიც ახლა იწყებს საქმიანობას, თავიდან რა იცის? თუ მას გამოცდილი პიროვნება არ დაეხმარა, ბევრი რამ გაუჭირდება. 20 წლის ვიყავი, როცა პატიმართან დასაკითხად შევედი და ისე დავიბენი, რომ აქეთ დამიწყო კითხვების დასმა, თან — ელიმებოდა. მახსოვს, მაშინ უფროსთან ტირილით შევვარდი, მან კი დამამშვიდა, დამარიგა და ბევრი რამ მასწავლა... გული მწყდება იმაზეც, რომ ადრე, როცა პროკურორი ვიყავი, გაცილებით მეტი სამართლებრივი ბერკეტი მქონდა. ახლა კი ადვოკატის ამპლუაში ყოფნისას, სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ ბევრჯერ მიტირია კიდეც, რადგან ძალიან უმწეოდ მიგრძნია თავი. როცა მიჭირს, ეკლესიაში მივდივარ, მოძღვარს ალსარებას ვაბარებ და ეს დარდის დაძლევაში მეხმარება. ■

*რეკორდსმენი*

# ქართველი „ადამიანი-ამფიბია“ რეკორდის დამყარებაზე ოცნებობს

**ბეგლარ ელბაქიძის ნიჭით აღფრთოვანებული თურქები ქართველ „ადამიან-ამფიბიას“, რომელსაც 17 საათის განმავლობაში წყალში (ფსკერის სიღრმისა და ტალღის ზომის მიუხედავად) „სიარული“ შეუძლია, ყოველ წელს ზღვის დღესასწაულზე იწვევენ და „ზღვაში მოსიარულე გურჯს“ ინტერესით აკვირდებიან. სამაგიეროდ, ბატონმა ბეგლარმა თბილისის მერიის წარმომადგენელთა გულები ვერა და ვერ მოიგო: უკვე 5 წელია, რაც დაფინანსებას ამაოდ ითხოვს — სურს, გინესის რეკორდების წიგნში მოხვდეს და სამშობლო ასახელოს.**



## „ზღვაში მოსიარულე გურჯით“ აღტაცებული თურქები

*ეთო ყორღანაშვილი*

— ზაფხულის მოსვლა ყოველთვის მიხარია — მიმაჩნია, რომ წელიწადის ეს დრო განსაკუთრებულად ლამაზია! ზაფხულის მოსვლასთან დაკავშირებულ ჩემს სიხარულს ისიც დაემატა, რომ ოცნების ახდენის იმედი გამიჩნდა: ჩემი ამბავი თითქმის მთელმა საქართველომ იცის და ყველას უნდა, მსოფლიო რეკორდი დავამყარო, ჩვენი ქვეყანა ვასახელო, მაგრამ სამწუხაროდ, სარეკორდო გამოსვლის დაფინანსება არც ერთმა ბიზნესმენმა არ მოისურვა. ამჯერად გადავწყვიტეთ, პროექტი მერიაში მიგვეტანა... მინდა აღვნიშნო, რომ ჟურნალისტი გვანჯი მანია მეხმარება. ეს 71 წლის მშრომელი ადამიანი მთელ ქალაქში ფეხით დადის და ჩემს დაფინანსებას ითხოვს. იცი, მან ჩემ შესახებ რა თქვა? — ქართველებს ხელში ერთი მარგალიტი გვიჭირავს და ვერ ვიყენებთო!.. რეკორდის დამყარებას როდემდე შევძლებ? რად მინდა, 80 წლის ასაკში რომ დამაფინანსონ ან ჩემი სიკვდილის შემდეგ კარგი რაღაცები წერონ?! მსურს, ვიდრე ცოცხალი ვარ, ჩემი ხალხისთვის კარგი საქმე გავაკეთო!

**— აღნიშნეთ, იმედი გამიჩნდაო. ბოლოს და ბოლოს, თბილისის მერიამ თქვენი დაფინანსება გადაწყვიტა?**

— სპორტულ ბიუჯეტში განვიხილავთ და შესაბამის თანხას გამოვყოფთო, — მითხრეს. ეს საკითხი თებერვალში უნდა გადაეწყვიტათ. 10 მაისისთვის სარეკორდო გამოსვლას ვგეგმავდი: თბილისის წყალსაცავში სრული სამხედრო ეკიპირებით უნდა გავსულიყავი — ორივე ხელში ავტომატი დამეჭირა და თან, ჩემი ტანისამოსიც წამელო. ამის გაკეთებას მგონი, ვერავინ შეძლებს — ეს მსოფლიო რეკორდია! დაგეგმილი მაქვს დარდანელის, მესინიის, ბონიფაჩის, გიბრალტარის სრუტეების, ალექსანდრიის საზღვაო არეალის გადალახვა, დამაგვირგვინებელ რეკორდს კი ისრაელში, თელავივის საზღვაო არეალში დავამყარებ. მერიისგან ჯერ ზუსტი პასუხი არ მიმიღია. ყოველ წელს ერთი და იგივე ხდება: კრიზისი, არჩევნები... მოკლედ, მიზეზი არ დაილია! ალბათ, უიღბლო ვარ! პირადად მე, ფული არ მაინტერესებს. ვიდრე ცოცხალი ვარ, მინდა, საქართველო ვასახელო და ამ საქმეში ხელისუფლება დამეხმარება თუ კერძო პირი, მნიშვნელობა არა აქვს — ყველას დიდ მადლობას გადავუხდი!

**— აუზში უფასოდ ვარჯიშის უფლებას თუ გაძლევენ?**

— წინათ უფასოდ ვვარჯიშობდი. მაშინ აუზის დირექტორი მამუკა ილდანი იყო, რომელმაც „დროებაში“ გასული სიუჟეტი ნახა და როცა აუზზე მივედი, მითხრა: შენი ჭირიმე, ივარჯიშე, რაზეა ლაპარაკი? არც ფული მინდა და არც არაფერიო! მთელი წელი ვვარჯიშობდი. ახლა სულ კერძო აუზებია და არ მინდა, ვინმეს ხვეწნა დავუწყო. პრინციპში, ისე ვარ მომზადებული, რომ 2 კვირაში უკვე ფორმაში ვდგები — „ადამიანი-ამფიბიას“ ტყუილად ხომ არ მეძახიან? წყალი ჩემი სტიქიაა!

**— თბილისის ზღვა წელს უკვე „დალაშქრეთ“?**

— კი, ერთხელ ვიყავი. საკმაოდ ცივი წყალია. 2-საათ-ნახევარში მომწყინდა და ნაპირზე გამოვედი... სხვათა შორის, ჩემმა ორივე ბებიამ 100 წელზე მეტხანს იცოცხლა. ისეთი ჯიში გვაქვს, რომ დიდხანს ვცოცხლობთ. იმედია, მსოფლიო რეკორდის დამყარებას 70 წლის ასაკშიც შევძლებ, მაგრამ კიდევ უფრო დიდი იმედი მაქვს, რომ მანამდე დამაფინანსებენ. ■

# მოწევა — კლავს!

## ანუ რასთან ასოცირდებიან მწეველი გოგონები

### „კაცს სიგარეტს პირში რომ უბოლებენ, ეს სამარცხვინოა“

**„ვინ იცის, უკვე მერამდენედ აკეთებთ აქცენტს იმაზე, რომ სიგარეტს გოგონებიც ეწევიან, მაგრამ ქალი რომ ქუჩაში დააძრობს მოსაწევს, ეს უკვე მეტისმეტია, სამარცხვინოა!“ — შემომჩივლა ერთმა ასაკოვანმა ქალბატონმა, რომელმაც ისიც აღნიშნა, რომ ოდესღაც, თავადაც მწეველების სიაში იყო, ჩუმ-ჩუმად, საპირფარეშოში ეწეოდა და ამ ამბავს არა მარტო მშობლებს, არამედ საყვარელ ადამიანსაც საგულდაგულოდ უმალავდა, მაგრამ როცა მიხვდა, სიგარეტი მართლაც მავნეაო, მოწევას თავი დაანება.**

ლიკა ქაჯაია

— აბა, ახლა კაცს სიგარეტს პირში რომ უბოლებენ, ეს სამარცხვინო არაა? ან კაცებს როგორ მოსწონთ ასეთი გოგონები? მე რომ მოვწევდი, მერე პირში ათასგვარ სისაძაგლეს ვიგუბებდი, რათა სუნი არ მქონოდა, ახლა კი მგონი, სიგარეტის სუნი უფრო მოდურად მიიჩნევა, ვიდრე სასიამოვნო სუნამოს სურნელი.

— **საერთოდ, მოწევა რატომ დაიწყეთ? არა მგონია, თქვენს ახალგაზრდობაში ეს მოდური საქციელი ყოფილიყო...**

— მოთხოვნილება მქონდა, სიგარეტის სუნიც კი მაფორიაქებდა და მისი გასინჯვის სურვილი ყოველთვის მახრჩობდა. ერთხელაც, ბაბუას (მამა არ ეწეოდა) სიგარეტი მოვპარე (მაშინ ფულიანები „კოსმოსს“ ეწეოდნენ) და გავაბოლე. ისეთი სიამოვნება ვიგრძენი, რომელსაც ენით ვერ აღგიწერთ. ჰოდა, ამის მერე სიგარეტზე დამოკიდებული გავხდი, რომ იტყვიან, მასზე „შევჯექი“, მაგრამ ამის შესახებ ჩემი უერთგულესი დაქალის გარდა, არავინ არაფერი იცოდა და დღემდე არ იცის.

— **როგორ არა, უკვე მე ვიცი და ამას „გზის“ მკითხველებიც გაიგებენ.**

— მაგრამ არ ეცოდინებათ, მე ვინ ვარ (*იცინის*)... ჩემი ქმარი გამუდმებით მწეველების გინებაშია და რომ გაიგოს, ოდესღაც ვეწეოდი, შეიძლება სახლიდან გამაგდოს, რადგან მეც „ბოზების სიაში“ ჩამწერს. ვიცი, რომ ქალები, რომლებიც სიგარეტს ეწევიან, სხვას არაფერს უშავებენ, მაგრამ მერწმუნეთ, საკუთარ ჯანმრთელობას დიდ ზიანს აყენებენ. პირადად მე, მოწევისგან ფილტვები დამიავადდა და ახლა, პარაზიტობის შედეგს ვიმკი.

— **მე არ ვამბობ, რომ გოგომ უნდა მოსწიოს და ვიცი, სიგარეტი არც კაცის ჯანმრთელობისთვისაა**



**სახარბიელო, მაგრამ რას ნიშნავს: ქმარი „ბოზების სიაში“ ჩამწერს?**

— ისევე, როგორც ჩემს მეუღლეს, მერწმუნეთ, ბევრ ქართველ მამაკაცს აქვს ისეთი „შავი სია“, სადაც ქალები რამდენიმე ჯგუფად არიან დაყოფილები. ზოგიერთს სიგარეტის მწეველი მანდილოსნები ისე სძულს, რომ ასეთებს „ბოზების კატეგორიაში“ წერს და ამის თქმას სახალხოდაც არ ერიდება. რა, ეს პირველად გაიგეთ?..

— **როგორ ახერხებდით სიგარეტის მოწევას ისე, რომ ამის შესახებ ვერავინ ვერაფერი შეიტყო?**

— (*იცინის*) რა ვიცი, ეტყობა, ძალიან მოხერხებული ბავშვი ვიყავი. ისე, ერთხელ ლამის დამიჭირეს, მაგრამ დაქალმა გადამარჩინა. სასაცილო ისაა, რომ მას ცხოვრებაში არ მოუწევია, ეს „ცოდვა“ ჩემ გამო აიღო საკუთარ თავზე. ერთ ზაფხულს დასასვენებლად სოხუმში წავედით. ზღვიდან მობრუნებულმა, ბინის კარი გამოვხურე და სიგარეტი გავაბოლე, ჩემი დაქალი კი იქვე, ლოგინზე ნებივრობდა. ამ დროს კარი გაიღო და მამიდაჩემი შემობლაყუნდა. მე სიგარეტიანად გავიქეცი და სააბაზანოში კარგა ხნით ჩავიკეტე — მინდოდა, სუნი გამსვლოდა. ოთახში რომ შემოვბრუნდი, მამიდაჩემი მეცა — აქ რა ხდებაო? ტყუილი გამომცხვარი მქონდა და ვუთხარი, — ჩემი კლასელი ბიჭი ვნახეთ და ის იყო ამოსული-მეთქი. მიხვდა, ვატყუებდი და სილა გამაწნა, თან დამემუქრა, — ყველაფერს მამაშენს ვეტყვიო. ამ დროს ჩემი დაქალი მოვარდა და სთხოვა: მაგული დეიდა, დამნაშავე მე ვარ, სიგარეტი მე ამოვიტანე, მინდოდა მემკითხავა და ამიტომაც დავარტყი ერთი ნაფაზიო. მამიდა გაუბრაზდა: შენ რომ მოგეწია, ეს ქალბატონი კი არ გაიქცეოდა, შენ მოკურცხლავდიო. — ის იმიტომ გაიქცა, რომ მე ვიწექი და წამოდგომას ვერ მოვასწრებდი. მან თქვენი დანახვისას სიგარეტი ხელიდან გამომგლიჯა და სააბაზანოში გააქანა; ამ ერთხელ მაპატიეთ და დედა მომიკვდეს, მეორედ თუ მოვკიდო ხელიო. მამიდამ ეს ტყუილი „გადაყლაპა“, მაგრამ მას მერე კონტროლზე ვყავდით აყვანილები...

— **და თქვენ ახლა აკრიტიკებთ იმ გოგონებს, რომლებიც ეწევიან...**

— დიახ, ოღონდ მათ — ვინც ქუჩაში ეწევა. ვფიქრობ, ეს ამორალური საქციელია. სხვა რომ არაფერი, მათ ბავშვები უყურებენ და თავადაც გაუჩნდებათ ასეთი გოგონების მიბაძვის სურვილი, იფიქრებენ, რომ ეს კარგია...

— **თქვენთვის ასეთი მაგალითი არავის უჩვენებია, მაგრამ მაინც ეწეოდით...**

— ჩემდა საუბედუროდ, მართალი

ხარ, მაგრამ მთავარი ისაა, რომ მივხვდი — სიგარეტით თვითმკვლელობა სისულელეა! მე რომ თავის დროზე მენახა, გოგონები ქუჩაში როგორ ეწეოდნენ, არც მე მოვწევდი ჩუმად და შესაძლოა, ახლა ისევ მწეველების სიაში ვყოფილიყავი.

**— რამდენი შვილი გყავთ?**

— 2 გოგონა და 1 ბიჭი მყავს. გოგონებმა სკოლა უკვე დაამთავრეს, ბიჭი კი გაისად აბიტურიენტი იქნება.

**— თქვენი შვილები არ ეწევიან?**

— გოგონები — არა, ბიჭი კი მგონი, ცუღლუტობს.

**— რატომ ხართ დარწმუნებული, რომ გოგონები არ ეწევიან? თქვენც ხომ ჩუმ-ჩუმად ეწეოდით?**

— რა ვიცი, აბა, მათ ყველანაირად ვაკონტროლებ.

**— მამიდათქვენიც ხომ გაკონტროლებდათ?..**

— ვფიქრობ, იმას, რასაც მე თავის დროზე ვმალავდი, ჩემი შვილები ვერ დამიმალავენ, რადგანაც კარგად ვიცი, როდის შეიძლება მოსწიოს გოგონამ და სად. მერწმუნეთ, მათ თვალს არ ვაშორებ. სხვათა შორის, შვილებს ვეუბნები, — თუ მოსწევთ, ჩემი თანდასწრებით, სახლში მოსწიეთ-მეთქი... გოგონებს ვემეგობრები, მაგრამ მათ ხელში სიგარეტი რომ დავინახო, ორივეს „მივახრჩობ“, მოწევის სურვილს სამუდამოდ გავუქრობ. ჯერ-



ჯერობით კი მის მავნებლობაზე ვეწევი აგიტაციას და მგონი, მიზანს ვაღწევ კიდეც, რადგან ბოლო დროს ჩემი ბიჭიც ამბობს, — მოწევა სისულელეაო! ძალიან მინდა, არა მარტო ჩემი შვილები, არამედ საერთოდ, ქართველი გოგო-ბიჭებიც არ ეწეოდნენ. ხალხნო, ეს მართლა ბოზობას კი არ ნიშნავს, უბრალოდ, ამით საკუთარ ორგანიზმს იწამლავთ და სიცოცხლეს საფრთხეს უქმნით. მოწევის გამო სიკვდილი კი, არა მგონია, ჭკვიანური იყოს.

**ლამარა,** *41 წლის:*

— ცხოვრებაში არ მომიწევია და სიგარეტის სუნიც კი მაღიზიანებს. სხვათა შორის, სწორედ ამის გამო მიატოვა ჩემმა ქმარმა მოწევა. მახსოვს, სიყვარული რომ ამიხსნა, ვუთხარი: ვერა, ვერ შეგიყვარებ-მეთქი! გაუკვირდა: — რატომო (ის საკუთარ თავში დარწმუნებული იყო და პრინციპში, არც არაფერი ჰქონდა ჩემი დასაწუნი)? — იმიტომ, რომ ძალიან ბევრს ეწევი და საშინლად მყრალი სუნი აგდის-მეთქი. — მოწევა რომ მივატოვო, რაღას მოიმიზეზებო? — ვერ მიატოვებ, სიგარეტის მწეველების ამბავი ვიცი-მეთქი, — ირონიულად ვუთხარი. გოგამ ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო, კოლოფი დაჭმუჭნა და ურნაში მოისროლა. მას შემდეგ მართლაც, აღარ მოუწევია და ჩემი გულიც მოიგო (*იცინის*).

**— მეუღლის გამო თქვენ თუ დათმეთ რაიმე?**

— როგორ არა, თავისუფლება დავთმე! გოგა, ცოტა არ იყოს, ეჭვიანია და არ უნდოდა, მემუშავა. ჰოდა, ექიმმა ქალმა დიასახლისის წინსაფარიც მშვენივრად მოვირგე (*იცინის*).

**— რამდენი შვილი გყავთ?**

— ორი — გოგო და ბიჭი. სხვათა შორის, ბიჭი მე დამემსგავსა, სიგარეტი ჭირის დღესავით ეზიზღება, გოგონა კი თანახმაა, მისმა შეყვარებულმა რამდენიც უნდა, იმდენი მოსწიოს. მეუბნება: — შენგან განსხვავებით, ამას არ მოვთხოვო...

**— თავადაც ეწევა?**

— არა, არა, ღმერთმა დაიფაროს ამისგან. ის კი არა, მისი დაქალები რომ ეწევიან, მათაც „ტვინს ვუბურღავ“ — არ გინდათ, შვილებო, მომავალს ინადგურებთ-მეთქი, მაგრამ ვინ მიჯერებს? — ერთ ყურში შეუშვებენ ხოლმე და მეორიდან გამოუშვებენ. ჰოდა, ამ რჩევადარიგებებით მგონი, მათ თავი შევაძულე, ჩემთან ლაპარაკს გაურბიან.

**— ვთქვათ, თქვენმა ვაჟმა ცოლად სიგარეტის მწეველი გოგონა მოიყვანა...**

— ამის შანსი არ არსებობს — ხომ გითხარი, რომ მას სიგარეტი და მისი სუნი ჭირის დღესავით ეზიზღება.

**— და მაინც, რომ შეირთოს?**

— მაშინ, ხავსს ჩავებღაუჭები და საკუთარ თავს დავაიმედებ, რომ ის გოგო ჭკვიანი იქნება და ორსულობის დროს მაინც არ მოსწევს, მერე კი ნელ-ნელა, საერთოდ გადააგდებს კიდეც.

*ამ ქალბატონებთან საუბრის შემდეგ, 9 აპრილის ბაღში გავისეირნე, სადაც მწეველ მოზარდებს (მათ შორის უმეტესობა გოგონაა) ყოველ კუთხეში დაინახავთ.*

— აქ იმისთვის მოდიხართ, რომ სიგარეტი გააბოლოთ?

**მაკა,** *16 წლის:*

— ჰო, სხვაგან მოსაწევ ადგილს ვერ ვჩითავთ და აქ მოვდივართ. ქუჩაში მოწევას კიდევ ეს სჯობს, ცოტა მოფარებული ადგილია და იმის შანსიც ნაკლებია, რომ მშობელი დაგვინახავს.

**— დიდი ხანია, რაც ეწევი?**

— უკვე მეორე წელია და ძალიან მომწონს. სხვათა შორის, შეყვარებულიც სიგარეტის წყალობით გავიჩითა...

**— ეგ როგორ?**

— აქ ვიყავი, ბაღში, მეგობრებთან ერთად. ერთი ბიჭი მომეწონა, მასთან მივედი და სიგარეტი ვთხოვე, თუმცა მაშინ ნამდვილად არ ვეწეოდი. თურმე, მასაც მოვეწონე და შემომთავაზა, — მოგიკიდებო. შემდეგ მიყურებდა, ნაფაზს როგორ დავარტყამდი, მე კი ლამის დავიხრჩვი (*იცინის*). მან დამცინა: მოწევაც არ იცი და რად გინდა, თავს რომ იხრჩობო?.. მას შემდეგ დაქალებთან „მოწევის კურსები“ გავიარე, ნაფაზის დარტყმა კარგად დავამუღამე, მერე კი ჩემს მომავალ შეყვარებულს ჩავუსაფრდი და როცა გამოჩნდა, ისევ სიგარეტი ვთხოვე. დამცინავად გამომხედა, მაგრამ სიგარეტი მაინც მომაწოდა, მე კი ერთი გემრიელი ნაფაზი დავარტყი, მერე რგოლებიც გავუშვი და შიგ ისარიც გავუყარე... მას შემდეგ დავმეგობრდით.

**— რომ არა სიგარეტი, მას სხვანაირად თავს ვერ მოაწონებდი?**

— ალბათ, ვერა. მისთვის სხვა რა უნდა მეთხოვა? სხვათა შორის, მწეველი გოგონები ძალიან მოსწონს და იმასაც კი მეუბნება, — პირდაპირ ქუჩაში მოსწიე, რა პრობლემაა? რაღაცის დამალვას სჯობია, ბუნებრივი იყოო, მაგრამ მაინც ვერ ვრისკავ — მშობლებმა რომ გაიგონ, ეგრევე ინფარქტს მიიღებენ და მინდა მე ეს?..

**ნიკუშა,** *15 წლის:*

— 4 წელია, სიგარეტს ვეწევი.

**— მერე არ იცი, რომ სიგარეტი სიმაღლეში ზრდას აფერხებს?**

— (*იცინის*) რას „მაბოლებ“? ბევრი ისეთი ადამიანი ვიცი, ვინც ლამის დაბადებიდან ეწეოდა, მაგრამ შხვართია.

**— მოწევა რატომ დაიწყე?**

— იმიტომ, რომ მინდოდა!

**— გინდოდა თუ სხვებს აჰყევი?**

— არა, მართლა მინდოდა. დიდი ბიჭები რომ ეწეოდნენ, მოწევის სურვილი მეც მიჩნდებოდა, ჰოდა, სიგარეტს ვყიდულობდი და ჩუმად ვეწეოდი, მერე ჩემნაირი „ჩუმალები“ ვიპოვე და 3-4 ბიჭი მოსაწევად ერთად მივდიოდით. ესაა ჩვენი კაიფიცა და ყველაფერიც.

— **მშობლებმა თუ იციან, რომ ეწევი?**

— კი, იციან და ამის გამო მეჩხუბნენ კიდეც, თუმცა ჩხუბით ვის რისთვის მიუღწევია?! ბავშვს კი არ უნდა ეჩხუბო, არამედ უნდა შეაგონო.

— **შენზე ეს შეგონება გაქრიდა?**

— რა ვიცი, შეიძლება, გაეჭრა კიდეც.

— **ე.ი. რომ ეწევი, ეს შენი მშობლების ბრალია?**

— არა, მოწევა მანამ დავიწყე, ვიდრე მეჩხუბებოდნენ, მაგრამ დღემდე რომ ვეწევი, ეს სადღაც, მათი ბრალიცაა. ახლა არა მგონია, ვინმეს ან რაიმეს გამო მივატოვო.

— **შეყვარებულმა რომ გთხოვოს?**

— მას შევეშვები და სიგარეტს — ვერა. ბოლოს და ბოლოს, ერთ კაცზე 9 ქალი მოდის და მე რა გამიჭირდება ისეთი, რომ მისი თავი სხვა გოგონათი ვერ ჩავანაცვლო?..

— **მწეველი გოგონები თუ მოგწონს?**

— კი, და ჩემი შეყვარებულიც ეწევა, ოღონდ — შიგადაშიგ.

— **მწეველი გოგონები რით გხიბლავს?**

— რა ვიცი, სექსუალურები არიან...

— **და სიგარეტის სასიამოვნო სურნელიც ასდის, არა?**

— ნუ, როცა ეწევი, მაშინ სიგარეტს კარგი სუნი აქვს, მერე კი მყრალდება, მაგრამ მის მოსაშორებლად უამრავი საშუალება არსებობს...

*ახლა კი „თინეიჯერული პონტების“ არქივიდან გთავაზობთ ცნობილ ადამიანთა მოსაზრებებს სიგარეტთან დაკავშირებით.*

**ზურაბ ვადაჭკორია,** *ილუზიონისტი:*

„— მოზარდობის პერიოდში უფროსები ბევრ რაღაცას გვიკრძალავდნენ. მაგალითად, გვეუბნებოდნენ: ნუ ეწევი სიგარეტს! მოზარდი ხარ, შენი ორგანიზმი ჯერ ისევ ნორჩია და ნიკოტინის მიღება არ შეიძლებაო.

— **მოწევა რა ასაკში დაიწყეთ?**

— 17 წლის ვიყავი. ყოველთვის მინდოდა, არ მომეწია, მაგრამ სურვილის საწინააღმდეგოდ ვიქცეოდი... სხვათა შორის, ჩემს ოჯახში არავინ ეწეოდა, მაგრამ მე რატომღაც, ხანდახან მინდოდა, მომეწია და ვფიქრობდი, რომ თუ ამის სურვილი გამიჩნდებოდა, მას ნებისმიერ დროს შევეშვებოდი. მართლაც, შეიძლება რამდენიმე დღე ისე გავიდეს, რომ სიგარეტს არ გავეკარო“.



**პანჩო,** *მომღერალი:*

„— **მშობლები რას გიკრძალავდნენ?**

— სიგარეტის მოწევას, მაგრამ მე მაინც ვეწეოდი.

— **რატომ?**

— იმიტომ, რომ მინდოდა.

— **სიგარეტის მოწევა „მაგარ ბიჭობად“ მიიჩნეოდა?**

— არა, უბრალოდ, მაშინ პატარა ბიჭი ვიყავი და მინდოდა, აკრძალული ხილისთვის გამესინჯა გემო. პირველად ნაფაზი რომ დავარტყი, კინაღამ გავიგუდე, მაგრამ მერე, ნელ-ნელა შევეჩვიე (ახლა თავში ვირტყამ ხელს, რად მინდოდა-მეთქი)“.

**იმედა კახიანი,** *მსახიობი:*

„— რაც თავი მახსოვს (მგონი, მე-4 კლასიდან) სიგარეტს ვეწეოდი.

— **რატომ დაიწყეთ მოწევა?**

— ეს კაიბიჭობის მანიშნებელი იყო — თუ ეწეოდი, ე.ი. ვაჟკაცი იყავი... მყავს მეგობარი, რომელსაც მთელი ცხოვრება სიგარეტის მოწევის სურვილი ჰქონდა, მაგრამ ვერაფრით მიეჩვია — ერთ ნაფაზს დაარტყამდა თუ არა, თვალებიდან ცრემლი სდიოდა, იხრჩობოდა, ცუდად ხდებოდა... პირადად მე, მანამ ვეწეოდი, სანამ გულმა არ შემაწუხა“.



**დიტო ქისიშვილი,** *მომღერალი:*

„— სიგარეტს ვეწეოდი და თავი მაგარი ტიპიც მეგონა. მაშინ „ცვეტში“ იყო სიგარეტი „მორე“ — შავი, ძალიან გრძელი. თანაკლასელ ბიჭებს რაღაც შტაბი გვქონდა გაკეთებული, ვორონცოვზე, იქ ვიკრიბებოდით და ვაბოლებდით. ვკაცობდით, რა“.

**ზურა გაჩეჩილაძე (შონზო),** *მსახიობი:*

„— არ მახსოვს, სიგარეტის მოწევა როდის დავიწყე. ისე, ცნობისათვის — აღარ ვეწევი. 2 წელია, რაც თავი დავანებე. მოიცა, 26 მაისს გადავაგდე (*ინტერვიუ ჩაწერილია 2006 წელს. — ავტ.*). მაგარია, არა?“

*P.S. თინეიჯერებო, იქნებ დაფიქრდეთ, ღირს კი სიგარეტის გამო არა მარტო ფულისა და ძვირფასი დროის ფლანგვა, არამედ ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენება? სხვა თუ არაფერი, კარგად, დაკვირვებით წაიკითხეთ, რა აწერია სიგარეტის კოლოფს (ოღონდ, არა ერთ ყურში შეშვების და მეორიდან გამოშვების პრინციპით) — მოწევა კლავს!* ■









# ბიბლუსი

ბიბლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

# წვეთი პოეზია

ღმერთო,
მაპატიე
აპათია...



ღმერთო, მაპატიე აპათია,
რაც კი მაბადია – მაპატიე...
ერთსაც ვერ ვასრულებ შენაპირებს,
ნეტავ, მოვაგნებდე შენს ნაპირებს.
თორემ უშენობა უმზეოა,
არ ვიცი, ვისავით უმწეო ვარ...
ქვიშაზე ნაწერივით წავიშლები,
უშენოდ სიზმარშიც არ გავიშვები.
მე მივატოვე მზის შენობა,
ჩემიც აღარ მახსოვს მნიშვნელობა.
იქნებ გამახსენო? გამახსენე,
ყველაფერი თავიდან ამიხსენი.
შენი სამი ცალი სამოსელი,
ღმერთო, ფარდებივით ჩამოხსენი.
იქნებ მომაშორო ეს ნიღაბი...
უფალო, მე კი არა – შენ იყავი.

*რატი ამაღლობელი*

## ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია
არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით

1982 წელს გამოცემული
ქართული ენის
განმარტებითი ლექსიკონის
ერთტომეულის მიხედვით

შემდგენელი თემურ ივანიძე

## ბ

დასაწყისი იხ. „გზა“, №2-22

**ბუერალელვი** — ერთგვარი თეთრი ლელვი, ძალიან ტკბილია.
**ბუზმენტი** — ოქრომკედის ან სირმის ფართო ზონარი (არშია) ტანისამოსზე მოსავლებად.
**ბუთქვი** — ხშირი და გრძელი ბეწვის მქონე.
**ბუკი** — დიდი საყვირი.
**ბუკი** — 1. დიდი მრგვალი კუნძი; 2. (კუთხ.) სკა, გეჯა.
**ბუკიოტი** — ერთგვარი პატარა ბუ.
**ბუკნაჭო** — ბუკიოტზე უფრო პატარა ბუ.
**ბუნი** — დროშის ან შუბის ტარი.
**ბუნიობა** — წლის დრო, როდესაც დღისა და ღამის ხანგრძლივობა თანაბარია.
**ბუნჯგალი** — ბღუჯა (მატყლის, ბალნის, ბალახის და მისთ.)
**ბუჟუჟი** — დახუჭუჭებული ცხვრის ტყავი.
**ბუჟღენდი** — 1. წითელი ფერის საღებავი ნივთიერება; 2. ერთგვარი მწერი, რომლისგანაც ამ საღებავს იღებენ.
**ბურკვი** — 1. შეკუმშული ცომის გუნდა; 2. მატყლის კვირტი.
**ბურჩნა** — ძუძუს წოვის დროს დრუნჩის აკვრა (ხბო, თიკანი).
**ბუსნარი** — მაღალბალახიანი კორდი.
**ბუსნო** — ამწვანებული კორდის მონაკვეთი.
**ბუტუსურა** — უფხო, მოუხერხებელი ადამიანი.
**ბუფერი** ინგლ. — ზამბარიანი რკინის დისკო ჯახების შესარბილებლად (ვაგონის, ლოკომოტივის თავსა და ბოლოში.).
**ბულაური** — 1. სვეტის თავი; 2. სვეტის თავზე დადებული ხის ნაჭერი, რომელზეც დაყრდნობილია მთავარი კოჭი — ბალიში.
**ბულლამა** თურქ. — ყაურმისებური მცირეწვნიანი შეჭამანდი.
**ბუში** — ქორწინების გარეშე ნაყოლი შვილი. ნაბიჭვარი.
**ბუჩო** — ჩალაბულის, ბზისა და მისთ. გროვა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

„[illegible]“




დასაწყისი იხ. „გზა“ №2 - 22

ცხონებული მამაჩემი მართალი იყო, — გიორგი დღითი დღე მძიმდებოდა.

სანდრო ავსტრიაში, ჩემს მეგობართან გავამგზავრე, ცოდვა იყო, ამდენი რამ გადაიტანა!

სოჭი მინიგაეროს მოდელია. აფხაზები, ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები, ჩეჩნები, ადიღეები, რუსები, ოსები და სხვა მრავალი ერი ერთ ჭერქვეშ ძმურად ცხოვრობს და საერთო ბიზნესსაც წარმართავენ. სოჭის რესტორნებში თავი ხალხმრავალ კონგრესზე გეგონება. მუსიკალური არჩევანიც ისეთივე მრავალფეროვანია, როგორიც აქაურების მენტალიტეტი.

შავი ზღვა, სუბტროპიკული ჰავა, თვალწარმტაცი ლანდშაფტი და ზღვის თავზე თოლიების ღივლივი კავკასიურ ცეცხლოვან ტემპერამენტს ანეიტრალებს და საერთო-საკეთილდღეო საქმედ აქცევს.

სოჭში მელოდნენ ნათესავები და ნათლია, რომელიც ყოველთვის ერთ-ერთ მთავარ პერსონაჟად მიმაჩნდა ჩემს ცხოვრებაში.

სოჭის ყველაზე ლამაზი ქალი — დეიდაჩემი ნელი გეგეჭკორი და მისი მზრუნველი მეუღლე ტოლიკ როგოვი სოჭის ელიტურ საზოგადოებას წარმოადგენდნენ. ნათლია ალა, რესტორნის ადმინისტრატორი, და მისი ბიზნესმენი ძმა ვარა სერგია, როგორც მფარველი და ერთადერთი იმედი ეულად დარჩენილ ცხოვრებაში, ჩემს „რეაბილიტაციაზე“ ზრუნავდნენ.

— Лалка, если что, я всем голову сниму! — დამამშვიდა მან, — твоего спортсмена тоже за яйца повесим!

— Не надо, — ვთქვი მე, — он без меня и так как повешенный будет!

— Детка, над Москвой висит плакат — „Имей дело только с людьми своего круга!“ Поняла?

— Поняла, — ვთქვი მე და მძიმედ ამოვისუნთქე.

ანგარიშსწორება ჩემს თავმოყვარეობაზე ბევრად დაბლა იდგა!

— Не беспокойся, ты всё начнёшь заново! У тебя всё получится, моя девочка, а пока мы тебе поможем...

მზრუნველმა ნათესავებმა სასტუმრო „ჟემჩუჟინაში“ ნომერი ამიღეს, სადაც მასაჟი, აუზი და სამჯერადი კვება აუცილებელი ნორმა იყო.

— Отдыхай! — იყო მათი ბრძანება.

* * *

სოჭიდან ორი თვის შემდეგ დავბრუნდი და ახალი ცხოვრება დავიწყე. გიორგის ძნელად ვივიწყებდი. მომავალი ბუნდოვანი იყო, ცხოვრება ისევ ნულიდან მქონდა დასაწყები. მაისის ბოლოს, გულაშვილებთან — ნანიკოს დაბადების დღეზე მისულმა ქალბატონი ლაურა ლაჭავა გავიცანი.

ქალბატონი ლაურა კოდუების დედა გახლდათ. ერეკლე კოდუა — სოდ-ის უფროსი, დავით კოდუა — ბიზნესმენი და გიორგი კოდუა — „ნაციონალური ავიახაზების“ ხელმძღვანელი იმ ოჯახურ ძლიერ კლანს ქმნიდნენ, რომელთა აზრი ამ ქალაქში ყოველთვის გასათვალისწინებელი იყო.

მე და ქალბატონმა ლაურამ მეორე დღეს შეხვედრა დავთქვით და ჩინურ რესტორანში დავსხედით. საფუძვლიანი გასაუბრების შემდეგ, ქალბატონმა ლაურამ ოჯახური ბიზნესის ერთ-ერთი სეგმენტის ხელმძღვანელობა შემომთავაზა.

— ჩემთვის, რა თქმა უნდა, ეს დიდი პატივია, მაგრამ არ შემიძლია, არ გითხრათ, რომ აი, უკვე რამდენი წელია უმიზეზოდ მავიწროებენ: მე არა ვარ პოლიტიკაში, არა ვარ არც ერთი პარტიის წევრი და რომ მომენდომებინა, ეგეც არ იქნებოდა პრობლემა, მაგრამ მაინც წინააღმდეგობა დიდია. ვშიშობ, საქმე არ გაგიფუჭოთ.

— ლალი, ახლა ჩვენ ვლაპარაკობთ როგორც ბიზნესმენები. მე შენი საქმიანი გამოცდილება მჭირდება და ისიც კარგად ვიცი, რომ კარგის მეტი ქვეყნისათვის არაფერი გაგიკეთებია, შენი კრიტიკა კი არასოდეს გადადის უხამსობაში. შენ გიყვარს საქართველო. ასე რომ, მოდი და იმუშავე! — ქალბატონი ლაურას სიტყვა ვერდიქტივით ჟღერდა.

ცა გაიხსნა, და არა მხოლოდ გადატანითი მნიშვნელობით. მე „ნაციონალური ავიახაზების“ ვიცე-პრეზიდენტად დავინიშნე. გიორგი ფრენისა და ავიაციის უზომოდ მოყვარული ადამიანი გახლდათ. ცოტა მეოცნებე და ამავე დროს, პრაგმატული, მომთხოვნი, მკაცრი უფროსი იყო, ექვსი საათის შემდეგ კი მზრუნველი და თბილი მეგობარი. მე ამ დიდი და ძლიერი ოჯახის წევრი გავხდი. ბატონი ნოდარი, კოდუების მამა, საოცრად კეთილი და ჭკვიანი, ქართულ პროფესურას წარმოადგენდა.

შაბათ-კვირას ნუცუბიძის ფერდობზე ქალბატონი ლაურას დიზაინით კასკადურად აშენებულ ულამაზეს სახლს ვსტუმრობდი. ერთ-ერთ ფლიგელში, მეგრული ტრადიციისამებრ, შუაცეცხლი იყო გამართული. ქალბატონი ლაურა პატივს სცემდა ტრადიციებს, მისმა სამივე ვაჟმა ძალიან კარგად იცოდა მეგრული. მარიკუნა, მე და დათო დიდი ხნის მეგობრები ვიყავით, ამიტომ, ბუნებრივია, ურთიერთობა ოჯახის სხვა წევრებთანაც უპრობლემოდ აეწყო. ვერ წარმოიდგენთ, ეს ჩემთვის რა იყო, — გამონათება! მე ისევ დავიბრუნე სოფელში დაკარგული თვითმყოფადობა და დამოუკიდებელი შემოსავალი. სრულფასოვნად, თხემით ტერფამდე ქალაქს დავუბრუნდი. „ნაციონალური ავიახაზები“ ჩემთვის საუკეთესო რეაბილიტაცია გახდა. მუშაობა დუღდა, გაიხსნა ბათუმის რეისი, კოლექტივი შვეიცარიული საათივით მუშაობდა.

ერთ დღეს ტელეფონის ზარი დაირეკა და ყურმილში ნაცნობი ოსური აქცენტი მომესმა.

— Лали, правда, вы меня критикуете, но я вас очень люблю, — ეს იყო დიმა სანაკოევი.

თურმე ქურთის გუნდი კიევში ჭიდაობაში მე-4 ევროპის ჩემპიონატზე მიფრინავდა, საამისო სახსრები არ გააჩნდა და ექვსკაციანი ჯგუფი დახმარებას ითხოვდა.



— Дима, я тоже вас люблю, მზად ვარ, დაგეხმაროთ. ბიჭების გასაჭირს გიორგის ვეტყვი და არა მგონია, უარი თქვას.

— რა თქმა უნდა, დავეხმაროთ, მეტიც, შენ თვითონ გაჰყევი კიევში და ეს ჩვენი ერთობლივი პროექტი იქნება, — გიორგის კარგად ესმოდა, რომ ოსური გუნდის ხელშეწყობა ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

„ბრძოლა ქამრებზე“ — ასე ჰქვია ჭიდაობის იმ სახეობას, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს ევროპაში.

ასე რომ, „საქართველოს ნაციონალური ავიახაზების“, 2007 წლის 15 ივლისს სამხრეთ ოსეთის ჭიდაობის ეროვნული ნაკრების წევრები პირველად გაემგზავრნენ უმაღლესი კლასის ევროპის ჩემპიონატზე უკრაინაში, ქალაქ კიევში.

საამაყოა, რომ ნაკრებმა დიდი გამარჯვება მოიპოვა და სამშობლოში ევროპის ჩემპიონით ბრუნდებოდა. ამაში ჩვენი წვლილიც იყო.

* * *

2007 წლის 19 ივლისს, 12 საათზე, თბილისის საერთაშორისო პრესცენტრ „რია-ნოვოსტიში“ ფილმ „მიმინოს“ 30 წლის იუბილე და ცნობილი ქართველი კინომსახიობის, თბილისის საპატიო მოქალაქის, ვახტანგ კიკაბიძის დაბადების დღე აღინიშნა.

შედგა ტელეხიდი მოსკოვსა და კიევს შორის.

თბილისში მსახიობისთვის დაბადების დღის მისალოცად მობრძანდნენ კულტურისა და საზოგადო მოღვაწენი. ქალბატონი ნანი ბრეგვაძე, როგორც ყოველთვის, ყველაზე ლამაზი იყო, მას წლები ვერაფერს აკლებდა.

მე და ბორტგამცილებლებმა „საქართველოს ნაციონალური ავიახაზების სახელით“ მაესტროს დაბადების დღე მივულოცეთ, საჩუქრად გადავეცით ძვირფასი ღვინოები „ნანის ვენახებიდან“ და გასახსნელი, რაც ერთგვარი სიმბოლო გახლდათ ფილმ „მიმინოში გათამაშებული სცენის — „Открывалка же есть!“ ბატონი ვახტანგის განსახიერებული „მიმინო“ წლების განმავლობაში იყო და რჩება სამსახიობო ოსტატობის ნიმუშად, თავად კიკაბიძე კი საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ეპოქის რუსი ქალების ოცნებად.

ბედის ირონიით, „ნანის ვენახების“ მწარმოებელი ჩემი ყოფილი მეუღლე მიშიკო ღოთვაძე გახლდათ. რა პატარაა ქვეყანა, ადრე თუ გვიან, ყველა ჩვენგანის გზები გადაიკვეთება.

ტელეხიდის დროს მოსკოვის სტუდიას ჩავერთე:

— ახლა მოსკოვის სადღესასწაულო სტუდიაში არ არის ქართული ღვინო და იმედია, მალე რუსეთში ასეთი გასახსნელით არა მხოლოდ მინერალური წყალი, არამედ ნამდვილი ქართული ღვინო გაიხსნება, რომლითაც იუბილარის, თუმც ოდნავ დაგვიანებით, მაგრამ სადღეგრძელოს მაინც დალევენ! — ასეთი იყო ჩემი განცხადება.

მოსკოვის სტუდიამ ნოსტალგიურად ამოიგმინა.

* * *

„ნაციონალური ავიახაზები“ 3 წლის იუბილესათვის ემზადებოდა.

„ჩვენ კონკურენტების არ გვეშინია“, — ამ სიტყვებით გახსნა წვეულება ავიაკომპანიის პრეზიდენტმა გიორგი კოდუამ.

მფრინავებსა და ბორტგამცილებლებთან ერთად, საღამოზე მოწვეული იყვნენ ცნობილი პოლიტიკოსები, სპორტსმენები, მომღერლები და ბიზნესმენები. ისინი აპლოდისმენტებით შეეგებნენ უზარმაზარ სადღესასწაულო ტორტს GN-ის ტკბილი ლოგოთი. საერთო მხიარულებას კი ცნობილი ჯაზის მომღერლის, მაია ბარათაშვილის ჰიტად ქცეული უცნობი ჯაზური ინტერპრეტაციის „Happy Birthday“ ამშვენებდა.

„საქართველოს ნაციონალური ავიახაზების“ დაბადების დღე მობრძანებით პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ბებიამ და ბაბუამაც დააფასეს.

„მე დავბრუნდი! — ვფიქრობდი გულში, — ეს ჩემი ქალაქია, ჩემი ხალხი, როგორ მომენატრა თბილისი!..“

* * *

— Лали, это Дима Санакоев. Может, вы приедете в Курту и поможете — დამირეკა წვეულების მეორე დღეს დიმა სანაკოევმა.

ჩემი მანქანა გორში დავტოვე და ქურთაში დიმას გამოგზავნილმა ჯიპმა ამიყვანა.

— ეს პროექტი მცდარია, — ვეუბნებოდი დიმას ჩემს აზრს, — შენი საწინააღმდეგო პიროვნულად ნამდვილად არაფერი მაქვს, პირიქით, ხომ იცი, ძალიან მიყვარხარ, მაგრამ არასწორ საქმეს აკეთებ. ოსი ერის კიდევ უფრო გახლეჩა არ შეიძლება, ეს არ იქნება კარგი მაგალითი. იცოდე, ადრე თუ გვიან, ამ ყველაფრის მძევლად იქცევი. თანაც შენი ადმინისტრაცია ქურთის საავადმყოფოს შენობაშია განთავსებული. აქაურობას დიდი ისტორია აქვს, ის ხალხს აერთიანებდა, ახლა კი შენა ხარ! „ფანდარასტის“ მოძრაობაც ბლეფია, ასე საქმე არ გაკეთდება.

— რაღაცაში მართალი ხარ, — მითხრა დაღონებულმა დიმამ.

ჩვენ გვინდოდა სწორი გამოსავალი მოგვეძებნა, მაგრამ ვითარება ძალზე დაძაბული იყო, პროექტი, „კიდევ ერთი ოსეთი“ გლობალურ პოლიტიკასთან ახლოსაც არ მიდიოდა. ჩვენ ვერაფერზე შევთანხმდით.

მე გორისაკენ წამოვედი.

საშინლად წვიმდა. ამინდმა მიმტრო. თბილისში 8 საათზე კიდევ ერთი შეხვედრა მქონდა დანიშნული. იმ ადგილას, სადაც მანქანა მყავდა დაყენებული, გიორგი კანდელაკის უფროსი მეგობრები შემხვდნენ. ამ შეხვედრამ წარსული მომაგონა და ძალიან ცუდ ხასიათზე დამაყენა. მე დიდი ხანია ყველაფერი „დაარქივებული“ მქონდა და გახსენებაც კი არ მინდოდა.

— ხომ იცი, ისე არ გაგიშვებთ, — ნოდარ ექვთიმიშვილი ძველი მოჭიდავე, გიორგის ახლობელი და, პრაქტიკულად, გამზრდელი იყო, შოთა ჩოჩიშვილი კი ცნობილი პირველი ოლიმპიელი.

— ცოტა ხანს ვილაპარაკოთ და წადი, თანაც რამე შეჭამე, მშიერი იქნები.

მიუხედავად დროის სიმწირისა, უფროს ხალხს უარი ვერ ვუთხარი.

— რამაზი როგორ არის, ბატონო შოთა? — ვკითხე ჩოჩიშვილს.

— რა ვიცი, ხან ასე, ხან ისე, რაღაც ვერ აეწყო.

— გოგო, შენ და კანდელაკი საბოლოოდ დაშორდით? — მკითხა ნოდარმა.

— ჰო, ნოდარ, დროა, თავს მივხედო, ახალი ცხოვრება დავიწყო და ფეხზე დავდგე. ისედაც ბევრი დრო დავკარგე, ეს არ იყო ჩემი ცხოვრება...

— შენი საქმისა შენ იცი. კი მაგრამ, რაღა ახლა, როცა პრობლემა უკვე ნაკლებია? რამდენი რამე გადაიტანეთ ერთად? განა არ მახსოვს, შენს სამკაულებს რომ ყიდდი.

— ჰო... ისე, გიორგიმ რამხელა შენობა წამოჭიმა, მუშაობს ქვედა რესტორანი?

— არ ვიცი, ბატონო შოთა, — ვუპასუხე და გამახსენდა, რამდენი გაჯი ვყლაპე ამ წლების განმავლობაში.

მანანა ხუთ წუთში ერთხელ მირეკავდა, თითქოს გული უგრძნობდა რაღაცას.

— დე, გამოვდივარ, — ვუთხარი მე.

— არ ინერვიულოთ, ქალბატონო მანანა, მოდის უკვე, — დაამშვიდა ჩოჩიშვილმა.

„ჯვარი“, — თბილად ჩამეღვარა გულში მცხეთის გადასახვევთან გამოჩენილი მონასტერი. მეტი არაფერი მახსოვს.

სავარაუდოდ ეს ასე მოხდა: მცხეთის გადასახვევთან ერთი დიდი ორმოა, რომელიც მარტო წვიმის დროს არის საშიში. იმის გამო, რომ სპორტული „მერსედესი“ მყავდა, წყლის ძლიერად შემოვარდნილმა ჭავლმა მანქანის კომპიუტერს „აფიქრებინა“, რომ ეს დარტყმა იყო. მაშინვე გაიხსნა კეფის უკანა აირბაგი, რომელმაც იმავე წამს გამთიშა. მანქანამ დაღმართში 8 მეტრი იფრინა. ამასობაში, ერთი მცხეთელი ოჯახი სერიალს უყურებდა და ამოვარდნილმა ქარმა ანტენა შეუტრიალა.

— ლალო, ახლავე გავასწორებ, — დააწყნარა მეუღლე ქმარმა.

— არ გინდა, პეტრე გენაცვალე, ხვალამდე მოვითმენ, — დაუშალა მზრუნველმა ცოლმა, — ამ ამინდში ძაღლსაც არ გააგდებენ გარეთ.

პეტრემ არ დაუჯერა, სახურავზე ასულმა კი ხრამში გადაშვებული მანქანის ფარების სინათლეს მოჰკრა თვალი და სასწრაფოდ ზომები მიიღო: ერთი შვილი ტრასაზე დააყენა, ხოლო მეორესთან ერთად ხევში დაეშვა.

ის ადგილი, სადაც ჩავვარდი, რუსების ყოფილი სამხედრო ბაზა იყო, შესაბამისად, პლასტიკური ბომბის აფეთქების დიდი შანსიც არსებობდა. პატრული და გამნაღმველები ერთად მუშაობდნენ. იმ დღეს პეტრემაც, პატრულმაც და გამნაღმველებმაც სასწაული ჩაიდინეს, — ერთი სიცოცხლის გადასარჩენად რამდენიმე კაცის სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა.

რეანიმობილში, აბსოლუტურად გათიშული, სამი ადამიანის ტელეფონს ვიმეორებდი: ქეთის, მარინასი და, რა თქმა უნდა, გიორგის...

მე რეანიმაციაში უგონოდ ვიწექი, ზუსტად იმ დღეს, 17 ოქტომბერს, ჩვენს გამოთხრილ და გაკეთილშობილებულ ვერის სარდაფში გიორგის დიდი წვეულება ჰქონდა...

მდელო, ჩანჩქერის ჩუხჩუხი, ნეტავ სადა ვარ? ამის დასადგენად თვალი უნდა გამეხილა, რა ტკივილია!..

ჩუხჩუხი მორიგი პაციენტის შარდდენა აღმოჩნდა, მდელო კი — ღუდუშაურის კლინიკა. ჩემი „კოლეგა“, აზერბაიჯანელი მამაკაცი მედდას ებუზღუნებოდა.

— Не хочу в палату, тут так хорошо!

— გეყოფათ, სარეანიმაციო აღარაფერი გჭირთ, — ეჩხუბებოდა მედდა.

მხოლოდ მაშინ გავიგე, რომ თბილისში რეანიმაციაში მამაკაცები და ქალები სულ გახდილები ერთად წვანან. აზროვნება ფრაგმენტულად მიბრუნდებოდა...

მე სკანირება მჭირდებოდა. ბაროკამერაში ზევიდან მარიკუნა და ქეთი მაწვნენ და გოდებდნენ.

— ცოტა ხანს გვაცალეთ, — მკაცრად თქვა ექიმმა და გოგოები მომაშორა, — რამე არ გამოგვეპაროს.

განმეორებითი სკანირებით შიდა სისხლდენა გამოირიცხა. სამაგიეროდ, სალი ნეკნი და მორჩი აღარ გამაჩნდა. ავლანეთში ნაომარივით დაჩეხილი პალატაში გადამიყვანეს.

ამ დროს ჩემი ბავშვობა გამახსენდა, როცა ჩემი მეზობელი ძია მიშა მორიგი ჭრილობის მერე მეუბნებოდა: „აბა, შვილო, ამ გადაყვლეფილი ფეხებით ცოლად ვინ მოგიყვანს?“ ეჰ, ძია მიშა, ნეტავ ეგ ყოფილიყო ჩემი ყველაზე დიდი პრობლემა. ახლა სულიც და სხეულიც ნაკუწებად მქონდა ქცეული...

დედაჩემი შიშისაგან სულ დამუნჯდა. გოგოები ხელებს მიკოცნიდნენ და თან მანანას ტელეფონით დიმას ჩემზე ცნობებს აწვდიდნენ.

გორელებს არ დაურეკავთ...

მოგვიანებით შინ საკაცეთი დაბრუნებულს მარიკუნა, მანანა და ქეთი მონაცვლეობით მივლიდნენ. მე იატაკზე, ლეიბზე ვიწექი, ძლიერი შერყევისა და თავის ტრავმის გამო განძრევაც კი არ შეიძლებოდა. სახლში სიტუაცია ოფიციალურ პანაშვიდებს დაემსგავსა.

გიორგი მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ გამოჩნდა და საპატიო წრე დამარტყა.

— ღმერთმა დაგსაჯა, რომ წახვედი, — თქვა გიორგიმ. მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ზუსტად განსაზღვრული, გავივლიდი თუ არა.

„ახალი მანქანის დაზღვევა ვერ მოვასწარი. გადადებული საქმე ეშმაკისაა“, — ვითვლიდი გონებაში დანაკარგს.

ჩემს სანახავად პირველად დათო კოდუამ მოირბინა.

— ნურაფრის შეგეშინდება, შენ ხომ მებრძოლი ხარ! — მამხნევებდა მეგობარი, — ჩვენ შენთან ვართ. მალე გაივლი და ისევ ის მოროშკინა იქნები!

ხშირად ვფიქრობ, როგორ მოვახერხე ამდენი რამის გადატანა? ალბათ, სიმწრისაგან ადამიანს მეორე სუნთქვა ეხსნება. მამა გიორგი ზვიადაძემ ამას განწმენდის პროცესი უწოდა. ჩემი ცხოვრების გზა ტკივილზე გადის, მადლობა, ღმერთო.



ზუსტად იმ ადგილას ჩემ მერე ორი გოგო დაიღუპა.

## კლუბი

სანამ მე ჭრილობებს ვიშუშებდი, ქვეყანაში დიდი არეულობა დაიწყო. ტელეკომპანია „იმედი“ და მისი მფლობელი ბადრი პატარკაციშვილი აშკარა ოპოზიციაში იყვნენ. ვითარება იძაბებოდა. მანიფესტაციები და მსვლელობები სულ უფრო მასობრივ ხასიათს იღებდა. მე ნახევრად ბურანში ტელევიზიით ვადევნებდი თვალს მშვიდობიანი მომიტინგეების მსვლელობას. უცებ მომეჩვენა, რომ გონს ვკარგავდი და სასწრაფოდ დედას დავუძახე:

— მანანა, მგონი, ისევ გონი მიმდის, — ვეძახდი დედას.

გაფითრებული მანანა სამზარეულოდან გამოვარდა და ორ წუთში ჩემ გვერდით გაჩნდა, მომიახლოვდა, პულსი გამისინჯა და უნებურად ეკრანს გახედა:

— დედიკო, მგოონი, მეც ცუდად ვარ...

გული არ შემწუხებია, ეკრანზე სრული ბურუსი იყო. რა იქნა ხალხი? სიმწრისგან პირველად წამოვდექი.

— ლალი, დაწექი, არ შეიძლება! — მიყვიროდა დედა, მაგრამ მე აღარაფერი მესმოდა...

ჩემს სანახავად მოსული ნაცნობმეგობრები სასწაულებს ჰყვებოდნენ. „რობოკოპების“ ნაცემი და გაზით მოწამლული ოპოზიციონერები, მომიტინგეები და ჟურნალისტები საავადმყოფოებში შველას ითხოვდნენ. ყველაზე მძიმედ თავში დაჭრილი სააკაშვილის ყოფილი მეგობარი და ოდესღაც მისი შტაბის უფროსი ლევან გაჩეჩილაძე იყო.

— ნუთუ არც ერთი არ გამოვიდა ამ ამბის შესაჩერებლად? — ვკითხულობდი სასოწარკვეთილი.

საღამოს კი ტელეკომპანია „იმედი“ დაარბიეს, ჟურნალისტები დააჩოქეს, აპარატურა დალეწეს. „იმედი“ სულს ღაფავდა...

2007 წლის 7 ნოემბერს ხელისუფლებამ უხეშად დაარღვია „ადამიანის მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი“, გაეროს გენერალური ასამბლეის 1979 წლის დეკემბრის „სამართალდამცავ თანამდებობის პირთა ქცევის კოდექსი“; ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და საქართველოს კონსტიტუციის უამრავი მუხლი.

დარჩა ერთადერთი ტელეკომპანია „კავკასია“, რომელიც მოქალაქეთა დაჭრილ სულებს კურნავდა. „აქუ“ სულ უფრო მეტ დროს უთმობდა გუბაზ სანიკიძის გამოსვლას. გარდა იმისა, რომ გუბაზი მწერალ ლევან სანიკიძის შვილი გახლდათ, ეროვნული პოზიციიდან გამომდინარე, გასაგებად და ადეკვატურად განიხილავდა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. მისი ლექციასავით ინტერვიუების მოსმენა უსასრულოდ შეიძლებოდა. აქ ყოველთვის იყო კრიტიკაც, ცოდნაც და რაც მთავარია, ვაჟკაცური ოპტიმიზმი.

მისი გუნდის წევრები: ლეგენდარული გმირის, ჟიული შარტავას ვაჟი ჩემი სკოლელი კახა შარტავა, რეზო შავიშვილი, ნიკო ორველაშვილი და ირაკლი მელაშვილი ოპოზიციის მძლავრ პლაცდარმს წარმოადგენდნენ.

შალვა ნათელაშვილი ჩვეული სტილით აგრძელებდა სააკაშვილის ტალახში ამოსვრას, ახლა უკვე პრეზიდენტის ლანძღვა, ფაქტობრივად, კარგ ტონად იქცა.

ნინო ჯანგირაშვილი საავტორო გადაცემა „ბარიერს“ ამზადებდა, ხალხს მეტი ობიექტური ინფორმაცია სჭირდებოდა.

ტელეკომპანია „კავკასიის“ რეიტინგმა ყველა სხვა დიდი ტელეკომპანია დაჩრდილა.

საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა შეცდომის აღიარებას ნიშნავდა, მაგრამ 2008 წლის 5 იანვარიც და 21 მაისიც ტოტალურად გაყალბდა. ლევან გაჩეჩილაძე ბორტს მიღმა დარჩა. ბორტს მიღმა დარჩა ქართველი ხალხი.

ავადმყოფობამ ძალაუნებურად დამაშორა „ნაციონალურ ავიახაზებს“, ავიაცია მე ვერ დამელოდებოდა. პოლიტიკაში მოსვლა არასოდეს მნდომებია, მით უმეტეს, ამ არეულ ვითარებაში, გადავწყვიტე, ძალა ისევ ჟურნალისტიკაში მომესინჯა. აპრილში „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ხელმძღვანელი თანამდებობის მისაღებ კონკურსში ჩავერთე. ფინალამდე ადვილად მივედი, თანაც ზურგს საქართველოს ომბუდსმენის, სოზარ სუბარის სარეკომენდაციო წერილი მიმაგრებდა. უკვე გამარჯვებას მილოცავდნენ, როდესაც ოპოზიციონერების ერთი ჯგუფი „ნაციონალურ მოძრაობას“ გაურიგდა.

მე ისევ გადამიკეტეს გზა და რაც ყველაზე საოცარია, გადამიკეტა ამჯერად ოპოზიციამ.

— ეს რა ბინძური თამაშებია? ვინ ვის ბანაკშია? ვინ რამდენად იყიდება? სად არის მორალი? — ასეთი პატარა ქვეყნისათვის ძალიან ბევრია ამდენი რიტორიკული კითხვა.

კიდევ ერთმა ფიასკომ ავარიაში მიღებული ტრავმა გააღვიძა, ხერხემლის საშინელი ტკივილი მტანჯავდა. ვალით გამოყვანილი მანქანა, ჩემი გულისათვის ავსტრიიდან დაბრუნებული სანდრო, საკმაოდ წამოზრდილი გიორგი, უამრავი გადასახადი მძიმე ტვირთად დამაწვა. ფიტნესკლუბი და თავის მოვლა დაუშვებელი ფუფუნება იყო. კუს ტბაზე კი ყველა მიცნობდა და ათას კითხვაზე პასუხის გაცემის თავი არ მქონდა, მით უმეტეს, რომ სწორი პასუხი არ გამაჩნდა, თანაც ორ დაპირისპირებულ ბანაკთან პოლემიკა არ მინდოდა. მე არავის მხარეზე არა ვარ, გაიგეთ! მე საქართველოს მხარეს ვარ!

* * *

— კიდევ დიდხანს აპირებ სახლში ჯდომას? — დამადგა თავზე ჩემი დიდი ხნის მეგობარი, ულამაზესი ქალი და მაგარი ადამიანი ნინა ანდრონიკაშვილი.

— რა ვქნა? ვერ ხედავ, რა ხდება, მაინცდამაინც რომელიმე ბანაკში უნდა ვიყო? არ მინდა! ჰოდა, ვზივარ სახლში.

— მერე შენი ხერხემალი რამდენ ხანს აიტანს ასეთ რეჟიმს?

— ნინ, ხომ იცი, რომ ფული არა მაქვს, თუ ვინმე მეხმარება, დათო კოდუა და ჩემი გოგოები არიან. ყველაფერი გაძვირებულია, დიდი ხანია სოჭში ან პარიზში წავიდოდი, ჩემებთან, მაგრამ ბავშვებს რა ვუყო? თანაც, ხომ არ გავიქცევი?!

— მომისმინე, ჩვენთან ყოველ პარასკევს, შაბათსა და კვირას მაგარი პროგრამაა, მთელი თბილისი იქ არის, გახსოვს, ასჯერ დაგპატიჟე, მაგრამ შენ ვარიანში კურდღლების ფერმას ვერ აგაწყვიტე! ახლა კი ჩათვალე, რომ ეს მკურნალობაა, და არა მარტო სულის! მოდი, იცეკვე, გაერთე და ხერხემალი სულ დაგავიწყდება. შენთვის ეს ახლა აუცილებელია!

ნინა ავლაბარში, ულამაზეს ადგილას გახსნილი „გომართელის“ კლუბის ხელმძღვანელი გახლდათ. თავად საოცრად გემოვნებიანი და თავადის ქალისათვის დამახასიათებელი დახვეწილობით გამორჩეული, საღამოობით თბილისის საუკეთესო საზოგადოებას უყრიდა თავს. ეს არ იყო მხოლოდ კლუბი, ეს იყო ოჯახი, სადაც ყველა ერთმანეთს იცნობდა და ეფერებოდა. აქ დრო ჩერდებოდა და სხვა რეალობაში გადაჰყავდი, არც ჩხუბი, არც დავიდარაბა, მხოლოდ სიყვარული. საოცარია, აქ თითქოს პოლიტიკოსებიც ივიწყებდნენ შუღლს.

მე ოჯახის წევრივით მიმიღეს. ნინას დირექტივის თანახმად, შესვლა ჩემთვის უფასო იყო. თავაზიანი ბარმენები, ალექსი და რეზო ნაირ-ნაირი კოქტეილით მანებივრებდნენ. ცეკვამ, ყურადღებამ და სიყვარულმა ცხოვრების ხალისი დამიბრუნა.

მე და სანდროს, ასაკში მცირე სხვაობის გამო, პრაქტიკულად, ერთი სამეგობრო წრე გვყავს. ახლაც ავსტრიიდან ახალჩამოსულ ცნობილ ჩოგბურთელსა და ორივეს საერთო მეგობარს, ირაკლი ლაბაძეს ვმასპინძლობდით.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**




დასაწყისი იხ. „გზა“ №22

რუსუდან ბერიძე

— რუსებმა უფრო მარტივი გზა ანუ ახალი ჯგუფის შეკრება და კვლევების ხელახლა დაწყება რატომ არ აირჩიეს? აკადემიკოსის ძებნა ხომ ამის პარალელურადაც შეიძლებოდა?

— რა თქმა უნდა, შეიძლებოდა, მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ პროექტის ყველა მასალაც უცნაურად და სრულიად უკვალოდ გაქრა. რუსები ვარაუდობენ, რომ ისინი არეშიძემ თან წაიღო.

— მაშინ სად არის იმის გარანტია, რომ არეშიძე ისევ რუსეთშია. იქნებ, მან რუსეთიც კარგა ხნის წინ დატოვა და საკუთარი აღმოჩენაც უკვე სულ სხვა, მესამე ქვეყანას გადასცა?

— კარგი კითხვაა... — შუბლი სულ ოდნავ გახსნა მკაცრსახიანმა. — ბოლოდან დავიწყოთ: — ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც მსგავსი მასშტაბის აღმოჩენაში სათანადო თანხის გადახდა შეუძლია, ამერიკაა. მაგრამ როგორც ვხედავთ, ის თავად ეძებს არეშიძეს. თანაც პროექტი უკვე დასრულების სტადიაზე იმყოფებოდა. არეშიძესთან მომუშავე მეცნიერების თქმით, ეს სულ რამდენიმე თვის, ან შეიძლება, კვირის საქმეც კი იყო. ამდენად, მისი რეალიზება რომელიმე სხვა ქვეყანაში რომ მომხდარიყო, ამის შესახებ მარტო რუსები და ამერიკელები კი არა, მთელი მსოფლიოც მაშინვე შეიტყობდა.

ახლა კი ჩვენთვის მთავარი საკითხი: ვახტანგ არეშიძე მხოლოდ წარმოშობით კი არ არის ქართველი, ის საქართველოში დაიბადა და გაიზარდა. უმაღლესი განათლებაც აქ მიიღო. რუსეთში კი მხოლოდ მას შემდეგ გადაბარგდა, რაც მის იდეებს აქ გასაქანი არ მისცეს. არეშიძის ყველა ახლობელი, მშობლების ჩათვლით, დღემდე საქართველოში ცხოვრობს...

— მაშინ ხომ შეიძლება, რომ ის მესამე ქვეყანა, სადაც არეშიძე თავს აფარებს, სულაც საქართველოა? — დასკვნების გამოტანა კვლავ იჩქარა იმ სულსწრაფმა თანამშრომელმა.

— რა თქმა უნდა... — შუბლი ძველებურად შეიკრა მკაცრსახიანმა. — ამდენად, არც ისაა გამორიცხული, რომ ამერიკელებიცა და რუსებიც მას აქაც აქტიურად ეძებდნენ. ჩვენი მიზანი კი იმაში მდგომარეობს, რომ ერთსაც დავასწროთ და მეორესაც.

ამ სიტყვების შემდეგ ოთახში ისევ სიჩუმე ჩამოწვა.

— რამდენი ხანია, რაც არეშიძის შესახებ ცნობები აღარ არსებობს? — დაინტერესდა შემდეგ ერთ-ერთი თანამშრომელი.

— დაახლოებით სამი წელი.

— ამ ხნის მანძილზე ის შეიძლება, სულაც უბედური შემთხვევის შედეგად დაღუპულიყო, ვინმეს მოეკლა, ანდა რაიმე უკურნებელი სენით გარდაცვლილიყო.

— გამორიცხული არაფერია და თქვენც სწორედ ამის გასარკვევად მოგიწვიეთ. კიდევ არის შეკითხვები? — თვალი მოავლო მომხსენებელმა შეკრებილთ, მაგრამ ამჯერად სიჩუმე აღარავის დაურღვევია. — მაშინ ოპერაციის შემუშავებას შევუდგეთ. თქვენი პირველი რიგის ამოცანა არეშიძეზე, მისი ოჯახის წევრებზე, ნათესავებსა და ნაცნობებზე ყველაფრის გარკვევაა. ასევე დასადგენია მისი ყველანაირი კონტაქტი, მოსაძებნია ყველა ის ადამიანი, ვისთანაც კი მას ოდესმე რაიმე ურთიერთობა ჰქონდა. ალბათ, გესმით, რომ ამ საქმეში ნებისმიერი წვრილმანიც კი ძალიან მნიშვნელოვანია.

— გვესმის...

— მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი ამოცანაა, ლიტვინის მოძებნა და...

— შესრულებული იქნება.

— ოპერაციის მიმდინარეობა მკაცრად გასაიდუმლოებული უნდა იყოს. არეშიძის არსებობა ყველა გარეშე პირმა და შემთხვევითმა მოწმემ სამუდამოდ უნდა დაივიწყოს. ამიტომ ასეთები თავიდანვე უნდა გაანეიტრალოთ. შეიძლება, ამაში ჩვენი ყოფილი თანამშრომლების, მაგალითად, „ომეგას“ წევრების დახმარებაც დაგჭირდეთ. მართალია, ოფიციალურად და ეთიკური მოსაზრებებიდან გამომდინარეც, ჩვენ მათთან ურთიერთობა აკრძალული გვაქვს, მაგრამ თუკი საქმეს წაადგება, გამონაკლისის გაკეთება მაინც შეიძლება.

— გავაკეთებთ.

— და კიდევ, აუცილებლად უნდა გამოავლინოთ არეშიძის პოვნის მიზნით ჩვენს ტერიტორიაზე მოქმედი რუსი და ამერიკელი რეზიდენტებიც.

— გამოვავლენთ.

— მაშინ თათბირი დამთავრებულია. ოპერაციის შესახებ უფრო დაწვრილებით ინფორმაციას ყოველი თქვენგანი საკუთარ კაბინეტში პერსონალურად მიიღებს.

ათი წლის იყო ვანიკო ჩუმიაშვილი, როცა მამამისი — ვახო ციხიდან გამოუშვეს. ბავშვი მამას არ იცნობდა, რადგან სულ თოთო იყო, როცა ის ყაჩაღობისთვის ჩასვეს. ასე რომ, სკოლიდან შინ დაბრუნებულს, სამზარეულოში დედის პირისპირ მჯდომი სრულიად უცხო მამაკაცი დახვდა. მას გადაპარსული თავი, წვერმოშვებული ნაიარევი სახე და ბოროტი მზერა ჰქონდა. მამაკაცი ვანიკოს საყვარელ ხორცის წვნიანს ხმაურით ხვრეპდა და ცხიმიან წვეთებს მაგიდაზე საგანგებოდ გადაფარებულ ქათქათა სუფრაზე ისროდა. დედა კი მას თითქმის მონური მორჩილებით შეჰყურებდა და დროდადრო ჭიქას სასმლითაც უვსებდა. ვანიკოს მისალმებაზე მამაკაცმა თავი ნელ-ნელა ასწია და ისე, რომ ღეჭვა წამითაც კი არ შეუწყვეტია, ბავშვი აგდებულად შეათვალიერა.



— მოხვედი, ძაღლისშვილო? — ჩახლეჩილი ხმით ჰკითხა მან შემდეგ, ცარიელი თეფში გვერდზე გასწია და ცხიმიანი ტუჩები ხელისგულით მოიწმინდა. — ვერ მიცანი თუ ჩემი დანახვა არ გაგიხარდა?

ვანიკომ მამაკაცს შიშით შეხედა.

— მიდი, დედა გენაცვალოს, ეს ხომ შენი მამიკოა... მივლინებიდან დაბრუნდა...

— მორჩი სისულელეებს! — შეუღრინა ვახომ ცოლს და ისევ ვანიკოს მიუბრუნდა: — ციხიდან დაბრუნდა მამაშენი, ციხიდან! გასაგებია?

— დიახ... — ხმა თითქმის ჩაუწყდა ვანიკოს.

— ახლოს მოდი, ერთი კარგად დაგათვალიერო, — საჩვენებელი თითით მიიხმო ბავშვი ვახომ. — რაღაც ძალიან გამხდარი და უღღეური მეჩვენები... „კაროჩე", ნამდვილი ჭიაყელა ხარ, რა... მაგრამ არა უშავს, კაცად მალე გაქცევ. — დაიქადა ბოლოს ახლად მოვლენილმა მამიკომ.

იმ დღიდან პატარა ვანიკოს ბავშვობა წარსულს სამუდამოდ ჩაჰბარდა. ვახომ შვილის „კაცად ქცევის" საქმეს მართლაც სერიოზულად მოჰკიდა ხელი და მალე დედა-შვილის ცხოვრება ნამდვილ ჯოჯოხეთად აქცია. მთელი დღეები ტახტზე კოტრიალებდა, საღამოობით კი უგონოდ თვრებოდა და მთელი ამ წლების მანძილზე დაგროვილ ბოღმას უბედურ დედა-შვილზე იყრიდა. ციხიდან სულ რამდენიმე დღის გამოსული თუ იქნებოდა, ცოლი რომ ლამის სასიკვდილოდ სცემა. ღალატში დასდო ბრალი და სულ ბოზი და გათახსირებული, ძუკნა უძახა. ცოლს რომ გაუსწორდა, ვახომ მერე შიშით თვალებად ქცეული შვილისთვისაც მოიცალა და მასაც ძვალრბილი გაუერთიანა. „ესეც შენ იმისთვის, რომ დედის კალთას აღარ ამოეფარო!" — ღრიალებდა გაცოფებული მამაკაცი და ბავშვს გამეტებით ურტყამდა.

ამის შემდეგ ცემა-ტყეპა ოჯახში ჩვეულებრივ ამბად იქცა. ვახოს ცოლის ცემის მიზეზი არასდროს ელეოდა: ხან სადილი იყო უგემური, ხან — ტანსაცმელი ცუდად გაუთოებული, ხანაც — სასმელი შემოაკლდებოდა და... შვილს კი ხშირად საერთოდაც უმიზეზოდ, ასე ვთქვათ, „პროფილაქტიკისთვის" უსწორდებოდა. ერთხელაც, მეზობლის ბიჭებთან ფეხბურთის თამაშისას, ვანიკომ ბურთს კარში ცოტა ძლიერად დაარტყა, კარის ძელმა ბურთი აისხლიტა და... მეზობლის ფანჯრის ჩამსხვრევის ხმაც გაისმა. დამფრთხალი ბავშვები მაშინვე მიმოიფანტნენ, ვანიკო კი პარალიზებულივით ადგილზე გაშეშდა. ამასობაში ეზოში მეზობელიც გამოვარდა, ბავშვს ეცა და გამეტებით დაუწყო ცემა. ვანიკომ ტირილი მორთო და თან მეზობლისთვის იმის ახსნასაც ცდილობდა, — ეს ძალით არ მიქნია, შემთხვევით მომივიდაო. თუმცა გაცოფებულ მამაკაცს უკვე აღარაფერი ესმოდა. ნაცემი და შეურაცხყოფილი ვანიკო შინ სლუკუნსლუკუნით დაბრუნდა. ვახო, როგორც ყოველთვის, სამზარეულოში იჯდა და სასმელს ეძალებოდა. ბავშვს რომ ცრემლები შენიშნა, თავისთან უხმო:

— რა მოხდა, ძაღლისშვილო, რას წკმუტუნებ?.. ეტყობა, ეზოს ბიჭებმა გცემეს, შენ კი ხურდაც ვერ დაუბრუნე, ხომ? ჰოდა, ახლა გასწავლი, ჩხუბი როგორც უნდა!

მორიგი ცემა-ტყეპის შიშით ვანიკომ ვახოს ეზოში მომხდარი ამბავი ჯერ წვრილად ჩაუკაკლა, შემდეგ კი სლუკუნ-სლუკუნით იმის მტკიცებაც დაუწყო, — მე პატარა ვარ და მეზობლის კაცი ძალიან დიდი რომ არ იყოს, აუცილებლად მოვერეოდიო... პირველი შემთხვევა იყო, როცა ვახომ შვილს ყურადღებით მოუსმინა და შემდეგ ჩუმად, თითქმის ჩურჩულით უთხრა:

— წყენა არავის არასდროს შეარჩინო, იცოდე!.. გასაგებია?

— გასაგებია... — მთლად დაპატარავდა ვანიკო.

— კარგი, წადი დაიძინე! — მაგიდას მუშტი დაჰკრა ვახომ. — დანარჩენი მე ვიცი...

მეორე დღეს სკოლიდან შინ დაბრუნებულმა ვანიკომ ეზოს ბავშვებისგან გაიგო, რომ მისი მცემელი მეზობელი კიბიდან დაგორებულიყო და კინაღამ კისერი მოეტეხა. ამის შემდეგ ბავშვს მამასთან აღარაფერზე დაუჩივლია.

„ცხოვრება მაგარი ახვრობაა და მას მარტო ისინი უძლებენ, ვისაც მაგარი მუშტი აქვს. სუსტების ადგილი კი სანაგვეზეა". — ხშირ-ხშირად „მოძღვრავდა" ვანიკოს მამა, — ამიტომ ერთს რომ გაგარტყამენ, შენ ორჯერ უნდა მოსდო ყბაში. კიდევ უკეთესი, თუ უკნიდან მიეპარები და ზურგში ჩასცხებ. ეს უფრო „ნადიოჟნია"...

ერთხელ, სადარბაზოში მამასთან ერთად შესულმა ვანიკომ მეზობლის ქალების ლაპარაკს მოჰკრა ყური. ერთ-ერთმა მისკენ თანაგრძნობით გამოიხედა და მეორეს ხმადაბლა გადაულაპარაკა: ნეტავ, ასეთ ურჩხულთან როგორ ძლებენ ეს და უბედური დედამისიო... დამფრთხალმა ვანიკომ მაშინვე მამას ახედა, მაგრამ ამ უკანასკნელმა საერთოდ არაფერი შეიმჩნია. რამდენიმე დღის შემდეგ კი ვახოს აუგად მომხსენიებელი ქალი შებინდებულზე ეზოში ნაგვის გადასაყრელად ჩავიდა და ვიღაცამ სახეში მჟავა შეასხა.

მამის გულღრძოობას შეჩვეული ვანიკო მაინც ვერაფრით იჯერებდა, რომ მხოლოდ რამდენიმე საწყენი სიტყვისთვის მას ადამიანის ასე სასტიკად დასჯა შეეძლო. თუმცა მოგვიანებით, როცა საბრალო ქალს „სასწრაფო დახმარების" მანქანაში სვამდნენ, ვახო ფანჯარაში კმაყოფილი სახით იყურებოდა, შემდეგ კი „ახლა ვინაა ჩვენ შორის ურჩხულიო", — ნიშნის მოგებითაც კი ჩაიქირქილა...

დრო გადიოდა, ვანიკო იზრდე-

ბოდა, მაგრამ მის ცხოვრებაში ოდნავ სასიკეთოდაც კი არაფერი იცვლებოდა. საბრალო ბავშვი ყოველდღიურ ცემას ისე შეეჩვია, რომ აუცილებლობადაც კი ეჩვენებოდა. თუმცა ესეც კი აღარ იყო მისი მთავარი უბედურება. მალე ვანიკოს სულშიც რაღაც ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი ჩასწყდა...

ამის შემდეგ ვანიკო თითქმის აღარ იღიმებოდა და თვალებშიც მისი ასაკისთვის სრულიად შეუფერებელი უნდობლობა ჩაუდგა, მზერა კი დამფრთხალი მხეცივით დაძაბული და მტრული გაუხდა. მას უკვე ყველა ირგვლივ მყოფი სძულდა: მამა — იმისთვის, რომ განუწყვეტლივ სცემდა, დედა — იმისთვის, რომ მოძალადე მამისგან ვერ იცავდა, თანატოლები — იმისთვის, რომ ნორმალურ ოჯახებში, მოსიყვარულე მშობლებთან იზრდებოდნენ. ახლობლებისგან სვეგამწარებული მოზარდი მალე მთელ სამყაროს აუჯანყდა და მასზე შურისძიებაც მტკიცედ გადაწყვიტა. სიძულვილის „ვირუსი", რომელიც ოდესღაც მამამ შეჰყარა, უკვე საკმაოდ ნოყიერ ნიადაგში ღვივდებოდა და პირველ შედეგებსაც იძლეოდა. ვანიკო წყენას აღარავის არჩენდა. მის დამჩაგვრელს უცილობელი შურისძიება ელოდა. ოღონდ ეს მაშინვე კი არა, გარკვეული დროის შემდეგ ხდებოდა. თანაც, მამისგან განსხვავებით, ვანიკო თავის შეურაცხმყოფლებს არც კიბეზე აგორებდა და არც მჟავას ასხამდა სახეში. ის მათზე ზედმიწევნით გაწაფულ-გააზრებულად იძიებდა შურს, რაზეც ხანდახან კვირები და თვეებიც კი ეხარჯებოდა. სამაგიეროდ, ყველაფერს ისე აკეთებდა, რომ ფიქრადაც კი ვერავინ გაივლებდა, რომ ეს შეიძლება, წყნარი და მორცხვი ბიჭი ვანიკოს, მეტსახელად „ჩუმჩუმელას" ნახელავი ყოფილიყო.

ერთხელ ვანიკოს კლასს ახალი ინგლისურის მასწავლებელი, სანდომიანი და ენერგიული ახალგაზრდა ქალი დაუნიშნეს. მან მოსწავლეების ენობრივი მონაცემების შემოწმება გადაწყვიტა და ყოველ მათგანს დაფასთან ცალკ-ცალკე იძახებდა. ბავშვებიც მის შეკითხვებს შეძლებისდაგვარად პასუხობდნენ. მალე ვანიკოს ჯერიც მოვიდა. მას კლასში სუსტ მოსწავლედ მიიჩნევდნენ, მაგრამ მძიმე ოჯახური მდგომარეობის გამო, მასწავლებლები მაინც მოწყალე თვალით უყურებდნენ. ახალ მასწავლებელს კი მის გაურკვეველ ლუღლუღზე მხოლოდ სიცილი წასკდა, რაშიც მოსწავლეებიც ხალისით აჰყვნენ, თვალზე ცრემლმომდგარი ვანიკო კი ნერწყვს ძლივსღა ყლაპავდა. ამის შემდეგ თითქმის თვე გავიდა და ის ამბავიც დავიწყებას მიეცა, მაგრამ ვანიკოს წყენა არასდროს ავიწყდებოდა.

ერთხელაც, რვეულების სწორებაში გართული ინგლისურის მასწავლებელი სამასწავლებლოში გვიანობამდე მარტო შემორჩა. უცბად სართულზე სინათლე ჩაქრა. დამფრთხალმა მასწავლებელმა სიბნელეს თვალი ოდნავ შეაჩვია თუ არა, ოთახიდან კედელ-კედელ, ხელისცეცებით გავიდა და ის იყო, კიბემდეც მიაღწია, რომ სინათლე ისევ აინთო. მასწავლებელმა ცოტა კიდევ შეიცადა და ისევ სამასწავლებლოში დაბრუნდა. „ბარემ მოვრჩები და ისე წავალ. — გაიფიქრა მან. — თუ სინათლე ისევ გამოირთო, დაბლა ხომ დარაჯები არიან და ამომაკითხავენ". ამის შემდეგ მასწავლებელმა ყავა მოიდუღა, მაგიდასთან მოხერხებულად მოეწყო და რვეულების გასწორება განაგრძო. თუმცა ყავის რამდენიმე ყლუპის მოსმისთანავე ძლიერი თავბრუსხვევა იგრძნო და გონებაც ნელ-ნელა დაებინდა. ღონემიხდილმა სკამიდან წამოწევა მაინც სცადა, მაგრამ იატაკზე უგონოდ გაიშხლართა... გონს მოსულმა საათს რომ დახედა, გაოგნდა:

— ღმერთო, მთელი სამი საათი მძინებია. ეტყობა, გადაღლისგან დამემართა, — ხმამაღლა დაასკვნა მან, რვეულები სწრაფად წამოკრიფა და სამასწავლებლო დატოვა.

მეორე დილით ინგლისურის მასწავლებელი სკოლაში ჩვეულებრივ გამოცხადდა და სამასწავლებლოსკენ გასწია. დერეფანში მისი ყურადღება კედელთან მდგარი ერთ-ერთი სტენდის წინ თავმოყრილმა მოსწავლეთა დიდმა ჯგუფმა მიიქცია. ისინი ხელებს სტენდისკენ იშვერდნენ და ხითხითებდნენ. მასწავლებლის დანახვაზე მოსწავლეები წამით ჩაჩუმდნენ, მაგრამ შემდეგ სიცილმა უფრო მეტი ძალით იფეთქა. მასწავლებელმა მოსწავლეები გასწია-გამოსწია და კინაღამ იქვე ჩაიკეცა: სტენდზე სულ სხვადასხვა გამომწვევ პოზაში გადაღებული მისი შიშველი ფოტოები იყო ჩამორიგებული. სასოწარკვეთილმა ქალმა სახეზე ხელები აიფარა და გასასვლელისკენ გაიქცა. მას შემდეგ ის ინგლისურის მასწავლებელი სკოლაში აღარავის უნახავს.



ეს ვანიკო ჩუმიაშვილის პირველი შურისძიება იყო, თუმცა სამუდამოდ კი დაამახსოვრდა. მეტიც, მისთვის ეს ნამდვილ აღმოჩენადაც კი იქცა. ვანიკო მიხვდა, რომ მორალური ტკივილი შეიძლება, ფიზიკურზე იმდენად ძლიერიც კი აღმოჩნდეს, რომ ადამიანი თუ საბოლოოდ არა, ძალიან დიდი ხნით ნამდვილად გაანადგუროს. „გამოდის, რომ შურის საძიებლად დიდი ფიზიკური ძალა აუცილებელი სულაც არაა. ცოტა ტვინი უნდა გაანძრიო და მიზანიც მიღწეულია". — დაასკვნა მან და საქმეს კიდევ მეტი მონდომებით შეუდგა.

ვანიკოს მეორე შურისძიებაც სკოლასთან იყო დაკავშირებული. ამჯერად მას, მოუქნელობის გამო, ფიზკულტურის მასწავლებელმა დასცინა. ერთი კვირისთავზე კი მასწავლებელს მანქანის საჭე გაექცა და თავი საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში ამოყო.

ამის შემდეგ უკლებლივ ყველას, ვინც კი ვანიკოს შეგნებულად ან შემთხვევით რაიმე წყენას მიაყენებდა, მარცხი და ხიფათი გარანტირებული ჰქონდა. ამასთან, თითოეული ადამიანი იმ სიმძიმის უბედური შემთხვევის მსხვერპლი ხდებოდა, რა დონის წყენასაც ვანიკოს (მისივე აზრით, რა თქმა უნდა) აყენებდა. მაგრამ ყველაზე ვერაგულ შურისძიებას ვანიკო მაინც საკუთარ მამას უმზადებდა. ფიქრში ის ვახოს ხან კლდიდან გადაჩეხილსა და ძვლებდამტვრეულს წარმოიდგენდა ხოლმე, ხან ადიდებულ მდინარის ტალღებთან ბრძოლაში დამხრჩვალს, ხანაც საშინელ ხანძარში ჩამწვარ-ჩაფერფლილს... საერთოდ, კი ვანიკოსთვის სულერთი იყო, მამამისი რითი მოკვდებოდა, ოღონდ კი ეს სიკვდილი რაც შეიძლება, ხანგრძლივი და მტანჯველი ყოფილიყო. და, რაც ყველაზე მთავარია, ვანიკოს ამისთვის აუცილებლად საკუთარი თვალით უნდა ეცქირა და იმით დამტკბარიყო, თუ როგორ შეევედრებოდა ტკივილებისგან დაკრუნჩხული მამამისი, — მიშველეო; ის კი ადგილიდან ფეხსაც არ მოიცვლიდა.

უკვე კარგა ხანი იყო, რაც ვანიკო მამაზე შურისძიების ფიქრით იძინებდა და იღვიძებდა, მაგრამ იმისთვის, რომ გეგმა რეალობად ექცია, ერთ ნაბიჯსაც კი ვერ დგამდა. იმიტომ, რომ მამის პათოლოგიური შიში ჰქონდა და მისი ხმის გაგონებაზეც კი კანკალს იწყებდა. ვანიკოს უკვე იმისაც კი სჯეროდა, რომ საკმარისი იყო, ვახოს მისთვის ერთი შეეხედა, რომ ყველა მისი სანუკვარი აზრი და ფიქრი წაეკითხა. ამასობაში თავად ვახოს მდგომარეობაც სულ უფრო და უფრო მძიმდებოდა. ციხეში გატარებულმა უმძიმესმა წლებმა და გაუთავებელმა სმამ თავისი გაიტანა და ვახოს არაერთმა ქრონიკულმა დაავადებამ შეახსენა თავი. თუმცა რაც უფრო ცუდად ხდებოდა, ცოლ-შვილს მით მეტი სისასტიკით უსწორდებოდა...

ერთხელაც, ვანიკოს ძილში საშინელი ღმუილის ხმა ჩაესმა. ახალგაღვიძებულზე უცბად ვერც კი მიხვდა, რომ ეს დედამისის ხმა იყო. ვანიკო მშობლების საძინებელში ფეხაკრეფით შევიდა და საწოლის წინ მუხლებზე დამხობილი დედამისი დაინახა, რომელიც ძილში გაპარულ ქმარს დასტიროდა. ვახო კი საწოლზე ისე საცოდავად იწვა, თითქოს საკუთარი ცოდვების გამო სასჯელის მოლოდინში გაირინდაო. ვანიკო საწოლს მიუახლოვდა და თვითონაც აბღავლდა. თუმცა ეს მამის დაკარგვით გამოწვეული შვილის ბუნებრივი რეაქცია როდი იყო. ვანიკოს ვახო ოდნავაც კი არ შესცოდებია, ეს გრძნობა მასში საბოლოოდ ხომ სწორედ მან ამოშანთა. ვანიკო მხოლოდ წლების მანძილზე ნაგროვებმა წყენამ, უფრო ზუსტად კი ბოღმამ აატირა. ის ვერაფრით შეჰგუებოდა აზრს, რომ ვახომ იმ ქვეყნად მისგან შურის უძიებლად გადაბარგება მოასწრო... თუმცა, საბოლოო ჯამში, მამის სიკვდილმა ვანიკოს შურისმაძიებელ ბუნებას მხოლოდ მეტი გასაქანი თუ მისცა.

სკოლის დამთავრებისთვის ვანიკო ჩუმიაშვილი უკვე, როგორც თავადვე უყვარდა გულში თქმა — „ადამიანთა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემების ყოვლისშემძლე გადამჭრელის“ რეპუტაციით სარგებლობდა. ვთქვათ, ვიღაცას გასესხებული ფულის უკან დაბრუნება უნდოდა, მოვალე კი ამის გაკეთებას არ ჩქარობდა, ანდა, სულაც აღარ აპირებდა; ვიღაც სამსახურიდან დაუმსახურებლად იყო მოხსნილი და სამართლიანობის აღდგენა სურდა; ვიღაც თავისი დესპოტი უფროსის მორჯულებაზე ფიქრით ათენ-აღამებდა; ვიღაც კი უბრალო წყენას ვერაფრით ივიწყებდა... ვანიკო ჩუმიაშვილი კი მათ ყველა ამ პრობლემას მარტო წარმატებით კი არა, მაქსიმალურად ოპერატიულადაც უგვარებდა. საკითხის გადაჭრაზე (ცხადია, მისი სირთულიდან და შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე) რამდენიმე დღიდან რამდენიმე კვირამდე სჭირდებოდა. სასურველი შედეგის მისაღწევად, ვანიკო ზოგჯერ ისეთ კომბინაციებს ამუშავებდა, რომ სიამოვნებისგან თავადაც კი სული ეკვროდა. მით უმეტეს, რომ შედეგსაც ხედავდა ანუ საბოლოოდ ყველაფერი ისე გამოდიოდა, როგორც მას სურდა.

ვანიკო იმ რეჟისორივით ნიჭიერ სცენარებს თხზავდა, რომლებშიც პროფესიონალი მსახიობები კი არა, უბრალო ადამიანები ისე თამაშობდნენ, რომ ამაზე წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ. ისინი მარიონეტებივით მორჩილად აკეთებდნენ ყველაფერს, რაც მათგან ვანიკოს სურდა. შედეგად კი ყველაფერი თავის ადგილზე დგებოდა: მევალეს ვალი უბრუნდებოდა, უსამართლოდ მოხსნილს ისევ სამსახურში უხმობდნენ, დესპოტი უფროსი კი თავის დატანჯულ ქვეშევრდომებს მთლად უფრთო ანგელოზადაც კი ევლინებოდა...

ჩუმიაშვილს დახმარებისთვის სულ სხვადასხვა შეძლებისა და მდგომარეობის ადამიანები მიმართავდნენ და ისიც განურჩევლად ყველას და მაშინაც კი ეხმარებოდა, თუ მოსაგვარებელ საქმეს აშკარა კრიმინალის სუნი ასდიოდა. ვანიკო მორალურ პრინციპებს ყურადღებას არ აქცევდა. უფრო სწორად კი ისინი მას საერთოდ არ ჰქონდა. ასეთ ბიზნესს საკმაოდ კარგი შემოსავალი მოჰქონდა და ვანიკოსაც საკუთარი ცხოვრება სულ უფრო მეტ კმაყოფილებას ანიჭებდა. ადამიანებს მისი ეშინოდათ და პატივსაც სცემდნენ, თუმცა გასაგებად ვერავინ აგიხსნიდათ, რატომ და რისთვის...

ტანმორჩილ და შეუხედავ ვანიკოს გაქონილი, მეჩხერი თმა, ფართო, მსუქანი სახე და სქელი, დაბუშტული ტუჩები ჰქონდა. უფერულ თვალებს სათვალე უფარავდა, სახეზე კი ბავშვობაში დესპოტ მამასთან ურთიერთობით განცდილი პანიკური შიშის ნიღაბი შეჰყინვოდა. სკოლაში თანატოლი გოგონები სათოფეზე არ ეკარებოდნენ, თუმცა მათ მიმართ არც თავად ჰქონდა მაინცდამაინც დიდი ლტოლვა. სამაგიეროდ, ვერაფრით ივიწყებდა შემთხვევას, რომელმაც, როგორც ჩანს, მისი საბოლოო სექსუალური არჩევანი განსაზღვრა...

ერთხელ, მორიგი ცემა-ტყეპის შემდეგ, მამამ ვანიკო გარეთაც გამოაგდო. კიბის ბოლოში მიგდებული ბავშვი უმწეო ლეკვივით წკმუტუნებდა და ჭუჭყიან მუშტებს თვალებში გამეტებით ისვამდა. კიბეზე ამავალ-ჩამავალი მეზობლები კი გვერდს უხმოდ უვლიდნენ და ოხრავდნენ. ვანიკო მხოლოდ ერთ ბიჭუნას შეებრალა და, თანაგრძნობის ნიშნად, კანფეტი მიაწოდა... მას შემდეგ ჩუმიაშვილს ყველა იმ პატარა ბიჭის დანახვაზე, ვინც მის მახსოვრობაში სამუდამოდ ჩაბეჭდილ მეზობლის ბიჭუნას ოდნავ მაინც მიაგავდა, აუხსნელი ლტოლვა ეძალებოდა. ის მხოლოდ ასეთი ბიჭუნების გვერდით თუ პოულობდა მცირეოდენ შვებას. ცისფერი რომ იყო, მალევე მიხვდა და ეს მის მთავარ სისუსტედ და ყველაზე დიდ საიდუმლოდაც იქცა...

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*



# ძლიერი სუსტი ქალი

სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით

gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი იხ. „გზა", №14-22

ვაკომ წარბები შეჭმუხნა და სალომეს უნდობლად მიაჩერდა.

— მოდი, ჯერ შენი და შენი ქმრის ურთიერთობაში გავერკვეთ, — უსიამოვნო ტონით წარმოთქვა მამაკაცმა.

სალი შეიშმუშნა. აშკარა იყო, მოსალოდნელი საუბარი კარგს არაფერს უქადდა.

— შენი კლასელის ნათესავმა გარკვევით გამოაცხადა, რომ ანგარებით გათხოვდი. ეს მართალია?

გოგონამ ქვედა ტუჩი მოიკვნიტა. წამით შეყოყმანდა, არ იცოდა, რამდენად შეიძლებოდა, ვაკოსთან გულახდილი ყოფილიყო.

— დუმილი თანხმობის ნიშანიაო, — ამბობენ. მეც ასე გავიგო? — ლამის წაისისინა მამაკაცმა და მზერით გაბურღა.

— ჰო, მართალია, — როგორც იქნა, აღიარა სალიმ, — მაგრამ ეს ყველაფერი არც ისე ადვილი გასაგებია, როგორც შენ გეჩვენება.

— თუკი მართლა იმიტომ გათხოვდი, რომ მდიდარი კაცის ცოლი გამხდარიყავი და არა სიყვარულის გამო, რაღა უნდა მომეჩვენოს? — ნესტოები დაუბერა გალიზიანებულ ვაკოს. — როგორ გამიცრუე იმედი, რომ იცოდე. ვერც კი წარმოვიდგენდი, ერთი ეშმაკი, ფულზე გაგიჟებული დედაკაცი თუ იქნებოდი. რა იდიოტი ვყოფილვარ.

მისი ყოველი სიტყვა სალომეს გულში ნემსივით ერჭობოდა.

— იცი, რა? შენ ბევრი რამ არ გესმის, ვაკო, — დაიწყო თავის მართლება, — მე საშინელ სიღარიბეში გავიზარდე. ვხედავდი, როგორ წვალობდნენ ჩემი მშობლები, რომ საჭმელი არ მოგვკლებოდა. სკოლაში სხვისი გამონაცვალი ტანსაცმლით დავდიოდი. გამოსაშვებ საღამოზე დედაჩემის ახალგაზრდობის დროინდელი კაბა მეცვა, რომელიც მკერავმა ჩემს ტანზე გადააკეთა. სწორედ მაშინ დავიფიცე, რომ ამ მდგომარეობას პირველივე შესაძლებლობისთანავე დავაღწევდი თავს.

— და იმის მაგივრად, რომ ოჯახი სიყვარულით შეგექმნა, გადაწყვიტე, თავი დაგეზღვია, არა? ამიტომაც ფულიანი სამიზნე შეარჩიე? — ვაკომ იქედნურად ჩაიცინა. — განა არ იცი, რომ სიყვარული და ანგარება ერთ ქვაბში არასდროს მოიხარშება? სერიოზულად ფიქრობდი, რომ დროთა განმავლობაში ეს ურთიერთობა სიყვარულში გადაიზრდებოდა? ასე გეგონა?

როგორ უნდოდა, გოგონას ერთი „ჰო" ეთქვა, რომ რაღაცით მაინც გაემართლებინა თავისი საქციელი, უნდოდა ეფიქრა, რომ თავად შეცდა და რომ სალი უზნეო ქალი სულაც არ იყო, მაგრამ მისმა პასუხმა უკანასკნელი იმედიც ჩაუკლა.

— მას მოვწონდი, გატაცებული იყო ჩემით... მეც მეგონა, რომ მიყვარდა. ვფიქრობდი, რომ ის, რასაც მის მიმართ ვგრძნობდი, ნორმალური ოჯახის შესაქმნელად საკმარისი იყო. მეგონა, შევძლებდი მის ატანას...

ვაკომ გოგონას ხმაში თითქოს გამოწვევა დაიჭირა.

— ანუ გამოდის, შენ მხოლოდ იმით ისარგებლე, რომ მას მოეწონე, — მამაკაცმა კბილებშუა გამოცრა, — როცა საკუთარი თავი დაარწმუნე, ავთო მიყვარსო, შენ თვალწინ ალბათ დოლარის კუპიურები აფრიალდა, არა? კიდევ კარგი, დროზე ამეხილა თვალები. საკმარისია... მეყოფა ფულზე მონადირე თოჯინების მოთვინიერება. ეგ რომ მნდომოდა, აქამდე ცხრა ცოლს გამოვიცვლიდი.

სალიმ კოპები შეიკრა.

— ამით რისი თქმა გინდა?

— რა იყო, ვერ ხვდები, რა ვიგულისხმე, თუ არ გინდა, მიხვდე? არც ისეთი მიამიტი ხარ, როგორადაც თავს იკატუნებ, — მწარედ ჩაიღიმა ვაკომ — როგორც ჩანს, ამ პატარა ხარბს არ მოსწყინდა კომედიის თამაშიო, — იმ შენს ნინის რომ არ წამოსცდენოდა ეგ ამბავი, კარგ ჩიტსაც დავიჭერდი. ვაღიარებ, მასთან ვალში ვარ.

ვაკო წამოდგა და კვლავ მაგიდას დაეჯახა. სალის რომ არ დაეჭირა, ყავის ფინჯანი ამჯერად დამსხვრევას ვერ გადაურჩებოდა. მამაკაცი გოგონას მიუახლოვდა, ხელები მხრებზე შემოაწყო, თითებით ძლიერად მოუჭირა ლავიწის ძვლებზე და მუქარით დაიჩურჩულა.

— თუკი იმის იმედი გაქვს, რომ მაინც დამარწმუნებ, თითქოს არ იცოდი ჩემი შემოსავლების შესახებ, წინასწარ გირჩევ, ხმა არ ამოიღო... იმიტომ, რომ შენს გულწრფელობაში უკვე ძალიან მეპარება ეჭვი. არ მაინტერესებს, რას იტყვი, ჩემთვის ყველაფერი დღესავით ნათელია.

სალი ადგილზე გაქვავდა, როგორ არ სურდა იმის მოსმენა, რასაც მამაკაცი ეუბნებოდა. რატომ თავიდანვე არ უთხრა მამიდამისმა, რას საქმიანობდა მისი ახალგაზრდა მეგობარი? ან თავად ვაკომ რატომ დაუმალა? სალიმ რა იცოდა, მდიდარი თუ იყო? ახლაც კი არ იცის, რას წარმოადგენს მისი სიმდიდრე, რისი პატრონია, რა ბიზნესი აქვს ან რა საშუალებით შეიძინა ასეთი სახლები. რატომ უნდა დაემალა ან ერთს, ან მეორეს მისთვის ეს ამბავი?

— როგორც ჩანს, საწინააღმდეგო არაფერი გაქვს. თურმე შენ ყველაფერი იცოდი და განგებ მომაჩვენე თავი, თითქოს სათნოების განსახიერება იყავი, — მამაკაცმა ირონიულად შენიშნა.

მისი ხმა მკვახედ და შეურიგებლად ჟღერდა, მისი თითები კი... ო, როგორ უჭერდა სალის ეს ძლიერი თითები, როგორ სტკენდა ძვლებს... პარალიზებულივით იდგა.

ბოლოს, როგორც იქნა, გაბედა და შეირხა.

— შენ მართლა ასე გგონია? — ძლივს გასაგონად იკითხა და მამაკაცს ჯიქურ შეხედა.

არა, მას ასეთი ვაკო არ ახსოვს, ასეთი შეცვლილი და გაბოროტებული ჯერ არ უნახავს, ასეთი უხეში და ქედმაღალი... სულაც არ მოეწონა იგი.

— მგონია, აბა რა! შენ თავიდანვე საქმის კურსში იყავი.

— არა, მე... არასდროს...

— რა არასდროს? რა არასდროს, ერთი მითხარი! არ გეგონა, შენს თამაშს თუ გავშიფრავდი? — დამცინავად გადა-

აქნია თავი. — ამ „გაუგებრობაში“ მხოლოდ ერთი რამ მიკვირს... რატომ უარყავი ჩემი წინადადება, როცა ცოლობა



გთხოვე? თუ ესეც ერთგვარი ტრიუკი იყო, რომ უკეთ დაგერწმუნებინე შენს ავკარგიანობაში? ჭკვიანური საქციელია, ვერაფერს ვიტყვი. სამაგიეროდ, შემდეგ ჯერზე უყოყმანოდ დამთანხმდებოდი ამაზე.

სალიმ გაოცებული მზერა მიაპყრო ამ მისთვის სრულიად ახალ, უცხო ადამიანს.

— და თავში აზრადაც არ მოგდის, რომ შეიძლება, ცდებოდე? — ძალიან, ძალიან მშვიდი ტონით შეეკითხა.

მამაკაცმა ლამის თმის ძირებამდე აზიდა წარბები, თითქოს გაუგონარი რამ მოისმინაო.

— ყველაფერი შენს წინააღმდეგ მეტყველებს, ძვირფასო. მგელი მგლობას არ მოიშლისო, ხომ გაგიგონია? თუ ადამიანს ხელი ცუდზე ერთხელ წაუცდება, მერე ჩვევაში გადასდის. გათხოვებაც ასე არ არის? ერთხელ ჭირს, თორემ მერე გზა გაკვალულია. სიმართლე გითხრა, ავთო გულწრფელად მეცოდება. როგორც ჩანს, ნინი მართალი იყო. როცა შენი ქმარი მიხვდა, რომ „დააბოლე“, შენთან ურთიერთობას დროზე დაუსვა წერტილი. ასე არ არის?

— წადი შენი! — ველარ მოითმინა სალიმ და ხელი უხეშად ჰკრა. — სხვა დროს, როცა კიდევ ერთხელ ჩავარდები პანიკაში, რომ ვილაც შენს ფულებზე ნადირობს, ჯერ კარგად გაარკვიე, ვისთან გაქვს საქმე, დასკვნები კი მერე გამოიტანე. სირცხვილია, უსაფუძვლოდ წაუყენო ბრალდება ადამიანს, მით უმეტეს — ასეთი უხეში და დამამცირებელი ფორმით, — სალიმ თავი ამაყად ასწია, ვაკოს ზიზღნარევი მზერა ესროლა, დემონსტრაციულად გატრიალდა და ჭიშკრისკენ გაემართა.

ქუჩაში გამოსულმა ჰაერი ხარბად შეისუნთქა და ირგვლივ მიმოიხედა. ერთიანად უკანკალებდა სხეული. მიხვდა, ასეთ ყოფაში სახლამდე ვერ მიაღწევდა, გზის გაგრძელებას ფეხით ველარ შეძლებდა, ამიტომ გადაწყვიტა, ტაქსი გაეჩერებინა.

ღმერთო, ეს რა დღეში ჩაიგდო თავი? რატომ, რისი გულისთვის? საიდან უნდა სცოდნოდა, ვაკო მდიდარი იყო თუ ღარიბი? მისთვის არავის არაფერი უთქვამს, მინიშნებითაც კი არავის არაფერი წამოსცდენია. მისთვის გასაგები იყო, რასაც იფიქრებდა მამაკაცი, როცა ნინიმ საუბარი მის ქორწინება-განქორწინებაზე ვერაგულად წამოიწყო და არც გაემტყუნებოდა... და მაინც, რატომ თავად არაფერი უთხრა თავიდანვე? რაში დასჭირდა ამის დამალვა?

მოულოდნელად რაღაც აზრმა გაუელვა თავში, მსწრაფლ მიტრიალდა და ეზოში შებრუნდა.

— რომ მეუბნები, მეთამაშებოდიო... შენ... შენ... იქნებ საკუთარ თავსაც შეხედო? თუკი მე რაღაც დაგიმალე, შენც იგივე არ გააკეთე? — გოგონას სიმწრისგან ენა დაება.

— მე ამის სერიოზული საფუძველი მქონდა, — მკვახედ უპასუხა მამაკაცმა, — მას შემდეგ, რაც ფული ვიშოვე, ქალებისთვის ცოცხალი სამიზნე გავხდი, შენნაირი ქალებისთვის.

— გამოდის, რომ მოკრძალებული ხელოსნის ამპლუა მხოლოდ კარგად შენიღბული მსახიობური თამაში იყო? ეჭვი არ მეპარება, რომ მამიდაჩემი თავიდანვე გააფრთხილე, ჩემთვის შენს ქონებაზე არაფერი ეთქვა.

— რა მნიშვნელობა აქვს, მარინას რა ვუთხარი? უკვე ყველაფერი გარკვეულია. ახლა ვიცი, როგორი ადამიანიც ხარ.

— შენ ის იცი, როგორი ვიყავი, — აღშფოთდა სალი, — და არა ის, ახლა როგორი ვარ. მე შეცდომა დავუშვი და ვაღიარე კიდეც ეს. უფრო მეტიც, დავისაჯე კიდეც ამისთვის. და თუკი სიმართლე მართლა გაინტერესებს, მხედველობაში მიიღე — რომ მცოდნოდა, მდიდარი იყავი, არც კი გამოვიხედავდი შენკენ, შეყვარებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, იმდენად მეზიზღება მდიდარი მამაკაცები. აი, აქ მაქვს ამოსული, — საჩვენებელი თითი ყელთან მიიტანა, — თვითკმაყოფილი გაბღენძილი ფანატიკოსები! ამწუთას კიდევ ერთხელ დავრწმუნდი ამაში! და თუ ფიქრობ, რომ ჩემი გზიდან ჩამოცილებით ბედნიერი ხარ, მინდა იცოდე, რომ მეც იმავეს განვიცდი, — აცახცახებულმა სათქმელი დაამთავრა თუ არა, გატრიალდა და გასასვლელისკენ დაიძრა.

გაოგნებულმა ვაკომ თვალი მიადევნა მიმავალს, მერე გასძახა.

— სალომე!

გოგონა არ შეჩერებულა.

— სალომე!

— მშვიდობით, ვაკო, — უკანმოუხედავად ესროლა გოგონამ და ჭიშკარს მიუახლოვდა.

სახელურს ხელი ჩამოჰკრა, მაგრამ კარი დაკეტილი დახვდა. კვლავ დაეჯაჯგურა, თუმცა ამაოდ. გასაგები იყო, რაც მოხდა. ვაჟბატონს, როგორც მილიონერს, თუ მულტიმილიონერს, ცხოვრება დისტანციურ მართვაზე ჰქონდა „გადაწყობილი“. ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მამაკაცმა ცხვირწინ ჩაუკეტა ჭიშკარი, რათა იგი ეზოდან ვერ გასულიყო. აჰა, ახლა მისი ტყვეც კი გახდა. საინტერესოა, რას უპირებს? განა რამე დარჩათ ერთმანეთისთვის სათქმელი? გოგონამ ერთი ღრმად ამოიოხრა და რკინის ალაყაფს ზურგით მიეყრდნო.

უყურებდა, როგორ აუჩქარებლად უახლოვდებოდა ვაკო, როგორც ავაზა... მოქნილი და მსუბუქი ნაბიჯებით... და ისეთივე საშიში...

როცა იგი მოუახლოვდა, გული ბუდიდან ლამის ამოუხტა. მათი თვალები ერთმანეთს შეხვდა... მამაკაცის — ცივი და დაუნდობელი მზერით, ქალის — შეშინებული და დაუცველი გამოხედვით. სალის ერთიანად დაეჭიმა სხეული. მიუხედავად იმისა, რომ მრისხანებას ვერ იოკებდა, გრძნობდა, მისი მკერდი როგორ თრთოდა მამაკაცის სიახლოვით. უყვარდა თუ სძულდა? ამწუთას ამ კითხვაზე პასუხი არ ჰქონდა.

ვაკო ძალიან ახლოს მივიდა მასთან, ხელები მომუშტა და კბილებში გამოცრა.

— სანამ ჩემი ცხოვრებიდან სამუდამოდ ამოგშლი, მინდა სამახსოვროდ დავიტოვო, როგორია, როცა ვერაგ, ანგარებიან ძუკნას კოცნი, — ამ სიტყვებით მის ტუჩებს წაეტანა.

სალიმ თვალები ზიზღით დახუჭა და შინაგანად დაიძაბა. გადაყლაპოს მისი ნათქვამი, თუ ინსტინქტს დაემორჩილოს?..

არა, ამ სიტყვების იგნორირება შეუძლებელია. ინსტინქტმა გაიმარჯვა. გოგონამ უთაბაშირო ხელი ჰაერში აღმართა და სანამ ვაკო გონს მოეგებოდა, მთელი ძალით სილა გაულაწუნა.

დაზაფრული მამაკაცი უკან გადაქანდა. თვალებში დაბნეულობა დაეტყო. სალი კმაყოფილი მისჩერებოდა, თავდაპირველად როგორ გაუთეთრდა მამაკაცს გასილაქებული ლოყა, მერე კი გაუწითლდა. სინანული არ უგრძნია. მან დაიმსახურა ეს. გაზულუქებული ხეპრე!

— რაც დათესე, ის მოიმკე, — რაც შეიძლებოდა, მშვიდად წარმოთქვა, — ახლა კი, კეთილი ინებე, ჭიშკარი გამიღე და გამიშვი.

— ჯერ მივიღებ იმას, რაც მინდა, — ჯიბრში ჩაუდგა მამაკაცი.

— წადი შენი! — ზიზღით ესროლა სალიმ.

გოგონამ ვერ მოასწრო, მისთვის ხელი შეეშალა, განძრევაც კი ვერ მოასწრო, რომ მამაკაცმა წელზე მძლავრად მოხვია მკლავი, თავისკენ მოიზიდა და ტუჩებზე დააცხრა.

ერთადერთი რამ იყო ამ კოცნის მიზანი — მისი დამორჩილება, დამცირება, განადგურება...

თუმცა, ამ შეხებით გოგონა საბოლოოდ დარწმუნდა იმაში, როგორ სიგიჟემდე უყვარდა ეს საშინელი კაცი, ადამიანი, რომელმაც ასე შეურაცხყო... უყვარდა, მიუხედავად ყველაფრისა. ნუთუ ეს შესაძლებელი იყო? როგორც ჩანს, ყოფილა... მაგრამ სალი არ მოდუნებულა, არც კვნესა აღმოხდომია. სიამაყე სიყვარულზე ბევრად ძლიერი აღმოჩნდა. მან ხომ იცოდა, რომ ეს კოცნა არ იყო სიყვარულით ან, თუნდაც, ვნების მოძალებით გამოწვეული. ვაკოს სურდა, დარწმუნებულიყო, რომ სალი მის „პროვოკაციულ“ ნაბიჯს აჰყვებოდა, კოცნაზე კოცნით უპასუხებდა და ამით მის ხელახლა ცდუნებას შეეცდებოდა, რათა საბოლოოდ პატიებისთვის მიეღწია. აი, სწორედ მაშინ ჰკრავდა იგი სიძულვილით ხელს და კიდევ ერთხელ დაამცირებდა.

ამას ვერ ეღირსება! არც ისეთი სულელია სალი, ჩანაფიქრს ვერ მიუხვდეს! მით უარესი ვაკოსთვის, თუკი ასე იფიქრა. ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ სულაც არ ყოფილა ისეთი ადამიანი, როგორიც სალომეს ეგონა. ჰოდა, ძალიანაც კარგია, რომ დროზე მოიშორა თავიდან.

კარგა ხნის ჭიდილის შემდეგ მამაკაცის მკლავებიდან თავი გაითავისუფლა და ოდნავ განზე გადგა. ლურჯი თვალები სიბრაზისგან უცნაურად უელავდა, მუხლები კი ისე უკანკალებდა, გულში ღმერთს შესთხოვდა, ოღონდ აქ, ეზოში, მის ფეხებთან არ წაქცეულიყო, რათა საბოლოოდ არ შელახულიყო მისი ღირსება.

— ეს გეყოფა? — ჩაიცინა ვაკომ.

— მთელი ჩემი დარჩენილი ცხოვრება! ყელამდე ვარ შენი პატივისცემით, — სუნთქვაგახშირებულმა მწარედ ამოთქვა, — გააღე კარი და ახლავე გამიშვი აქედან!

ვაკოს სიძულვილით ანთებოდა თვალები, კისრის ძარღვები ძლიერად დაჭიმოდა.

— გაეთრიე აქედან! — ხმადაბლა უბრძანა გოგონას.

ჭიშკარი ნელა და უხმაუროდ გაიღო... შემდეგ კი ასევე ნელა და უხმაუროდ დაიხურა სალის ზურგს უკან...

— ყოველთვის მე რატომ უნდა დამემართოს ყველაფერი საშინელებაააა! — გულამოსკვნით ტიროდა სალომე და მამიდას ეხუტებოდა.

მარინა დაზაფრული იდგა. იმდენად შეძრა ძმისშვილის მონათხრობმა, გული დაეთუთქა.

— დაწყნარდი, შემოგევლე, დაწყნარდი. როგორც ჩანს, რაღაც გაუგებრობა მოხდა. მე დაველაპარაკები ვაკოს, ნუ გეშინია, — თავზე მზრუნველად უსვამდა ხელს გოგონას და მის დამშვიდებას ცდილობდა თავადაც ცრემლმორეული.

— ძალიან გთხოვ, მამი, არ გინდა, გემუდარები, — სალომემ თავი ასწია, — ჩვენ შორის ყველაფერი დამთავრებულია. ისედაც, არაფერი სერიოზული ჩვენს ურთიერთობაში არ ყოფილა.

— იმიტომ, რომ შენ არ მოინდომე, შვილო, — მრავალმნიშვნელოვნად შენიშნა მამიდამ და ხელი ლოყაზე მოუსვა, რათა ლაწვზე ჩამოგორებული ცრემლები მოეწმინდა, — თორემ, რომ მოგენდომებინა, ახლა ცოტა უფრო შორს იქნებოდა თქვენი ურთიერთობა წასული და ასე არ გართულდებოდა. მორჩი ტირილს, ამით საქმეს ვერ უშველი, რამე მოვიფიქროთ.

— ნინი სად ბრძანდება? — სალის ახლაღა გაახსენდა გულღრძო სტუმარი.

— ბინა შეიგულა სადღაც და მის სანახავად წავიდა... ერთი ეს მითხარი, საიდან მოიტანა ნინიმ, რომ შენ სიმდიდრის გულისთვის გაჰყევი ავთოს ცოლად? ეს ხომ სიცრუეა?

სალიმ მხრები აიწურა.

— სამწუხაროდ, არ არის სიცრუე, მამიდა. კლასელები სულ დამცინოდნენ, რადგან ჯიუტად ვამტკიცებდი, მდიდარ კაცს მივთხოვდები-მეთქი. იმთავითვე აკვიატებული მქონდა ეს იდეა. არ იცი, როგორ მექცეოდნენ, როცა ყოველდღე ერთი და იმავე ტანსაცმლით დავდიოდი. ამის მეტი გოგოებს სალაპარაკო არაფერი ჰქონდათ. ყოველივე ამის გამო არ მინდოდა, ჩემს შვილებსაც იგივე გზა გამოევლოთ, რაც მე. ჰოდა, აი, მივაღწიე ჩემსას და შედეგიც სახეზეა. იმაზე მეტად ვისჯები, ვიდრე დავიმსახურე.

— მაგრამ მერე ხომ მიხვდი, რომ ცდებოდი? ხომ დარწმუნდი, რომ ბედნიერება სიმდიდრეში სულაც არ არის? განა არ მოუყევი ვაკოს, რაც შენს ქმართან გადაგხდა?

— რაღაც-რაღაცები მოვუყევი, მაგრამ არა ყველაფერი, — ამოისლუკუნა გოგონამ, — მაგრამ ის არ მითქვამს, რატომ გავყევი ცოლად. მაშინ სხვანაირად ვფიქრობდი, მერე და მერე, ყველაფერი შეიცვალა, მათ შორის — ჩემი აზროვნებაც. რა უნდა მეთქვა? მის ფულებს დავხარბდი-მეთქი? გამიგებდა, კი? არ გამიგებდა. ცუდია, რომ მაშინვე არ მითხარი მისი სიმდიდრის შესახებ. რომ მცოდნოდა, ახლოს არ გავიკარებდი, ზედაც არ შევხედავდი.

— მაპატიე, საყვარელო, — დამნაშავესავით გაიღიმა მარინამ, — არ შემეძლო ამის თქმა, რადგან თავად მთხოვა, ამაზე კრინტი არ დამეძრა. ვერ გავცემდი. უნდა გამიგო... მას თავისი სიმდიდრის გამო ბევრჯერ შეჰქმნია ქალებთან ურთიერთობაში პრობლემები.

— კი მაგრამ, შენ მაინც ხომ მიცნობდი, რა აზრი ჰქონდა ჩემთან ამის დამალვას? ხომ იცოდი, რომ მდიდარ კაცს ყელზე არ ჩამოვეკიდებოდი?

— ვიცი, სიხარულო, ვიცი და დამნაშავე ვარ. სიმართლე გითხრა, ამისთვის მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა არ მიმინიჭებია. ვიფიქრე, როცა გაიგებს, მისთვის ეს სიუპრიზი იქნება-მეთქი.

— ორივემ მაგარი სიურპრიზი კი მომიმზადეთ. რატომ, რატომ? რაში დაგჭირდათ იმის გათამაშება, თითქოს ხელოსანი იყო და სარემონტო სამუშაოებით ირჩენდა თავს? მეტი ვერაფერი მოიფიქრეთ? მეც დამაჯერეთ, რომ ერთი კეთილი, შრომისმოყვარე, პატიოსანი კაცი იყო. რა საშინელებაა!

— არის კიდეც ასეთი, შენ რა გგონია, — დარწმუნებით წარმოთქვა მარინამ, — მართლა ყველას ეხმარება, ყველას მამა და მარჩენალი ეგ არის. ამასთან, წარმატებული ბიზნესმენია.

— ახლა მაინც მითხარი, რა ბიზნესი აქვს? ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა ვიცოდე სიმართლე?

— მეღვინეა, შვილო და ფერმერიც. უამრავი დაქირავებული მუშახელი ჰყავს. თავისი ფერმა აქვს, ძროხებს და ცხვრებს უვლიან და რა ვიცი, ათას სხვა საქმეს აკეთებენ.

— კი მაგრამ, როდის ასწრებს ამ ყველაფერს, როცა ყოველდღე ჩვენთან არის?

— ეს ახლა არის ჩვენთან, რაც შენ ჩამოხვედი, თორემ სულ სოფელში იყო, ორ კვირაში ერთხელ თუ მოახერხებდა ჩამოსვლას. რაც შენ გაგიცნო, მოუკლო იქით სიარულს, თუმცა უყურადღებოდ არ ტოვებს თავის საქმეს. შენ რომ აქ ხედავ, იმას არ ნიშნავს, რომ იქ არ დადის. დილაუთენია, ხუთ საათზე გავარდება ხოლმე, დახედავს თავის მეურნეობას, განკარგულებებს გასცემს და შემდეგ კვლავ უკან ბრუნდება. შორს კი არ არის, აქვეა, თეთრიწყაროში. წყნეთიდან, მოკლე გზით გადადის.

— აჰა, გასაგებია... ეს იგი,



ის წყნეთის სახლიც მისია, არა?

— კი, მისია და არა მარტო ის...

— არ მინდა, ნურაფერს მეტყვი, არ მაინტერესებს მისი უძრავ-მოძრავი ქონების ნუსხა.

— კარგი, დაწყნარდი, გთხოვ.

კიდევ კარგი, მამიდას არ უნახავს ვაკო ისეთი, როგორიც სალომემ ამ დილით ნახა. თუმცა, არც უცდია ამის მოყოლა. იმ შეხვედრის გახსენებაც კი არ უნდოდა. როგორი უხეში იყო, როგორი უკმეხი... ისე მოექცა, რომ აგრძნობინა, შენ მიმართ კეთილგანწყობილი არასდროს ვყოფილვარ და დიდად არც მომწონდიო. მის მიმართ მხოლოდ წუთიერ ლტოლვას განიცდიდა ალბათ, როგორც ყველა მამაკაცი, რომელიც ხორციელი ჟინის დაკმაყოფილების შემდეგ ზურგს აქცევს ხოლმე ქალს და სხვა საკბილოს ძებნაში გადაერთვება. კიდევ კარგი, საქმე აქამდე არ მივიდა. კიდევ კარგი, ისეთი არაფერი ყოფილა მათ შორის, რომ ახლა სანანებელი გახდომოდა. მხოლოდ რამდენჯერმე აკოცა, ეგ იყო და ეგ. რა საშინელება იყო დილანდელი შეხვედრა! ან ის კოცნა რას ჰგავდა! პირუტყვული, დამამცირებელი! როგორი წამოვიდა იქიდან! განადგურებული და შეურაცხყოფილი, თითქოს ტალახში ამოსვარესო... ამის გახსენებაზე გული უარესად დაუმძიმდა, თითქოს მკერდზე უზარმაზარი ლოდი დაადესო. ძლივს მილასლასებდა ქუჩაში, გაფითრებული ფეხებს ველარ გრძნობდა და ალბათ სადღაც გაიშხლართებოდა კიდეც, ტაქსი რომ არ გამოჩენილიყო.

— ჩემი აზრით, აჯობებს, ვაკო საღამოს ვახშამზე დავპატიჟო. თქვენ ჯერ კიდევ ბევრი დაგრჩათ სალაპარაკო, — მარინამ შემპარავად წარმოთქვა.

— გაგიჟდი? მეორედ არ გამაგონო ეგ! არავითარ შემთხვევაში! იცოდე, სახლიდან წავალ! — კატეგორიულად იუარა სალიმ. მამიდის წინადადება იმდენად აღმაშფოთებლად ეჩვენა, რომ უსიამოვნოდ გააჟრჟოლა.

— რატომ, რატომ? ისეთი არაფერი მომხდარა, რომ რაღაც სისულელეების გამო ერთმანეთს დაემდუროთ.

— არც კი იფიქრო, მამი! უკვე დავიღალე ახსნა-განმარტებებით და თავის მართლებით, თანაც, უკვე არანაირ ლაპარაკს არა აქვს აზრი.

— აზრი მაშინ ექნება, როცა დრო გაივლის და ვაკო თანდათან მიეჩვევა იმას, რაც გაიგო, — დარწმუნებით უპასუხა მარინამ, — ტყუილად ადანაშაულებ იმაში, რომ ასე მოგექცა. როცა საყვარელ ქალზე ასეთ რამეს გაიგებ, გაბრაზდები, აბა, რა იქნება?! მით უმეტეს, მსგავსი შემთხვევა იმდენჯერ ჰქონია ცხოვრებაში, რომ თავი აქვს კაცს გაბეზრებული. დავაცადოთ ცოტა ხანს, გადაუვლის, დამშვიდდება, აწონ-დაწონის ყველაფერს და მერე...

— ოჰ, მამიდა, მამიდა... რა გულუბრყვილო ხარ. არ გინდა, რა! პრინციპულად მოვითხოვ, არ დაუძახო! გასაგებია? — თავისაზე იდგა სალი, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ვაკო მარინას დაპატიჟებაზე უარს ვერ ეტყოდა, ამ ქალს იმდენად სცემდა პატივს.

ამ დროს კიბეზე ფეხის ხმა მოისმა. სალის სუნთქვა შეეკრა, გულმა ბაგაბუგი დაუწყო, მაგრამ, მისდა საბედნიეროდ, აივანზე ნინი გამოჩნდა. გოგონამ მის აწითლებულ თვალებს რომ შეხედა, ადვილად მიხვდა, რაც მოხდა, მაგრამ არ შეიმჩნია და მოჩვენებითი სიხალისით წამოიძახა.

— იცით, რა ბინა ავაგდე? ძალიან მაგარი! ხვალვე გადავალ!

სალიმ და მარინამ ერთმანეთს გადახედეს. ნინიმ უდარდელად გააგრძელა.

— ვაკო არ მოსულა? როგორ მოუვიდა? ცუდია... მინდოდა გამოვმშვიდობებოდი. საღამოსაც არ შემოივლის, მარინა დეიდა? — სალისთვის ვერ გაბედა შეკითხვა, ამიტომ მარინას მიუბრუნდა აბეზარი გოგონა.

„ჰო, რა თქმა უნდა, ისეთი ამბავი დაატრიალა, ახლა აქ რაღა გააჩერებს“, — გაიფიქრა სალიმ. ის კი არა, გაუკვირდა კიდეც, ასე უცებ რომ გადაწყვიტა ნინიმ მარინას სახლიდან გადასვლა. დარწმუნებული იყო, რომ გოგონას სიგიჟემდე მოსწონდა ვაკო და რადგან სალიში სერიოზული მეტოქე დაინახა, კარტები იმიტომაც გახსნა.

— მეგონა, რამდენიმე დღე კიდევ დარჩებოდი, პატარავ, — თბილად უპასუხა მარინამ, რადგან უსიტყვოდ ჩასწვდა ძმისშვილის აზრებს.

— არა, რა აზრი აქვს. რადგან ბინა ვიშოვე, ბარემ გადავალ, რატომ გაგაწვალოთ, — ნიშნის მოგებით გაიღიმა გოგონამ, — თანაც, დაქალთან ერთად ვიქნები, ქირის ფულსაც გავიყოფთ და საერთო ენასაც უკეთ გამოვნახავთ.

რა საზიზღარი არსებაა! ისე იქცევა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. არადა, ძალიან კარგად იცის, როგორ დაუნგრია სალის ცხოვრება. დაუნგრია კი? იქნებ ეს ძალიან ხმამაღალი ნათქვამია? რატომ ჰგონია, რომ შეყვარებულია ვაკოზე? ასე რომ ყოფილიყო, ხომ მაშინვე დათანხმდებოდა ცოლობაზე? იქნებ მხოლოდ ფიზიკურ ლტოლვას განიცდიდა მის მიმართ და არა სიყვარულს? ქალია, ბოლოს და ბოლოს... მამაკაცის ყურადღებამ თავბრუ დაახვია და ეგ იყო, მეტი არაფერი. კიდევ კარგი, ასე მოხდა, თორემ კიდევ დიდხანს ვერ გაიგებდა, რა საშინელი პიროვნება ყოფილა ლუდუშაური, რა საზიზღარი ხასიათი ჰქონია. ეჰ... ნინი კი წავა თავის გზაზე, მაგრამ თვითონ რა ქნას? საით გაიქცეს? მოსკოვში დაბრუნება ცოცხალი თავით არ უნდა. ავთოს დანახვას სიკვდილი ურჩევნია. აქ რომ დარჩეს, რას მოიგებს? ეს ტკივილი როგორღა გადაიტანოს? თვითონაც ხომ არ გადავიდეს ნაქირავებში და მუშაობა დაიწყოს? იქნებ როგორმე გადააყოლოს გული. მერე თავისუფლად შეძლებს მამიდა, როცა გაუხარდება, მაშინ დაპატიჟოს თავისი „ძმაკაცი“. სალისგან ნებართვის აღება არ დასჭირდება.

რამდენიმე დღის განმავლობაში მარინა გულმოდგინედ ცდილობდა სალის დარწმუნებას იმაში, რომ ვაკოს როგორმე დალაპარაკებოდა, მაგრამ გოგონა სასტიკ უარზე იდგა, ვერაფრით გადააფიქრებინა.

ერთ მშვენიერ დღესაც, ვაკო თავად ესტუმრა მარინას, მაგრამ სამწუხაროდ, სწორედ იმ დროს, როცა სალომე შინ არ იყო. მაინცდამაინც იმ დღეს წავიდა იგი დედინაცვლის სანახავად. რაც ჩამოვიდა, მედეა ჯერ არ უნახავს, ამიტომაც სინდისი ქენჯნიდა.

ქალს ისე გაუხარდა გერის დანახვა, ტირილი დაიწყო. დიდხანს ილაპარაკეს, უამრავი რამ გაიხსენეს წარსულიდან, ბევრიც იცინეს და ცოტათი იტირეს კიდეც. სალი საღამომდე დარჩა დედინაცვალთან, ამიტომაც, აბა, საიდან გაიგებდა, მამიდას „საპატიო“ სტუმარი თუ ჰყავდა.

როცა შინ დაბრუნდა, მარინამ მაშინვე აუწყა ვაკოს ვიზიტის შესახებ.

— მინდოდა, გონს მომეყვანა, მაგრამ არაფერი გამომივიდა, — სევდიანად თქვა მარინამ, — სიმართლე გითხრა, არ მეგონა, ასეთი ჯიუტი თუ იქნებოდა.

— ხომ გეუბნებოდი, ყველაფერი დამთავრებულია-მეთქი, — გაბრაზდა სალი, — რაში გჭირდებოდა ხვეწნა-მუდარა? ისედაც ნათელია, რომ ამ საქმეს არაფერი ეშველება. ახლა მაინც ხომ მიხვდი, რომ შეუძლებელია მისი გადარწმუნება? დაანებე, რა, თავი!

— მაგრამ თქვენ ისე უხდებით ერთმანეთს...

— ეს შენ გგონია ასე, მამიდა, — რაც შეიძლებოდა, თბილად აღნიშნა სალიმ, — გეხვეწები, შეეშვი მაგ კაცს, მე უკვე დავივიწყე ყველაფერი, მასაც გაუვლის... შენ რა გჭირს, რაღაც ცუდად გამოიყურები, რამე ხომ არ გაწუხებს?

— არაფერიც არ მაწუხებს შენი ამბის გარდა, — ხელი აიქნია მარინამ, — მინდა, რომ გონს ორივენი მოეგოთ. რას ხედავთ კარგს იმაში, ერთმანეთს რომ აუბედურებთ? ერთხელ და სამუდამოდ გაარკვიეთ სიტუაცია, ნუთუ ასე ძნელია ეს?!

— გინდა, ჩაი გაგიკეთო? ფერი არ გადევს სახეზე, — ბანზე აუგდო სიტყვა სალიმ.

— ჩაი არა ის! თუ გინდა, ჩემთვის რამე გააკეთო, ჩემი ხათრით, კიდევ ერთხელ დაელაპარაკე იმ კაცს.

— მაპატიე, მაგრამ ამაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია... წავალ, წამოვწვები, თორემ ძალიან დავიღალე, — ჩუმად თქვა სალიმ და ოთახიდან გავიდა, თუმცა, საძინებლამდე მისვლაც ვერ მოასწრო, რომ საშინელი ბრაგვანის ხმამ ადგილზე გააშეშა.

როცა უკან მოტრიალდა, სასოწარკვეთილმა შეკივლა. მარინა მამიდა იატაკზე უგონოდ ეგდო.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**




დასაწყისი იხ. „გზა“, № 43, 2009 - №22, 2010

მარი ჯაფარიძე

მიუხედავად იმისა, რომ ანას უამრავი დაუგეგმავი საქმე გამოუჩნდა, რამაზთან მისვლა მაინც არ გადადო. როგორც შეთანხმდნენ, გვიან სალამოს მასთან სტუმრად მივიდა. პატარა ანას უკვე ეძინა. რამაზი აივანზე გაუძღვა და ცოცხალი პალმის ძირში დადგმულ სავარძელზე მიუთითა. მამაკაცი დაძაბული ჩანდა. ანას მისვლა თითქოს გაუხარდა, მაგრამ სახეზე დაბნეულობა და ნერვიულობა ეწერა. ცოტა ხნით ანა მარტო დატოვა, შემდეგ ხილითა და 2 ფინჯანი ყავით დაბრუნდა და ქალის პირდაპირ დაჯდა.

— სვანეთი როგორ მოიარე? — ანა მიხვდა, რომ მთავარ სათქმელს თავი აარიდა და შორიდან მოუარა.

— კარგად. მომენატრა იქაურობა.

— სამწუხაროდ, არა ვარ სვანეთში ნამყოფი.

-— ულამაზესი მხარეა. უნდა ნახო აუცილებლად.

— ვეცდები, — ჩაილაპარაკა რამაზმა.

— რა საკითხზე გინდოდა ლაპარაკი? — ანამ არჩია, ყველაფერი დროზე გაერკვია.

— ანა, არ მინდა, გეგონოს, რომ ცანცარა ბიჭუნა ვარ, რომელიც ჯერ არ დალვინებულა და ნაჩქარევ გადაწყვეტილებას იღებს, — მზერა გაუსწორა ქალს, — რასაც ახლა გეტყვი, წრფელი გულით იქნება ნათქვამი და იმის გამო ვნერვიულობ, რომ სხვანაირად არ გაიგო.

— გისმენ, რამაზ, — ქალი მიხვდა, რომ მისი შიში უსაფუძვლო აღმოჩნდა, რადგან როგორც ჩანს, რამაზი ანაზე ლაპარაკს არ აპირებდა. ცოტა დაიძაბა კიდეც. გულმა უგრძნო, რომ მნიშვნელოვანი რამ უნდა გაეგო.

— ნინოს ცოლად შერთვა მინდა და უშენოდ მისგან თანხმობას ვერ ვეღირსე, — უცებ, ერთი ამოსუნთქვით თქვა. თან ანას თვალს არ აშორებდა.

— მომესმა? თუ მართლა ის თქვი, რაც მე გავიგონე? — ამის გარდა, ყველაფერს ელოდა ქალი.

— არ მოგესმა. მე და ნინოს ერთმანეთი გვიყვარს. ვთხოვე, დავქორწინდეთ-მეთქი, მაგრამ შენ გარეშე გადაწყვეტილებას ვერ იღებს. ვერ გამიგია, ნუთუ ამხელა გოგო შენზეა დამოკიდებული?! 15 წლის ხომ არ არის? მესმის, მამას დაეკითხოს, მაგრამ — დას? ანამ თუ უარი მითხრა, ვერ გამოგყვებიო, ასე მიპასუხა... ან შენ რატომ უნდა უთხრა უარი? საამისო მიზეზი გაქვს?

ანა დუმდა. მოულოდნელმა ინფორმაციამ დაამუნჯა.

— მაქვს, — მძიმედ ამოთქვა ბოლოს.

— რა მიზეზია, ანა? ნუთუ ის, რისი ეჭვიც მაქვს?

— შენ რისი ეჭვი გაქვს, არ ვიცი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ცდები.

— გახსოვს, თავიდანვე მიკვირდა შენი უცნაური საქციელი...

— ჰო, და ისიც მახსოვს, რომ გეგონა, მომწონდი და შენთან დაახლოებას ამიტომ ვცდილობდი, — ანას გაეღიმა.

— ჰო, — კაცმა თავი დაუკრა.

— ახლაც ასე გგონია?

— კი, ასე მგონია. თუმცა ბოლო დროს ასე აღარ ვფიქრობდი, ახლა კი ნინოს საქციელმა ეჭვი კვლავ გამიჩინა.

— რამაზ, რამდენად სერიოზულია შენი გადაწყვეტილება? დარწმუნებული ხარ, რომ ნინო გიყვარს?

— რა თქმა უნდა, დარწმუნებული ვარ. არ დავმალავ — თავიდან მომეწონე, მაგრამ ახლოს რომ გაგიცანი, მივხვდი, შენ ის ტიპი არ ხარ, ვისზეც ვიქორწინებდი: თავნება, ჯიუტი, თავისებური გოგო ხარ... სულ საქმე გაქვს... ხანდახან კი ისეთ თვისებებს ავლენ, კაცი მგონიხარ. შენნაირი ქალები არ მომწონს. იმედია, არ გეწყინება, ამას რომ გეუბნები. სწორად გამიგე... ძალიან კარგი ადამიანი ხარ და უზომო პატივს ვცემ შენნაირ, დამოუკიდებელ და ძლიერ ქალებს, მაგრამ... სუსტი, დაუცველი ქალები უფრო მომწონს...

— თავს ნუ იმართლებ, — ხმამაღლა გაიცინა ანამ, — გასათხოვარი არც მე დავრჩები... თანაც, შენი ეჭვები სრულიად უსაფუძვლოა: როცა გაგიცანი, უკვე შეყვარებული ვიყავი და შენ მიმართ ინტერესი ამ მიზეზით არ გამომიჩენია.

— ირაკლის გულისხმობ?

— დიახ.

— აბა, სხვა რა მიზეზი შეიძლება, არსებობდეს?.. — მხრები აიჩეჩა რამაზმა.

— მიზეზი არსებობს და გაცილებით სერიოზული, ვიდრე შენ გგონია... რამაზ, არც კი ვიცი, ახლა ამაზე ლაპარაკი შეიძლება თუ — არა. ძალიან ცუდად ვგრძნობ თავს.

— რატომ, ანა, რა ხდება? თქვი, ხომ იცი — გაუჟღერებელი გატეხილი სჯობია.

— ვშიშობ, ჩემი დის ბედნიერებას საფრთხე არ დაემუქროს და რაიმე არ გაფუჭდეს. თუმცა, რადგან ამ საკითხთან დაკავშირებით ჩემკენ გამოიშვირა თითი, ვფიქრობ, მას უკვე აწონილ-დაწონილი აქვს ყველაფერი.

— თუ იმას გულისხმობ, რომ ქვრივი ვარ და ნინოს ამის გამო უწუნებ არჩევანს...

— ეგ რა შუაშია?!.

— აბა, რა მიზეზი შეიძლება, იყოს...

— მიზეზი — ანაა, — მოჭრით თქვა ქალმა და მამაკაცს თვალებში ჯიქურ შეხედა.

— შვილი რომ მყავს, ნუთუ ეგ მინუსია?

— არა, შენ სწორად ვერ გაიგე, — ანას გული გამალებით უცემდა. უჭირდა სიმართლის გამხელა. გრძნობდა, რომ დადგა დრო, ყველაფერი ეთქვა: დამ კედელთან მიაყენა და აიძულებს, სიმართლეს ფარდა ახადოს...

— ანა, — მამაკაცმა თავი შეახსენა, რადგან ქალს პაუზა გაუგრძელდა.

— ერთ ამბავს უნდა მოგიყვე, რამაზ. ის ყველა კითხვას გასცემს პასუხს...

— გისმენ...

— მაშინ ძალიან პატარა, 19 წლის ვიყავი. ერთი კარგი ადამიანი შემიყვარდა...

— ლევანი? — უცებ მიხვდა რამაზი.

— ჰო, ლევანი... მას ცოლი ჰყავდა, მაგრამ დამიმალა. თუმცა შეგნებულად ჩემი მოტყუება არ სურდა — წრფელი გულით ვუყვარდი და,

როგორც შემდეგ გავიგე, ცოლს მხოლოდ იმის გამო ვერ შორდებოდა, რომ შვილს ელოდა.

— ვიცი, მათ წლების განმავლობაში არ ჰყავდათ შვილი და შემდეგ

**დავფეხმძიმდი და ამის შესახებ მხოლოდ დავითმა იცოდა. შემთხვევით, ჩემმა ბიძაშვილმაც გაიგო, რასაც დიდი უსიამოვნება მოჰყვა...**

გოგონა შეეძინათ.

— ამის შესახებ სრულიად შემთხვევით შევიტყვე და საყვარელი მამაკაცის დასჯა გადავწყვიტე. დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემი დაკარგვა მას გულს ატკენდა და სამუდამო დაღს დაასვამდა.

— და მიატოვე? — წარბები აზიდა კაცმა.

— კი. მაგრამ ვიდრე მივატოვებდი, მორიგი სისულელე ჩავიდინე: არ ვუთხარი, რომ სიმართლე გავიგე, და მასთან დავწექი. ლამის ვაიძულე, ეს გაეკეთებინა... შეიძლება ითქვას, ვიძალავე: მინდოდა, რომ ეს მომხდარიყო და მოხდა კიდეც.

— მერე? — რამაზი გაოცებული იყო.

— მერე ის, რომ იმ დილით სასტუმროდან გამოვეპარე და ისე დავიკარგე, ჩემს კვალს ველარსად მიაგნო... მას მხოლოდ ახლა შევხვდი, როცა ამერიკიდან დავბრუნდი. მაგრამ მანამდე ისეთი რამ მოხდა, რაც დღემდე სანანებელი მაქვს... ხომ იცი სვანების ამბავი, — რამაზს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ანამ ხელით ანიშნა, მაცადეო, — რამაზ, ახლა რომ შევწყვიტო მოყოლა, იცოდე, სხვა დროს აღარასოდეს დავუბრუნდები ამ ამბავს... — პაუზის შემდეგ განაგრძო: — დავფეხმძიმდი და ამის შესახებ მხოლოდ დავითმა იცოდა. შემთხვევით, ჩემმა ბიძაშვილმაც გაიგო, რასაც დიდი უსიამოვნება მოჰყვა... მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, გოგონა შემეძინა.

— ბელა ლევანის შვილია?! — გაოგნებულმა რამაზმა მაინც ვერ შეიკავა თავი და უნებურად დასვა კითხვა.

— ჩემი ბიძაშვილი, რომელმაც ჩემი ორსულობის გამო სკანდალი ატეხა, მურთაზია. ჩემი და ლევანის შვილი ბელა კი არა... ანაა, — ქალი თავდახრილი ლაპარაკობდა, მხოლოდ დროდადრო, წამიერად ახედავდა რამაზს. ბოლოს თვალები დახუჭა, თითქოს განაჩენს ელოდა... ვერაფერს ხედავდა, მაგრამ გრძნობდა, რომ მამაკაცი გაოგნებისგან ხმას ვერ იღებდა...

რამაზი სავარძელში ქანდაკებასავით გაქვავებულიყო. თითებით სახელურებს ჩაჰბღაუჭებოდა და ანას თვალდაუხამხამებლად უყურებდა. ქალმა თავი ასწია და მზერა გაუსწორა. მტკიცედ გადაწყვიტა, პირველს ხმა არ ამოეღო.

— შენი საქციელიდან გამომდინარე, ალბათ სწორად ვხვდები, რომ ჩემს ანას გულისხმობ?! — ხანგრძლივი დუმილის შემდეგ რამაზმა ეს სიტყვები ძლივს წარმოთქვა.

— ჰო, — ანამ ხელები გაშალა და მხრები აიჩეჩა.

— შეუძლებელია!..

— სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, სიმართლეა. დედაშენმაც ეს დიდი ხანია, იცის...

— დედაჩემმა?! — ამას უკვე აღარ მოელოდა რამაზი.

— ჰო, ეთერმა ყველაფერი იცის, რამაზ. ამერიკიდან რომ დავბრუნდი, რამდენიმე დღის შემდეგ მურთაზი კლდიდან გადმოვარდა და დამტვრეული, თბილისში ჩამოიყვანეს. მერწმუნე, რომ ბევრი ვეცადე, მაგრამ ვერაფრით ვუშველე. ვიდრე ის კომაში იყო, მისმა ცოლმა გამიმხილა, — ჩემი გოგონა, რომელიც მეგონა, მკვდარი იყო, თურმე ცოცხალი ყოფილა და მურთაზს გაუყიდია... რაღა თქმა უნდა, ძებნა დავიწყე და პირველ რიგში, იმ ექიმს მივაკითხე, ვინც მამშობიარა და ვისაც ამ ბინძურ გარიგებაში ლომის წილი მიუძღვის. კვალმა ეთერზე გამიყვანა და რუსთავში ჩავაკითხე. ჩემი იქ ყოფნის დროს ეთერს გულის შეტევა დაემართა.

— საავადმყოფოში შენ გამო მოხვდა?! — ამდენი ახალი ცნობით გაოგნებული რამაზი გონს მოსვლას ძლივს ახერხებდა.

— კი...

— და მისი მკურნალობის ხარჯიც შენ დაფარე, არა?!. მე კიდევ, დედაჩემს ვერაფრით დავაცდენინე... კეთილმა ქალმა გადაიხადაო, მეუბნებოდა. ახლა ყველაფერი გასაგებია... ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. ყველა შენს საქციელს მიზეზი და ახსნა მოეძებნა და აღარაფერი მიკვირს. გონს ვერ მოვსულვარ, ანა... მაშ, ჩემი ანა შენი და ლევანის შვილია?

— კი.

— ისე, ახლა ვხვდები, რომ ერთმანეთს ძალიან ჰგავხართ... ხასიათითაც...

— რამაზ, ახლა შენზეა დამოკიდებული, დაგვაშორებ მე და ანას ერთმანეთს თუ არა... შენ ამის უფლება არ გაქვს! — მოთხოვნასავით გაისმა მისი ნათქვამი, — დედობის საშუალება უნდა მომცე...

— ახლა მახსენდება ჩვენი პირველი შეხვედრა და შენ მიერ გამჟღავნებული სითბო... მაშინ ვიფიქრე, რომ უბრალოდ, ძალიან მოგეწონა გოგონა... ანას მიმართ მართლაც, არავინ რჩება გულგრილი, მაგრამ მაშინაც უცნაურად მომეჩვენა და ახლაც თვალწინ მიდგას შენი თვალებიდან წამოსული ემოცია... გულმა თითქოს რაღაც მიგრძნო, მაგრამ ამას კი ვერ წარმოვიდგენდი...

— ახლა რა ვქნათ? როგორ მოვიქცეთ? მე შენი და ნინოს დაქორწინების წინააღმდეგი არ ვარ და ეს ამბავი მახარებს კიდეც. ხომ არ გადაიფიქრებ?..

— რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ჩემი და ნინოს ურთიერთობაზე გავლენას არ მოახდენს, მაგრამ ანასთან დაკავშირებით რა უნდა ვქნათ, არ ვიცი. შენ ალბათ გინდა, რომ გოგონამ სიმართლე გაიგოს. ასეა?

— რა თქმა უნდა. მაგრამ ამას როგორ მოვახერხებთ, ეს კი ჯერჯერობით არ ვიცი. ბავშვი როგორ მიიღებს ამას?.. თანაც, მისთვის იმის გამხელაც მოგვიწევს, რომ მამა შენ კი არა, ლევანია.

— ანა, მე ბავშვს არ დავთმობ. ანა უზომოდ მიყვარს. ჩვენ ერთმანეთის გარეშე არ შეგვიძლია. ხომ იცი, მარტომ გავზარდე. დედაც მე ვარ და მამაც. ამიტომ, მის მიმართ ჩემი გრძნობაც გაორმაგებულია.

— არ ვაპირებ შენთვის მის წართმევას, მაგრამ მეც უნდა გამიგო... სიმართლე გითხრა, არ მეგონა, ამ ინფორმაციას ასე მშვიდად თუ მიიღებდი. ეს რომ მცოდნოდა, სიმართლეს არც აქამდე დავმალავდი.

— ჩემთვის ნინო ძალიან ძვირფასია და მასთან ურთიერთობაც, რა თქმა უნდა, უფრო მეტად მნიშვნელოვანი — ანაა. მას თუ შენნაირი კარგი დედა ჰყავს და ნინოსნაირი დეიდა, რომელიც იმედი მაქვს, დედობასაც გაუწევს, ამის საწინააღმდეგო რა უნდა მქონდეს?! ყოველთვის მქონდა იმის შიში, რომ შესაძლოა, ანას ნამდვილ დედას მისი არსებო-

ბის შესახებ გაეგო და კარზე მომდგომოდა. არც მინდოდა იმაზე ფიქრი, თუ რა მოხდებოდა ამის შემდეგ. ახლა კი მშვიდად ვარ, რადგან ვიცი, რომ შენს გამოჩენას ცუდი არაფერი მოჰყვება. ბავშვს უყვარხარ და მგონია, რომ თუ სიმართლეს გაიგებს, არ ეწყინება. მთავარია, სწორად მივაწოდოთ ეს ინფორმაცია. ჩემი აზრით, ფსიქოლოგთან უნდა მივიყვანო და საამისოდ ის შეამზადებს.

— ჩემი აზრით კი ჯობია, ჩვენ მივიდეთ ფსიქოლოგთან და კონსულტაცია გავიაროთ.

— შოკში ვარ, — რამაზმა თვალებზე ხელები აიფარა.

— მესმის შენი, — თანაგრძნობით შეხედა ქალმა.

— ბელა ვისგან გყავს?

— ბელა ჩემი შვილი არ არის. ის ვიშვილე.

— გასაგებია... მაშასადამე, ნინომ იცოდა სიმართლე და ამიტომ მოგანდო ჩვენი ურთიერთობის გადაწყვეტა?

— ჰო, როგორც ჩანს, ასეა. მაგრამ მერწმუნე, მე არაფერი ვიცოდი ამის შესახებ. ჩემთვის არ უთქვამს.

რამაზი ტელეფონს დასწვდა და ნომერი აკრიბა. თან, დაკვირვებით ათვალიერებდა ანას და ტუჩს იკვნეტდა.

— ნინო, როგორ ხარ?.. კარგად, კარგად... ჰო, აქ არის... ყველაფერი კარგადაა... არ სცოდნია ჩვენ შესახებ... მეგონა, ეტყოდი... გეთქვა, სალაპარაკო მაქვსო და მოიცლიდა... ჰო, ბარემ ქორწილის დღესაც დავნიშნავთ... უშენოდ, რა თქმა უნდა, — შენ ხომ ანას მიანდევ ჩვენი ურთიერთობა, ჰოდა, ბარემ ბოლომდე ენდევ... გკოცნი, მიყვარხარ...

ანას სახეზე ღიმილი ეფინა. რამაზს ისეთი ბედნიერი გამომეტყველება ჰქონდა, რომ მიხვდა, უზომოდ იყო შეყვარებული და ალბათ ამიტომ აღმოჩნდა ასეთი მიმტევებელი.

— შენი შვილი ძალიან გგავს, — გაიღიმა მამაკაცმა.

— კარგი, ახლა წავალ... ალბათ ნინო ღელავს და ერთი სული აქვს, როდის მოვუყვები ახალ ამბებს...

დამშვიდობებისას რამაზმა ანა გულში ჩაიკრა, ისე, როგორც ძმამ — და. დღეიდან ისინი ერთი ოჯახი იყვნენ...

ანას ცრემლი მოერია. ბედნიერებისგან ტიროდა. ამაზე უკეთეს „სცენარს“ ვერც კი მოიფიქრებდა. ცხოვრებამ თვითონ მოაწყო ყველაფერი ისე, როგორც საჭირო იყო.

— გმადლობ, რამაზ, ყველაფრისთვის მადლობელი ვარ...

ანა კიბეზე სირბილით დაეშვა, რომ მამაკაცისთვის ცრემლი არ დაენახვებინა.

ნუგზარმა ბელას შესახებ ვერაფერი გაიგო. ანას ურჩია, პოლიციაში გაეცხადებინა. რადგან სხვა გზა არ იყო, ანა ამ წინადადებას დათანხმდა. როდესაც პოლიციაში განცხადება შეიტანეს და იქ შეიტყვეს, რომ გოგონა ნაშვილები იყო, ეჭვი ანაზე მიიტანეს. ქალი დასმული კითხვებით შეურაცხყოფილი დარჩა:

— თუ გგონიათ, რომ ბელას გაუჩინარებასთან რამე მაკავშირებს, ძალიან ცდებით. ამ უაზრო კითხვების დასმას, ის გირჩევნიათ, ძებნა დაიწყოთ, რომ შარლატანი გოდერძისა და გათახსირებული დედის ხელში ჩავარდნილი ბავშვი არ დაიღუპოს. დარწმუნებული ვარ, მოსაკლავად არ გაიმეტებენ, მაგრამ არ არის გამორიცხული, თურქეთში გადაიყვანონ და გაყიდონ. დედამისი ფულის გამო ყველაფერზე წამსვლელია. მეც ხომ მძალავდნენ ფულს და მემუქრებოდნენ — თუ 50 ათასს არ გადავუხდიდი, ბელას წამართმევდნენ. რადგან კანონის ძალით ვერ მომერეოდნენ, ადგნენ და გოგონა მოიტაცეს. რაც უფრო დააჩქარებთ საქმეს, მით უკეთესი იქნება, — თვალებიდან ნაპერწკლებს ყრიდა ანა.

— დაწყნარდით, ქალბატონო, საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, ვალდებული ვართ, ყველა საჭირო კითხვა დაგისვათ, თქვენ კი ვალდებული ხართ, ამ კითხვებზე გვიპასუხოთ.

— ჩემსა და თქვენს ვალდებულებებზე ლექციის კითხვას თავი დაანებეთ! — ანა წამოდგა. — რაც საქმეს სჭირდებოდა, ყველა კითხვაზე გიპასუხეთ და ვალდებული არა ვარ, გითხრათ, იმ დროს სად ვიყავი, როცა ბელა გაუჩინარდა! დღეს საღამოს შეგეხმიანებით და იმედია, რაიმე მაინც გექნებათ გარკვეული, — ამ სიტყვებით ანა ოთახიდან გავიდა.

რამდენიმე ღამის უძილო იყო. ბელას გამო ძალიან ღელავდა. თვალწინ სულ მისი სახე ედგა. თუ ჩათვლემდა, ძილშიც კი იმას ხედავდა, როგორ აწამებდნენ ბავშვს, როგორ იტანჯებოდა და ტიროდა, საშველად უხმობდა და ხელებს მისკენ იწვდიდა, ის კი ვერაფრით შველოდა. მაშინვე შეშინებულს ეღვიძებოდა და ძლივს მშვიდდებოდა.

...უკვე 3 დღე გასულიყო მას შემდეგ, რაც პოლიციაში განცხადება შეიტანა და ჯერჯერობით არაფერი იყო გარკვეული. სამართალდამცველების პარალელურად, ბელას ძებნას ნუგზარიც აგრძელებდა. ანა გრძნობდა, რომ მისი ტელეფონი ისმინებოდა და ხვდებოდა, რომ ეჭვი მაინც მასზე ჰქონდათ. ამის გამო ცოფდებოდა...

როგორც იქნა, ნუგზარისგან რაღაც ინფორმაცია მიიღო. გოდერძი ბათუმში, თავის სახლში გამოჩენილა, სულ რაღაც 15 წუთით დაყოვნებულა და იქაურობა სასწრაფოდ დაუტოვებია. ბათუმელი აგენტი, რომელიც ნუგზარის დავალებით გამუდმებით მის სახლთან იდგა, უკან ასდევნებია და მისი ადგილსამყოფელი დაუდგენია. ახლა ჯერი პოლიციაზე იყო. მას უნდა ეყოჩაღა და გოდერძი აეყვანა, რომ სიმართლე გარკვეულიყო.

— ამ მისამართზე სასწრაფოდ უნდა მიხვიდეთ, — პოლიციელს ფურცელზე დაწერილი მისამართი წინ დაუდო, — თორემ იმ გაიძვერამ თუ რამე იყნოსა, იქიდან აიბარგება. არ არის გამორიცხული, რომ ბელაცა და დედამისიც იქ იყვნენ.

— მისამართი როგორ დაადგინეთ, ქალბატონო? — გაოცდა სამართალდამცველი.

— კერძო დეტექტივი მყავს... უტყუარი ინფორმაციაა და თუ იქიდან სადმე გადასვლას დააპირებენ, იმასაც შემატყობინებს. თქვენ კი დროულად იმოქმედეთ! — ქალი ბრძანებებს იძლეოდა.

საქმეში სასწრაფოდ აჭარის პოლიცია ჩაერთო და გოდერძი აიყვანეს. იმ სახლში ბელა არ აღმოჩნდა...

დაკავებულმა ჩვენება ანას საწინააღმდეგოდ მისცა.

— იმ ქალმა ბელა იშვილა და პასუხი მას უნდა აგებინოთ. ღმერთმა იცის, რისთვის სჭირდებოდა გოგონა. ყველა კითხვაზე მას მოსთხოვეთ პასუხი, — მამაკაცი დაჟინებით იმეორებდა.

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

## შენი ეჭვები სრულიად უსაფუძვლოა: როცა გაგიცანი, უკვე შეყვარებული ვიყავი და შენ მიმართ ინტერესი ამ მიზეზით არ გამომიჩენია.

# გზავნილები

მარი ჯაფარიძე

მივესალმები ყველა მკითხველს და მშვიდობიან კვირას ვუსურვებ. ვეცდები, ამ კვირიდან გზავნილების შესავალში სიახლე შემოვიტანო და ის საინტერესო და უცნაური ამბავი მოგიყვეთ, რომელმაც წინა კვირაში ჩემი ყურადღება მიიპყრო. ამბები, როგორც ქართულ სინამდვილეზე, ისე უცხოურ უცნაურობებზე იქნება აგებული. ამჯერად ამერიკელი, დემოკრატიული პარტიის დეპუტატის ახირებაზე მოგიყვებით: ბატონი ფელიქს ორტიზი თანამემამულეთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე დაფიქრდა. გაახსენდა, რომ მეცნიერების დაკვირვებით, მარილი ადამიანის ორგანიზმს ვნებს. რამდენიმე დეპუტატი აიყოლია და სასწრაფოდ შეიმუშავა ახალი კანონპროექტი, რომლის თანახმადაც, ნიუ-იორკის შტატში, ყველა რესტორნისა და კვების ობიექტის მფლობელს საჭმელში მარილის ჩაყრა აეკრძალა. მარილის გამოყენება ნებისმიერი ფორმით აიკრძალა არა მხოლოდ იმ კერძებში, რომელსაც კლიენტი რესტორნის ტერიტორიაზე მიირთმევს, არამედ იმაშიც, რომელსაც სახლისთვის უკვეთს. ბატონმა ფელიქსმა წინადადება წამოაყენა, კანონის დამრღვევი 1000 დოლარით დააჯარიმონ. მისი აზრით, თუ რესტორნებში მარილის გამოყენება აიკრძალება, ხალხს უმარილო დიეტის დაცვა გაუიოლდება. ალბათ წარმოგიდგენიათ, როგორ შეხვდნენ ამ სიახლეს მზარეულები. თანაც, ბევრი ისეთი კერძია, რომელსაც მომზადების პროცესში უნდა დაემატოს მარილი და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება შემდგომ ჩაყრა. ეს კერძები მენიუდან გაქრება ან ძალიან ძვირი — 1000 დოლარი, პლუს ძველი ფასი ეღირება. აი, ასეთი უცნაური დეპუტატებიც არსებობენ და კიდევ კარგი, „ჩვენებიც“ არ ზრუნავენ ჩვენს ჯანმრთელობაზე, თორემ მოგვიწევდა უპილპილო ხინკლისა და უშაქრო მურაბის ჭამა. ახლა კი თქვენს მესიჯებს გადავხედოთ.



## სიდედრი, რომელიც დროს ასწრებს

## კეთილმოსურნე

„მხიარულ ამბებს რა გამოლევს? ჩემმა საყვარელმა დაქალმა საიდუმლოდ გამიმხილა, რომ გაპარვას ანუ გათხოვებას აპირებდა და მიჰყვებოდა ადამიანს, რომელმაც მესიჯებით მოხიბლა, ერთხელ ნახა და თურმე უკვე უყვარდა. ის ბიჭი კი ერთ-ერთი ჩვენი ნაცნობი იყო, რომელსაც დადებითი არაფერი ჰქონდა. არა, არ განვიკითხავ, მაგრამ გამარჯობასაც კი არ ამბობდა, თუ არ შეგაგინებდა. სხვის ჯიბეში დაძვრებოდა და ა.შ. აღარ გავაგრძელებ. მე კი ამ დროს ჩამშვების როლი ვითამაშე და დაქალის დედას ყველაფერი ჩავუკაკლე. ჩემი ძვირფასი დაქალი სასწავლებლად სოფელში გადააბარგეს და, რა თქმა უნდა, მობილი ჩამოართვეს. მე კი მტრად აღმიქვა და დამცილდა. დაკარგულ ბედნიერებას მისტიროდა. გავიდა დრო, მიხვდა თავის დანაშაულს და პატიება მთხოვა. მაგრად ჩავეხუტე და ორივე უაზროდ ავტირდით. ახლა მხიარულად გვახსენდება ეს ამბავი. მარტოსული“.

## მომღერალი „დამაჩკა“

„ჩემო სიხარულებო, ძლივს გამოვნახე დრო, თორემ ამ ჩემმა ფანებმა ლამის მიკროფონი გადამაყლაპონ, ფულებს მაყრიან, მაგრამ მე თქვენთან მინდა და სამსახური დიდად არ მაღელვებს. შარშან ქობულეთში ვმღეროდი. ჩემ წინ, ერთი, ცხოვრებაზე ხელჩაქნეული კაცი დაჯდა. ჩემი კილოვატნახევრიანი დინამიკები პირდაპირ ტვინს უხვრეტდა. მეც, „ზაკაზები“ ბლომად მქონდა და ვმღეროდი, გულამოსკვნილი. ეს კაცი ადგა და ათლარიანი მომაწოდა. რა გიმღეროთ-მეთქი? არაფერი, დავიწვი შენი საცოდაობით და დროებით პირი დამუწეო. ცოტა ხანში, რომ გამოთვრა, სულ „ოციანები“ დამაყარა, ოღონდაც მიმღერეო. ბოლოს ატყდა, აქედან არ წავალ, თუ ამ ქალს არ გამატანთო. სცენასთან დაიჩოქა და „თავო ჩემო, ბედი არ გიწერიას“ მოჰყვა და ცრემლებს აღვარღვარებდა. მთელმა დარბაზმა მაგრად იხალისა. ბოლოს, ჩემმა ქმარმა იყვირა — ეეეე, „ჩუვაკ“, ეს გოგო ჩემთვის მინდაო. ახლა თქვენს პატივსაცემად ერთ კარგ სიმღერას შემოვძახებ. დამაჩკა“.

## საწყალი ბავშვი

„გამაგიჟეს ამ პატარა ბავშვებმა: ზოგი ზედმეტად გონებაგახსნილია, ზოგი კი იმდენად მიამიტი, რომ მთელი დღე შეუძლია, ჭიქიდან ჭამოს ყველი. ვერაფერი გაიგეთ, ხომ? მოკლედ, ჩემს ძმას ჰყავს 2 წლის ნათლული, სვანი დემეტრე, რომელიც ერთხელაა სვანეთში ნამყოფი, მაგრამ მაინც ნამდვილი სვანია. სერიალებსაც უყურებს, თურმე. ახალ წელს ჩურჩხელას ჭამდა და ძაფი რომ შეხვდა, ბებიამისს მიურბენინა, ბებო, ჩურჩხელას ძვალი ჰქონიაო. უყვარს შოკოლადი და ჩემი კოცნაც. რამდენიმე კვირის წინ ბებო გააბრაზა, რის გამოც ცოტა მოხვდა და ჩვეულებრივი, ნორმალური ბავშვი თუ ატირდებოდა, ეს წამოხტა, ეზოში გავარდა, მუხლებზე დაეცა, ხელებს მიწაზე ურტყამდა და ტიროდა — ბებია, რას მერჩოდი, შენ მე ცხოვრება დამინგრიეო?! ესეც სერიალების გავლენა, ნომერი ერთი. ნომერი ორი კი იმ დღესვე განვითარდა, როცა დემეტრე მეზობლის ქალს იარაღით მიადგა, უნდა მოგკლაო. გაოცდა ქალი, რას მერჩიო და რა უპასუხა პატარა ტარტაროზმა, იცით? — მითხარი, პატიოსანი ხარ თუ მოგკლაო?! ერთხელ, დედამისმა „ყიყლიყოები“ გაუკეთა და აღშფოთდა, ეს რა უბედურება გამიკეთე, ქალოო. მაგრამ აქვე მინდა იმედი მოგცეთ სვანებს, რომ მთლად დაღუპულები არ ხართ, რადგან 4 დღის წინ ისეთი ამბავი მოვისმინე 5 წლის ბავშვზე, ახლაც ცუდად ვხდები: ნაცნობის ძმისშვილს ყელი სტკიოდა და ნაყინის ჭამა აუკრძალეს. ჰოდა, მამიდამისი და მისი დაქალი ნაყინს მიირთმევდნენ. ბავშვი დაინტერესდა, რას ჭამთო? ამათაც უთხრეს, ყველსო. ყველი რომ ჭიქიდან არ იჭმებაო?! უჰ, როგორ არა, ხანდახან იჭმებაო, დაუდასტურეს. მაშინ მეც მინდაო და მთელი 2 საათი ჭიქიდან ჭამდა ყველს, ოღონდ — მართლა ყველს... ეშმაკუნა“.

## SEX

„ჩემი ნაცნობის ამბავს მოგიყვებით. თავად მიამბო და დღემდე, როცა პატრულის მოძრაობის დამარეგულირებელი შეძახილები მესმის, მეცინება. მოკლედ, ჩემს ნაცნობს მამიკომ რუსეთიდან „პიპია“ გამოუგზავნა, „პრიკოლნი“ ნომრით — SEX... ჰოდა, ერთხელაც ამ ჩვენმა გმირმა მოძრაობის წესი დაარღვია და პატრულის გაფრთხილების მიუხედავად, არ გაჩერდა. პირიქით, სიჩქარეს მოუმატა. მიქრის ჭავჭავაძის გამზირზე და თან მიჰყვება პატრულის შეძახილი — „SEX, გადააყენე მანქანა! შეწყვიტე მოძრაობა!“ — ბოლოს, სიცილისგან არაქათგამოცლილი ჩვენი გმირი პატრულის ბრძანებას დაემორჩილა. თუმცა, არ დაუჯარიმებიათ, კაცური კაცი ხარო უთხრეს და უვნებლად გაუშვეს. ამას წინათ პატრულმა ჩემთან ერთად „ჩაისეირნა“ ვარაზისხევი და ნომრები ჰქონდა დაცემა — აუა. ნიღბო“.

## სიდედრი, რომელიც დროს „ასწრებს“

„ნოდარის სიდედრი, მარგო, შვიდი წელი საბერძნეთში მუშაობდა. ახალი დაბრუნებული იყო ქუთაისში. მარგოს ყველაფერი აინტერესებდა, თუ რა სიახლეები იყო ქალაქში. ნოდარი ყოველ დილით, წინა წლის, იმავე რიცხვის გაზეთებს აკურატულად უწყობდა მაგიდაზე. მარგოც გადმოდგებოდა აივანზე და მეზობლებს აცნობებდა ერთი წლის წინანდელ „სიახლეებს“. — „ო, რა პრემიერა ყოფილა ჩვენს დრამატულ თეატრში?!“ „გაიგეთ, ხალხო, რა მომხდარა ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე?“ მეზობლები ხათრით ვერაფერს ეუბნებოდნენ, ჩუმად კი ქირქილებდნენ. „ახალი ამბები“ შეარქვეს. ეს კიდევ არაფერი, ერთ დღეს მარგომ გაზეთში მიცვალებულთა განცხადებები გადაათვალიერა, გამოეწყო და ერთი წლის წინ გარდაცვლილი, თავისი სკოლის ამხანაგის გასვენებაში წავიდა. იქ ამბავი ატყდააა... მარგომ სიძეს არ აპატია ხუმრობა და როცა სახლში დაბრუნდა, ნოდარი ძლივს გამოჰგლიჯეს ხელიდან“.

## ჟურნალისტკა

„ჟურნალისტიკა რომ მეტად რთული და საპასუხისმგებლო პროფესიაა, ამაში სხვა პროფესიის წარმომადგენლები თუ არა, თავად ჟურნალისტები მაინც დამეთანხმებიან. ადრეული ბავშვობიდანვე ჟურნალისტობა მინდოდა და როცა ჩემი სწავლის დრომ მოაღწია, ყოველგვარი ზედმეტი ფიქრისა და თავის ფხანის გარეშე ამ პროფესიის დაუფლება გადავწყვიტე. მამაჩემის მიერ შეგროვებული ინფორმაციების მიუხედავად, რომ თურმე მრავალ ქვეყანაში უამრავი ჟურნალისტი კვდება, რომ ზოგისთვის თითები დაუჭრიათ, ზოგიც ტყვედ აუყვანიათ და ა.შ. მე მაინც ჯიუტად, ჩემს არჩეულ გზაზე ვიდექი. ასე იყო თუ ისე, ერთ მშვენიერ დღეს ამოვყავი თავი სანატრელ ფაკულტეტზე და გავიხარე. სწავლის დაწყებიდან სულ ცოტა ხანში მივხვდი, რომ იმაზე რთული იყო „შიდა სამზარეულო“, ვიდრე წარმომედგინა, მაგრამ ბავშვობის ჩანაფიქრს როგორ გადავუხვევდი? მოკლედ, თემას ცოტათი ავცდი და მთავარზე გადავალ: ამას წინათ, ჩვეულებრივ, ინტერნეტის ლაბირინთებში მოხეტიალეს, ასევე ჩვეულებრივი ადამიანი შემომეხმიანა: — გამარჯობა, თქვენ ის SWEET-GIRL-ი ხართ, „გზაში“ რომ ამესიჯებს? მეც, ამ წინადადების წაკითხვისას, ჩვეული გულისფანცქალითა და აღფრთოვანებით, დამორცხვებული „სიცილდართული“ თანხმობა ვუბოძე... — ვაიმეე, რომ იცოდეთ, რამდენი ხანია, გეძებთ... აქ კი ჩემმა თვალებმა მდებარეობა შეიცვალა და შუბლისკენ გადაინაცვლა.

— მე-ე? მეძებდით?

— დიახ, თქვენ... ძალიან მომწონს თქვენი ნაწერები და თქვენთან სათხოვარი მაქვს.

— ბრძანეთ, — გულგრილად მივუგე.

— იცით, დიდი ხანია ვწერ პატარ-პატარა პუბლიკაციებს და მინდა, თქვენ გადმოგცეთ წასაკითხად.

აი, აქ კი უკვე გულიანი სიცილი ამივარდა. არემარე გავაყრუე და იმაში დარწმუნებულმა, რომ ვიღაც აშკარად მელადავებოდა, უკვე გამკაცრებული ტონით „მიბრძანება“ ვთხოვე... რომ ველარ მოვიცილე, ბოლოს მარტივ საშუალებას მივმართე: მაილზე გამომიგზავნე-მეთქი, შევთავაზე.

— იცით, „კომპში“ არ მაქვს, ახლაც ინტერნეტკაფედან გწერთ. მხოლოდ ხელნაწერი სახით მაქვს და ამიტომ პირადად უნდა გადმოგცეთო... აქ კი ჩემმა ნერვულმა დაბოლოებებმა გაბრაზების ნიშნად რხევა დაიწყეს.

— შე კაი კაცო, თუ გაცნობა გინდოდა, რაღას „მენამიოკებოდი“, პირდაპირ გეთქვა-მეთქი...

— არა, გაცნობაც კი მინდა, მაგრამ ესენი რომ წაგაკითხოთ, ეგ უფრო მინდაო.

ვაიმე, ჩავვარდი საგონებელში და საშველად ჩემს ერთ-ერთ ახლობელს და ამჟამად ჟურნალისტურ სამყაროში მოღვაწეს დავუკავშირდი: ასეთი ამბავია და რა ვქნა-მეთქი? ბევრი ვიმსჯელეთ თუ ცოტა, გადაწყდა, რომ შევხვდებოდი. შეხვედრის ადგილი ხალხმრავალი შევარჩიე (შიში ოხერია) და დრო — დღის პირველი ნახევარი... ადგილზე მისულს საკმაოდ უცნაურად ჩაცმული, გრძელმოსასხამიანი, ძველმოდურშლაპიანი, კარგა ხნის თინეიჯერობაგადასული, 30 წლის ადამიანი შემრჩა ხელთ, რომელსაც მხარზე გრძელზონარიანი ჩანთა ეკიდა (რაშიც ჩემი ვარაუდით, ის ნაწერები უნდა ყოფილიყო, რისთვისაც მიმიყვანა). ზრდილობიანად გავუღიმე და იქვე სკამზე, ჩამოვჯექი. რა თემებზე აღარ ვისაუბრეთ (უფრო სწორად, თვითონ ისაუბრა) და მანამ, სანამ იქედან დიდი სიჩქარით გამოვქუსლავდი, იმ პუბლიკაციების ჩვენება ვთხოვე.

— უიმე, კინაღამ დამავიწყდაო, შეიცხადა და ჩანთიდან, საკმაოდ შელახული, გაყვითლებული, გაკრული ხელით ნაწერი, თაბახის ფურცლები ამოაძვრინა — რასაც მოასწრებ, გადაიკითხე და თუ არ შეწუხდები, რჩევებიც მითხარი, არ მოგერიდოსო. აუ, რამდენადაც შესაძლებელი იყო იმ მცირე დროში წაკითხვა და თან რჩევების მიცემა, იმდენად ვეცადე. ვურჩიე, ჩანახატები დაესათაურებინა, წინადადება აბზაცით დაეწყო, ყოველი წინადადების ბოლოს წერტილი დაესვა და სასვენი ნიშნების არსებობა გაეხსენებინა. წამოსვლისას კი მითხრა, ისე ეშმაკურად მიყურებ, ჩემზე აშკარად რამეს დაწეროო...

— გეწყინებათ-მეთქი? დაფიქრდა და — არანაირად, პირიქით, გამიხარდება, შენი ერთ-ერთი გზავნილის გმირი თუ გავხდებიო... მართალია, ის აღარ უთქ-

ვამს, დადებითი თუ უარყოფითი იქნებოდა, მაგრამ ამის შეფასება თქვენთვის მომინდია. იმედია, ძალიან მკაცრი არ ვიყავი... რა აღარ ხდება არაა?! ასეთი ამბების შემდეგ ვრწმუნდები ხოლმე, რომ ცხოვრება მართლაც უჩვეულო და უცნაურია... შეიძლება ბევრმა გამკიცხოს ამის დაწერის გამო, მაგრამ... ბატონი დავითისგან ნებართვა აღებული მაქვს. ასე რომ... P.S. მარ, თუ გექნება ამ ადამიანის „პუბლიკაციების“ წაკითხვის სურვილი, დაგაკავშირებ... რა ვიცი, პროფესიონალი ხარ მაინც და...) გეფერებათ თქვენი მოუშორებელი სიტკბოება, SWEET-GIRL“.

## დაეხმარა

„მამაჩემი თბილისში იყო და ყვითელი ავტობუსით მგზავრობდა. ერთ გაჩერებაზე ქალი ჩავიდა და ბავშვი ჩაიყვანა. ამ დროს ერთმა ქალმა იყვირა, ბავშვს ჩუსტი დარჩაო. მამამ ქალს გასძახა და ჩუსტი გადაუგდო. გვერდით მიიხედა და ერთი ქალი სიცილით კვდებოდა. თურმე მისი შვილის იყო ჩუსტი, მამას კი ეგონა, იმ ბავშვს დარჩა და შეცდომით გადაუგდო. მის რეალი“.

## ლაკის ტუფლები, მკვდარი სიდედრისთვის

„სიდედრზე მაგარი რაღაც გამახსენდა. ბათუმში ერთი მეგობარი მყავს, რომლის მამაც მაგარი ჯიგარი კაცია. ხულოს ერთ-ერთი მაღალმთიანი სოფლიდანაა და საუბრისას „ნაღდ აჭარულს“ კარგა გვარიანად ურევს. ხანდახან ისეთ სიტყვას „წამოაგენიოსებს“, სიცილით სულს ძლივს ვითქვამ ხოლმე. რამდენიმე ხნის წინ სიდედრი დაეღუპა. ცოლი იმერელი ჰყავს და დამწუხრებული გივია, ცოლოურს წავიდა... გივის ერთი მეგრელი ძმაკაცი ჰყავს (წლებია ერთად მოდიან ცხოვრების გზაზე), დათო ჰქვია, მაგრამ ყველა დათას ეძახის (თუთაშხიაზე აფანატებს და თვითონ აირჩია ეს სახელი). დათა მაგარი ხუმარა და აფერისტი ტიპია. ჰოდა, ამ დათამ იფიქრა, გივის დავაფასებ, თან ხალხი იტყვის, მაგარი ძმობა ჰქონიათო და გივიას სიდედრის დაკრძალვაზე წავიდა. გზაში თურმე ლაკის, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი იყიდა და მივიდა „ხელდამშვენებული“. გაგიჟებულა გივია.

— შენ ჰამან, თავში ფუჩეჩი ხომ არ გაქ, ჭო? — გვერდზე გაიყვანა დათა.

— რა დავაშავე ასეთი, მაგალითად? გაიპატიოსნა სინდისი დათამ და თვალი აარიდა.

— შენ მართლა ბლაყვი ხარ თუ თავს იბლაყვებ, ჭო? ამფერი ძირიკლი კაცი რავა ხარ სულ, აგზე ეს სულგაშფენილი ქალი დეფილეს ხომ არ მართავდა, ამფერი „შპილიკები“ რომ გიყიდნია?

— იმსახურებდა მაგას ჩემგან შენი სიდედრი, გივია უბედურო, თორემ ტყუილად არ არიგებს საჩუქრებს დათა ბატონი, იცი, მაგი შენ!

— ისეთი რა გიგიკეთა, რომ ასთე შეგაყვარა თავი? იმიხსენი და...

— რა და, ჩემს ველურ სიდედრზე ერთი საათით ადრე რომ მოკვდა და დაგასვენა პატიოსნად, ეგეც საკმარისი იყო, შემყვარებოდა მაგი მე.

გივიას გაეცინა, დათასაც... მოკლედ, დადგა გამოსვენების დრო და აკივლდა თამარიეს სამი ჯანიანი ქალიშვილი. დატრიალდა ცოდვა-მადლი, როგორც იმერულ გასვენებას შეჰფერის. აქეთ, შვილები აბარებენ მოკითხვას მამასთან, იქით, მეზობელმა წერილი ჩაუკუჭა კუბოში; ზოგმა რა დააბარა იმ საწყალს საიქიოში და ზოგმა რა. მოკლედ, ისე დატვირთეს, ბარე ორ ფოსტალიონს შეშურდებოდა. ბოლოს, ერთი ძალიან მოხუცი მილასლასდა კუბოსთან და დასტირა თურმე: — სა მიხვალ რო მიხვალ, თამარია ქალოო, არ მემეტები შავ მიწისთვის, მარა რაღამც არ იშლი და მიხვალ, ჩემს ლეუშას მოკითხვა გადაეცი, დაოო. ასთე უთხარი, კიდო კაი არ მეესწარი ამ უკუღმართ მთავრობას, თორემ მაინც ინფარქტი დაგარტყამდაო, გოოგო...

უცებ დათამ მხარი გაჰკრა გივიას: — ხოხ, მეორე წყვილიც უნდა მეყიდა თამარასთვის, ძალიან შევცდი მაგაში მე!

— ახლა რაღანა წამოაბლაყუნო მაცოდინა, ერთი?

— რა და, ამას იმდენი ვილაცის ნახვა დაავალეს, რომ ერთი წყვილი ტუფლი ეყოფა მაგას სასიარულოდ? არა მგონია, მაგი მე. ჰოდა, მალე დააჭედე თავი მაგ კუბოს, თუ არა, გადაიფიქრებს წასვლას შენი სიდედრი. ასე იქნება ეს, დამიჯერე... — ჩაიხითხითა ეშმაკურად დათამ და გავიდა. ჰოოდა, ესეც ასე... მაესტრო“.

## „ნატალია, ნატალია, შენი კოცნა წამალია“

„ლადოს და დიმას ბავშვობიდანვე დიდი მეგობრობა აკავშირებთ. იმერეთის ერთ-ერთ სოფელს ხშირად სტუმრობენ და ნატალიაც სწორედ იქ გაიცნეს. ნატალია იყო მაღალი, ტანწერწეტა, ლამაზფეხება, თვალებფახულა, მარწყვისტუჩება და საერთოდ, სექსუალური გოგო (უბნის ბიჭები ასე ახასიათებდნენ). ფული უყვარდა ნატალიას თურმე და სიმპათიური ბიჭები. დედამისიც არ ყოფილა მასზე ნაკლები სილამაზის ქალი და მათმა სტუმრობამ არა მარტო ლადო და დიმა გააგიჟა, არამედ მთელ იმ უბანში მცხოვრები დიდი თუ პატარა... გამვლელ-გამომვლელი დამთხვეულივით უყურებდა ნატალიას, ის კი საპასუხოდ დამატყვევებელ ღიმილს ჩუქნიდა ყველას. ერთ დღესაც ლადომ სულ შემთხვევით გაიცნო ნატალია, დიმამ კი — ქალბატონი მარინა... ძლიერ მოეწონა ნატალიას ლადოს მამაკაცური იერი, მარინას კი დიმა და მისი ბიუჯეტი. მეგობრებსაც და დედა-შვილსაც აშკარად იღბლიანი დღე ჰქონდათ. შინ დაბრუნებულმა მარინამ შვილს სიხარულით აცნობა, რომ სასიძო გაიცნო და ისიც დასძინა, რომ მისი ამორჩეული ყმაწვილი მაყუთიანი ტიპი გახლდათ. შვილმაც გაუმხილა დედას, რომ მაგარი ბიჭი გაიცნო და არც მას დავიწყებია იმის დამატება, რომ ისიც შეძლებული ტიპი იყო. ლადომაც გაუმხილა მეგობარს ნატალიას გაცნობის შესახებ. აი, ეს კი არ ესიამოვნა დიმას და წყენის დასაფარავად ისეთი მთქნარება ატეხა, ლამის ყბა მოენგრა. მეორე დღეს, ნატალიას სილამაზით ჭკუაზე აწეული ლადო ყვავილების თაიგულითა და სუნამოთი მიადგა გოგოს. იმანაც შეიფერა ბიჭის ასეთი ყურადღება და ადრე თუ გაჯგიმული დადიოდა, ახლა ფრენა-ფრენით დადის. მარინა კი დიმას მოხიბვლას ცდილობდა და ისე დაახლოვდნენ, მოფერებით თმაქოჩორაც კი შეარქვა ყმაწვილს. როგორც იქნა, ლადომ მიზანს მიაღწია, ნატალია კოცნაზე დაითანხმა და ბედი არ გინდა? მარინა და დიმა დაადგნენ თავზე. ლადომ სიმწრისგან კინაღამ გაგლიჯა მეგობარი. მარინა კი დაკარგულ, თმაქოჩორა სასიძოსა და მის ბიუჯეტს მისტიროდა. ეს ყველაფერი ასე დამთავრდა: ვერც დედა-შვილმა მიაღწია მიზანს — ფულიანი ბიჭები ხელში ვერ ჩაიგდო და ვერც მეგობრებმა ჩაიგდეს ხელში მაღალი, ტანწერწეტა, ლამაზფეხება, თვალებფახულა, მარწყვისტუჩება და საერთოდ, სექსუალური გოგო. აი, ასე დარჩა მარინა, თმაქოჩორა, ფულიანი სიძის გარეშე და დიმა — ყველასთვის სასურველი სიდედრის გარეშე. ლუნა“.

## რომანი ყაჩაღთან

„მეზობლის გოგო ნინი მომხიბვლელი, კარგი ოჯახის შვილი იყო. უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავდა, საუკეთესო ოჯახის შვილები. მშობლები ენდობოდნენ და არ ერეოდნენ ნინის ცხოვრებაში — ჩვენი შვილი დაუფიქრებელ ნაბიჯს არ გადადგამს, ოჯახს არ შეგვირცხვენსო. გოგონა უნივერსიტეტში სწავლობდა. თანაკურსელის დაბადების დღე იყო ტყიბულში. იქ გაიცნო ფიზიკურად ახოვანი, მიმზიდველი ბიჭი. უნივერსიტეტში ხშირად აკითხავდა. თითქოს ნამდვილი სიყვარულიც დაიბადა. მშობლების ყურამდიც მივიდა მათი რომანის ამბავი. ნინიმ იუარა — მეგობრები ვართ, არავითარი სიყვარულიო! არავინ იცოდა, დათოს ცხოვრების შესახებ. ცოტა ხნის შემდეგ დათო სადღაც დაიკარგა და ერთი თვე აღარ გამოჩენილა. გაიგეს, დაყაჩაღებაში მიუღია მონაწილეობა, სახლის პატრონი „გაუუთოებია“ სასიკვდილოდ. დაიჭირეს. ნინი შეიცვალა, აღელვებული ჩანდა. მისი ოჯახიდან პირველად გაისმა ხმამაღალი ლაპარაკი. დრომ თავისი ქნა... ნინი ფეხმძიმედ აღმოჩნდა. ყველას მისი მშობლები ეცოდებოდა — შვილის დაუფიქრებელმა ნაბიჯმა ოჯახი შეურაცხყოო. მალე ბინა გაყ-

იდეს და სად წავიდნენ, ახლაც არ ვიცით. ახლა ახალი მეზობლები ფრთხილობენ თავიანთ ქალიშვილებზე. ვაითუ მათაც დაუფიქრებელი ნაბიჯი გადადგან და ოჯახი დაგვექცესო“.

## ბავშვური შეცდომა

„ვესალმები მგზავნელების დიდ ოჯახს. ხანდახან ბავშვობაში დაშვებულ შეცდომას ადამიანები ცხოვრების ბოლომდე ნანობენ. არ მაქვს იმედი, რომ ამ გზავნილს ჟურნალში ვიხილავ, მაგრამ მაინც გაგანდობთ ჩემს გულისტკივილს. 11 წლის ასაკში პირველად შემიყვარდა და ისე ვგრძნობდი თავს, თითქოს ცხოვრების აზრს ჩავწვდი. მეგონა, სიყვარული ბედნიერებას მომიტანდა და გამუდმებით ვოცნებობდი დღეზე, რომელიც გამაბედნიერებდა. ასე გავიდა ერთი წელი. 12 წლის გავხდი და უდიდესი შეცდომა დავუშვი. რომ შემეძლოს, იმ დღეს სამუდამოდ ამოვჭრიდი ჩემი ცხოვრებიდან. თავი რომ არ შეგაწყინოთ, პირდაპირ გეტყვით — ჩემზე 5 წლით დიდ ბიჭს სრულიად დაუფიქრებლად, სიყვარული ავუხსენი. მეგონა, სიცილს დაიწყებდა, მან კი ხმაც ვერ ამოიღო, ისე წავიდა. ცხოვრება ისე გაგრძელდა, თითქოს არაფერი მომხდარა, მაგრამ გავიდა წლები (საქართველოდან წავიდა) და გავიგე, თურმე ჩემ მიმართ გრძნობაც ჰქონდა, მაგრამ ინიციატივა მე რომ გამოვიჩინე, უკან დაიხია. კომპლექსებმა არ მისცა საშუალება, სიყვარულით ეპასუხა. არ ვიცი, რა იქნებოდა, ეს რომ არ გამეკეთებინა. შეიძლება ასეთი ადამიანი არც ყოფილიყო დასაყრდენი ცხოვრებაში, მაგრამ ფაქტია, რომ მე თვითონ გავაფუჭე ყველაფერი და ახლა, 6 წლის შემდეგ ისევ მიყვარს. შეიძლება ეს ცოტა სულელურად ჟღერს, მაგრამ ძალიან განვიცდი და მინდა, სხვა ადამიანი ვიპოვო, რომელიც შემიყვარდება. იქნებ დავივიწყო ჩემი ტკივილი. მარად შეყვარებული“.

## არ ენდო ხმას

„ჩემს დაქალს, თამუნას ურეკავდა ვიღაც გიო. ბიჭს მაგარი ხმა ჰქონდა და თამუნაც ჭკუაზე არ იყო. ერთ დღეს შეხვედრა გადაწყვიტა და მეც თან წამიყვანა. დილაადრიან მივედი მასთან, გამოვპრანჭე, მეც კარგად გამოვიპრანჭე (ძმაკაცის მოლოდინში) და ნანატრი 7 საათიც შესრულდა. რუსთაველის მეტროსთან მივედით და რას ვხედავთ? იქვე 3 ერთმანეთზე უკეთესი ბიჭი დგას. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ვიფიქრეთ, გაგვიმართლა და ეგააო. გვერდზე არც კი გაგვიხედავს. ცოტა მოშორებით დავდექით და ჩემმა დაქალმა გიოს დაურეკა. ვიმედოვნებდით, რომ ამ სამიდან რომელიმე აიღებდა ტელეფონს, მაგრამ ნურას უკაცრავად... ჩვენ წინ 35 წლამდე ასაკის მამაკაცი აისვეტა (თუ შეიძლება მას ეწოდოს მამაკაცი), გახუნებული ჯინსი ეცვა (უფრო ჭუჭყიანი), კუბოკრული პერანგი აცაბაცად ჰქონდა შეკრული, სათვალე თავზე ეკეთა და ნასვამ „ბომჟს“ წააგავდა. საშინელი დღე გვქონდა, ძლივს მოვიშორეთ. ჩემს დაქალს სიბრაზისგან ცრემლები სდიოდა. თუმცა, ახლა ხალისით ვიხსენებთ. თუნა“.

■

*თქვენთვის საინტერესო თემაზე ამბები შეგიძლიათ გამოგზავნოთ მესიჯებით ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწეროთ ელფოსტაზე:*
*marorita77@yahoo.com*

### გონიერი მკითხველი

# ფოტო, რომელმაც წარწერა დაკარგა



ამ ფოტოსთვის შესაბამისი წარწერა უნდა გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61

ჩემეული ვერსია კი ასეთია:

## „ხეზე კაცივით ადის, კაცს ყველაფერში ჰბაძავს და ერთი მაიმუნი ისევ ქცეულა კაცად“

# როდის კარგავს ბიჭი გოგოს მიმართ ინტერესს

## „ცხოვრებაში ყველაფერს სიყვარულით ვერ გაამართლებ“

**„გზის“ №22-ში დაიბეჭდა 18 წლის ირმას მესიჯი. შეგახსენებთ, იგი გვწერდა: „2 წლის წინ თბილისიდან ჩვენს სოფელში დასასვენებლად ჩამოვიდა ადამიანი, რომელმაც პირველად თავისი გარეგნობით დამატყვევა, გაცნობის შემდეგ კი თბილი ხასიათითა და იუმორით გამომაშტერა. მოკლედ, მის გვერდით მოჯადოებულივით ვიყავი და დღემდე ასეა — რასაც მეუბნება, ვიჯერებ; რასაც მთხოვს, ვუსრულებ...“ გოგონას თქმით, ის „ლოვესთან“ ერთად ტყეში დადიოდა, რათა მისთვის ეკოცნა, მაგრამ ერთხელაც, მხოლოდ კოცნას არ დასჯერდნენ... „მპირდება, რომ არასდროს მიმატოვებს, რომ უნივერსიტეტში ჩავაბარებთ თუ არა, ოჯახის შექმნასაც შევძლებთ, მე კი ლოდინი აღარ შემიძლია. თანაც, ამ ახლო ურთიერთობის შემდეგ რომ დავფეხმძიმდე, რაღა მეშველება?..“**

*ლიკა ქაჯაია*

**ცქნაფა:**

„ჩემო კარგო, შენ გამო ვწუხვარ, თუმცა არც პირველი ხარ, ვინც მსგავს რამეს გვწერს და არც უკანასკნელი იქნები. ვერ ვხვდები, ამ გოგოებს ტვინი სად აქვთ, ბიჭებს რომ ნებდებიან? იცი, რა, სინანული უკვე გვიანია. სამწუხაროდ, მტყუანი შენ გამოდიხარ, რადგან ის ბიჭია და ყველაფრის უფლება აქვს. წარმატებებს გისურვებ! P.S. ყოველი შემთხვევისთვის, თუ რამეა და მიგატოვა, კუზანოვის კლინიკას მიაკითხე და დარწმუნებული ვარ, დაგეხმარებიან“.

**გრუზინკა:**

„ძალიან ვწუხვარ, ასეთი შეცდომა რომ დაუშვი. „ლოვეს“ მართლა თუ უყვარხარ, თავს არ დაგანებებს, მაგრამ ეცადე, ინტიმური ურთიერთობისგან თავი შეიკავო, ხოლო თუ ამას გაიძულებს, დაშორდი. ჯერ მხოლოდ 18 წლის ხარ, ცხოვრება წინ გაქვს და ერთი შეცდომის გამო ფარ-ხმალი არ უნდა დაკარგო. ღმერთი არ გაგწირავს. წარმატებები!“

**უწუწური:**

„ვცდილობ, თავი შენ ადგილას წარმოვიდგინო, მაგრამ ამას ვერ ვახერხებ. გირჩევ, შეცდომა აღარ დაუშვა. აგრძნობინე, რომ ჩადენილს ნანობ. არ გეწყინოს, მაგრამ როცა „ლოვესთან“ ასეთი რამ ხდება, მერე ბიჭი ყველანაირ ინტერესს კარგავს და სიყვარულიც სადღაც ქრება. ახლავე შეეგუე აზრს, რომ ერთხელაც, ის შენგან წავა. იმედია, ვცდები და მალე თქვენი გაბედნიერების ამბავს შევიტყობ. ვიდრე ნაბიჯს გადადგამ, დაფიქრდი ხოლმე. გკოცნი“.

**თეკლა:**

„ეს ჩვეულებრივი ამბავია. მერწმუნე, თუ უყვარხარ, არ მიგატოვებს. არ ინანო ის, რაც თქვენ შორის უკვე მოხდა. ხშირ შემთხვევაში, ეს გარდაუვალია“.

**ფაშისტა:**

„ქარაფშუტა ხალხი ნერვებს მიშლის. იცი, რას გეტყვი, ჩემო კარგო? რაც გინდოდა, ის მიიღე და მაგანაც თავისი „გაისწორა“. რა, ეგრე არაა? ხალხისგან რა რჩევას ელი? ამხელა გოგოს გრამი ტვინი არ გქონია თავში. ცხოვრებაში ყველაფერს სიყვარულით ვერ გაამართლებ და ოდესმე, საკუთარ შეცდომაზე პასუხს ყველანი ვაგებთ“.



**პარიჟანკა:**

„ლიკ, ამ გასულელებული გოგონების მესიჯებს რომ ვკითხულობ, დაკონტაქტების კი არა, მათი გამოლანძღვის სურვილი მიჩნდება, ამიტომ რჩევისგან ყოველთვის თავს ვიკავებ, ამჯერად კი... ირმა, შენ ახლა იწყებ ცხოვრებას, მაგრამ უკვე მისი დამახინჯება მოახერხე. რასაც ბიჭი გთხოვს, ყველაფერი უნდა შეუსრულო? ნუთუ, ღირსების გრძნობა არ გაგაჩნია? მერწმუნე, „ძალით შეტენვაც“ უღირსი საქციელია და შენს შეცდომას გამართლება არც მაშინ ექნება, თუ ის ბიჭი ცოლად შეგირთავს — იმედს ვიტოვებ, რომ ასეც იქნება, მაგრამ ამის ძალიან მცირე შანსი გაქვს. აწი მაინც ნუღარ დანებდები, მის თვალში საბოლოოდ არ დაეცე. სწორი გზა გეპოვნოს“.

**აგნესი:**

„არასწორად მოქცეულხარ და კარგია, ამას რომ მიხვდი. მოთმინება იქონიე და ის აუცილებლად მოგიყვანს ცოლად. ეცადე, მასთან ურთიერთობა არ გაიფუჭო. ისწავლე, იშრომე და ყველაფერი კარგად იქნება. აბა, წარმატებებს გისურვებ!“

**გადარეული:**

„საკუთარი თავისთვის ბევრის უფლება მიგიცია. როცა „ლოვე“ მყავდა, მასთან მხოლოდ „ვზასაობდი“. მართალია, სხვა რაღაცებიც მინდოდა, მაგრამ ის გოგო უარზე იყო და ხომ არ გავაუპატიურებდი?.. ისე, რა დროს ეგ იყო, ამ სიცხეში?!“

**დადუნა:**

„საყვარელო, რას ფიქრობდი მაშინ, როდესაც მასთან ერთად სიყვარულით ტკბებოდი? შეიძლება, ეს ნამდვილი სიყვარული არც იყოს, ჰოდა, დაგინგრევია შენი ცხოვრება და ეგაა. არ ვიცი, რა გირჩიო. ერთს გეტყვი: ახლა ხომ ისწავლე, რომ ასეთი წინდაუხედავი ნაბიჯი აღარ უნდა გადადგა?.. გკოცე. ღმერთმა ქნას, რომ მალე ცოლ-ქმარი გახდეთ და ბედნიერი ოჯახი შექმნათ“.

**სვანის ასული:**

„ამ თემაზე უკვე იმდენი დაიწერა და ითქვა, რომ აღარ ვიცი, რა დავამატო. ფაქტია, შეცდომა უკვე დაუშვი და ის შეძლებისდაგვარად უნდა გამოასწორო. მე მომავლის განჭვრეტა არ შემიძლია, მაგრამ დიდია იმის ალბათობა, რომ იმ ბიჭთან ერთად ოჯახურ ცხოვრებას ვერ ააწყობ. ისე, უმაღლეს განათლებაზე გიფიქრია, მომავლის გეგმებიც დაგიწყვია და იმ მაცდურ (როგორც შენ ახასიათებ) ყმაწვილს ტყეში რაღას მიყვებოდი? ალბათ, მას შენთვის არაფერი დაუძალებია... მინდა, კარგი გარეგნობით „მოსპეკულირე“ ბიჭების საყურადღებოდ ვთქვა, რომ ადრე თუ გვიან, ცოდვები მოეკითხებათ და სჯობს, პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება ისწავლონ. ისე კი, ასჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერიო, — ჭკვიანური ნათქვამია და თუ ამას გავითვალისწინებთ, ცხოვრებაში გაცილებით ნაკლები პრობლემა გვექნება“.

**კლეოპატრა:**

„საქმე აქამდე არ უნდა მიგეყვანა. როცა რაღაცის გაკეთება არ გინდა, ამას ვერავინ და ვერაფერი გაიძულებს. რას იზამ — იმას, რაც მოხდა, ვერ შეცვლი. უბრალოდ, მიჰყევი გზას და ცხოვრების დინებას. ეცადე, შეცდომები აღარ დაუშვა. დრო გიჩვენებს, თუ როგორ უნდა მოიქცე. P.S. ილოცე, რათა უფალმა სწორ გზაზე დაგაყენოს და დაგიფაროს“.

**პაწუკა:**

„შენი მესმის, დაიკო, თუმცა ჯერ 14 წლის ვარ და ასეთი რაღაცები არ გამომიცდია. ჩემგან განსხვავებით, შენ დედა გყავს და მას სთხოვე, რაიმე გირჩიოს.

ვფიქრობ, იმ ბიჭს უნდა შეეშვა. ვიცი, ეს გაგიჭირდება, მაგრამ მაინც, შეეცადე და ცხოვრებას სხვა თვალით შეხედე, ძვირფასო. წარმატებები!“

**რეალის ფანი:**

„ჩემო კარგო, ძალიან ცუდ მდგომარეობაში ხარ და რჩევის მოცემა მართლა მიჭირს, მაგრამ ვფიქრობ, „ლოვემ“ დაუყოვნებლივ უნდა მოგიყვანოს ცოლად — სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ“.

**თემო, ადვოკატი:**

„ცხადია, მას ნამდვილად უყვარხარ, რადგან შენს სანახავად ხშირად ჩამოდის. ერთმანეთი რომ არ გყვარებოდათ, ის არ მოხდებოდა, რაც ახლა ასე განერვიულებს. კარგია, რომ სწავლაზე ფიქრობს და დაოჯახებასაც ამის შემდეგ გეგმავს — უსწავლელი კაცი ნამდვილად არ გამოგადგებოდა. ლამაზ სტუდენტობას და ლამაზ მომავალს გისურვებთ! ძალდატანებით კიდევ, ოჯახს ვერ შექმნი. იმედია, შენი მამაკაცი არ გიღალატებს. ბედნიერებას გისურვებ!“

**სოფი:**

„ეს ყველაფრის დასასრული არაა — მას უყვარხარ და შენც გიყვარდეს. მთავარია, მოთმინება იქონიო და აუცილებლად მოგიყვანს ცოლად. თავი დაიცავით, რათა ნაადრევი ფეხმძიმობა აიცილოთ“.

**თაკო:**

„ჩემო კარგო, შენი მესმის, მაგრამ საკუთარი თავისთვის ამდენის უფლება არ უნდა მიგეცა. რომ არ შეგირთოს, მერე რას აპირებ? ძნელია ამის მოსმენა, მაგრამ მაინც გეტყვი: არც ერთი ბიჭი არაა სანდო. ისინი თავისას რომ მიიღებენ, მერე ყველაფერს ივიწყებენ. მესმის, შენ გიყვარს, მაგრამ მას ნამდვილად უყვარხარ? იმის გარანტია გაქვს, რომ სხვას არ შეხედავას? ჯერ პატარა ხარ და მომავალზე დაფიქრდი. კეთილისმსურველი“.

**კუტრინა:**

„რა უაზრო რაღაცებზე გვიწევს რჩევის მიცემა. გოგონები იმაში ცდებით, რომ ბიჭებს გარეგნობის მიხედვით აფასებთ. იუმორი და თბილი ხასიათი არაფერ შუაშია, შენ უბრალოდ, მისმა გარეგნობამ დაგადებილა. ირმა, გენაცვალე, იმ ასაკში ხარ, როცა ტვინი უნდა გემატებოდეს, შენ პირიქით — გაკლდება? რას ჰქვია, ყველაფერს უსრულებ? რომ გითხრას, წყალში გადახტიო, უნდა გადახტე? კარგი, ბატონო, კოცნა მოსული პონტია და ისიც მაშინ, თუ დიდი ხნის ურთიერთობა გაკავშირებთ, მაგრამ აკრძალული ხილი რატომ გასინჯე? აბიტურიენტები ხართ და, რა თქმა უნდა, ჯერ ცოლად არ მოგიყვანს. მისი მესმის კიდეც — სწავლის გაგრძელება უნდა. თუ „ლოვეს“ არ მოუცია იმის საბაბი, რომ იფიქრო, — არ ვუყვარვარო, თვალებს წინასწარ რატომ ითხრი? დაელოდე, გახდეს სტუდენტი და მოგიყვანს ცოლად, აბა, რას იზამს?! მანამდე მუცელი გამეზრდებაო, არა? — ამაზე მანამ უნდა გეფიქრა, ვიდრე აკრძალულ ხილს მიირთმევდი. მაგ საქმეს ახლა აღარაფერი ეშველება, ლოდინი მოგიწევს და იმედია, ეს ლოდნი გაამართლებს“.

**ქეთა:**

„შენმა „ესემესმა“ ამატირა, გულწრფელად ვწუხვარ, მაგრამ სამწუხაროდ, არ ვიცი, რა გირჩიო. ჯერ ნურაფერზე დარდობ. იქნებ, მართლა ძალიან უყვარხარ და შენს მიტოვებას არც აპირებს, თუ არადა, ჯერ სულ პაწაწუნა ხარ და ცხოვრება წინ გაქვს. მერწმუნე, უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში შენი ცხოვრებაც შეიცვლება, უამრავ ადამიანს გაიცნობ და მათ შორის ისეთიც გამოჩნდება, ვინც შენს სიყვარულს დაიმსახურებს. მთავარია, შეცდომა აღარ დაუშვა. თავს ნუ იტანჯავ, ამქვეყნად უშეცდომოდ არავინ ცხოვრობს, ყველანი საკუთარ შეცდომებზე ვსწავლობთ რაღაცას... ახლა მთავარი შენი წარმატებაა. ჩააბარე უნივერსიტეტში, ისწავლე და შენი თავის გჯეროდეს. ყველას დაუმტკიცე, რომ სხვებზე ნაკლები არაფრით ხარ. მთავარია, ტკივილი დაძლიო და სწავლაზე იფიქრო. უფალი შენ გვერდითაა და ვერც კი ამჩნევ, როგორ გეხმარება. მას სთხოვე, გაგაძლიეროს და აი, ნახავ, რა კარგად იქნება ყველაფერი. წარმატებები!“

N.P.

„შენ თვითონ გცოდნია, რომ სულელი ხარ და ჩვენი მხრიდან ამის ხაზგასმა რა საჭიროა? უთავმოყვარეო ბრძანდები! საკუთარ საქციელს მხოლოდ იმიტომ ნანობ, რომ პრობლემების გეშინია და არა იმიტომ, რომ შეუგნებლად მოიქეცი. ისე, იმ ბიჭის იმედი ნუ გექნება, მის ადგილას ცოლად არც მე მოგიყვანდი. არაფერია იმაზე საშინელი, როცა ურთიერთობ ადამიანთან, რომელსაც საკუთარი აზრის დაფიქსირებაც არ შეუძლია“.

**ლუნა:**

„იმაში ნამდვილად გეთანხმები, რომ სულელურად მოიქეცი. შენ მეტი თავშეკავება გმართებდა. გოგო თავის სიწმინდეს ყოველთვის უნდა გაუფრთხილდეს. რას ჰქვია, „ლოვეს“ ცოლის მოყვანა ჯერ არ უნდა? ის ვალდებულია შეგირთოს და შენს კეთილდღეობაზე იზრუნოს. გამორიცხული არაა, რომ დაფეხმძიმდე და მერე რაღას იზამ? „სახელის გატეხვას თავის გატეხა სჯობს“ და ვიდრე გვიანი არაა, შეყვარებულს დაელაპარაკე. თუ ვაჟკაცია, ცოლად მოგიყვანს, თუ არადა, მიგატოვებს. რაც შეეხება შენს რჩევას, გეთანხები და ამას აუცილებლად გავითვალისწინებ. სულიერ სიძლიერეს გისურვებ! გაკოცე“.

**მადამ 20:**

„ნურაფერს იდარდებ. მართალია, ცუდად მოიქეცი, მაგრამ უკვე ვერაფერს შეცვლი. ისე, სად გეჩქარებოდა? ჯერ ჩაგებარებინათ, გესწავლათ, მერე გათხოვდებოდი მაგ შენს „ლოვეზე“ და თქვენ შორის ყველაფერი თავის დროზე მოხდებოდა. არ მინდა, გული გატკინო, მაგრამ გამიგონია: თუ ქალსა და მამაკაცს შორის ასეთი ურთიერთობა ქორწინებამდე ხდება, მერე მამაკაცი ქალის მიმართ ინტერესს კარგავსო. ღმერთი გფარავდეს“.

**ზოზინა:**

„არა უშავს, რაც მოხდა, მოხდა, მაგრამ თავი არ დაიღუპო და საკუთარ თავში არ ჩაიკეტო. იცოდე, ცხოვრება გრძელდება“.

**ტერეზა:**

„ცხოვრებაში ყველა უშვებს შეცდომას, მაგრამ მთავარი მათი გამოსწორებაა. იმას, რაც შენს შემთხვევაში მოხდა, არაფერი ეშველება. სამაგიეროდ, ჭკუას ისწავლი და მომავალში ასეთ შეცდომას აღარ დაუშვებ. დაიმახსოვრე, შენ გოგო ხარ და ემოციების მართვა უნდა შეგეძლოს. ხომ გაგიგონია, — ჭკვიანები სხვის შეცდომებზე სწავლობენ, სულელები კი საკუთარზეო“.

**ჯაბუნია ამუნია:**

„დაელოდე, იქნებ, რას აპირებს? იცოდე, თუ გითხრა, ცოლად არ მოგიყვანო, არც შეეხვეწო. ისე, ძალიან ცუდად მოიქეცი, სირცხვილია“.

**ჭრიჭინა:**

„ჯერ ერთი, თუ ასეთი გამოდებილებული (ეს სიტყვა ლექსიკონიდან ავიღე) იქნები, ვერაფერსაც ვერ შეცვლი. მეც უაზროდ მიყვარს შეყვარებული, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველაფერზე თავი უნდა დავუქნიო. ადამიანმა აუცილებლად, საკუთარი აზრი უნდა დააფიქსიროს... მან თავისი გაისწორა და ახლა, ყურს „გიხედნის“, რომ ჯერ დაოჯახებას არ აპირებს. თავი დაიფასე და სხვებიც დაგაფასებენ. იცოდე, სიყვარულმა არ დაგაბრმავოს. წარმატებები!“ ■

# „კლასში პრობლემები მაქვს, მეგობარიც არ მყავს“

**ლიკა-ლიკ 16:**

„გამარჯობა. თქვენი დახმარება მჭირდება. მოკლედ, კლასში პრობლემები მაქვს — სულ ცდილობენ, ნერვები მომიშალონ. პრობლემა მხოლოდ ჩემში არაა, თავად არიან ასეთები. ბევრჯერ დავაპირე სკოლის შეცვლა, მაგრამ მერე ვიფიქრე, — ცოტასაც გავუძლებ-მეთქი, თუმცა ეს უკვე შეუძლებელია, სიტუაცია აუტანელი ხდება... თავს მარტოდ ვგრძნობ, ნორმალური მეგობარიც არ მყავს. მირჩიეთ რამე, „პლიზ“, სკოლა შევიცვალო? ცნობისათვის, მეთერთმეტე კლასში გადავდივარ“.

*P.S. **მაშ ასე, თუ ლიკა-ლიკ 16-ის წერილის წაკითხვის შემდეგ, მასთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მას თქვენი დახმარების იმედი აქვს.*** ■



# მობილი-ზაცია

**იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.**



## ქალები

1. მარი, სადმე „ქალებში“ მიმაწერე რა, „პლიიზ“... ეს ნანადირევი ტერეზას — ჩემგან. : ) სიყვარულით, ლიმონა...

2. ვარ სიმპათიური გოგო. გავიცნობ 20-დან 25-წლამდე ასაკის, სერიოზულ ბიჭს.

3. ვეხმაურები მე-7 მესიჯის ავტორს, 55 წელს გადაცილებულ მამაკაცს. ვარ 50 წლის, სიმპათიური ქვრივი. მიმანიშნეთ თქვენი ნომერი.

4. ვეხმაურები 42 წლის მამაკაცს. „გზა“ №16. ვარ 40 წლის, ლამაზი ქალბატონი. თუ სურვილი გაქვთ, დამიკავშირდით ახალ ნომერში.



## კაცები

5. გავიცნობ კულტურულ და არამსუქან ქალბატონს, 35-55 წლამდე, ოჯახის შესაქმნელად. ვარ 55-ს გადაცილებული, ჯანმრთელი და თბილი ბუნების. მაქვს პატარა ბინა.

6. ვარ 26 წლის მამაკაცი, ნორმალური აღნაგობის, ვცხოვრობ კახეთში, მაქვს ნორმალური სამუშაო. ოჯახის შექმნის მიზნით გამომეხმაუროს 20-დან 25 წლამდე ქალიშვილი.

7. ვარ გოგიტა, 29/175/70. ვარ დასაქმებული, ბუნებით მეოჯახე. გავიცნობ წყნარ, შესაფერის გოგონას, საქმიანს, ლამაზს, პატიოსანს, სუსტი აღნაგობის. წრფელ სიყვარულს ვეძებ.

8. ვეხმიანები „გზა“ №18-ში გამოქვეყნებული, მე-5 მესიჯის ავტორს, 20 წლის გოგოს. იქნებ თქვენი დახმარება შევძლო, დამიკავშირდით. ლუკა.

9. ვარ 28 წლის მამაკაცი. მსურს გავიცნო თბილი, მოსიყვარულე, ქმრის მორჩილი, მორწმუნე და ქართული, ტრადიციული მანდილოსანი, ოჯახის შესაქმნელად! დაამესიჯეთ საღამოს 10 სთ-დან!

10. ვარ სპორტული აღნაგობის, საშუალო სიმაღლის, 44 წლის, უცოლშვილო მამაკაცი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 37 წლამდე ასაკის, სასურველია, ბინიან, გაუთხოვარ, პატიოსან ქალბატონს.

11. გავიცნობ 27-33 წლის, სულით მდიდარ გოგოს, ვისაც სურს ჰქონდეს ლამაზი ოჯახი. მსურველმა მომწეროს საღამოს და გამომიგზავნოს ფოტო.

12. ვეხმიანები ჟურნალ „გზის“ 22-ე ნომრის მე-2 მესიჯის ავტორ ქალბატონს, ქუთაისიდან. შემეხმიანეთ. გია.



## ვეძებ

13. ვეძებ სტუდენტობის მეგობრებს, ტყუპ და-ძმას გორიდან, ლია და გია ბალოიანებს. 1968.20.04, სწავლობდნენ ცხინვალის სასოფლო ტექნიკუმში. ელისო, აჩაბეთიდან.

**ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მობილი-ზაციისთვის“ გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრებილი, არ გამოქვეყნდება!**

| | | |
|---|---|---|
| ა — a | მ — m | ღ — gh |
| ბ — b | ნ — n | ყ — y |
| გ — g | ო — o | შ — sh |
| დ — d | პ — p | ჩ — ch |
| ე — e | ჟ — zh | ც — c |
| ვ — v | რ — r | ძ — dz |
| ზ — z | ს — s | წ — w |
| თ — t | ტ — t | ჭ — wh |
| ი — i | უ — u | ხ — x |
| კ — k | ფ — f | ჯ — j |
| ლ — l | ქ — q | ჰ — h |



## სხვადასხვა

• გენაცვალეთ რეალ, მადრიდის ფანებს. მის რეალ, ძალიან მაგარი ხარ! აბა, რაა... იქითა სეზონიდან გამარჯვება და თასი ჩვენია. LOVE STAR.

• ახმეტის მეორე საჯარო სკოლის მეშვიდე-მეორე კლასი მაგარია! გენაცვალეთ სუყველას. LOVE STAR.

• ახმეტის მეორე საჯარო სკოლის მეშვიდე-მეორე კლასს ვულოცავ გამარჯვებას და ვუსურვებ წარმატებებს. ლეგო, მაგარი ხარ. LOVE STAR.

• მადლობა „გზას“. დიდი ხნის უნახავი თანაკურსელები ვიპოვე, თქვენს ჟურნალში გამოქვეყნებული განცხადების შედეგად. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა, ამ სიხარულის მონიჭებისთვის.

• პაატა, ყველაფერი კარგადაა, ბავშვებიც კარგად არიან. ზეიმზე ნიკამ იცეკვა. ლუკა გაეშმაკდა ძალიან. ოვიკამ 50 ლარი მომცა, 30-ს ჩაგირიცხავ. გიაც მაძლევს. ხათო.

• პაატა, როგორ ხარ? ეკა ვარ. დამპალო, ძალიან მომენატრე. მოგწონს კურორტზე დასვენება? მეორე ეკამ მოგიკითხა, მოხვალ სახლში და დაგელაპარაკები... მპა.

• მაგრად მენატრები, ჩემო სიხარულო. ნეტავ თუ ოდესმე შეგხვდები და გნახავ? სულ შენზე ვფიქრობ, კუკუნი. თეკო.

• მოძველებულო, შემთხვევით ჩხოროწყუელ „გლაზოკას“ ან ხულოელ „კასტილას“ ხომ არ იცნობ? მიდამოებს შეხედე აბა, სადმე ცოტათი ხომ არ გეღუტუნება? ეგ შენი ხანში შესული აზრები კი შენს ხანში შესულ ბებოსთან აფრქვიე, კაიი? ჩვენში დარჩეს და მაგარი ცოდო ხარ. ალაჰს ებარებოდე ან ბუდა იყოს შენი მფარველი. :-) მისტერ.

• აუ, რა ბანძები ხართ, მგზავნელებო... რა „გზა“? „ოსკარჩათი“, 4EVER! ჩათელი როკის გიჟუკა.

• მგზავნელებო, ყველანი ძალიან მაგრები ხართ. მარი, შენც ძალიან მიყვარხარ, მაგრამ რეალის ფანები მაინც ყველაზე მაგრები არიან. მიყვარხართ... რეალის ფანი.

• ჩემი დაიკოს, მემეს ნათქვამს ვითვალისწინებ და „გზაში" შენ მიმართ კომენტარს არ გავაკეთებ, მისტერ! არც შემშინებია და ვერც ვერავინ შემაშინებს. უბრალოდ, მემეს უდიდესი ხათრი მაქვს. ისე, მისტერ, თუ გინდა, ეგ თემა, „გზის" გარეთ გავაგრძელოთ. არ არის სასიამოვნო, უთანხმოებამოსული სმს-ების საჯაროდ გამოფენა. კუტრინა.

• ვინც დაბრუნდა, გაუმარჯოოოს! რუისპირ, უნდა გაგიხეთქოს კაცმა თავი! რას გვანერვიულებ, ძამი? მართლა ვერა ხარ, პატარავ, ხომ იცი! :))) ტაფა მოგხვედრია? :) კუტრინა.

• დათო, „რაზბორკაზე" შენ არ მოხვედი და კიდევ სხვებს ეძახი კურდღლებს? მაგარი ის კი არ არის, ვინც გარბის, არამედ ის, ვინც მას კურდღელივით მიარბენინებს. აბა, ჰეე... რუსთავი.

• მისტერ, ყოველთვის ვამაყობ ჩემი ქართველობით და შენ რად გაღიზიანებს შენი იეზიდობა? ვკაიფობ, საჯდომით ეკალზე დახეთქებულივით რომ ხტუნავ, შე დორბლიანო წუნკალო.

• მინდა მთვარე ვიყო, მზეს რომ ელოდება. უყვარს სიგიჟემდე, თუმცა ემალება. ყოველ დილით ხედავს, მაინც ენატრება, მისი გულის დარდებს, ვარსკვლავთ მოუყვება. აჩრდილი.

• მაკა სილაგაძეს: ღმერთმა გაგაჩინა ლამაზო არსებავ და მერე სახელად გიწოდა ქალი, დღეს შენი დღეა, იბედნიერე...

• მე „ვაფშე" წავედი „გზიდან". „პროსტა" მაინტერესებდა, სადამდე აიყროლებდით ბინძურ ენებს. PK! 4EVER! ASHLEY PCD.

• იცრუო, უფრო ადვილია, სიმართლის თქმაა ძნელი, შეცდომა დაუშვა — ადვილია, გამოსწორება — ძნელი. გული ატკინო — ადვილია, მოფერებაა ძნელი. რაღაც გამახსენო ადვილია, რაღაც დამავიწყო — ძნელი. ჩემ ღალატს რა უნდა, ადვილია, ერთგულებაა ძნელი. უარის თქმაც ადვილია, პოვნაა ცოტა ძნელი. დავიწყებაც ადვილია, მონატრებაა ძნელი. გავუფრთხილდეთ სიყვარულს. აჩრდილი.

• მინდა, ჩემ ძვირფას დაიკოს, უსაყვარლეს, უთბილეს და უმშვენიერეს ედელვაისს ვუთხრა, რომ ძალიან მიყვარს. დაიკო, ჩემი განძი ხარ, ბრილიანტი, საყვარელო. ფლამინგო.

• ჩემო საყვარელო კლეოპატრა, ძალიან რომ შემაყვარე თავი, ხვდები? ძალიან თბილი და ტკბილი ხარ, დაიკო. რომ გნახავ, იცოდე „შემოჭყლეტა" დასწრებაზეა. ძაან მაგრად ჩაგეხუტები. ფლამინგო.

• ჭრიჭი, აუცილებლად გესტუმრები გენაცვალე, ძალიან მიყვარხარ, საყვარელო. დაი, გეხუტუნე მაგ თბილ გულუკაში. რუისპირ, ჩემი უსაყვარლესი ძამია ხარ. გაიხარე. ფლამინგო.

• მოვიკითხავ აზიელს, გრუზის, ტირიფს, რეალს და ჩემს უძაანჯიგრეს ძამიკოს, 9717-ს. გაიხარე ძამი, ძალიან კარგი ადამიანი ხარ. ფლამინგო.

• ლიმონა, ნუთუ შენ მხოლოდ ამის გამო იკავებ თავს? მგზავნელებს არაჩვეულებრივი ფანტაზიის უნარი აქვს (გვაქვს) და დაე, ავად თუ კარგად, მისცენ (მივცეთ) მას გასაქანი.

• პირადად მე, მხოლოდ „გზავნილები" კი არა, თავად ეს ჟურნალი შემიყვარდა, თორემ... და მაინც, აქ ერთი პატარა ცხოვრება დუღს და შენ პატიოსნად ცხოვრობ, მგონია. :-) სარვიეტა.

• კნუტი, თუ ისურვებ, დამიმეგობრდი. მგონია, ყველა ცუდი, გულგრილია ირგვლივო და ჩემთვისაც უცხო არ არის ცუდი აზრების ტყვეობაში ყოფნა. შენი პრობლემები ყველაზე მტკივნეულია ზოგადად და კეთილგონიერება კიდევ, ძალიან გარგებს. მეგობრები და გულის გადაშლა ვინმესთვის, ასევე შეგიმსუბუქებს დარდს. სარვიეტა.

• „რეალის" ფანოო, „რეალი" მაგარი გუნდიაა! უბრალოოოოდ, კრიზისი გვქონდა, მაგრამ მოურინიო გვიშველის. გაიხარე. კუტრინ, გენაცვალე. ჰოდა ნაპერწკალ, ნებართვა რად გინდა? დაამესიჯე ხშირად და ჩვენთან იყავი. აბეზარა თელავში იყო და ვნახე. იციით, რა სიცოცხლეა? უსაყვარლესი. ცოტა დაბნეული იყო, პირველი მგზავნელი ხარ, ვინც პირადად გავიცანიო. ჩუპი კი წინანდალში იყო და ვერ მოვახერხე გასვლა. არადა, ძალიან მინდოდა. თამ, მიყვარხარ ძალიან, სიხარული. მის რეალი.

• ზოგს აქვს ყველაფერი, ზოგს კი — არაფერი, ზოგს თეთრი აცვია, ზოგს კი შავი ფერი, ზოგს ჰყავს მეგობრები და ბედნიერია, ზოგი მარტო დადის და ხან მშიერია. ზოგი ყველას უყვარს, ფეხქვეშ ეგებიან, ზოგი მარტოსულის ფეხქვეშ — ეკლებია, ზოგისთვის ცხოვრება ტკბილი ჰანგებია, ზოგს კი ბედისწერამ ცოდვით დაგემია. ზოგი დიდხანს ცოცხლობს, ვისთვის — წამებია, ზოგს კი ფუფუნებით ფრთები გასჩენია. ზოგი ისე მიდის, რომ ტოვებს ეკლებს და მე როცა წავალ, დავტოვებ ლექსებს. მის რეალი.

• შენ ისე ჩემი ხარ, თან ისე უჩემო, როგორც იდუმალი ღამე... შენ ისე თბილი ხარ, თან ისე უმზეო, ყინვაში ვატარებ წამებს... ისე ფერადი ხარ, თან ისე უფერო, რომ გაფერმკრთალდები ფიქრში... ისე ძლიერი ხარ, თან ისე უმწეო, წამით მეუფლება შიში... შენ ისე შორსა ხარ, თან ისე ახლოს, რომ გრძნობას ერევა სული... იქნებ ოცნება ხარ, ჩემს რეალობაში, როგორც ნაჩუქარი გული... შენ ისე ჩემი ხარ, თან ისე უჩემო, როგორც მოტირალი ლექსი... შენ ისე ლურჯი ხარ, თან ისე მოშავო, რომ ცხვარს ვეღარ მწყემსავს, მწყემსი... მის რეალი.

• ბინდმა დაიხურა სიცივის საბანი, სიბნელეს ვერ ფანტავს ამ მთვარის ნათელი, ღამე დაეუფლა გონებას, გადაღლილს და სულში დაინთო ათასი სანთელი. გული შემიხუთა სიცილმა გადაღლილს, მარტო ვარ და ვუცქერ ჩემს ფიქრებს სარკეში, თან ბედნიერი ვარ, თან ჩუმად მაწვალებს, რათ არ მენატრები, ასეთ მკაცრ ღამეში. მივხვდი, ემოცია და ძველი ფიქრები, სადღაც დაკარგულა და აღარ მაწვალებს, აორთქლდი ჯადოსნურ და ბოროტ სივრცეში, სიამით დავარწევ გადაღლილ წამწამებს. ყველაში ხომ არის რაღაცა კარგიც და მაინც მომიტევოს უფალმა ცოდვები, თვალები დახუჭე, წარსულის სატანავ, დღეს ბედნიერებავ, მე შენთან მოვედი! მის რეალი.

• მარ, როგორ ხარ? იცი, რაღაც მინდა ვთქვა. ვიცი, ბევრი გამკიცხავს და გამიბრაზდება, მაგრამ... თქვენს ოჯახში შემოსვლა რომ გადავწყვიტე, ვიფიქრე, ახლა ცოტა არეულობაა, იკამათებენ და შემდეგ ის სიყვარული დაბრუნდება, რაც იყომეთქი, მაგრამ მწარედ შევცდი. რამდენიმე ნომერში მთელი ენთუზიაზმით ვწერდი და სიმშვიდეს ვთხოვდი ყველას, მაგრამ აზრი არ აქვს და შენ წარმოიდგინე, რამდენიმე კვირაა, „გზისკენ" არც კი გამიხედავს... დღეს ისევ სულმა წამძლია. გადავშალე, მეთქი იქნებ და ყველაფერი თავის ადგილზე დადგა, მაგრამ შენც არ მომიკვდე... აქ არც მეგობრობა იციან და არც ადამიანობა გააჩნიათ. ვისაც რა უნდა, ის თქვას, მაგრამ სიმართლე მწარეა. თითებზე შეიძლება ჩამოთვალო ისინი, ვინც წრფელი გულითა და გრძნობებითაა აქ. არ ვიცი, დავრჩები თუ არა „მობილი-ზაციაში" და ამიტომ, მინდა, ყველას მოვესიყვარულო, ვინც თბილად მიმიღო და გვერდით დამიდგა. გკოცნით ყველა ღირსეულ ადამიანს...დამავოი, მიყვარხარ უზომოდ. არაჩვეულებრივი ადამიანი ხარ და ძალიან გაფასებ... ვერონა.

• ვაიმეეე! ეს რა სიცხეები დაიწყოო... დავდივარ და უწყლოდ დარჩენილი თევზივით ვაღებ პირს... მინდა ბათუმშიიიი... ჩეემი გიჟებიც მომენატრნენ... სად ხართ დაკარგულები, ჰააა?! ერთი სული მაქვს, როდის ჩამოვალ და ჩაგპწკენთ... SWEET-GIRL.

• მაარ, ცოტა არ იყოს და აფორიაქებული გწერ... რანაირი კომპლიმენტი არ მიმიღია, სხვადასხვაგვარი პროფესიის, რასის, მენტალიტეტის, ასაკისა თუ უბრალო საზოგადოებრივი საქმიანობით დაკავებული ადამიანისგან, მაგრამ პატიმრისგან — არასოდეს და ვერც წარმოვიდგენდი ოდესმე, თუ იმ ჩუმ სამყაროში დაიწერებოდა ისეთი ლამაზი სიტყვები და ისიც ჩემთვის... გავოცდი, გამიხარდა და აღარ ვიცი, კიდევ რა ვთქვა... ულრმესი მადლობა, ბატონო ზაზა... მცირედი კი არა, ჩემი დაბადების დღის ყველაზე დიდ ძღვენად ჩავთვლი მაგ ლექსს... ღმერთი იყოს თქვენი მფარველი. SWEET-GIRL.

• ASHLEY PCD, მაგარი ხარ, გენაცვალე. საერთოდ, ყველანი მაგრები ხართ. მგზავნელებო, დამიკავშირდით. მაგრად მიყვარხართ. თქვენი ახალი მეგობარი. ნინკა.

• გაუმარჯოს ხალხს. რავა ხართ, ადამიანებო? კარგად? კაია! ჰოდა, საქართველო რომ მენატრება, იცოდით? ახლა დამსვა ქუთაისში და მერე გავქვავდე, ალმაშენებელივით.

• რა ხდება „გზაში", ყველა სულელი რომ ამესიჯებთ? ჯერ იყო მისტერი გამოჩნდა, მერე დოლარა, ახლა კიდევ დათო. ხალხო, სხვა საქმე არ გაქვთ? ვიხუმრე რა, ყველანი მიყვარხართ.

• რაია ეგი, ჟურნალი „გზაა" თუ დაოჯახების სააგენტო? მილოცვის დაბეჭდვისთვის მადლობა, მარი. სხვა რავა ხართ, მგზავნელებო?

• კეთილი იყოს ჩემი მესიჯი „მობილი-ზაციაში". მიყვარს რეპი, ფეხბურთი და „გზა"! მოვიკითხავ ყველას. ყველანი მიყვარხართ, სიხარულებო! გაკოცეთ.

• გურიაში მოხუცი კაცი სკამზე დამჯდარი შეშას ჩეხავდა, მისი შვილები კი ჩრდილში ნარდს თამაშობდნენ. ჩამოიარა ერთმა მეზობელმა და დაუძახა: — ოყოფი, რას შობი კაცო, დამჯდარი მუშაობ? ამან მიაძახა: — აბა ძამა, დაწოლილი რო ვიმუშავე, ეგერ არიან ჩრდილში და ნარდის თამაშით თეძოები აქვთ ამოვარდნილიო.

• მაგრად მიყვარხააააართ! აღარ გეკითხებით, მიმიღებთ თუ არა, რადგან ვიცი, რომ საყვარლები ხართ და უარს არ მეტყვით. ხომ ასეა? გაკოცეეეეეთ! ცირა.

• ჩემი დევიზია: დებილები რომ არ იყვნენ ამქვეყნად, შავად მოგვეჩვენებოდა, ყველაფერი.

• 15 ივნისს მარი ჯაფარიძის დაბადების დღეა! მარ, უბრალოდ, მინდა, დიდხანს იცოცხლო და ბედნიერი იყო. შენ ამას იმსახურებ. გმირი (შენ ხომ მიცანი, მარ?)

• ახლებო, მობრძანდით, მე მთელი გულითა და სულით გეპატიჟებით, გზავნილ-ორკში. მეც მინდა, ბედნიერი იყოს ყველა მგზავნელი.

• მგზავნელებო, რა ლამაზები ყოფილხართ, ჰა? დელტა.

• აუ, ძალიან გთხოვთ, ვიღაცა ჩემი ნიკით ამესიჯებს და იქნებ შეიცვალოთ ნიკი? თუ არ გჯერათ, ძველ მგზავნელებს გადახედეთ. დათო.

• წინასწარ ვაცხადებ, ჩემ შესახებ ვინ რა აზრის იქნება, სულ მკიდია, 100 წელი. მარტო მარის რომ წარმოდგენა შევუცვალე ჩემზე, იმაზე მწყდება გული. ჯაფარიძეზე ვამბობ.

• სამწუხაროდ, ერთგული მკითხველი არ ვარ, მაგრამ წაკითხვას ხანდახან ვახერხებ ხოლმე. 1 თვეა, ათენში ვარ და უკვე მენატრება საქართველო. ჩემს საყვარელ ხალხს მოვიკითხავ. მიყვარხართ ყველა. თქვენი გმირი.

• ედემს: ცხოვრება პატარა სოფელია. გაივლი და უცებ დამთავრდება. ეს გზა ისე უნდა გაიარო, გულის ტკივილი არავის მიაყენო და თუ მაინც დაწყვიტე ვინმეს გული და თუ მაინც ვინმეს აацრემლებ და აატირებ, იმ ცრემლის ფასი მაინც იწამე, რომელიც არ ჩანს, მაგრამ გულში ნელ-ნელა წვეთავს.

• იმედის ფერი გინახავს? გულში რომ სათქმელს ინახავს, წვიმის წვეთივით წმინდა ხარ, მე კი უბრალოდ, მიყვარხარ. მარიამულ, ღმერთმა მოგცეს გამძლეობა. მე ახალი ვარ, მაგრამ ძველი მკითხველი. ბევრი ძველი მგზავნელი ნერვების მომშლელია, მაგრამ ახალი მგზავნელები გამოასწორებენ ალბათ, ყველაფერს. მეც მინდა, რომ ყველანი მოსიყვარულეები იყოთ. ყველანი კარგები ხართ.

• მე ამ წუთისოფელში მარტოობის ქალი ვარ, მხრებზე ფიქრის ფანტელი მაცვივა და მაცვივა, მაინც ვიტყვი უბრალოდ, ბედნიერი ქალი ვარ, კვლავ შემინდე უფალო, ყველა ცოდვა, რაც კი მაქვს. მე ამ წუთისოფელში სინანულის ქალი ვარ... მგზავნელებო, ყველანი კარგები ხართ. უბრალოდ, ერთმანეთის აზრს მეტი პატივი ეცით. ყველა იდეალური ვერ იქნება. მაია.

• დასანანია, ახლოს რომ არ ხარ, ძლიერ მადარდებს მე ეს სიშორე, მე მოვაშორებ ამ სივრცეს ფარდას და შენთან მოვალ, მინდა იცოდე. სიყვარულისთვის გაჩენილო, პატარა მტრედო, ოცნებისა და სიყვარულის ლამაზო გედო, აგიხდეს ყველა, რაც ინატრო, დამილოცნიხარ, დამილოცნიხარ და თან ტკბილად ჩამიკოცნიხარ.

• იცი, რაზე ვფიქრობ? შენს ლამაზ თვალებზე. იცი, რა მინდა? მინდა, გაკოცო. იცი, რა მომდის? გული მებზარება. უშენოდ ყოფნა და სიცოცხლე მეზარება.

• კარგებო, როგორ ხართ? აქ ბოროტებამ დაისადგურა, მაგრამ ჩვენ სიკეთით უნდა ვუპასუხოთ. ისე, რა მაგის პასუხია და ყველანი გაგიჟდით? ჯიგრები ხართ! ვაი.

• გამარჯობა, მგზავნელებო, ხომ ხართ კარგად? რატომ ჩხუბობთ? მენატრება ძველი მგზავნელების

მესიჯები. სად წახვედით? ყველა მიყვარხართ.

• მოვიკითხავ ყველა მგზავნელს. ძალიან მაგრები ხართ. „გზავნილებს“ დიდი ხანია ვკითხულობ და გადავწყვიტე, მეც შემოგიერთდეთ. მზად ხართ, მიმიღოთ თქვენს მრავალრიცხოვან ოჯახში? კესარია.

• გამარჯობა, მარი-ქალო! ეს რა ამბავი აგიტეხავთ „გზაში“? მე კი უფრო თბილ „გზას“ ვიცნობდი. მანდ მე არავინ მიცნობს, მე კი ყველანი მიყვარხართ.

• დიდი ხანია, მგზავნელი ვარ. ის კარგი დრო მახსოვს, სიკეთისა და სითბოს მეტი რომ არაფერი იკითხებოდა „გზავნილებში“. მჯერა, დრო გავა და რაც ახლა აქ ხდება, მოგონებად დარჩება.

• მიყვარხარ. იცი, როგორ? ყოველწამიერად. ხარისხებისა და კოეფიციენტების გარეშე. სიტყვებისა და ქმედებების მიზანშეუწონლად. ამ სიყვარულსაც საოცარი ინტენსიურობისა და მუდმივობის თვისება აქვს. ყოველთვის ვითარდება, იზრდება, აქტიური ხდება და საშინლად ზემოქმედებს გონებაზე, რომელსაც სარტყელივით შემოკვრია შენზე მოგონებები და გასაქანს არ აძლევს ამინდის, დროის, გარემოებებისა და სივრცის მიუხედავად. მენატრები, ტირილამდე მენატრები და ამ ყველაფერს არ აქვს საზღვარი. არ ვიცი, როგორ ვიცხოვრო უშენოდ. მეშინია ამ სიტყვის. ვერ ვისწავლე უშენოდ ცხოვრება. შენი ხმა მენატრება, შენი ამბები მომაკლდა, შენი ადგილი გაიყინა ჩემში. მოდი, ნუ დამიკარგავ იმედს, რომ ხარ. კიდევ ამირჩიე, გამათბე, გამიღიმე, გიყვარდე. აღარ მიმატოვო, რადგან მე დავიღალე შენი ძებნით, ჩვენ შორის არსებული სივრცის შეგრძნებით, დროის თვლით, შენი მოლოდინით... მენატრები. შენ აღარ მისრულებ თხოვნებს, არ მიბრუნდები... მომწონს ეს სიტყვები. ნანო.

• როცა მოვკვდები, წავალ იმქვეყნად, არ დამივიწყო, გემუდარები, ხშირად ამოდი ჩემს სამარესთან და მომიტანე თეთრი ვარდები. არ გიყვარს ნუთუ, თეთრი ვარდები?

• მე ახალი ვარ, მიმიღებთ? P.S. ყველა ძალიან საკალელია.

• წუთისოფლის სტუმრებს სიძულვილის დრო არ გვაქვს. მოსვლით რა მოგვაქვს, წასვლისას თან რომ წავიღოთ? მხოლოდ ღირსეულ სახელს ვტოვებთ უკვდავსაყოფად.

• ნეტავ, უშენოდ როგორ ვიყავი ან ეს სიცოცხლე როგორ დავძლიე, არ ვიცი, ჩემთან რამ მოგიყვანა, მაგრამ მოხვედი და გადამრიე.

• აუ, რა სულ ჩხუბია, აქ? რა ვერ გაიყავით? ერთმანეთის ლანძღვა კარგად გამოგვდის და ახლა სიყვარული ვნახოთ, ეგ უფრო კარგად გამოგვივა. მე პირადად ისე მიყვარხართ თითოეული თქვენგანი, რომ უკვე სურვილი მაქვს, ყველა გაგიცნოთ. გაკოცეთ უამრავი.

• ერთ საღამოს ვსეირნობდით და თან მეგობრობასა და სიყვარულზე ვსაუბრობდით. ერთმა თქვა, მეგობარს რომ დაინახავ, ისეთი შეგრძნება გეუფლება, როგორც სიბნელეში მიდიოდე, გზას ვერ იგნებდე და უეცრად ნათურა აინთოს, ხოლო შეყვარებულს რომ დაინახავ, ოოო... როგორც „პროჟექტორმა“ მოგანათოს, აი ისეაო. მიყვარხართ ყველა.

• მოვიკითხავ ყველა მგზავნელს. ძალიან მაგრები და ჯიგრები ხართ, „გზაელებო“. შემოგევლეთ, თქვენ გაგიმარჯოთ.

• „გზავნილები“ ლამაზი ზღაპარი არ არის, რომ მხოლოდ სიყვარული და სითბო ტრიალებდეს აქ და მიუხედავად ამისა, რაც არ უნდა ვიძახოთ ერთმანეთზე, რომ ძალიან კარგები ვართ, ეს ასე არ არის. ლანძღვა და ჩხუბი... კარგი რა, ხალხო, არ მოგბეზრდათ? სად გაქრა ძველებური სიყვარული? ნუთუ გგონიათ, მაშინ, როდესაც ვინმეს ლანძღავთ, ღმერთს ემსახურებით? სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. უფალს ებარებოდეთ. გიყვარდეთ ერთმანეთი, ამით უფრო მეტს მიაღწევთ ცხოვრებაში! „სიყვარული აგვამაღლებს“.

• მარტო ხარ? მოდი, ერთად ვიმარტოვოთ, ორივემ სიმარტოვე მივატოვოთ, სიკვდილამდე სიყვარულით ვისაზრდოოთ, ერთმანეთი არასოდეს მივატოვოთ.

• მარტო ვარ ისევ, შენს ლოდინში წვიმად ქცეული/ წვიმის წვეთებად შენი ფანჯრის წინ ჩამოფრქვეული/ მარტო ვარ ისევ... შენს ლოდინში ღამედ ქცეული/ღამის აჩრდილად შენი სახლის წინ გადაქცეული/შენზე ფიქრებში მერამდენედ ატირდა გული/ ვინ იცის კიდევ რამდენ ტანჯვას გაუძლებს სული/ ისევ ცრემლის ღვრა, მარტოობა, ლოდინი, ტანჯვა/ სიცოცხლეც მორჩა, უკვე აღარც ღირს ამდენი მოცდა/ ოცნებამ შენზე საოცნებო დროც კი არ მომცა...

• ჩვენი სიყვარული არქივს დაემსგავსა, ხავსი მოეკიდა თანდათან, მაინც გაუფრთხილდი, შენი წარსულია, მტვერი გადაწმინდე, ხანდახან.

• მგზავნელებო, ჯერ თქვენს გულებში ჩაიხედეთ და გააცნობიერეთ, ვინ და როგორები ხართ. თქვენს ნაწერებს დაუკვირდით და ლანძღვას მოეშვით, თავი რაცხად ნუ მოგაქვთ.

• მოგესალმებით, მგზავნელებო. დიდი ხანია, „გზის“ ერთგული მკითხველი ვარ, თუმცა მხოლოდ ახლა შემოგიერთდით და იმედი მაქვს, თქვენს მეგობრულ ოჯახში მიმიღებთ.

• ერთი წვეტიანი შეკითხვა არ მასვენებს. მე ვზივარ ხეზე და ვფიქრობ შენზე. შენ რომ იყო ჩემზე, იფიქრებდი ხეზე?

• მართალი ყოფილა: „სჯობს ეძიო და ვერ ჰპოვო, ვიდე ჰპოვო და დაკარგო“... ადრე სხვაგვარად ვფიქრობდი, მაგრამ...

• რა გჭირთ ხალხო, რა დაგრუზულები ხართ? რა იყო? მარ, დაბლოკე რა, აგრესიული მესიჯები და მოსწყინდებათ, ბოლოს და ბოლოს. ქუთაისი.

• რა გჭირთ, ხალხო, რას იკბინებ-იღრინებიგესლებით? არ ჯობია, ერთმანეთის ფერებასა და სიყვარულში გავატაროთ ეს წუთისოფელი?

• ჩემმა ცხოვრებამ უშენობა დაირქვა... არა, არა, უფრო სწორად, მიუხედავად მისი ძალიან დიდი წინააღმდეგობისა, შენ დაარქვი მას ასე. საშინელებაა... ნაღვლიანი... სევდიანი... ცრემლიანი... შენს გარეშე სიცარიელის შეგრძნებითა და ტკივილით სავსე. შენს ემოციებს მოკლებული, შენს ღიმილს, შენს თვალწარბს, შენს მზერას, შენს სიყვარულს მოკლებული... აუტანელია ეს ყველაფერი... შენ საოცრად თბილი და მოსიყვარულე იყავი, მშვიდი, ხალისიანი და მგრძნობიარე... მაშინ საერთოდ არაფერზე ვფიქრობდი, სიყვარულით სავსე გიყურებდი და მეგონა, ასე გაგრძელდებოდა ყოველთვის. მაგრამ შენ... დღეს ჩემი ყინულის დედოფალი ხარ. აღარ მიღიმი, აღარ მათბობ იმ ემოციებით, ერთ დროს რომ შენი თვალებიდან იღვრებოდა. მიმატოვე და ფიქრებში, ოცნებაში საფერებლად დამრჩი... სევდისა და ცრემლების ფერია, დიდი და აუტანელი, მტანჯველი ტკივილი, მონატრებად დარჩენილი ფიქრი, შენ ჩემი დაუსრულებლობა ხარ. კანონზომიერ რეალობას ვეძებ. ვერ ვიპოვე! ცხოვრება ზღაპარია, რომელსაც უშენობა ჰქვია და მას არასოდეს ექნება კეთილი დასასრული, რადგან სხვა ზღაპრებივით უბრალო ზღაპარი არ არის. ის ხომ უშენობად ქცეული ზღაპარია...

• ტირიფის ძირში ფიქრობდა ქალი და შესცქეროდა მტირალა ტირიფს, ქალმა მიმართა თხოვნით მტირალას, ტირიფო, გთხოვ რომ შეიშრო ცრემლი, შენი შემყურე მეც ავტირდები, მაგრამ ტირიფი უსიტყვოდ იდგა და განაგრძობდა ფარულად ქვითინს.

• გზას გაგინათებ დღეს ჩემი ლოცვით, მაგ ლამაზ თვალებს აგივსებ კოცნით, მე შენ მიყვარხარ ამ დიდი გრძნობით, შენს კარგად ყოფნას ღმერთს ვეტყვი, თხოვნით.

• ზღვისფერი გაქვს თვალები და თავად ჰგავხარ ზღვას, თუ არ შეგებრალები და მისთხოვდები სხვას, მივატოვებ გაზაფხულზე თესვასა და ხვნას, გადავლახავ ადიდებულ ჭოროხსა და მტკვარს, ცეცხლს გავატან შენს სამყოფელს, ჩვენს სიყვარულს — ქარს და მოგიკლავ, მოღალატევ, მაგ ნაფერებ ქმარს. ზღვისფერი გაქვს თვალები და თავად ჰგავხარ ზღვას. — ისევ ზღვისფერი დამაქვს თვალები, სხვისი ცოლი ვარ კვლავ, ისევ შორიდან გეალერსები, ისევ შორიდან მწვავ. ო, რა ტყუილად დაგიკვეხნია, მე მოგიკლავო ქმარს, შენი მუქარა, შენი ძახილი, გაჰყვა შარშანდელ ქარს. ისევ სხვისი ვარ, ჩემი ხელები სხვისთვის გაიშლის თმას, სხვის წისქვილს ვასხამ ცრემლიან პეშვებს, სხვისი წისქვილით ვფქავ. ისევ ზღვისფერი დამაქვს თვალები, ვისაც რა უნდა, სთქვას.

• თუ მეგობარმა ერთხელ მაინც ცრემლი გადინა/ გულს სამუდამოდ დააჩნდება მწარე იარა/ დაიფერფლება ყველაფერი, წარსულის კარგი/ და დაიცლება მეგობრობის ტკბილი ფიალა./ თუ მეგობარმა ერთხელ მაინც მწარედ დაგცინა/ თუ ბოროტება შენს ზურგს უკან ჩუმად დათესა/ მაშინ იცოდე, არ გაგივლის გულის ტკივილი/ თუკი ღალატი მეგობარშიც არ დაითესა./ მეგობრის სიტყვით, ორპირობით, ღალატით მცდარი/ ცოდვილი სული კიდევ უფრო ცოდვილი ხდება/ მაგრამ მეგობრის ჯაყვით მწარედ დაჭრილი გული/ აღარასოდეს, აღარასდროს აღარ მორჩება./ თუკი შენს გულში მეგობრულმა გრძნობამ იღვიძა/ მას გაუფრთხილდი, მის დაკარგვას არ შეეცადო/ იყავ გულღია და სიკეთე ატარე მარად/ და უმეგობროდ ერთი წამიც არ გაატარო./ იცოდე კარგო მეგობარი, წმინდა, უმანკო/ სხვისი გულისთვის არასოდეს არ გაამწარო/ გულში ღალატი არასოდეს არ გაატარო/ და ამით კარგო, შენი მტერი არ გაახარო./

• მიყვარხარ ძლიერ, ძლიერ, რაც გადის დრო და ხანი, მე უფრო მეტად მიყვარს შენი პატარა ტანი. შენი შავი თმის ბუჩქი, ეგ თეთრი შუბლის სერი, თვალები გიშრისფერი, ლოყები ვარდისფერი. შენი თითები მიყვარს, ორი პატარა თათი, ო, იცი როგორ მიყვარს, ოდნავ შეხებაც მათი? ო, იცი როგორ მიყვარს, გამოუთქმელი ენით? შენი გრძნობების სიღრმე, სულის სიმაღლე შენი. მე დარდიც მიყვარს შენი, შენი ღიმილიც ფართო, მე ცრემლიც მიყვარს შენი, შენი კისკისიც მართობს. მე შუქი მიყვარს შენი, რა არის მისი ფასი, მე ჩრდილიც მიყვარს შენი, მზის დაბნელების მსგავსი. შენთვის მივწვდები მწვერვალს, დიდების ყველა მნათობს, დიდებას დავთმობ შენთვის, შენთვის მწვერვალებს დავთმობ. შენი ოცნებით ვხარობ, შენს დარდს ვატარებ დარდად, მე სხვა სურვილი არ მაქვს, შენი სურვილის გარდა. მიყვარხარ ძლიერ, ძლიერ, მწვავს შენი ტრფობის ალი, მიყვარხარ ძლიერ, ძლიერ, მთელი გრძნობით და ძალით.

• უცნობო მეგობარო, გული გამითბე, ასე თბილად რომ მომიხსენიე. მთვარე ძალიან მიყვარს, შოკოლადი „ლუნაც“. ტირიფო, შენი გული სითბოსა და სიყვარულის ღირსია. ლუნა.

• ბელო, რას ვიზამ სიხარულო, შინაბერობასაც ვითავსებ. მთავარია, თქვენ გაგახალისოთ და საინტერესო იყოს „გზავნილები“. გკოცნით, გეფერებით, თქვენი შინაბერა ლუნა.

• მგზავნელებო, ყველანი კარგები ხართ და ნუ კამათობთ, ყველას გაქვთ რაღაც დადებითი და შეეცადეთ, ეგ დაინახოთ ერთმანეთში. სიამოვნებით ვიმეგობრებ თქვენთან. CHERRY.

• ჩემს გამახარე ადამიანებს, მგზავრს, გრუზის, ლუნას, კამის, მადლობა მოლოცვისთვის. სულის ყვირილამდე მიყვარხართ. უფლის მადლი არ მოგკლებოდეს, ჩემო გულო. ტირიფი73.

• ვიტალი ჩოჩიევო, „დედას“ ძალიან ენატრები. მიყვარხარ, ჩემო თბილო შვილო. გკოცნის თამო დედა.

• სიკვდილავ, შე უცოდინარო ბავშვო, „გზავნილებში“ გვაჩვენე შენი თავი, შე ენაგრძელო. გამარჯობის თქმა ისწავლე, თავხედო. დაფასებული მეზობელი.

• კამ-კამ, რა გჭირს, სად დაიკარგე? 9717, გაიხარე! ივლისის 4-ში ლიმონას, 6-ში ჩუპის, 11-ში რეალს, 22-ში იკჩოს, 24-ში ლუნას ვულოცავ იუბილეს. მრავალს დაესწარით. აბეზარა.

• სესი, გაკოცე. შენც საყვარელი ხარ. როგორ ხართ, საყვარლებო? 9717, გმადლობთ მოკითხვისთვის, ჯიგარი ხარ! ლიმონ, უნიჭიერესი ხარ, საყვარელო, გაკოცეთ ყველას. სოფი19.

• ცუნცულ, ვინ ხარ? იქნებ, ჩვენც გვენატრები? ეშმაკუნ, რა ვქნა ახლა? რა საფიქრალში ჩამაგდე... რატომ დამაყენე არჩევნის წინაშე? აბეზარას და ჩუპის მოკითხვა. დუჩი.

• ოსვალდ, ხვდები, რა ხდება? ზოგიერთები სხვის პირადულში ნამეტანი აფათურებთ ხელებს! ფრთხილად, პაწუკებო! ხშირ შემთხვევაში, ხელები ძირში ემტვრევათ! დუჩი.

• იმას არ ვეძებ, ვინც დამიკარგავს, არც მას ვეძებდი, რაც მიპოვნია... ის, ვინც სიცოცხლეს ლამაზად ქარგავს, მასთან სიკვდილი მონაგონია. მე — მე ვარ! დათო.

• შავო რამაზა, მენატრები, დე. ძალიან, ძალიან მიყვარხარ. თამთა დარდობს, რომ არ დარეკე. გელოდები.

• ქედს ვიხრი ღვთის გლახას პოეტური ნიჭის წინაშე. კაფიის სულიერი და ხარ, ქალ. ყველა კაი ხალხს იასამანის და თოლიას ჩათვლით, მოვიკითხავ დიიდი სიყვარულიიით. ლიმონა.

• ელექტრას მგზავნელობა და რამდენიმესი მესმის, მაგრამ სიკვდილას, დუჩის, ნიკოლს, სესის, GREEN GIRL-ს და კიდევ რამდენიმეს მგზავნელი ჰქვია? პარიზის შვილი.

# გზავნილები

• იელოველი? არა, ძამი (თუ დაი), რაღაც გეშლება. მე ეგ „საგუშაგო კოშკი“ არასოდეს წამიკითხავს. ვინც კითხულობს, იელოველებიც იქ მოიკითხე. დუჩი, ჯიგარი ხარ. ოლეგარიო.

• 9717, ვგიჟდები მაგ ლექსზე და მისი დაბოლოება ასეთია: ნაყოფიც მისი არის, ვინც ნორჩი ნერგი დარგო, ეს სიყვარული დიდი, შენ შემასწავლე, კარგო... საოცარი ლექსია. ნინო.

• ზაზა, ძალიან მენატრები, უშენოდ მოწყენილი ვარ, სულ შენზე ვფიქრობ და მინდა, რომ მალე გნახო. შენ დამიბრუნე ცხოვრების ხალისი. მიყვარხარ ძალიან.

• აპ, აპ, აპ, თაის, მაგაში არ გეთანხმები. რაც მართლა გულითა და სულით გიყვარს, არასდროს და არაფერი მოგბეზრდება! ჯერ სიყვარული ვისწავლოთ, ხალხო. აი, რა გვჭირიაა! ლიმონა.

• მარი, შენი ნომერი გამომიგზავნე, რაა... მუშვან ხია? იშა სიმაკ ხი?

• სასიამოვნოა და სახალისო, თქვენთვის თვალყურის დევნება. გადავწყვიტე, შემოგიერთდეთ და უფრო გავიმრავალფეროვნო ყოფა. თან — თქვენ გვერდით მიგულეთ! :) სარვიეტა.

• იქნებ მითხრათ, რა თანხაა საჭირო სმს-ის გასაგზავნად, ჟურნალ „გზაში“? ძალიან გთხოვთ, მიპასუხეთ.

• რა სიმარტოვეა, ამდენი ხალხმრავლობა... შენ იქნები ჩემი ხალხმრავლობა, თუკი ხარ ულამაზესი ქალი, როგორც გარეგნულად, ისე სულითა და გულით. თუ ძალგიძს ჩემსავით უჭვრიტო მშვენიერებას, დააფასო სიმართლე, კეთილშობილება... მაშ, დავამარცხოთ სიმარტოვე და გავხდეთ ხალხმრავლობა. კაი?

• როგორ ხართ, ჩემო კარგებო? პატარა ჩუპის — დიდი, ლიმონას კი ტკბილი მოკითხვა! ვერმახტ, ხალხს თავი ნუ მოანატრეე! მომენატრეთ და გკოცნით, თქვენი ღვთის გლახა.

• რა საოცარი ქმნილებაა ადამიანი, თავისი გონებითა და შესაძლებლობებით! ქალბატონო მარი, თქვენი შემოქმედებითი ცოცხალი სამყაროს მშვენება ბრძანდებით. დავლოცავ მაგ შენს გენიას, რადგან დიდებულ საქმეს მიაგენი, „ჟურნალში ჟურნალი“ „შობე“ და ის გონიერ მგზავნელებს მიანდე. დაგვათვრე შენი სითბოთი, გაგვიღე გულის კარები, მომწონს დედოფლად რომ გთვლიან, მაგ ნიჭში გენაცვალები! თქვენით მოხიბლული ნანი.

• მალე გაწვიმდება, წვიმა ნაღვლიანი წყლით ნოსტალგიას შველის. ზეცა ატირდება, სითბო მენატრება, ნახვა მომინდება შენი. ვდგავარ ფანჯარასთან, სევდა მომეძალა, დარდმა წამიშალა ფერი. მე შენს მოლოდინში სული დამელია და მაინც უსასრულოდ გელი. შმაგი. ათენი.

• გაინტერესებთ სახელი ზვიანგის წარმოშობაა? ზვიანგი 1 წლისაა! ჩვენი წარმოსახვით ის ნიანგისა და ზვიგენის ნაჯვარია. აი, ჩვენ კი საიდან „მოვთხარეთ“ ეგ სახელი: ხობში ერთი გოგო იყო, უზარმაზარი ღიპი ჰქონდა. ის ჩვენი სასტავიდან ერთს ევასებოდა, ჩვენ კი — არა. გვინდოდა, მისთვის ეგ გოგო შეგვეძულებინა და ვეკაიფებოდით: ნიანგია თუ ზვიგენი? როგორი პირი აქვს?! ააა... ეგ ნიანგისა და ზვიგენის ნაჯვარი, ზვიანგია-მეთქი :-) მას მერე იმ გოგოს ზვიანგად მოვიხსენიებთ. ზვიანგი ხობში 1 წელია, გუგუნებს :-) აი, ასე, თქვენი მგელო მოვიდააა. გკოცნით და გეხუტებით. მარორიტ, ქუგახუტოლ :-) დამიბეჭდე, უძალიანესად გთხოვ, საბას გაფიცებ :-) მეგრელი მგელო!

• ლამის ჟურნალ „გზის“ დაარსების დღიდანვე ვკითხულობ „გზავნილებს“, მაგრამ რატომღაც, დღემდე არც მიფიქრია, რაიმე მომეწერა. მე შორიდან გაკვირდებოდით, დიდი ინტერესით :). ალბათ, ახლა ლოგიკური კითხვა გაგიჩნდებათ: ახლა რატომღა მოგვწერე? პასუხი მარტივია: არ ვიცი! როგორც წესი, თქვენს მესიჯებს ვკითხულობდი. ჰოდა, ჩემდა უნებურად, ტელეფონი ავიღე და აჰა, „დაგიესემესეთ“ :). ბამბუჩა.

• არ დამვიწყებიხართ, უბრალოდ, დაკავებული ვარ და ველარ გწერთ. წინა ხუთშაბათს ჩემი ბიძაშვილის, ოსი ლიას მესიჯი ვნახე, რომელიც საბერძნეთიდან გვწერდა. ამან გული ამიჩუყა. გეფერები გულში, შორიდან. მოვიკითხავ იდუმალ და სევდიან ქალს. ირმა91-ს, ლუნას, ლიმონას, გაცოცხლებულ თოჯინას, გრუზინკას, ოლეგარიოს, ენიგმას, ბერბიჯას, კამელიას. ყველას გკოცნით და გეალერსებით. ქალი ცდუნება.

• ძალიან მწყინს, რომ „გზას“ ერთმანეთის გულის სატკენად იყენებ. რა საჭიროა ვიღაცის საჯაროდ გალანძღვა, შეურაცხყოფა. ამით რისი დამტკიცება გინდათ? არავინ არავიზე ნაკლები არაა, ყველას თავისი ადამიანობა გააჩნია. მე ძველი „გზა“ უფრო მომწონდა. მინდა, მხიარული მგზავნელებითა და იუმორით დახუნძლური, ძველებური ჟურნალი, რომლის წაკითხვა გვამშვიდებდა და გვახალისებდა, რომელსაც რამდენი ხნით მაინც გადავყავდით იმ სამყაროში, სადაც შური, ბოღმა და სიძულვილი არ იცოდნენ, მაგრამ დღეს... მგზავნელებო, იმედია, გამოსწორდებით და საკუთარს საქციელზე ყველანი დაფიქრდებით. მარი, დამიბეჭდე, გთხოოოვ... ფლამინგო.

• პირველ რიგში, მინდა, მოვიკითხო ჩემთვის საყვარელი ქალი, მარი ჯაფარიძე და მერე, რა თქმა უნდა, მგზავნელებიც. მართლა ძალიან კარგები ხართ და უფრო გამშვენებთ ლამაზი იუმორი, ბევრი ქათინაური. გეფერებით ყველას. ნესტანი.

• 17 წლის ვიყავი, როცა ერთ ბიჭს მოვეწონე. გიო 21-ის იყო, მაშინ... დღე ერთი იყო და ჩემი „არა“ ათასჯერ ესმოდა, მაგრამ რად გინდა?! ჰოდა, ერთ „მშვენიერ“ დღეს თავის ბიძიკუნასთან ერთად მესტუმრა ოჯახში და ჩემს მშობლებს ჩემი თავი (ხელზე გართულება არ მაქვს) სთხოვა.

• პრივეტ, მარ, როგორ ხარ? მე „გზის“ მუდმივი მკითხველი ვარ, მაგრამ იშვიათად გწერ... 31 დეკემბერს გავიცანი სოსო, მერე ხშირად ვნახულობდი. მეგობრები არ გვერქვა, უფრო სხვა რაღაც ტრიალებდა ჩვენ შორის. მერე გაიგო, რომ მიყვარდა და... ახლა უბედური ვარ, რადგან არ ვუყვარვარ... რა ვქნა? არადა, სხვაზე ფიქრი არ შემიძლია... იმედია, მიმიღებთ... გკოცნით!!! გუძიელა.

• კახელო, სად დაიკარგე? დათოს გეფიცები, ვჯავრობ შენზე. იქნებ, გაწყენინე რამე? გთხოვ, შემეხმიანე.

• მარი ჯაფარიძე, ღმერთმა დაგლოცოს. ემიგრანტებს ბევრ სიყვარულს გვჩუქნი, შენი შემოქმედებით. გაიხარე და გაძლიერდი. ქართველი ბიჭი.

• ჭორიკნებზე რა განერვიულებთ? საერთოდ, იმაზე ჭორაობენ ხოლმე, ვინც კარგია. ჭორიკანებო, არ გინდათ, მეც მიმჭოროთ და ენა მოიფხანოთ?

• დიდი სიყვარულით მოვიკითხავ ჩემს ძამიკოს, ოლეგარიოს. ოლე, ძამი, ძალიან მიყვარხარ და გაფასებ.

• გამარჯობა, დიდი ხანია ვკითხულობ „გზას“ და „გზავნილებს“. მაგარი რუბრიკაა, ყოჩაღ, მარი.

• მაინტერესებს, ქალაქ თელავიდან თუ არის აქ ვინმე? თუ არიან, მაშინ იდეა მაქვს, შეკრებები მოვაწყოთ. თელაველი.

• მას, ვინც გაქრა, ვით გაცვეთილი იდეალი: სისულელეა, გეძებო ღრუბლებში, როცა აქ ხარ; სისულელეა, აქ გეძებო, როცა აქ არ ხარ; სისულელეა, დაგინახო, როცა აღარ ხარ. ანდა საერთოდ, ადამიანი ხარ თუ არ ხარ? სისულელეა, დაგიძახო, სახელიც არ გაქვს; სისულელე ხარ იდეაშიც, იდეაც არ ხარ. სხეულით სხვა ხარ, სულით ხარ და არსით სხვა ხარ, აღარც ხილულში, არც უხილავში, შენ ჩემში არ ხარ! ერთი — ერთია, ღმერთიც, ეშმაც. შენ ერთიც არ ხარ. არც არჩევანი, არც არადანი უკვე აღარ ხარ. მიწაზე არ ხარ, ცაში არ ხარ, სივრცეში არ ხარ. დიდობას ჩემობ, როცა არც მცირე ანუ სულ არ ხარ. შენ არც მიწა ხარ, არც ცივი ხარ და არც ცხელი ხარ, მოჩვენება ხარ, ბედისწერის რექვიემი ხარ. შენ არც წყალი ხარ, არც ჰაერი, მხოლოდ წყევლა ხარ, მხოლოდ ამ ლექსში არსებობ და ეს ლექსიც არ ხარ და საერთოდაც, სამყაროში თუ კი არსებობ, შენს არსებობას დღეს ჩემს გარდა ვერავინ ამჩნევს, რომ ხარ და არც ხარ, ყველაფრისთვის, სწორედ ამიტომ წაგშლი ხსოვნიდან, მოვიშველიებ ფანქარს და საშლელს.

• ძნელია, როცა გიყვარს და იცი, ეს სიყვარული აკრძალულილია,/ როცა ცხოვრობ და ბედნიერების ყოველი წამი დაკარგულია,/ ძნელია, როცა გჯერა ტყუილის და სინამდვილეს თვალს ვერ უსწორებ,/ გრძნობ, როგორ ქრება და შენს სიყვარულს გადასარჩენად ხელს ვერ უწოდებ./ ძნელია, როცა შეგცვალა დრომ და გულს არაფერი არ შეუძლია,/ ძნელია როცა გიყვარს და იცი, მას სიყვარული არ შეუძლია,/ ძნელია, როცა გადის წლები და ჯერ არაფერი არ გიპოვია/ ძნელია, როცა ცხოვრობ და იცი, რომ არასდროს არ გიცხოვრია... თოვლით მოფენილ მიწაზე, ვარდები ეყარა უხვად, გათოშილ ხელებით გოგონა, გულში იხუტებდა ჩუმად, თითქოს და გათბენო ვარდები, წითლად ავარვარდნენ უცბად და უცებ ლამაზი ვარდები, სივრცეში გაფრინდნენ ჩუმად... თოვლით მოფენილ მიწაზე, ვარდები აღარ იყო სულაც და გახარებული გოგონა, სიცივეს ველარ გრძნობდა, სრულად...

• მინდა, მგზავნელების „მობილი-ზაციაში“ შევიხედო. ან მე ვარ ძალიან ბებერი, ან ესენი აზროვნებენ ძაან ბავშვურად. რა გჭირთ? ნუთუ ასეთი ძნელია, დათმობა? სიყვარული? მეგობრობის ხელის გაწოდება? ამდენი სიძულვილი და ბოღმა სად გეტევათ? მინდა, შუღლის, ბოროტებისა და ინტრიგების (ესენი რეალშიც მეყოფა) მესიჯები სითბოთი და სიყვარულით სავსე მესიჯებად იქცეს. მაინც, რა ადამიანები ხართ? ხან ჭრით, ხან — კერავთ. დღეს რომ უზომოდ აქებთ ვინმეს და მის უარყოფითს ვერ ამჩნევთ, ხვალ თუ საქმე შეტრიალდა, მიადგებით და იმის ყველა დადებით მხარეს წყალს ატანთ. მხოლოდ ძაგებაზე გადადიხართ. არა, გინებაც ბევრია. მოკლედ, ცენზურას არავინ იცავს. მარი რომ არა... კარგა ხანია, ვკითხულობ „გზას“ და ახლა ყველაზე მეტადაა არეული სიტუაცია. ადრე კამათი თუ იყო, აზრიც ჰქონდა, ახლა კი ყველა თავისებურად უბერავს. დიდად საზიანოა, ზომიერების გრძნობის დაკარგვა. იყავით ზომიერები.



# გილოცავ!

• 8 ივნისს დაბადების დღეს ვულოცავ ლევან შუბითიძე ბონდოევიჩს. ვუსურვებ ყოველივე კარგს. უსაქმური.

• რაჭაში გიორგი ხმელიძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 1 ივნისს. მიყვარხარ, გიო. შენი დაიკო, ქრისტინე მაღლაკელიძე.

• სოფო კობახიძეს ვულოცავ გაბედნიერებას. ვუსურვებ ბედნიერებას, ჯანმრთელობას და უამრავ შვილს. თქვენი ლიკუნია. მენატრებით.

• დიანა იმერლიშვილო, გილოცავთ დაბადების დღეს. მრავალს დაესწარი, საყვარელ ოჯახთან ერთად. სიხარული და ბედნიერება არ მოგკლებოდეს. გკოცნით. მზია და თამუნა.

• მაკა სილაგაძეს ვულოცავ დაბადების დღეს. შენს ლამაზ ოჯახთან ერთად ბედნიერი დღენი გევლოთ. უფლისაგან დალოცვილნი იყავით მარად. იხარეთ და იბედნიერეთ. თამილა.

• ჩემს დისშვილს, მონიკა მანაგაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 4 ივნისს. ჩემო პატარავ, ლამაზი ბავშვობა გქონოდეს და შენი მომავლით ყველა გაგეხარებინოს. თაკო დეიდა.

• ლილი სვანიძეს, ღვაწლმოსილ პედაგოგს ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სულის სიმშვიდეს. ყველას გვიყვარხართ და გაფასებთ. თაბორის საჯარო სკოლა.

**„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.**

# ტაიმ-აუტი

## „მარილიანი ამბები“

• მოპოვებული მარილის მხოლოდ 6 პროცენტია ვარგისი საჭმელად. 17%-ს ზამთარში, გზებზე ყრიან. დანარჩენი მრეწველობაში გამოიყენება.

• შუა საუკუნეებში მარილი იმდენად ძვირი ღირ-და, რომ მას „თეთრ ოქროს“ ეძახდნენ.



• საფრანგეთის ქალაქ გერანდში მარილს დღესაც ძველებური მეთოდით, ზღვიდან კალათებით მოიპოვებენ და აშრობენ. მას „მარილის არომატს“ ეძახიან, რომელიც ძალიან ძვირი ღირს და მას მხოლოდ მზა სადილში უმატებენ.

• მარილი ადამიანის ორგანიზმისთვის აუცილებელი ნივთიერებაა. დიდი რაოდენობით წყლის სმამ შესაძლოა, ჰიპონატრემია გამოიწვიოს. ტრაგიკულად დასრულდა 28 წლის ამერიკელი ჯენიფერ სტრენჯის სიცოცხლე, რომელმაც 2007 წელს რადიოგათამაშება Hold Your Wee for a Wii-ში მიიღო მონაწილეობა. კონკურსის თანახმად, ჯენიფერი 15 წუთში ერთხელ 225 მლ წყალს სვამდა. შეჯიბრების შემდეგ ქალმა თავი შეუძლოდ იგრძნო და მალევე გარდაიცვალა.

• ამასთანავე, ორგანიზმისთვის მარილის დიდი რაოდენობით მიღებაც საშიშია. ძველ ჩინეთში, მდიდრები თავს მარილის ჭამით იკლავდნენ.



• ინდოეთში ზღვის მარილს ტყემლის დაფქულ კურკას ურევენ. აორთქლებისა და გადამუშავების შემდეგ მარილი ვარდისფერი ხდება.

• მცდარია მოსაზრება, თითქოს რომაელ ჯარისკაცებს ხელფასს მარილით უხდიდნენ. „თეთრ ოქროს“ მხოლოდ იმ ჯარისკაცებს ურიგებდნენ, რომლებიც მარილს სდარაჯობდნენ.

• საავიაციო საწვავის გაწმენდის შემდეგ მას მარილის ფილტრში ატარებენ, რათა საწვავში წყალი საბოლოოდ ამოაშრონ.

• ყველაზე მლაშე ტბა სენეგალში მდებარეობს. მას „ვარდისფერ ტბას“ ეძახიან. მარილის მოსაპოვებლად, სენეგალელი ქალები ტბაში დაახლოებით 14 საათს ატარებენ. ტბის 1 ლიტრ წყალში 380 გ მარილი მოიპოვება. ■

## „შინაური ცხოველების“ მსხვერპლნი

• 30 წლის გერმანელი მარკ ვოგალი 2 კვირის გარდაცვლილი აღმოაჩინეს. მეზობლებმა პოლიცია გამოიძახეს, რადგან მისი ბინიდან საშინელი სუნი გამოდიოდა. ვოგალის სხეული ობობას ქსელში იყო გახვეული. ბადეში 200 ობობა, გველები და ხვლიკები ბინადრობდა. სავარაუდოდ, გერმანელი ობობა „შავი ქვრივის“ ნაკბენისგან გარდაიცვალა. დანარჩენი „შინაური ბინადრები“ პატრონის გვამით იკვებებოდნენ.

• 37 წლის პენსილვანიელი კენი ენ ვალტეს სახლის ეზოში მურა დათვი, ლომი და ვეფხვი ბინადრობდა. დათვის გალიის დასასუფთავებლად შესული ქალი ცხოველმა მოკლა. დათვს კი მეზობელმა ესროლა, რომელიც ამ შემზარავი ფაქტის მომსწრე გახდა.





• 44 წლის ქალი ჰოსპიტალში შხამიანი გველის ნაკბენისგან გარდაიცვალა. მის სახლში ათეულობით შხამიანი გველი, ხვლიკი, ალიგატორი, ვარანი ბინადრობდა (მხოლოდ გველები „ცხოვრობდნენ“ სპეციალურ გალიაში, დანარჩენები — ბინაში თავისუფლად გადაადგილდებოდნენ).

• 60 წლის ავსტრალიელ ქალს იუბილეზე აქლემი აჩუქეს. იუბილარი „საჩუქარმა“ თავში წიხლის ჩარტყმით მოკლა.

• 66 წლის კანადელი ნორმან ბუვალდა ეგზოტიკური ცხოველების მფლობელთა კანადური ასოციაციის ლიდერი იყო და ყველა კანადელს ველური ცხოველების მოშინაურებას ურჩევდა. თავად 300 კგ-იანი ვეფხვი ჰყავდა. 2004 წლის ივლისში ფოტოების გადასაღებად მისული ბიჭი მისმა „ფისომ“ დაასახიჩრა; ცოტა ხანში კი თავადაც ვეფხვის მსხვერპლი გახდა. ვოლიერში დასალაგებლად შესული კაცი ცხოველმა დაგლიჯა.



• ამერიკელ მამაკაცს საკუთარ ეზოში ეგზოტიკური ცხოველების პატარა ზოოპარკი ჰქონდა. იგი ლომის მსხვერპლი გახდა. ცხოველი ადგილობრივმა შერიფმა მოკლა.

• 50 წლის სანდრა პიოვსანის ოჯახში მგლების ხროვა ცხოვრობდა. მეზობლებმა მოკლული ქალის ნარჩენები ცხოველების გალიაში იპოვეს.

• წლის რიკი ვეინჰოლდს ფილადელფიაში ხარების ფერმა ჰქონდა. იგი ერთ-ერთმა, ერთტონიანმა ხარმა გადათელა.

• ერთმა მამაკაცმა ბულ-მასტიფის ჯიშის სამი ძაღლი შეიფარა. ძაღლები უნდა მოეკლათ, რადგან მათ ადამიანი დაგლიჯეს. ცოტა ხანში ძაღლებმა არც ახალი პატრონი დაინდვეს. საბოლოოდ, ძაღლების დახოცვამდე მათ კიდევ სამი ადამიანის დაგლეჯა მოახერხეს. ■

# მოგზაურთა ხუთეულში შესული და იაპონიით მოხიბლული ანუ
## როგორ გაყიდა გერმანიაში სანომ სტრადივარიუსის ვიოლინო

**მუსიკოსი მერაბ სანოძე ერთ-ერთია მათგან, ვისაც ყველაზე მეტი უმოგზაურიათ... მეგობრებთან და ოჯახის წევრებთან ერთად მოგზაურობას ამჯობინებს და იმდენად მიეჩვია უცხო ქვეყნების ხშირ-ხშირად მონახულებას, უამისოდ ცხოვრება ველარც წარმოუდგენია. სანო 9 წლის განმავლობაში გერმანიაში ცხოვრობდა, მერე საქართველოში დაბრუნდა, რადგან, როგორც თავად მითხრა, გერმანიაში „ქართული ჯიგარი“ აკლდა...**



*ელენე ბასილიძე*

— არ მეგულება ადამიანი, რომელსაც მოგზაურობა არ უყვარს. მათ შორის, ერთ-ერთი მეც ვარ, ოღონდ მე მოგზაურობა იმიტომ არ მიყვარს, რომ მოდაშია (*იღიმის*). იმდენი ქვეყანა მაქვს ნანახი, ალბათ შევეჩვიე და მოგზაურობის გარეშე ცხოვრება ველარც წარმომიდგენია. ტრაბახში თუ არ ჩამომართმევ, გეტყვი, რომ საქართველოში მცხოვრებ მოგზაურთა იმ ხუთეულში შევალ, რომელსაც ყველაზე მეტი ქვეყანა აქვს მოვლილი. როცა სამოგზაუროდ მივდივარ, ყველაზე მეტად ის მახარებს, რომ თვითმფრინავში ჭამის საშუალება მექნება (*იცინის*): თვითმფრინავის სამზარეულოზე ვგიჟდები და დანაყრებულიც რომ ვიყო, შეიძლება, უარი ვერ ვთქვა მათ საჭმელებზე. თანაც, თვითმფრინავში შესვლისთანავე მშივდება, ალბათ ამას თვით აურა განაპირობებს (*იღიმის*). მოგზაურობა კიდევ იმიტომაც მახარებს, რომ რამდენჯერაც უნდა ვნახო ესა თუ ის ქვეყანა, ყოველთვის აღმოვაჩენ რაღაც ისეთს, რაც წინა ჩასვლისას არ მინახავს. თითქმის ყველა ქვეყანაში უამრავი მეგობარი მყავს და მათი ნახვის საშუალებაც რომ მაქვს, ეს დიდი ბედნიერებაა...

— **თვითმფრინავით ფრენის არ გეშინია?**

— არა. იმდენი საათი მაქვს ნაფრენი, ვერც დავითვლი. პანიკური შიში არ მახასიათებს. ხომ იცი — რაც გიწერია ადამიანს, ის არასოდეს აგცდება. ამიტომაც, წინასწარ არაფერზე ვნერვიულობ, — არიქა, ასე არ მოხდესმეთქი.

— **მოგზაურობა როდის დაიწყე?**

— სტუდენტობისას, ტექნიკური უნივერსიტეტის კაპელაში ვმღეროდი. მერე კი სამოყვარულო თეატრში („მოდი, ნახე“) ვთამაშობდი. მაშინ საზღვარგარეთ გასტროლებზე ყველაზე ხშირად რუსთაველის თეატრი და „მოდი, ნახე“ დადიოდნენ. ვიყავით იაპონიაში, ახალ ზელანდიაში, ამერიკაში, ავსტრიასა და გერმანიაში; პოლონეთი, საფრანგეთი, იტალია, ფინეთი რამდენჯერმე გვქონდა მოვლილი. სულ რაღაც 5-6 წელიწადში უამრავი ქვეყანა შემოვიარეთ. ჩვენი რეჟისორი ნუგზარ ბუცხრიკიძე იყო, აღმასრულებელი პროდიუსერი — თამაზ კაპანაძე, რომელიც 1 ყუთი ქართული კონიაკით ყველაფერს აგვარებდა (*იცინის*)... თვითმფრინავში ასვლისას არასოდეს გვამოწმებდნენ და მუდამ „მწვანე“ გასასვლელიდან გავდიოდით (*იღიმის*). საზღვარგარეთ აქეთ-იქით გიჟებივით დავრბოდით. ყველაზე მეტად ტექნიკის მაღაზიაში სტუმრობა გვიხაროდა, მაგრამ იმდენად ცოტა ფულს გვატანდნენ საზღვარგარეთ, რომ ფაქტობრივად, ვერაფრის ყიდვას ვახერხებდით. თუ 5 კაცი მივდიოდით გასტროლებზე, „კაგებეს“ 10 თანამშრომელი მოგვდევდა, მაგრამ მაინც ვახერხებდით პატარ-პატარა რამეების ჩამოტანას. ერთხელ, ხიზილალა წავიღე გასაყიდად (*იცინის*). მერე კი ძალიან შემრცხვა, მაგრამ სხვა გზა არ იყო. 10-10 ხიზილალის ყუთი წავიღეთ მეგობრებმა, გაგვიმართლა და იმ მოგზაურობაში, მხოლოდ 3 „კაგებეშნიკი“ გამოგვყვა. გერმანიაში ჩავედით, გასასაღებელ არეალს ვეძებდით და რაღაც სასტუმრო დავინახეთ. შევედით. ენა, რა თქმა უნდა, არ ვიცოდით. ძლივს გავაგებინეთ, რა გვინდოდა და შესყიდვაზე დაგვთანხმდნენ. 1 კილოგრამი ხიზილალა 800 მარკა ღირდა და ამ ფასად ლამის ავტომანქანას ვყიდულობდით. მე 1 კილო მქონდა წაღებული და ის იყო, შემსყიდველისთვის ფული უნდა გამოგვერთმია, რომ ჩემი მეგობარი მეუბნება: ბიჭო, ეს ის სასტუმროა, სადაც ჩვენი „კაგებეშნიკი“ ცხოვრობსო... მაშინვე „მოვტყდით“ იქიდან და კედელს ამოფარებულებმა, ჩვენს აგენტს თვალთვალი დავუწყეთ. ის კი მივიდა ადმინისტრატორთან და გასაყიდად ამოიღო ხიზილალის ყუთები (*იცინის*)!.. ჩვენც მაშინვე თავზე დავადექით... ვაიმე, ისეთ დღეში ჩავარდააა!.. ოღონდ არ გამთქვათ და რაც გინდათ, ის მთხოვეთო, — გვეხვეწებოდა... ერთხელ, გვეგონა, რომ სტრადივარიუსის ვიოლინო ვიყიდეთ და გადავწყვიტეთ, საზღვარგარეთ გაგვესაღებინა. გავიტანეთ გერმანიაში და სულ თავში გვირტყეს, — ეს რა არისო?!. თურმე ყალბი შემოუტყუებიათ (*იცინის*). რას წარმოვიდგენდით?! ზედ სტრადივარიუსის ხელმოწერა ჰქონდა და... ჩვენი ოცნებები და გეგმებიც, ქილა ერბოსავით დაიმსხვრა. მერე, როცა ჯგუფი „ადიოს“ წევრები გერმანიაში საცხოვრებლად წავედით, საკმაოდ მაღალი შემოსავალი გვქონდა და ხან სამხრეთ აფრიკაში მივდიოდით, ხან — მექსიკაში და ხანაც — ავსტრალიაში... ერთადერთი კონტინენტი, სადაც არასოდეს ვყოფილვარ — ანტარქტიდაა.

— **თუ გახსოვს, პირველად რომელი ქვეყანა მოინახულე?**

— პირველი ქვეყანა, რომელიც ვნახე, ფინეთი იყო. ყოველ ტბასთან ფინური აბანო იდგა და საუნაში პირველად იქ შევედი. გაბდღვრიალებულმა ქალაქმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. არადა, გარეთ ლამპიონი ვერ აღმოვაჩინე! რეკლამის შუქით ისე იყო ქუჩები გაჩირაღდნებული, ლამპიონები საჭირო აღარ იყო. ჩაბნელებულ საბჭოთა ქვეყნებთან შედარებით, ისეთი კონტრასტული იყო ფინეთი, გადავირიე. გარშემო სისუფთავე იყო, ყველა თავისთვის დადიოდა, „წითელზე“ არავინ გადადიოდა, ყველა მანქანა თავის ხაზში

მოძრაობდა... ფინეთის შემდეგ, ბულგარეთში ვიყავით და იქიდან დაბრუნებისთანავე, მესამე დღეს იაპონიაში გავფრინდით. ჩამოვდიოდით საქართველოში და რამდენიმე დღეში ისევ გასტროლზე მივდიოდით.

— **რომელმა ქვეყანამ აღგაფრთოვანათ?**

— იაპონიამ! ამ ქვეყანამ განგვაცვიფრა. პირველად, როცა „ნარიტას" აეროპორტში ჩავფრინდით, 10-15-სართულიანი, გამჭირვალე შენობა ვნახეთ, რომლის ყველა სართულზეც მანქანები მოძრაობდნენ და ეს ყველაფერი გარედან ჩანდა. აეროპორტიდან გარეთ რომ გამოვედით, ისეთი სიცხე იყო, ჩასუნთქვა ვერ მოვახერხეთ (*იღიმის*). 55-გრადუსიან სიცხეში, ავტობუსის გაჩერებაზეც კი კლიმატ-კონტროლი იყო... უცნაურად მახსენდება ლონდონი. ინგლისში ჩასვლისას, აეროპორტიდან გამოსულებმა ავტობუსის მეორე სართულზე მოვიკალათეთ. სასტუმროში რომ მივედით, შიშისგან სკამიდან ველარ ვდგებოდით: იქ ხომ მარცხენამხრიანი მოძრაობაა და ვიწრო ქუჩებში, ყოველი მოხვევისას გვეგონა, რაღაცას ვეჯახებოდით. ერთ ამბავში ვიყავით: „ვაიმე, სად მოდის?! ვაიმე, რა ხდება?!" იაპონიაში ყოფნისას, ერთ ფანტასტიკურ „აკვაპარკში" წაგვიყვანეს. 33 ქვეყნის წარმომადგენელი ვიყავით და თითოეულ ქვეყანას თითო ავტობუსი ემსახურებოდა. მივედით და წყალს დახამებულებმა, ცურვით გული ვიჯერეთ. რამდენიმე წუთში ერთხელ, ქალი გამოდიოდა და სასტვენს ჩაბერავდა. ამ ხმაზე ყველა ამოდიოდა აუზიდან და წყლის დონე ნელ-ნელა დაბლა იწევდა... ჩვენ კი, სანამ წყალმა კოჭებამდე არ დაიწია, მანამდე ვცურავდით (*იცინის*). გვეგონა, გაგვიჩალიჩეს და ბუზღუნი დავიწყეთ... თურმე წყალს ცვლიდნენ და მალევე გაივსო აუზი სუფთა წყლით. ისე შევყევით ცურვას, ბოლოს, რადიოთი ქართულად გამოაცხადეს: ქართველებო, თქვენი დედა ვატირე, 32 ავტობუსი გელოდებათ და დროზე ამოდით ამ აუზიდანო (*იცინის*)! იმდენ ხალხს 2 საათი ვალოდინეთ!.. ერთხელ, ჩიკაგოში ვიყავით. სპექტაკლი გვქონდა თეატრში. შესვენებისას გარეთ გავედით და უკან შემოსასვლელ კარს ველარ მივაგენით (*იცინის*). მე ბაზიერის როლი მქონდა და წელს ზემოთ შიშველი ვიყავი... ლამის გადავირიეთ! ბოლოს, პარტერიდან შევიპარეთ და ხალხს რომ ვერ ვეცნეთ, ბინძური ჯვალოს ტომრები ჩამოვიფარეთ (*იცინის*). ლონდონში ყოფნისას, ოჯახებში იქაურ სტუდენტებთან ვცხოვრობდით. იქაურ ბიჭებთან გოგონები დაბინავდნენ, ბიჭები კი იქაურ გოგონებს მივადექით. ერთ-ერთი ჩემი მეგობარი მეორე დღეს რომ ვნახე, სიცილით კვდებოდა. რა გჭირს-მეთქი? — ვკითხე. — სტუდენტ გოგონასთან ერთად დამაწვინეს ოთახში, ეს გოგონა რომ გამეცნო; ოთახში სიბნელე იყო და არ შემიხედავს სახეზე, ტანი კი ლამაზი უჩანდა... მერე, სინათლე რომ აანთო, ნამდვილი ლოსის სიფათი ჰქონდა, ისე შემეშინდა, მთელი ღამე გარეთ, აივანზე მეძინაო (*იცინის*)...

— **გერმანიაში ცხოვრების 9-წლიან პერიოდს როგორ გაიხსენებ?**

— ფანტასტიკური წლები იყო. მიუხედავად იმისა, რომ პირველი 2 წლის განმავლობაში დიდი გაჭირვება გვქონდა, შემდეგ ყველაფერი კარგად წავიდა. როცა საქართველოდან მივდიოდი, მეგონა, ჩავიდოდი და ყველას „ბეჭებზე დავცემდი" (*იღიმის*). იქ კი პატარა სტუდენტმა ისე დაუკრა, კინაღამ გული წამივიდა! 8 თვით სახლში ჩავიკეტე: ჩემი მეუღლე მუსიკოსია და პროფესიონალად ჩამოყალიბებაში მეხმარებოდა. საკუთარ თავს პირობა მივეცი — გერმანიიდან პირველი პერკუსიონისტი და ამ მიმართულებით პირველი მუსიკოსი დავბრუნდები-მეთქი. მართლაც, ყველაფერი გავაკეთე ამისათვის და დიდი შრომის შედეგად, ყველა „ბეჭებზე დავაგდე" (*იცინის*).

— **ჯგუფი „ადიო" გერმანიაში ძალიან წარმატებული იყო. მიუხედავად ამისა, მაინც საქართველოში დაბრუნება გადაწყვიტეთ...**

— მიუხედავად იმისა, რომ არაფერი მაკლდა, იქ „ქართული ჯიგარი" არაფერს ჰქონდა. რაღაც პეწი აკლდა ყველაფერს... გერმანია კარგი ქვეყანაა, მაგრამ საქართველო მაკლდა და ამიტომაც დავბრუნდი! მალევე მივხვდი, რომ სწორი არჩევანი გავაკეთე. ის, რასაც დღეს ვაკეთებთ, ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნისა და ხალხისათვის. იქ, როცა მინდა, მაშინ მივდივარ და რაც მთავარია, ხალხი სიყვარულითა და დიდი მოლოდინით გვხვდება. ჯერ მხოლოდ „ადიოს" გერმანელი ფანები რამდენიმე ათასს აღწევს... 5-6 ავტობუსით დაგვყვებოდნენ ყველა კონცერტზე. მიუხედავად იმისა, რომ პოპმუსიკას არ ვქმნიდით, საკმაოდ ბევრი მსმენელი გვყავდა.

— **დღეს რა არის ახალი თქვენს სტუდიაში?**

— ვცდილობთ, ახალი მიმართულებით განვვითარდეთ. ახლა ახალ აპარატურას ველოდებით. მულტიპლიკაციურ სტუდიას ვაკეთებთ. ეს დარგი დიდი ხანია, რაც მოკვდა საქართველოში და ძალიან მინდა, ავაღორძინო, რადგან ჩვენი ხალხი ამას იმსახურებს! ჩემი სტუდიის გახსნა თუნდაც მხოლოდ იმისთვის ღირდა, რომ უწმინდესისა და უნეტარესის, კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის კურთხევით, ბიბლიის აუდიოჩანაწერი გაგვეკეთებინა. ამაზე კარგი რა უნდა გავაკეთოთ?! თუმცა კიდევ ბევრია გასაკეთებელი! ეს ყველაფერი კი მოგზაურობამ შემაძლებინა. უცხოეთში ნანახმა მომხიბლა და ვეცადე, რომ საქართველოშიც მსგავსი რამ ყოფილიყო.

— **უცხო ქვეყნის სამზარეულოს იოლად ეგუები?**

— დიდი გურმანი არა ვარ. ყველა ქვეყანას აქვს ისეთი საჭმელი, რომელსაც შევჭამ და მშიერი არ დავრჩები. შემწვარი ფარშავანგის დაგემოვნება არასოდეს მნდომებია (*იღიმის*). ქართულის შემდეგ, თურქულ სამზარეულოს ვანიჭებ უპირატესობას. სხვათა შორის, თურქულ კერძებს გერმანიაში უკეთ ამზადებენ, ვიდრე — თურქეთში. ასევეა იტალიური პიცაც: ამერიკაში რომ პიცა ვჭამე, ისეთი იტალიაშიც კი არ გამისინჯავს.

— **უცხოეთში ხომ არ იბნევი ხოლმე?**

— არასოდეს დავბნეულვარ. ერთ-ერთი საერთაშორისო ენა თუ იცი, არსად დაიკარგები. მე რამდენიმე ენა ვიცი. რაც მთავარია, ქართულს ვფლობ! ყველა ქვეყანაში ქართულ „აგურს" მოვძებნი და იმით „ავაშენებ" რამეს. აქამდეც „ვდებდი" და მომავალშიც „დავდებ" ჩემს წილ „ქართულ აგურს" ყველგან.

— **მოგზაურობა მეგობრებთან ერთად გირჩევნია, მარტოს თუ ოჯახის წევრებთან?**

— ოჯახის წევრებთან მოგზაურობა ძალიან კარგია, მარტო მოგზაურობა ცოტათი მოსაბეზრებელია. აი, მეგობრებთან ერთად თუ ვმოგზაურობ და თან ოჯახის წევრებიც მახლავან, ამაზე კარგი არაფერია. ხომ იცი — მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო...

— **რა არის შენთვის აუცილებელი, სამოგზაუროდ წასასვლელად?**

— ფული, გინდა თუ არ გინდა, მოგზაურობისთვის აუცილებელია. მახსოვს, პირველად რომ ჩავედით ლონდონში, მხოლოდ 20 გირვანქა სტერლინგი გვქონდა. როცა მეგობრებს ვთხოვე, „მადამ ტიუსოს" მუზეუმში წავიდეთ-მეთქი, უარი თქვეს: 6 გირვანქა სტერლინგი ღირს და მაგ ფასად 2 მაგარ პერანგს ვიყიდითო... მე მუზეუმში წავედი და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად ღირდა იმ 6 გირვანქა სტერლინგის გადახდა. ხშირად გამიგონია, — მე მხოლოდ ნიუ-იორკში ვშოპინგობო, — რომ უთქვამთ. ნიუ-იორკში კი არა, ჯანდაბაში შოპინგობენ: ლილოში იმდენჯერ მინახავს ის ხალხი, ვერც წარმოიდგენ (*იცინის*)...

— **უახლოეს მომავალში სადმე გამგზავრებას არ აპირებ?**

— კი, მალე ნიუ-იორკში მომიწევს წასვლა. ისე, ყველაზე ხშირად გერმანიაში დავდივარ. ამას წინათ ჩემმა გერმანელმა მეგობარმა, ფელიქსმა მეხუთე ცოლი მოიყვანა... დამირეკა და, — ჩამოდი, ქორწილი მაქვსო — მითხრა. ახლა იმ ქორწილის გამოტოვება იქნება (*იღიმის*)?!. ერთი ოცნებაც მაქვს: ძალიან მინდა, ნეპალში წავიდე სამოგზაუროდ. ეს უძველესი კულტურის ქვეყანაა და ვიცი, დიდი სიამოვნება მელის. როცა დრო მექნება, იქ აუცილებლად გავემგზავრები ოჯახთან ერთად. ■

# შვეიცარია 1954

ფინალური ტურნირი 16 ივნისიდან 4 ივლისამდე მიმდინარეობდა.

მონაწილეები: ბრაზილია, მექსიკა, იუგოსლავია, საფრანგეთი, უნგრეთი, სამხრეთ კორეა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა (გფრ), თურქეთი, ავსტრია, შოტლანდია, ურუგვაი, ჩეხოსლოვაკია, ინგლისი, ბელგია, შვეიცარია, იტალია.

გათამაშების სისტემა: გუნდები დაყოფილი არიან 4 ქვეჯგუფად, სადაც წყვილებში თამაშობენ. ორ-ორი საუკეთესო გუნდი მეოთხედფინალიდან ოლიმპიური სისტემით აგრძელებს ბრძოლას.

გაიმართა: 26 მატჩი. დაესწრო 943 ათასი მაყურებელი (საშუალოდ, 36269 კაცი თითო თამაშს).

გოლები: გავიდა 140 გოლი (საშუალოდ, 5,38 მატჩში).

საუკეთესო ბომბარდირი: კოჩიში (უნგრეთი, 11 გოლი).

ფინალი: გფრ — უნგრეთი (3:2). 4 ივლისი, ბერნი, „ვანკდორფი,“ 60000 მაყურებელი.

გოლები: მორლოკი (10); რანი (18, 84) — პუშკაში (6); ციბორი (8).

გფრ: ტურეკი, პოზიპალი, კოლმაიერი, ეკელი, ლიბრიხი, მაი, რანი, მორლოკი, ო. ვალტერი, ფ. ვალტერი, შეფერი.

უნგრეთი: გროშიჩი, ბუზანსკი, ლანტოში, ბოჟიკი, ლორანტი, ზაკარიაში, ციბორი, კოჩიში, ჰიდეკუტი, პუშკაში, მ. ტოტი.

მსაჯი: ლინგი (ინგლისი).

სიმბოლური ნაკრები: ტურეკი (გფრ), ჯ. სანტოსი (ბრაზილია), სანტამარია (ურუგვაი), ანდრადე (ურუგვაი), ბოჟიკი (უნგრეთი), კრუსი (ურუგვაი), პუშკაში (უნგრეთი), ფ. ვალტერი (გფრ), ჰიდეკუტი (უნგრეთი), რანი (გფრ), კოჩიში (უნგრეთი).

## უნგრელთა ტრაგედია

მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილეთა რიცხვი თანდათან იზრდებოდა, თუმცა ტურნირზე ყველა ძლიერი ნაკრების თავმოყრა მაინც ვერ მოხერხდა. არგენტინა კვლავაც ზარალდებოდა თავისი საუკეთესო მოთამაშეების ემიგრაციის შედეგად. საბჭოთა კავშირის ნაკრები კი (უფრო სწორად, ქვეყნის პარტნომენკლატურა, რომელიც ყოველგვარ სპორტულ



გერმანიის ნაკრები. 1954 წელი.



საკითხს წყვეტდა), 1952 წლის ოლიმპიადაზე იუგოსლავიის გუნდთან განცდილი მარცხის გამო, მუნდიალში მონაწილეობას მიზანშეუწონლად მიიჩნევდა.

ფიფას მიერ მასპინძელ ქვეყნად შვეიცარიის არჩევა იოლად ასახსნელი იყო: ეს ქვეყანა ხომ მეორე მსოფლიო ომში მხოლოდ თავისი სახელგანთქმული ბანკებით მონაწილეობდა. ტურნირის მნიშვნელოვან სიახლედ იქცა მატჩების ტელეტრანსლირება, რაც იმხანად ნამდვილად „ახალი ხილი“ გახლდათ.

მიუხედავად იმისა, რომ 1954 წლის მსოფლიოს ჩემპიონატში ტურნირის ორგზის გამარჯვებულები — ურუგვაისა და იტალიის გუნდები, აგრეთვე, ბრაზილიელები და ინგლისელებიც მონაწილეობდნენ, საფეხბურთო სამყაროს ყურადღება საუცხოო — უნგრეთის ნაკრების მიმართ იყო მიპყრობილი. მაშინ მის რიგებში ისეთი დიდოსტატები თამაშობდნენ, როგორებიც გროშიჩი, ბოჟიკი, კოჩიში, ჰიდეკუტი, ციბორა, პუშკაში და სხვები იყვნენ. უნგრელები მძლავრ, შედეგიან, გონივრულ და ამავე დროს, სანახაობრივ თამაშს უჩვენებდნენ. 1950 წლის 4 ივნისიდან 1954 წლის 30 ივნისამდე (ე.ი. შვეიცარიაში გამართული მუნდიალის ფინალურ მატჩამდე) უნგრელებმა 31 მატჩი ჩაატარეს, 28-ჯერ გაიმარჯვეს და სამი ორთაბრძოლა ფრედ დაასრულეს (ბურთების სხვაობით — 144/33-თან).

მსოფლიოს ჩემპიონატზეც ყველაფერი უნგრელთა სასურველი სცენარით მიმდინარეობდა. ქვეჯგუფში



უნგრეთის ნაკრები. 1954 წელი.

სამხრეთკორეელებსა (9:0) და გფრის ნაკრებზე (8:3) გამარჯვების შემდეგ, „პუშკაშმა და კომპანიამ“ ბრაზილიელები და ურუგვაელებიც ჩამოიცილეს გზიდან (ორივე მატჩი 4:2 მოიგეს).

ასე გავიდნენ ისინი ფინალში. ვინლა უნდა დაემარცხებინათ?! გერ-



მანელები, რომლებსაც სრულიად უპრობლემოდ, 8 გოლი გაუტანეს?..

თამაშის დაწყებიდან მხოლოდ 8 წუთი იყო გასული, უნგრეთის ნაკრები კი უკვე 2:0 იგებდა. ერთი შეხედვით, საქმე დასრულებული იყო. მაგრამ ასე სულაც არ ფიქრობდნენ „ცივსისხლიანი“ გერმანელი ფეხბურთელები და მათი მწვრთნელი — ზეპ გერბერგერი. ისინი „დაცვიდან“ თამაშობდნენ და კონტრშეტევებისთვის ხელსაყრელ მომენტებს ელოდნენ. სწორედ მათი პედანტური სათამაშო სტილის წყალობით, მე-19 წუთზე ანგარიში გათანაბრდა. ამის შემდეგ უნგრელებმა მთელი გუნდით შეუტიეს, ხოლო მეტოქემ კიდევ ერთი შანსი გამოიყენა და კონტრშეტევით მესამე გოლი გაიტანა (3:2)...

საფინალო სასტვენამდე პუშკაშმა ანგარიში გაათანაბრა (3:3), ინგლისელმა არბიტრმა, ლინგმა კი ფეხბურთელებს მოედნის ცენტრისაკენ მიუთითა, მაგრამ სწორედ ამ მომენტში მას გვერდითმა მსაჯმა, გრიფიტემ ანიშნა, რომ ბურთი თამაშგარე მდგომარეობიდან იყო გატანილი...

ეს უკვე დასასრულს ნიშნავდა. ამ შეხვედრაში გერმანიის ნაკრებმა, რომელიც პირველად დაეუფლა ჟიულ რიმეს თასს, თავისი შესაძლებლობის მაქსიმალურად გამოვლენა შეძლო, უნგრეთის დიდმა გუნდმა კი ალბათ საკუთარი პოტენციალის 50%-ით რეალიზებაც ვერ მოახერხა. ■

*მუნდიალი*

# არგენტინის ნაკრებს სექსი არ აეკრძალება

არგენტინის ნაკრების ფეხბურთელებს მსოფლიოს ჩემპიონატის მსვლელობისას ღვინის დალევა და მეუღლეებთან ან მეგობარ ქალებთან სქესობრივი ურთიერთობა არ აეკრძალებათ. ამის შესახებ ოფიციალურად განაცხადა თეთრცისფერმაისურიანთა ექიმმა, დონატო ვალიანიმ, რომელმაც იმასაც გაუსვა ხაზი, რომ მუდმივ სქესობრივ პარტნიორებთან ინტიმი იგულისხმა და არა შემთხვევითი კავშირები.

„ჩემპიონატის მსვლელობისას ფეხბურთელებს ცოლებთან და მეგობარ ქალებთან სექსის საშუალება მიეცემათ. ისინი მარსელები ხომ არ არიან, — განაცხადა ვალიანიმ, რომელმაც საკუთარი მოსაზრების არგუმენტად ის მოიყვანა, რომ სექსი ადამიანის ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, — მაგრამ ლაპარაკი ზედმეტია ღამის 2 საათზე შამპანურისა და სიგარეტის თანხლებით გართობაზე“.

არგენტინის ნაკრების ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებაზე თავისი მოსაზრება გამოთქვა რუსმა სექსოლოგმა და ფსიქოანალიტიკოსმა — იანა ენიკეევამ: „რა თქმა უნდა, ასეთი ურთიერთობები დადებითად მოქმედებს სპორტსმენის სექსუალურ და ფსიქოლოგიურ ჯანმრთელობაზე. თავშეკავებას ჯანმრთელი მამაკაცისთვის სარგებლობა არასოდეს მოუტანია. საერთოდ, შეჯიბრებების მსვლელობისას ზოგიერთი მწვრთნელის მიერ მოთამაშეთათვის სექსის აკრძალვა ჩემთვის გაუგებარია. ამიტომ, მარადონასა და არგენტინელთა ექიმის საქმისადმი მიდგომას ვიზიარებ. რაც შეეხება ფეხბურთელების მიერ სქესობრივი ურთიერთობების შედეგად ენერგიის დაკარგვას, ინდოელი და ჩინელი ფილოსოფოსები მიიჩნევენ, რომ მამაკაცს აქვს გარკვეული სექსუალური ენერგია, რომელიც არ უნდა დახარჯოს. მიუხედავად ამისა, მივიჩნევ, რომ რეგულარული სექსი ნებისმიერი მამაკაცისა და კერძოდ, სპორტსმენის ჯანმრთელობისა და კარგი განწყობილების საფუძველია“.

საგულისხმოა ისიც, რომ არგენტინელ ფეხბურთელებს მუნდიალის მსვლელობისას მხოლოდ ძილის რეჟიმის დარღვევა აეკრძალებათ, ხოლო შემწვარი ხორცისა და ღვინის ზომიერად მიღება მათთვის დასაშვებია. როგორც ცნობილია, არგენტინის ეროვნული გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატს 12 ივნისს დაიწყებს — ნიგერიის ნაკრებს დაუპირისპირდება. მათ გარდა, ჯგუფში სამხრეთკორეელები და ბერძნები ასპარეზობენ.

აქვე გავიხსენებთ ფაქტს, რომელიც წინ უსწრებდა 2002 წლის მსოფლიოს პირველობას: მაშინ ბრაზილიის ნაკრების თავკაცმა ლუიშ ფელიპე სკოლარიმ გუნდის ყველა იმ მოთამაშეს მიუხურა კარი, ვინც მექალთანეობით იყო ცნობილი, ხოლო სამუნდიალო შემადგენლობაში მოხვედრილ ფეხბურთელებს საჯაროდ უთხრა, — ტურნირის მსვლელობისას სექსი, ცოლები და მეგობარი გოგონები დაივიწყეთო. სწორედ სკოლარის ახირების გამო აღმოჩნდა რომარიო ნაკრებს მიღმა, თუმცა არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ მაშინ ფეხბურთის ბრაზილიელი სპეციალისტის მიერ გუნდში შემოღებულმა ასკეტურმა ნორმამ გაამართლა და ყვითელმაისურიანებმა პენტაკამპეონობა იზეიმეს. ■



# WORLD CUP 2010



## მესის ოცნება

„ოქროს ბურთის“ მოქმედი მფლობელი, ლეო მესი იმედოვნებს, რომ მომავალ მუნდიალზე გააქარწყლებს არსებულ შეხედულებას, რომლის თანახმადაც, არგენტინელი ვარსკვლავი მხოლოდ „ბარსელონის“ მაისურით ასპარეზობს წარმატებულად. „მინდა, ეს ჩემს ჩემპიონატად იქცეს, — ამბობს 22 წლის ფეხბურთელი, — მსურს ფურორის მოხდენა, ჩვენი ქვეყნის მოლოდინის გამართლება და ოქროს მედლის დაუფლება. ადამიანებს საკუთარი აზრი აქვთ, რასაც პატივს ვცემ. ყველაზე მეტად მინდა არგენტინის ნაკრების მაისურით თამაში — იმაზე არანაკლებ წარმატებულად გამოსვლა, ვიდრე ამას „ბარსაში“ ვაკეთებ. ასეთი შესაძლებლობა მომეცემა და უნდა შევეცადო, ეს შანსი გამოვიყენო. რა თქმა უნდა, კლუბსა და ნაკრებში სხვადასხვა სისტემა მოქმედებს. მაგალითად, „ბარსაში“ გვარდიოლამ გადაწყვიტა, მოედნის ცენტრში მათამაშოს და იქ ბურთით უფრო მეტი მუშაობის, საჯარიმო მოედნის წინ მთელ პერიმეტრზე მოქმედების საშუალება მომეცა. ამის შედეგად, ადრინდელთან შედარებით, უფრო მეტი გოლის გატანა შევძელი“. ■



## კლინტონმა ნაკრებში თამაში ინატრა



ბარაკ ობამამ თეთრ სახლში აშშ-ის ნაკრების ფეხბურთელები მიიღო. როგორც ცნობილია, ამერიკელები მალე მსოფლიოს პირველობაში ჩაებმებიან. ამერიკის პრეზიდენტმა თანამემამულეებს მომავალ მუნდიალზე წარმატება უსურვა და ხაზი გაუსვა იმას, რომ მათ სამშობლოში ყველა უქომაგებს. შეხვედრას ესწრებოდნენ აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი — ბილ კლინტონი და ამჟამინდელი ვიცე-პრეზიდენტი — ჯოზეფ ბაიდენი. ფეხბურთელებისადმი მიმართვისას ძალზე ემოციური იყო კლინტონი, რომელმაც ნაკრებში თამაშიც კი ინატრა და ამ სურვილის მიზეზიც დააკონკრეტა: „გუნდში თუნდაც მხოლოდ ბუცების გამო ვიასპარეზებდი: სხვა დროს არასოდეს მინახავს ასეთი შესანიშნავი სპორტული ფეხსაცმელი“. ■

## ტაიმ-აუტი

## მარჩენამ გარინჩას გაუსწრო

ესპანეთის ნაკრების მცველმა, კარლოს მარჩენამ ეროვნულ ნაკრებში წაუგებელი მატჩების სერიით გააუმჯობესა რეკორდი, რომელიც ადრე





ბრაზილიელ თავდამსხმელ გარინჩას ეკუთვნოდა. ცოტა ხნის წინ საუდის არაბებთან გამართული შეხვედრა (3:2) მარჩენასათვის რიგით 50-ე იყო, რომელიც ესპანელებს არ წაუგიათ. „ვალენსიის“ მოთამაშეს ნაკრების ძირითად შემადგენლობაში მუდმივი ადგილი არა აქვს და არ უასპარეზია შარშან, ამერიკელების წინააღმდეგ ფიფას კონფედერაციათა თასის გათამაშებაში, როდესაც 2008 წლის ევროპის ჩემპიონთა ხანგრძლივი წაუგებელი სერია შეწყდა, ხოლო არაბებთან შეხვედრისას კარლოსი 61-ე წუთზე შევიდა მოედანზე. ბოლოს მან ეროვნული გუნდის მაისურით, 2004 წლის ევროპის პირველობაზე წააგო (0:1 პორტუგალიელებთან). სულ 30 წლის მცველს ესპანელთა რიგებში 57 მატჩი აქვს ჩატარებული. არაბებთან გამართული დაპირისპირება ესპანელთა მეკარის — იკერ კასილასისთვის ნაკრებში რიგით 103-ე იყო. ამ კომპონენტში ლიდერობა კი გოლკიპერ ანდონი სუბისარეტას ეკუთვნის. შეგახსენებთ, რომ 1955-დან 1966 წლამდე ბრაზილიელებს ზედიზედ 49 შეხვედრა არ წაუგიათ. იმ პერიოდში ყვითელმაისურიანთა რიგებში გარინჩა ბრწყინავდა. ■

# ავთო ცქვიტინიძეს ცოლი ლექსებს უკითხავს...

## „ბავშვობაში მეგონა, რომ რომეო თავად ვიყავი“



**დიზაინერი ავთო ცქვიტინიძე აღიარებს, რომ წიგნის „ჭია“ არასდროს ყოფილა. ბიბლიოთეკაში დადიოდა, მაგრამ იქ წიგნის კითხვის ნაცვლად თავს ხატვით ირთობდა. სხვადასხვა დროს სხვადასხვა მხატვარი მოსწონდა. ახლა მიიჩნევს, რომ მასთან ყველაზე ახლოს პიკასო და სალვადორ დალია. საყვარელ მწერლად კონსტანტინე გამსახურდიას ასახელებს. ბოლო 5 წლის მანძილზე ყველაზე ხშირად ცნობილ დიზაინერთა ბიოგრაფიებს ეცნობა.**

*თამუნა კვინიკაძე*

### პრეამბულის მაგიერ

— **ავთო, როგორ ფიქრობ — კარგი მეხსიერება გაქვს?**

— არა, კარგი მეხსიერებით ნამდვილად არ გამოვირჩევი. ჩემი მეუღლე ლექსებს შესანიშნავად კითხულობს, მისი მოსმენა მსიამოვნებს. რამდენიმე დღის წინ აღმოვაჩინე, რომ ყველა ის ლექსი, რომელსაც ხათუნა კითხულობს, თითქმის ზეპირად ვიცი.

— **ესე იგი, ცუდი მეხსიერება არ გაქვს. ხათუნას ლექსებს თვითონ რატომ არ უკითხავ?**

— მისი წაკითხულის მოსმენა მირჩევნია. შეიძლება, ხმამაღლა კითხვის კომპლექსიც მაქვს.

— **რომელია შენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟი?**

— რომეო... ბავშვობაში მეგონა, რომ რომეო თავად ვიყავი. რამდენჯერმე ამ პერსონაჟის როლიც კი შევასრულე.

— **შენი ჯულიეტა ვინ იყო?**

— ანა ერქვა (*იცინის*), ჩემი ძმის თანაკლასელი იყო.

— **ახლა რას კითხულობ?**

— ბოლო წლებში ცნობილ და წარმატებულ დიზაინერთა ბიოგრაფიებს ვეცნობი. მათ ბევრი რამ აქვთ საერთო. ყველას ბიოგრაფიაშია დედასთან, ბებიასთან ან საოცნებო ქალთან დაკავშირებული რაღაც ამბავი. თითქმის ყველას ბავშვობაში ფინანსურად უჭირდა.

— **შენი საყვარელი დიზაინერი ვინ არის?**

— ტომ ფორდი, მაგრამ მისი ბოლო პერიოდის ნამუშევრები არ მინახავს. ის მრავალმხრივ საინტერესო პიროვნებაა, ხან ფილმს იღებს, ხან სუნამოს გამოშვებით არის დაკავებული. შეუძლია, მოდის სახლი რადიკალურად შეცვალოს...

— **მსოფლიოში ცნობილი ერთ-ერთი დიზაინერის ბიოგრაფი ლორანს ბენაიმი წერდა: „ის ხატავდა ემოციებს. მან თავის ტანსაცმელში ჩააქსოვა სიხარული, სიყვარული, სიგიჟე, შექმნა თავისი კოლექციები, როგორც საიდუმლო წიგნის თავები. ის ხატავდა ანგელოზებს და დემონებს, ის იყო პირველი კუტიურიე, რომელმაც სხეულის სული განადიდა, თანამედროვე გემოვნებაში დაამკვიდრა რეტროს სიფაქიზე და რომელსაც ერთადერთი სინანული დარჩა, რომ მან არ გამოიგონა ჯინსი“. — დაასახელე ეს დიზაინერი.**

— (*ფიქრობს*) მისი ბიოგრაფიიდან სხვა ვერაფერს მეტყვი?

— **19 წლის იყო, როცა კრისტიან დიორმა ასისტენტად აიყვანა. კრისტიანი 2 წელში მოულოდნელად გარდაიცვალა და 21 წლის ბიჭი „დიორის სახლის“ ხელმძღვანელი გახდა. მან დაამკვიდრა ხაზი — „ტრაპეცია“, პირველივე ჩვენებიდანვე პოპულარული გახდა და მას „მაღალი მოდის პატარა პრინცი“ შეარქვეს...**

— (*მაწყვეტინებს*) საკმარისია, ეს დიზაინერი ივ სენ ლორანია.

— **დიახ. ისიც ცნობილია, რომ მას ეზიზღებოდა მოდა...**

— საკუთარ თავს კუტიურიეს არ უწოდებდა. ამბობდა, მე ვარ ადამიანი, რომელიც ბედნიერებას ქმნისო.

— **მოდი, ივ სენ ლორანს კვლავ მივუბრუნდეთ... დამისახელე ინდოეთის ძველი სამეფო, რომელიც შალის მსუბუქი ქსოვილის წარმოებით იყო ცნობილი.**

— (*ფიქრობს*) ვერ გიპასუხებ.

— **ქაშმირი.**

— უი! ვაღიარებ, ეს მართლა არ ვიცოდი.

— **გერმანული ანდაზის მიხედვით: „ოქროს ცეცხლი გამოცდის, ქალს — ოქრო, მამაკაცს“ — ?**

— მამაკაცს — ქალი.

— **რომელი ქვა იცვლის ფერს განათების ან დღე-ღამის მონაკვეთის მიხედვით?**

— ალბათ ამეთვისტო, არა?

— **სწორი პასუხია — ალექსანდრიტი. ყოფილი საბჭოთა კავშირის დროს, ცეკას ერთ-ერთი გენერალური მდივნის დადგენილებით, საშენი მასალების ეკონომიის მიზნით, საცხოვრებელ სახლებს ჭერის სიმაღლე შეუმცირეს. ვინ იყო ამ დადგენილების ავტორი?**

— ხრუშჩოვი.

— **წელიწადის რომელ დროს არიან დაბადებულები „კირჩხიბები“?**

— ზაფხულში.

— **რომელ მდინარეზეა გაშენებული ავსტრიის დედაქალაქი — ვენა?**

— დუნაიზე.

— **ქუდის ნაირსახეობაა და მას იმერლები ატარებდნენ. 1824 წელს პარიზში გამოვიდა ფრანგი დედოფლის — მარია ანტუანეტას მოდელიერი ქალის — მადმუაზელ ბეხტეინის მემუარები. რომელი ფრთიანი გამოთქმის ავტორი გახდა ეს მოდელიერი მას შემდეგ, რაც დედოფლის ძველი კაბა გადააკეთა?**

— ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველია!

— **ბავშვობაში ზღაპრებს კითხულობდი?**

— რა თქმა უნდა.

— **გადავამოწმოთ. „ასფურცელა“, „სამი გოჭი“, „კომბლე“, „წითელქუდა“ — რომელ ზღაპარში არ ფიგურირებს მგელი?**

— (*იცინის*) „ასფურცელაში“.

— **სპორტის რომელ სახეობაში მოასპარეზის აქსესუარებია — თეთრი კოსტიუმი, ლითონისბადიანი მუზარადი და ხელთათმანი?**

— მოფარიკავის.

— **ესპანეთის რომელ ქალაქში ტარდება ყოველწლიურად დალაქთა საერთაშორისო კონკურსი, რომელსაც როსინის ერთ-ერთი ოპერის პოპულარობას მიაწერენ?**

— სევილიაში.

— **რა ჰქვია სოსო ჯაჭველიანის კინოგმირს ფილმში — „ნატვრის ხე“?**

— გავიხსენებ (*პაუზის შემდეგ*) გედია.

— **სად გაატარა სიცოცხლის ბოლო წლები დავით გურამიშვილმა?**

— ვერ გიპასუხებ.

— **შენ იმ ქვეყანაში ხშირად ჩადიხარ ხოლმე.**

— უკრაინაში.

— **ისინი ძმები იყვნენ — ადოლფი და რუდოლფი. ერთმანეთი არ უყვარდათ. სავაჭრო ბაზარზე მათი დაპირისპირება პირად სიძულვილში გადაიზარდა. დაასახელე ფირმები, რომლებიც ამ ძმებმა დააარსეს.**

— „ადიდასი“ და „პუმა“.

— **როგორ ადამიანს უწოდებენ დილეტანტს?**

— დილეტანტი ამა თუ იმ საკითხის ზერელედ მცოდნეა.

— **„ამორძალივით მოჯირითე რაინდთა შორის“, „ყინწვისის ანგელოზივით მჭმუნვარე“ — რომელ პერსონაჟს ახასიათებს ასე კონსტანტინე გამსახურდია?**

— მეფე გიორგის? არა, არა, მას ასე არ დაახასიათებდა (*ფიქრობს*). ალბათ — შორენას, არა?

— **დიახ. ამ საბანაო კოსტიუმის პირველი ჩვენება მარჯნის ერთ-ერთ კუნძულზე საცდელი ბირთვული აფეთქების დღეს დაემთხვა. სწორედ ამიტომ ეწოდა ამ კუნძულის სახელი. რა ჰქვია მას?**

— ბიკინი.

— **ვინ არის საქართველოს ჰიმნის ტექსტის ავტორი?**

— დათო მაღრაძე.

— **ყველა თვე, გარდა თებერვლისა, 30 ან 31 რიცხვით მთავრდება, რომელ თვეშია 28 რიცხვი?**

— თებერვალში.

— **კიდევ?**

— რა კიდევ? მეტს როგორ დაგისახელებ? დანარჩენი ყველა თვე 30-ით ან 31-ით მთავრდება.

— **მე გეკითხები, რომელ თვეშია 28 რიცხვი?**

— თებერვალში-მეთქი, ხომ გიპასუხე (*იცინის*), ეს თვე ზოგჯერ 29-ითაც არის. რა გაცინებს?

— **ავთო, 28 რიცხვი მხოლოდ თებერვალში კი არა, ყველა თვეშია. არ მეთანხმები?**

— ა! ახლა მივხვდი, რასაც მეკითხებოდი. მაგრად დამაბნიე...

— **ახლა ერთ ლექსს წაგიკითხავ და ავტორი უნდა დამისახელო. „ველური მზერით გიყვარს თამაში, ჩემს წინ ამაყად, ნებივრად დგომა./ ძლივს დატეულხართ ვიწრო კაბაში/ შენ, გაზაფხული და შემოდგომა“.**

— სულ ეს არის?

— **„...ჯანსაღი ფერით, მდიდარი ტანით/ მოხეთქილი ხარ, როგორც ჩანჩქერი,/ ჩემს წასალეკად და გასატანად/ და არსაიდან არ ჩანს საშველი...“**

— ესე იგი, ლექსიც კი კაბაზე შემირჩიე. სამწუხაროდ, ავტორს ვერ დაგისახელებ.

— **შოთა ნიშნიანიძე. რომელია არგენტინის სახელმწიფო ენა?**

— ესპანური.

— **ეს ლეგენდარული დიზაინერი 1971 წელს 87 წლის ასაკში გარდაიცვალა. მას „XX საუკუნის სტილი №1“ შეარქვეს. დიზაინერის გარდერობში მისი გარდაცვალების შემდეგ მხოლოდ 3 ხელი გამოსასვლელი სამოსი აღმოჩნდა. ის ამბობდა: „არაფერი ისე არ აბერებს ქალს, როგორც მდიდრული ტანისამოსი“ — დაასახელე ეს დიზაინერი.**

— ძვირფასი სამოსი კოკო შანელს არ უყვარდა. თან ვიცი, რომ ხანდაზმულ ასაკში გარდაიცვალა. ალბათ სწორი პასუხი ეს არის.

— **ნამდვილად ასეა. „ჩემს ცხოვრებას ცოტა ხალისი შეჰმატა ხალხში ყოფნამ. ვერც კი წარმოიდგენთ, რა ეულად, ნაღვლიანად გავატარე ბოლო 2 წელიწადი; აჩრდილივით მუდამ თან მდევდა ჩემი დაქვეითებული სმენა და გავურბოდი ხალხს, მიზანთროპს ვგავდი. თუმცა სინამდვილეში სულაც არ ვარ ასეთი. ეს ცვლილება ჩემში საყვარელმა მშვენიერმა გოგონამ მოახდინა, რომელსაც ვუყვარვარ და მეც მიყვარს“. — ყველა ბიოგრაფის აზრით, ამ წერილის ავტორი აქ ჯულიეტა გვიჩარდიზე ლაპარაკობს. ის მისი მოწაფე და მეგობარი იყო. დაასახელე ვინ არის ამ წერილის ავტორი?**

— დაახლოებით რომელ წლებში ცხოვრობდა? კომპოზიტორი ხომ არ იყო?

— **ეს წერილი 1801 წლის 16 ნოემბრით არის დათარიღებული. ავტორის პროფესია გამოიცანი.**

— ბეთჰოვენი.

— **ამბობენ, ბეთჰოვენმა „მთვარის სონატა“ ჯულიეტას მიუძღვნაო... ივ სენ ლორანი წერდა: „არაფერია შიშველ სხეულზე მშვენიერი და ყველაზე ლამაზი ტანსაცმელი, რომელმაც შეიძლება, შეამკოს ქალი, საყვარელი მამაკაცის მკლავებია. მაგრამ იმათთვის, ვისაც არ ერგოთ ეს ბედნიერება... “ — როგორ ასრულებს ამ წინადადებას დიზაინერი?**

— ზუსტად არ მახსოვს, ალბათ იტყოდა: „...უნდა იცოდნენ, რა არის მოდაში“.

— **„...მაგრამ იმათთვის, ვისაც არ ერგოთ ეს ბედნიერება, მე აქ ვარ“.**

— (*იცინის*) მომეწონა. კითხვარი დასრულდა?

— **დასრულდა, მაგრამ საზაფხულო მოდის ტენდენციებზეც მინდა, გკითხო. სიახლე რა არის?**

— ამ ზაფხულს მოდაში ძალიან გრძელი კაბებია. აქტუალურია „ჭუჭყიანი“ ვარდისფრისა და ნაცრისფრის სინთეზი. თეთრი, როგორც ყოველთვის, დომინანტი ფერია. მსოფლიოს სხვადასხვა დიზაინერი განსხვავებულ ტონალობსა და სილუეტს გვთავაზობს. ბევრი ქალბატონისთვის საყვარელი შიფონის, ნატურალური აბრეშუმის, ტილოს, ბამბის ქსოვილის დრო მოვიდა.

— **როგორი შარვლებია მოდაში?**

— ე.წ. „ბანანი“, ასევე კოჭზე წვრილი და ზემოთ განიერი შარვლები. სათავის სიგრძე შუა წელზეა. მოდის არაერთმა სახლმა მაღალწელიანი შარვლებიც შემოგვთავაზა. ქართველი ქალბატონებისთვის ყველაზე მისაღები და პრაქტიკულიც დაბალწელიანი აღმოჩნდა.

— **აქსესუარებზე რას გვეტყვი?**

— მარგალიტებით და მძივებით გაფორმებული ქსოვილის ყვავილებია აქტუალური. მაგალითად, ტაფტის ყვავილის ბროშის სახით. წელს შეგიძლია, ატაროთ — წვრილი, მსხვილი, ოქროსფერი და ვერცხლისფერი ჯაჭვები.

— **ჩანთები?**

— ჩანთებსაც ჯაჭვის სახელური უნდა ჰქონდეს. ფეხსაცმელი კი ძალიან დაბალ ან მაღალ ქუსლზე უნდა იყოს.

— **ზაფხული საცურაო კოსტიუმის გარეშე წარმოუდგენელია, რას გვირჩევ?**

— შარშან ოქროსფერ და ყავისფერ საცურაო კოსტიუმებს ანიჭებდნენ უპირატესობას, წელს კი კანისფერია აქტუალური. დაზაგრულ სხეულზე ეს ფერი თითქმის არ „იკითხება“ და ძალიან ეფექტურია... ■

## გონების სავარჯიშო

### „გზის“ ერთგული მკითხველისათვის

### (კითხვები)

**ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ**

**„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი**

1. გალილეიმ ვერაფრით დაუმტკიცა ფლორენციის აკადემიის პროფესორებს პლანეტა იუპიტერის თანამგზავრთა არსებობა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი გარკვევით ჩანდნენ გალილეის მიერ გამოგონებულ ტელესკოპში. რატომ?

2. რას ეძახდნენ თავდაპირველად „სახმელეთო ხომალდებს“?

3. დაასახელეთ ევროპის ერთ-ერთი ქვეყნის პრემიერ-მინისტრი, რომელსაც რუსი პოლიტიკოსები დაცინვით „იობლერს“ ეძახიან.

4. „ასიოდე პროპორშიკს სურს შეცვალოს რუსეთი...“, — მხრებს იჩეჩდა მათი შემხედვარე ალექსანდრე გრიბოედოვი. ვის შესახებაა ლაპარაკი?

5. რომელი კანონები მოქმედებს რუსეთის გზებზე რუსი მძღოლების მტკიცებით?

6. სად არის გადაღებული მხატვრული ფილმი — „უდაბნოს თეთრი მზე“?

7. რამდენი წლის ასაკში ავიდა ტახტზე ჩინეთის უკანასკნელი იმპერატორი?

8. როგორ დაიღუპა ჯეკ ლონდონი?

9. ვინ არის ხორუნჟი?

10. რა არის ჯოლტი?

11. დაასახელეთ ერთადერთი პლანეტა მზის სისტემაში, რომელიც საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით ბრუნავს.

12. დაასახელეთ ამერიკელი მსახიობი, რომელმაც ერთხელ, ლას-ვეგასში 150.000 დოლარი მოიგო და მოგებული თანხიდან — 100.000 დოლარი კაზინოს მომსახურე პერსონალს დაურიგა.

# ანეკდოტები

* * *

სვანს ყაჩაღები წყლით სავსე აუზში აყოფინებენ თავს და თან უყვირიან:

— ფული და ოქრო!.. დროზე!.. — სვანმა, როგორც იქნა, სული მოითქვა და იყვირა:

— ან უფრო ღრმად ჩამაყოფინეთ თავი, ან თავი დამანებეთ, ვერც ფულს ვხედავ და ვერც — ოქროს.



* * *

16 წლის გოგონას დედა ოთახში შედის და მაგიდაზე დადებულ წერილს ხედავს.

„მაპატიე, დედიკო, მე ჩემს ახალ ბოიფრენდ — ახმედს ცოლად გავყევი. ჩვენ ძალიან გვიყვარს ერთმანეთი. ის ისეთი მომხიბვლელია თავისი სვირინგებითა და საყურეებით, რომ თვალს ვერ მოსწყვეტ. თან ძალიან მაგარი მოტოციკლი ჰყავს, მაგრამ მთავარი ისაა, რომ მე ფეხმძიმედ ვარ. ახმედმა მითხრა, რომ ჩვენ ძალიან ბედნიერები ვიქნებით მის ტრაილერში, ტყის პირას რომ დგას, უამრავი შვილი გვეყოლება. ახმედისგან იმდენი ახალი რამ გავიგე! ეს მარიხუანა არც ისე ცუდი რამ ყოფილა. აუცილებლად მოვაშენებთ მას ტრაილერის გარშემო ჩვენთვის და ჩვენი მეგობრებისათვის, ისინი კი არ მოგვაკლებენ კოკაინსა და ექსტაზს. მანამდე იქნებ მეცნიერებმა შიდსის წამალიც გამოიგონონ, რათა ახმედს ცოტა ტკივილები მოეხსნას. დედა, შენ ნუ ინერვიულებ, უკვე დიდი გოგო ვარ. ალბათ ოდესმე ჩამოვალთ და გინახულებთ, ბავშვებსაც განახვებთ. გკოცნი, შენი უსაყვარლესი გოგონა.

P.S. დედიკო, ეს ყველაფერი ხუმრობა იყო, მე მეზობელთან ვარ გადასული. ეს კი იმიტომ დავწერე, რომ მიხვდე, რომ ამქვეყნად გაცილებით უარესი ამბები ხდება, ვიდრე ჩემი საშემოდგომო გამოცდაა, რომელიც დღეს გამომყვა.“

* * *

სვანი აუზში ცურვას სწავლობს. წყალში ბეჭედი ჩაუვარდება. ჩაყვინთავს და დიდი გაჭირვებით ამოიღებს.

— აუ, დასკდა ყურები წნევისგან!.. რამდენი მეტრია სიღრმეში? — ეკითხება მწვრთნელს.

— 9 მეტრი!

— ეუჰ!... და ქვემოთ კაფელი ვინ დააგო?

— მუშებმა.

— აუ, რა „დიხანია“ ჰქონიათ!!!

* * *

ორი სვანი ორსართულიანი ავტობუსით მგზავრობს. ერთი მეორე სართულზე ავიდა და უკან გაფითრებული ჩამოდის.

— რა მოგივიდა, ბიჭო?!

— მეორე სართულზე არ ახვიდე, მძღოლი არ ზის.

* * *

მთვრალი ქვაფენილზე წევს. თავზე პოლიციელი დაადგა.

— მოქალაქევ, ადექით.

— სადა ვარ?

— ზოოპარკის ჭიშკართან.

— აუ, დახურე რა, მიბერავს!..

* * *

ნასვამი სიძე შეცდომით სიდედრის საწოლში წვება:

— ქეთო ვარ, ქეთო! — აყვირდა სიდედრი.

— თუ გინდა, კოტე იყავი...

* * *

კახელმა ცოლი მოიყვანა. პირველი ღამის შემდეგ აივანზე გამოდის და კმაყოფილი იზმორება.

— ჩემი ბიჭის დაბადებამდე 8 თვე და 29 დღე დარჩა.



* * *

მატარებლის კუპეში ორი მამაკაცი ოდესის მიმართულებით მგზავრობს. ერთი მათგანი ახალგაზრდა მოსკოველია, მეორე — ხანში შესული ოდესელი ებრაელი. მთელი მგზავრობის განმავლობაში ებრაელს ხმა არ ამოუღია. ახალგაზრდამ ერთხელ ჰკითხა, — რომელი საათიაო და ამის პასუხად ებრაელი მეორე გვერდზე გადაბრუნდა. მოსკოველს ეწყინა, მაგრამ ხმა არ ამოუღია. ის ღამე გათენდა. მეორე დილას ახალგაზრდას გულმა არ მოუთმინა და ებრაელს ისევ გამოელაპარაკა:

— რაშია საქმე, თქვენთვის ხომ არაფერი მიწყენინებია?! მხოლოდ საათი გკითხეთ და თქვენ კი პასუხი არ მაღირსეთ.

— არ გეგონოთ, პასუხს გამადლიდეთ, ყმაწვილო, მაგრამ თქვენთვის რომ მეპასუხა, ჩვენ შორის აუცილებლად საუბარი გაიმართებოდა, რასაც ურთიერთგაცნობა და საბოლოო ჯამში მისამართების გაცვლა მოჰყვებოდა. სულ მალე ჩვენი მატარებელი ოდესაში ჩავიდოდა, იქ ჩასული კი, მერწმუნეთ, სასტუმროში ადგილს ვერ იშოვიდით. ადგებოდით და მე დამირეკავდით. მე, რაღა თქმა უნდა, სახლში მიგიპატიჟებდით. თქვენ ერთიორს იუარებდით და ბოლოს მაინც დამთანხმდებოდით. მე კი სახლში ახალგაზრდა ქალიშვილი მყავს — სარა. თქვენ იგი აუცილებლად მოგეწონებოდათ. დაპატიჟებდით კინოში, თეატრში, დისკოთეკაზე და ადრე თუ გვიან, მასთან ინტიმურ კავშირსაც დაამყარებდით. მერე თქვენ წახვიდოდით, სარა კი „საინტერესო მდგომარეობაში" დარჩებოდა. შემდეგ მე შევიტყობდი მომხდარის შესახებ, თქვენს საძებნელად წამოვიდოდი. გიპოვიდით და სარას მდგომარეობის შესახებ გაცნობებდით. თქვენ წესიერი ახალგაზრდა ჩანხართ და სარას ცოლად მოიყვანდით. აი, სწორედ ამ დროს გავიფიქრე, რა ჯანდაბად მინდა ისეთი სიძე, რომელსაც საკუთარი საათი არა აქვს-მეთქი?!

* * *

მოსამართლე ეკითხება ბრალდებულს:

— რა პროფესიის ხართ?

— ცირკში ვმუშაობ, აკრობატი ვარ.

— არიქა, დახურეთ ფანჯრები!

* * *

სვანეთში ორი ქალი ერთმანეთს ესაუბრება:

— გაიგე, თემრაზას თავი მოუკლავს.

— ისევ?

— ჩუმად, აგერ მოდის, არ გაიგოს.

* * *

— სად მიხვალ, ბიჭო, ბატარეით ამ ღამეში?

— საცოლეს ვხვდები, ერასტი ბიძია, ღამის 10 საათზე.

— მერე ფარანი რად გინდა, ბიძიკო? რა ახალგაზრდობა მოდის! ჩემს საცოლეს რომ შევხვდი პირველად, ისე ბნელოდა, ერთმანეთს ძლივს ვხედავდით.

— იმიტომაც შეგხვდა ჰოლივუდის ვარსკვლავი.



* * *

— მარო, უკვე ორი წელია, რაც მიხო შენთან მეგობრობს და ხელი არ უთხოვია?

— ხელი?! ხელი — ჯერ არა!

* * *

მიხო საძინებელი ოთახიდან კმაყოფილი სახით გამოდის.

— შენ სუსტი სქესი ეძახე და რამხელა ენერგია მიაქვს!

* * *

ოსს ეუბნებიან, მიდი, თუ ძმა ხარ, ნახე, მანქანის „პავაროტნიკი" თუ მუშაობსო. ოსი დააკვირდა და პატრონს ეუბნება:

— მუშაობს, არ მუშაობს, მუშაობს, არ მუშაობს...

* * *

— რა ტემპერატურაა დღეს?

— ჩრდილში 36 გრადუსია!

— მზეზე?

— ოთხი მილიონი. მთვარეზე შედარებით უფრო გრილა...

# გონების სავარჯიშო

## „გზის" ერთგული მკითხველისათვის

### (პასუხები)

1. იმიტომ რომ, უკლებლივ ყველა პროფესორმა კატეგორიული უარი თქვა, გაეხედა გალილეის მიერ დამზადებულ ხელსაწყოში.

2. პირველ ტანკებს.

3. ინგლისის პრემიერ-მინისტრი — ტონი ბლერი.

4. დეკაბრისტების შესახებ.

5. მხოლოდ და მხოლოდ ფიზიკის.

6. მახაჩყალაში.

7. 3 წლის ასაკში.

8. მწერალმა 1916 წელს თავი მოიკლა.

9. დაბალი ჩინის ოფიცერი პოლონეთის არმიაში.

10. მოკლე, პირდაპირი დარტყმა კრივში.

11. ვენერა.

12. ბენ აფლეკი.

# ჩვენი ფოტო გალერეა



რუბრიკა მოამზადა *თემურ ივანიძემ*

# ჰოროსკოპი

## 10-16 ივნისი

### ვერძი

თუ ცხოვრების შეცვლა გადაწყვიტეთ, არ დააყოვნოთ. იმიჯს შეიცვლით, თუ სამსახურსა და პირად ურთიერთობას სხვა ეტაპზე გადაიყვანთ.

### კურო

ახალი დამატებითი საქმიანობა მატერიალურ კეთილდღეობას მოგიტანთ, მაგრამ ბევრ დროსა და ენერგიას წაგართმევთ. ძალების აღსადგენად ივარჯიშეთ.

### ტყუპი

ამ პერიოდში გრანდიოზული საქმეების შესრულებას ნუ ეცდებით. წარმატებას მოგიტანთ სპორტულ შეჯიბრებებში და ინტელექტუალურ კონკურსებში მონაწილეობა.

### კირჩხიბი

თქვენს სასიკეთოდ გადაწყდება უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საკითხები. შესაძლოა, მემკვიდრეობა მიიღოთ. კოლეგებთან ერთად ახალ პროექტზე მუშაობას შეუდექით.

### ლომი

ყურადღებით იყავით, რათა მნიშვნელოვანი საქმეების შესრულებისას უმნიშვნელო დეტალები არ გამოგრჩეთ. კომპეტენტური პირები დაიხმარეთ და საწადელს მიაღწევთ.

### ქალწული

დაღლილობასა და მოთენთილობას დილით, ბუნებაში ვარჯიში მოგიხსნით. ჭორების მსხვერპლი რომ არ გახდეთ, სამსახურებრივ რომანს, თანაც დაქორწინებულ ადამიანთან არ გირჩევთ.

### სასწორი

სამსახურებრივი და საოჯახო საქმეების შუალედში დრო დასვენებისთვისაც გამონახეთ. კარგი პერიოდია ახალი ბიზნესგეგმის განსახორციელებლად. მოერიდეთ ფულის ფლანგვას.

### მორიელი

სამსახურის საქმეების პარალელურად, მთელი კვირის მანძილზე საოჯახო საქმეებით იქნებით დაკავებული. შესაძლოა, საოჯახო პრობლემებიც თქვენი მოსაგვარებელი გახდეს.

### მშვილდოსანი

თუ გარშემო მყოფების მიმართ თავაზიანი და ზრდილობიანი იქნებით, მეტ მეგობარსა და თანამოაზრეს შეიძენთ. კვირის ბოლოს საკუთარ თავს განტვირთვის საშუალება მიეცით.

### თხის რქა

ამ პერიოდში ნუ გარისკავთ. თითოეული ნაბიჯი გათვალეთ. სიფრთხილე გამოიჩინეთ ელექტროხელსაწყოებთან. წვეულებაზე ძველ მეგობრებსა და შესაძლოა, ძველ სიყვარულსაც შეხვდეთ.

### მერწყული

ამ კვირაში თვითრეალიზებას შეძლებთ. კვირის დასაწყისში კარგია მგზავრობა და სწავლის დაწყება. წარმატებას მოგიტანთ გარკვეული საქმიანობა. საყვარელ ადამიანთან კონფლიქტს მოერიდეთ.

### თევზები

საკუთარ თავში ჯადოსნურ ნიჭს აღმოაჩენთ, — რასაც იტყვით, აგისრულდებათ. ამიტომ, დადებითზე იფიქრეთ და ოჯახის კეთილდღეობისთვის ილოცეთ.

# ავტომობილის ფერი და მფლობელის ხასიათი



⌘ შავი ფერის ავტომანქანა საკუთარ თავში დარწმუნებულ, პრინციპულ, ძალაუფლების მოყვარულ და საკუთარ ძალებში დარწმუნებულ ადამიანს ჰყავს.

⌘ გაწონასწორებული, წყნარი და აკურატული ადამიანი თეთრი ფერის მანქანას ყიდულობს.

⌘ ცისფერი ფერის ავტომობილს მორიდებული, მშვიდი, ლოიალური მძღოლი მართავს. კარგი მეოჯახე და ერთგული მეგობარია.

⌘ მწვანე ავტოს მფლობელი გაჭირვებაში არ მიგატოვებთ. ბრძენი და ლიდერია.

⌘ დინამიკური, არაორდინარული და ოპტიმისტი ადამიანი ფორთოხლისფერ მანქანას ირჩევს.

⌘ წითელი ავტომობილის მფლობელს ყურადღების ცენტრში ყოფნა უყვარს; მიზანდასახული და ამბიციურია. ფსიქოლოგების აზრით, წითლის მოყვარული ვნებიანი და ცოტათი აგრესიული პიროვნებაა.

⌘ ქუჩაში ვარდისფერ მანქანას იშვიათად შეხვდებით (მისი მფლობელი ქალი, თანაც აუცილებლად ქერათმიანი იქნება). მძღოლი ამბიციური და მგრძნობიარეა; ხშირად იღიმის და საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნავს.

⌘ სიცოცხლის მოყვარულ, მხიარულ ადამიანს ყვითელი ფერის ავტომობილი ჰყავს. უყვარს ხალხთან ურთიერთობა, გახსნილი და კაცთმოყვარეა.

⌘ ძლიერი, შემოქმედი და ამოუცნობი ადამიანი იასამნისფერ მანქანას ყიდულობს. ძლიერი ნებისყოფა აქვს და დასახულ მიზნებს ყოველთვის აღწევს.

⌘ ოჯახური ტრადიციების მოყვარული ადამიანი ყავისფერ ავტოს მართავს. არ უყვარს ავანტიურა და თავგადასავლები. კარგი მეოჯახე და ერთგული მეგობარია.

⌘ ოპტიმისტი, საკუთარ თავში დარწმუნებული, მხიარული ადამიანი ვერცხლისფერ ავტომობილს ირჩევს.



1. უმაღლესი ხარისხის ბრილიანტი
2. სომხეთის დედაქალაქი
3. ქათმების ოჯახის ფრინველი
4. სამაგიდო თამაში
5. ამერიკის შტატი
6. ცეცხლსასროლი იარაღის ტიპი
7. გერმანიის დედაქალაქი
8. უბანი თბილისში
9. შვედური ავტომობილი
10. ფეტვის ბურახი
11. ქვეყანა ევროპაში
12. აფრიკის უმაღლესი მწვერვალი
13. უარყოფის სიტყვა
14. ლიბანის დედაქალაქი
15. ბუდისტური სამლოცველო
16. ინდოელი მოჭადრაკე
17. ინგლისური ავტომობილი
18. პორტუგალიის ფეხბურთის გუნდი
19. ესპანელი ფერმწერი
20. ვერდის ოპერა
21. ჰიგიენური საშუალება
22. დიდი ჩაქუჩი
23. სივრცე დედამიწის ზემოთ
24. გიორგი სააკაძის მშობლიური სოფელი
25. მემამულე შუა აზიაში
26. უუფლებო ადამიანი
27. ბოსტნეული
28. პატარა მგალობელი ჩიტი
29. ნავთობის პროდუქტი
30. ცვარი
31. საზაფხულო სამოვარი
32. დაქირავებული მკვლელი
33. თბილისის გარეუბანი
34. გრძელი ნაწნავი
35. ყველა სენის სარგო წამალი
36. ღამის ფრინველი
37. დედალი ლომი
38. შინაური ცხოველი
39. ძველი პარიზის ციხე



**წინა ნომრის სკანვორდის პასუხები**

1. ჯაფა; 2. ფინტი; 3. სათაფლია; 4. ვაშლი; 5. ფაშატი; 6. შოთი; 7. შაში; 8. სინა; 9. ფლირტი; 10. ალიზი; 11. პითონი; 12. ზიზლი; 13. აგიდელა; 14. ინსინია; 15. პორტერი; 16. ბაიკონური; 17. რაბატი; 18. სანგარი; 19. ნაიკი; 20. ავარია; 21 არინა; 22. ტიალი; 23. ბაიდარა; 24. ლადო; 25. კენია; 26. გედი; 27. ონი; 28. მზე; 29. მილანი; 30. ძმარი; 31. აგა; 32. ანარქია; 33. აკაცია; 34. მანუალი; 35. ვიი; 36. არტერია; 37. გიჟი; 38. სკამი; 39. რეპტილია.

**სურათებზე:** 1. ჯასტინ ტიმბერლეიკი. 2. კამერონ დიასი.

# საფირმო კროსვორდი



**შევსების წესი:** **უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავთ.**

**ჩ**. შემჭკნარი ყურძენი; **ვ**. „ბივალი“ — მარგუნოვი, „ბალბეს“ — ნიკულინი, „ტრუს“ — ?; **ე**. სიყვარულის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; **ნ**. რა ერქვა რონალდ რეიგანის მეუღლეს; **ს**. საქართველოს მაღალმთიანი კუთხე; **ჟ**. აფრიკაში მობინადრე ცხოველი (ფიროსმანს ჰყავს დახატული); **უ**. სატრანსპორტო საშუალება, რომლის გადაბრუნებასაც, ანდაზის თანახმად, გზის გამოჩენა მოჰყვება ხოლმე; **რ**. პოპულარული ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი, რომელიც ჩეხი მწერლის, კარელ ჩაპეკის მოთხრობის მიხედვით არის გადაღებული; **ნ**. ჩანჩქერი ჩრდილოეთ ამერიკაში; **ა**. ცელქი, მოუსვენარი; **ლ**. შორეული ნაოსნობის დიდი საოკეანო გემი; **თ**. პატარა ცხოველი, რომელსაც დასავლეთ საქართველოში მუდოს ეძახიან; **ა**. მღვდელმთავარი; **ნ**. მუსლიმანური ლოცვა; **ე**. სევდიანი შინაარსის ლირიკული ლექსი; **რ**. საოჯახო ხელსაწყო, რომელშიც მსხვილი, მოგრძო ქვით ნაყავენ ნიორს, ნიგოზს და ა.შ.; **თ**. მოტყუებითა და ხრიკებით რაიმე საქმის გამკეთებელი, ყალთაბანდი; **ა**. ნახევარკუნძული, რომელზეც მდებარეობს იტალია; **დ**. მოსკოვის საფეხბურთო კლუბ „სპარტაკისა“ და საბჭოთა კავშირის ნაკრების ყოფილი მეკარე; **ა**. ნახევარკუნძული, რომელზეც მდებარეობს იტალია; **რ**. ქალაქ მადრიდის საფეხბურთო კლუბი; **მ**. ერთწლოვანი პარკოსანი მცენარე; **ო**. მოწონების შეძახილი კორიდაზე; **ი**. საზაფხულო საძოვარი მთაში; **წ**. სურვილი, ნდომა; **ყ**. მონღოლთა ურდოს მბრძანებელი; **ე**. კუნძული, სადაც პირველად გადაასახლეს ნაპოლეონი; **ნ**. ქალაქი იტალიაში; **თ**. ერთდროულად მცხოვრები დაახლოებით ერთი ასაკის ადამიანები.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**დ**. დახაუ; **ა**. აკელა; **ი**. იოსები; **ს**. სუეცი; **ვ**. ვერონა; **ე**. ერთაოზი; **ნ**. ნოინი; **ე**. ეშვი; **ჩ**. ჩკალოვი; **ვ**. ვეშაპი; **ე**. ეკლერი; **ნ**. ნაიკი; **ს**. სკეტჩი; **ჟ**. ჟაბო; **უ**. ულაყი; **რ**. როდოსი; **ნ**. ნიანგი; **ა**. ალიონი; **ლ**. ლისტი; **თ**. თეირანი; **ა**. ანცი; **ნ**. ნიჭი; **ე**. ეკიპაჟი; **რ**. რეალი; **თ**. თუნგი; **ა**. აკიდო; **დ**. დრო.

**გამუქებულ უჯრედებში იკითხება:**

**ხეს ერთი ვაშლი ება და ისიც ჭიანიო**

## იაპონური სენსაცია

## სუდოკუ

**„გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 9 | 8 | 1 | 7 | 4 | 2 | 3 | 6 |
| 3 | 7 | 1 | 2 | 8 | 6 | 4 | 9 | 5 |
| 6 | 2 | 4 | 5 | 3 | 9 | 1 | 7 | 8 |
| 7 | 4 | 9 | 8 | 1 | 2 | 6 | 5 | 3 |
| 1 | 8 | 5 | 9 | 6 | 3 | 7 | 4 | 2 |
| 2 | 6 | 3 | 4 | 5 | 7 | 9 | 8 | 1 |
| 4 | 1 | 2 | 3 | 9 | 8 | 5 | 6 | 7 |
| 8 | 5 | 6 | 7 | 4 | 1 | 3 | 2 | 9 |
| 9 | 3 | 7 | 6 | 2 | 5 | 8 | 1 | 4 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 8 | 9 | 7 | 4 | 6 | 2 | 1 | 5 |
| 7 | 4 | 1 | 5 | 2 | 8 | 6 | 3 | 9 |
| 6 | 2 | 5 | 3 | 9 | 1 | 4 | 8 | 7 |
| 8 | 5 | 6 | 4 | 7 | 3 | 9 | 2 | 1 |
| 4 | 1 | 3 | 9 | 6 | 2 | 5 | 7 | 8 |
| 9 | 7 | 2 | 8 | 1 | 5 | 3 | 4 | 6 |
| 5 | 9 | 4 | 1 | 3 | 7 | 8 | 6 | 2 |
| 2 | 3 | 7 | 6 | 8 | 9 | 1 | 5 | 4 |
| 1 | 6 | 8 | 2 | 5 | 4 | 7 | 9 | 3 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 3 | 8 | 6 | 4 | 9 | 2 | 1 | 5 |
| 9 | 2 | 4 | 5 | 1 | 8 | 6 | 3 | 7 |
| 6 | 1 | 5 | 7 | 3 | 2 | 9 | 4 | 8 |
| 1 | 6 | 9 | 4 | 8 | 7 | 5 | 2 | 3 |
| 3 | 5 | 7 | 1 | 2 | 6 | 8 | 9 | 4 |
| 8 | 4 | 2 | 3 | 9 | 5 | 7 | 6 | 1 |
| 2 | 7 | 1 | 9 | 5 | 4 | 3 | 8 | 6 |
| 5 | 9 | 3 | 8 | 6 | 1 | 4 | 7 | 2 |
| 4 | 8 | 6 | 2 | 7 | 3 | 1 | 5 | 9 |

### * მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 7 | | | | 8 | 1 | 9 | |
| | 6 | | | 2 | | | | 7 |
| 4 | | 3 | | 7 | 1 | | | 5 |
| 7 | | 6 | | 1 | | | | 4 |
| | 3 | | | 6 | 2 | | 1 | |
| 2 | | | 3 | | | 5 | | 9 |
| 8 | | | 7 | 9 | | 6 | | 1 |
| 3 | | | | 8 | | | 5 | |
| | 1 | 9 | 2 | | | | 7 | |

### ** საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | | | | | 1 | | 3 | 7 |
| 2 | 1 | | 8 | | 7 | 4 | | |
| | 7 | | | | 9 | | 1 | |
| 5 | | 2 | 9 | | | | | 6 |
| | | 8 | | 3 | 5 | 7 | | |
| 9 | | | | 8 | | 2 | | 3 |
| | 9 | | 7 | | | | 2 | |
| | | 6 | 4 | | 2 | | 7 | 1 |
| 7 | 2 | | 5 | | | | | 8 |

### *** რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 8 | | | | 4 | | | 7 |
| 9 | | | | 1 | | | 6 | |
| | | | | | 5 | | | 4 |
| | 3 | | 2 | | | | | 8 |
| 4 | | | | 8 | | | | 5 |
| 6 | | | | 9 | 1 | | 7 | |
| 2 | | | 1 | | | | | |
| | 6 | | | 4 | | | | 1 |
| 3 | | | 7 | | | | 4 | |

რადიომკურნალი

*იპოვე შენი მკურნალი „ჰალიცრის" ეთერში!*




ყოველ ოთხშაბათს, 15:30 საათზე
სალომე ლილუაშვილთან
ერთად

**როდენი – წონაში დასაკლები უნიკალური საშუალება!**

მისი დროული მიღება თავიდან აგაცილებთ წონაში მატებასაც

- ეკოლოგიურად სუფთა, ბუნებრივი პროდუქტი
- ხელს უშლის ნახშირწყლების ცხიმებში გადასვლას
- ხელს უწყობს ცხიმების ბოლომდე დაწვას
- აქვეითებს მადას ენერგიის მომატების ფონზე
- ნორმამდე დაჰყავს სისხლის ჰორმონი ლეპტინი და ქოლესტერინი
- ორგანიზმიდან გამოაქვს ზედმეტი სითხე და შლაკები
- არეგულირებს საჭმლის მომნელებელ სისტემას

როდენი



მოგვაკითხეთ მისამართზე:
თბილისი, რუსთაველის გამზ. №28
ან მიმართეთ „ნეოფარმის" და
„ჯი პი სის" სააფთიაქო ქსელს,
როგორც თბილისში, ასევე
ქუთაისსა და ბათუმში.
დაგვიკავშირდით ტელ. ნომრებზე
99 00 14; 895308405;
893 668318; 899 21 02 32
e-mail - promoita@mail.ru
nikosaniltd@mail.ge



მიღების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს

## სიახლე სამხრეთ კავკასიაში



საქართველოში არსებული პრობლემების ნუსხის ჩამოთვლას არ შევუდგებით. გამოვყოფთ ჩვენი აზრით უმთავრესს „ინდივიდთა ფსიქოლოგიურ ფაქტორსა და საზოგადოებრივი ერთობის ურთიერთმიმართებას". ალბათ სუბიექტურნი არ ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ ჩვენს ეროვნულ-მენტალურ მახასიათებლებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მკვეთრ ინდივიდუალიზმს. თითოეული ინდივიდი, როგორც კულტურული ფენომენი, თავს წარმოადგენს როგორც ერთიან მთლიან განუყოფელ ერთეულს, ე.ი. თითოეული მათგანი თავის ფსიქიკურ სიმრთელეს ეჭვსქვეშ არ აყენებს. ალბათ ,,ფსიქოანალიზი" როგორც მეთოდი თვითშეცნობისა ამიტომაც, არ სარგებლობს ჩვენში პოპულარობით. ინფორ-მაციის ურთიერთგაცვლა პრობლემატურია, რადგან ურთიერთმოსმენა განიცდება, როგორც სხვისი აზრის თავს მოხვევა. ვფიქრობთ დაგვეთანხმებით, რომ ჩვენს სინამდვილეში საზოგადოების ამგვარი განწყობა დომინან-ტურია (ე. ი. ჩვენი ძირითადი მახასიათებელია). ამ ფაქტორის გავლენით შესაძლებელია რეა-ლობად მივიჩნიოთ სინამდვილის ჩვენეული ინტერპრეტაცია დასაბუთების გარეშე. იგი შესაძლოა დაუსრულებელ პრობლემად გვექცეს. საქართველოში პიროვნული ინდივიდუალური ფსიქოანალიზის ალტერნატივად და ჩვენთვის უფრო მისაღებ (არაუხერხულ) საშუალებად შეიძლება განვიხილოთ ახალი ამერიკული ბიოსენსორული აპარატი. იგი საშუალებას იძლევა ადამიანებმა საკუთარი თვალით იხილონ თავიანთი აურა, რასაც აქამდე მითიური მნიშვნელობა ენიჭებოდა. აურის არსებობა უკვე მეცნიერული ფაქტია. დღეს უკვე შესაძლებელი ხდება ადამიანმა განსაზღვროს საკუთარი ფსიქო-ემოციური პორტრეტი (ფსიქოემოციური თვისება). როგორც საზოგადოების წევრმა, მისმა ნაწილმა.

აპარატის საშუალებით შეძლებთ იხილოთ თქვენი აურისა და ენერგეტიკული ცენტრებისფოტოგამოსახულება. ფოტოებს თან დაერთვის ვრცელი ანალიზი თქვენივე ინდივიდუალური ბუნების შესახებ

მეთოდი დაგეხმარებათ:
სინამდვილის ობიექტურ შეფასებაში.
თქვენში დაფარული შესაძლებლობების გამოვ-ლენაში.
ამ შესაძლებლობების ოპტიმალურად გამოყე-ნებაში.
სულისა და სხეულის მდგომარეობის გათვითცნობიერებაში.
შესაძლო კონფლიქტების თავიდან არიდებაში.
მიხვდეთ ვინ ხართ თქვენ და რა გზებით იპოვოთ თქვენი ბედნიერება.
მეთოდი შესაძლოა ასევე გამოყენებული იქნას სხვადასხვა კომპანიების თანამშრომელთა საკადრო შერჩევისას როგორც ტესტირების ფორმა, რაც აიოლებს ადამიანთა აქტივობისა და პოტენციის განსაზღვრას.

კომპანია „აურა ჯი". თვითშეცნობით დაინტერესებულ პირებს გთავაზობთ დაგვიკავშირდეთ.
ტელ: 14 26 28, 14 37 66
მისამართი: ქ. თბილისი.
გაბაშვილის ქ. 4
ხიზანიშვილის ქ. 14
საიტის მისამართია:
**WWW. AURA-HELP.GE**



„კვირის პალიტრის" კოლექცია
„დიდი მხატვრები"
წიგნების სერია რჩეულ ფერმწერებზე - შედევრები და ისტორიები
წიგნი VIII
მიქელანჯელო
14 -დან – 21 ივნისამდე
მხოლოდ „კვირის პალიტრის" მკითხველისთვის სპეციალური ფასი 15 ლარი!
ყურადღება:
II, IV, V, VI და VII ტომი, წიგნის მაღაზიებში გაყიდვაშია!
I და III ტომი იქნება თვის ბოლოს!
„კვირის პალიტრის" ხელმომწერთა საყურადღებოდ! წიგნის შეძენის მსურველები დაუკავშირდით „ელვა.ჯი"-ს ტელ: 38-26-73/38-26-74 კურიერი სერიის ყოველ ტომს ადგილზე მოგართმევთ

# ფოტოკურიოზები



















# გაცნობებთ რომ...
# ტექნო ბუმში
# ყველაზე დაბალი ფასებია

მობილურები



ტელევიზორები



Techno BOOM ტექნო

კომპიუტერები



საყოფაცხოვრებო ტექნიკა



**თბილისი**
ვაჟა-ფშაველას №21
წერეთლის №1
აღმაშენებლის ხეივანი მე-13-ე კმ
(საბითუმო ცენტრი)

**Tel: 43 01 02**
**e-mail: info@technoboom.ge**

**ბათუმი**
გორგილაძის (ერას) № 90
გამსახურდიას №47